

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და  
ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება

თ ე ღ მ  
ს ა ხ მ კ ი ა

კ რ ე ბ უ ლ ი



თბილისი

1969

კრებულთა შეიცავს თედო სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობის მიმოხილვას ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და ლექსიკოლოგიის დარგში, აგრეთვე მოგონებებს თედო სახოკიას, ეთნოგრაფიულ წერილებს ქესბეთის, სვანეთის, ხევის, სამეგრელოს, ჯავახეთისა და ქართლის ეთნოგრაფიიდან. კრებულს ერთვის თედო სახოკიას ავტობიოგრაფია, მისი ნაწერებზე სრული ბიბლიოგრაფია და თედო სახოკიას და ა. აზულაძის ნაშრომი — ქართული ენის ფონეტიკა.

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, შ. მესხიჯიჯი, ჩიტაია, (პ/მგ რედაქტორი), მ. ჩიქოვანი, ლ. ჯანაშია (მდივანი)



თეოდო სანოკიანი (1868—1956)



## თედო სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობა

1903 წ. აპრილის 16-ს პარიზის ანთროპოლოგიური სამეცნიერო საზოგადოების სხდომაზე თედო სახოკიამ წაიკითხა მოხსენება თემაზე „Le culte de la petite vérole en Géorgie, une page de la médecine populaire“ (ყვავილ-ბატონები საქართველოში, ერთი ფურცელი ხალხური მედიცინიდან). მოხსენებაში მოტანილი იყო მდიდარი მასალა, რომელიც ამჟღავნებდა, ერთი მხრით, თედო სახოკიას დიდი დაკვირვების უნარს, მეორე მხრით მის მომზადებას სპეციალობაში. მოხსენებამ იმდენად ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, რომ სხდომის მონაწილემ პროფესორმა მიშელ ზაბოროვსკიმ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა: „ბატონი სახოკიას სიტყვა დიდი ინტერესით მოვისმინეთ. ქართველებს ავადმყოფობანი წარმოდგენილი ჰქონიათ სულების სახით ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეების ევროპაში და დღემდე გადმონაშთის სახით შემორჩა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ, სლავიანთა შორის, ამგვარი წარმოდგენა მთელს მსოფლიოში იყო გავრცელებული, მაგრამ ამისგან განსხვავებით, როგორც ბატონმა სახოკიამ მოგვახსენა, ქართველებში გადამდებ სენთა სულები ადამიანთა სახით, ღვთაებადაც კი ჰყოლიათ წარმოდგენილი. ამის მაგალითი სხვა ხალხებში ჩვენ არ ვიცითო“<sup>1</sup>. მართლაც, მოხსენება საგნის იშვიათი ცოდნით იყო დაწერილი. დღესაც კი, როდესაც მას ვეცნობით ფრანგულ თუ ქართულ ვარიანტში — ადვილად ვრწმუნდებით, თუ რა დიდი მასალაა მასში მოცემული და როგორი სრულყოფილი სახითაა აღწერილი ისე, რომ ერთი ბეწო წვრილმანიც კი (როგორც თედო სახოკია იტყოდა ხოლმე) დავიწყებული არ არის.

<sup>1</sup> «Mais les légendes mises, à part, nous ne connaissons pas d'autre exemple de cette conception des affections épidémiques sous la même forme accentuée, comme des êtres, des dieux qu'on flatte et s'efforce de fléchir»: Bulletins et Mémoires de la Société d'Anthropologie de Paris, 1903 — Paris, p. 16.



პაოვ. ზ. მოატალოქ სხ. სემ ნარაის სბეკნეუო იმეკოს ის პინაჩოენი მათ შარის თ. სხოკო, აღნაშნულა\*

მაგრამ ეს მოხსენება, გატანილი ამ დროინდელ მაღალ სამეცნიერო წრეში, ღირსშესანიშნავია არა მარტო იმით, რომ მომხსენებელმა მოვლენის ქართული თავისებურება გამოამჟღავნა, არამედ იმითაც, რომ ამ მოვლენას მეცნიერული ანალიზი გაუკეთა და მას მეცნიერული შეფასება მისცა.

თედო სახოკია მოხსენებაში აღნიშნავდა: „ასეთია, რამდენადაც შეიძლებოდა, სრული სურათი საქართველოში ხალხური ექიმობისა, სურათი გამომმატველი მეტისმეტად ჩასახვითი კულტურისა. ამას ჩვენ მიუყავართ სულ პირვანდელ აზრებთან, რომლებიც ჰქონდათ ყველა ხალხებს მათი არსებობის ხანაში. ოდეს განუწყვეტლად შეხლამემოსლა უხდებოდათ ბუნების ჯერ კიდევ გამოურკვეველ მოვლენებთან... ჯერ გაჩნდა ანიმიზმი, ამას მოჰყვა ის, რომ ადამიანმა თავისი წარმოდგენა უფრო შორს საგნებზე გადაიტანა და ეს სულელები თავიანთი საკუთარი ფორმით შემოსა, თავიანთი სახით განასახიერა, ჩაუდვა თავისი გრძნობა და ნება-სურვილი, თავისი ძალა და სისუსტე და ამნაირად ფეხი გადადგა შეთხზული სარწმუნოების მეორე სტადიაში — ანთროპოფიზიზმში. ამ პირველყოფილმა ადამიანმა იმისათვის, რომ მისი ღმერთების ავი ნდომა-სურვილები გაეტკბილებინა, მათგან სიკეთე გამოეღებინებინა, მათგან მფარველობა მოჰმადლებოდა, იძულებული შეიქმნა გამოეგონებინა კულტი, თაყვანისცემა ამ გაღმერთებულ სულთან“<sup>2</sup>.

მომხსენების დასკვნით ნაწილში თედო სახოკია ამბობდა: „თუ ჩვენ ცოტა ხანს მოვუწოდებთ საქართველოში „ყვავილ-ბატონების“ აღწერას, ეს იმისათვის მოგვივიდა, რომ უნდა გვეჩვენებინა, თუ რამდენად ერთნაირია გონებრივი ევოლუცია, რომელიც არსებობს ამ მხრივ ქართველებსა და იმათთვის კულტურის სხვა ხალხებს შორის, იმისათვის, რომ, ერთხელ კიდევ მეტად დაგვენახებინა თვალსაჩინო ფაქტი ავადმყოფობის სულელების გაჩენისა და აღიარებისა“<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, თ. სახოკია ხელცარიელი არ წარმდგარა საერთაშორისო ეთნოგრაფიის სარბიელზე, არც დაკმაყოფილებულა აღწე-

---

<sup>2</sup> თ. სახოკია, ყვავილ-ბატონები საქართველოში, „ეთნოგრაფიულ, ნაწერები“, თბ., 1956; მისივე, Le culte de la petite vérole en Géorgie, Paris 1903.

<sup>3</sup> თ. სახოკიას აზრით „ავადმყოფის კულტი, თაყვანისცემა, ისევე როგორც სხვა ყველაფერი, ქართველთა შორის შემონახული ერთიგვარ უცვლელად და მთელი სიძლიერით დღევანდლამდე, მიუხედავად ქართველთა 3.000 წლის ისტორიული ცხოვრებისა, მიუხედავად ქრისტიანობისა, რომელიც მე-4 საუკუნეში იყო შემოტანილი და მიუხედავად მათი საქმაოდ მდ-დარი ძველი და ახალი (ancienne et moderne) ლიტერატურისა“.

ზილობითი მასალით (დესკრიფციით), არამედ თავის დროისათვის თეორიულად კარგად შეიარაღებულს გაუანალიზირებია მის მიერ მოპოვებული მასალა და კიდევ განუზოგადებია. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ზემოთ დასახელებული სამეცნიერო მოხსენება არ იყო პირველი და უკანასკნელი, რომელიც თედო სახოკიამ გააქეთა საზღვარგარეთ. ჩვენ ვიცით, რომ თ. სახოკიას არა ერთი მოხსენება წაუკითხავს პროფესორ გაბრიელ მორტილიეს სახელობის სემინარიაში და არა ერთგზის გამოსულა ეთნოგრაფიული მასალით პერიოდულ გამოცემებში გარდა ფრანგულისა — ინგლისურ, იტალიურ და რუსულ ენებზე.

ზემოთ აღნიშნული გარემოება შემთხვევითი მოვლენა არ იყო თედო სახოკიას მოღვაწეობაში, არამედ შეპირობებული იყო იმით, რომ საზღვარგარეთ ყოფნის დროს თედო სახოკია თავისი დაუღალავი შრომისა და დაუშრეტელი ენერჯიის წყალობით დაეუფლა იმდროინდელ ეთნოგრაფიას, როგორც მის თეორიულ საფუძვლებს, აგრეთვე ველზე მუშაობის მეთოდს. სხვადასხვა დროს თედო სახოკია ეთნოგრაფიის სპეციალობას სწავლობდა ჭერ სორბონის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ უმაღლეს ანთროპოლოგიურ სკოლაში, რომელიც ამჟამად მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული Musée l' homme-ის სახელითაა ცნობილი.

აქვე შევნიშნათ, რომ დასავლეთში ანთროპოლოგია ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს როგორც საკუთრივ ანთროპოლოგიას. ასევე ეთნოგრაფიას და მათ მომიჯნავე დისციპლინებს. უმაღლეს ანთროპოლოგიურ სკოლაში თ. სახოკია ოთხი წლის მანძილზე სწავლობდა.

აქ იგი უსმენდა გამოჩენილ მეცნიერ ეთნოგრაფს შარლ ლეტურნოს, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო მიმდევარი იყო მატერიალიზმისა საფრანგეთში. შ. ლეტურნო, როგორც დემოკრატიული აზრების გამავრცელებელი, 1871 წ. ომისა და კომუნის შემდეგ გაძევებული იყო საფრანგეთიდან. სამშობლოში დაბრუნების დროიდან ლეტურნომ მრავალი სამეცნიერო შრომა გამრავლევს. მის კალამს ეკუთვნის ისეთი შრომები, როგორიცაა მეცნიერება და მატერიალიზმი, სოციოლოგია ეთნოგრაფიის მონაცემების მიხედვით, საკუთრების ევოლუცია, ქორწინების ევოლუცია, სარწმუნოების ევოლუცია, ეთნიკური ფსიქოლოგია და სხვა. აქვე თედო სახოკია უსმენდა ცნობილ მეცნიერებს. ის მონაწილეობდა დე-მორტილიეს სახ. სემინარებში და მისი მოწაფეების მიერ ა. ლეფეგრას, ლ. მანუერიეს და სხვ. მოწყობილ ყოველკვირეულ ექსკურსიებში, პარიზის მიდამოების პრეისტორიული ძეგლების გაცნობისადმი რომ იყო მიძღვნილი.



→ ბაბი შხილე და პიოხი (აქადა  
ქობი ბაბი ბაბი (აბ. წილ. ალბ.)

† აქადა ბუკანგი - აქადა  
ბაბი ბუკანგი, - ბაბი ბაბი  
ბაბი ბაბი ბაბი, ბაბი ბაბი  
ბაბი ბაბი, ბაბი ბაბი  
ბაბი ბაბი, ბაბი ბაბი  
ბაბი ბაბი ბაბი ბაბი,  
ბაბი ბაბი ბაბი, ბაბი ბაბი  
" აქადა ბუკანგი - აქადა  
ბაბი ბაბი ბაბი ბაბი  
ბაბი ბაბი ბაბი ბაბი  
ბაბი ბაბი ბაბი ბაბი,  
ბაბი ბაბი ბაბი ბაბი  
ბაბი ბაბი ბაბი ბაბი

თ. სხილიას უბის წიგნის „ახლაზების“ ერთი კვერდი. (ზვ. XII)

ამ ხანაში იმპერიალიზმის მძვინვარებას პერიოდში. ეთნოგრაფია განიცდის დიდ აღმავლობას. იქმნება და ყალიბდება ახალ-ახალი მიმართულებები და სკოლები, არსდება სპეციალური კათედრები უმაღლეს სასწავლებლებში, მრავალ ქვეყანაში იქმნება ეთნოგრაფიული საზოგადოებები, ეწყობა შორეული ექსპედიციები, კონგრესები, გამოფენები, არსდება ეთნოგრაფიული მუზეუმები, იბეჭდება დიდძალი ლიტერატურა. უხვ მასალას აგროვებენ მეცნიერი მოგზაურები. ახალი მასალის შექამების საფუძველზე პროგრესული მკვლევარებისათვის ირკვევა, რომ ისტორიის მამოძრავებელი ძალაა ყოფის პირობები და მასების მოძრაობა და არა პიროვნებები.

აქვე ანთროპოლოგიურ სკოლაში თ. სახოკია წარმატებით დაეუფლა ეთნოგრაფიისათვის აუცილებელ ველზე მუშაობის მეთოდებს. მას ხელთ ჰქონია ფრანგი ეთნოგრაფების მიერ შედგენილი კითხვარები და საგანგებოდ შეუსწავლია ინგლისელი ეთნოგრაფების მიერ შემუშავებული, საქვეყნოდ ცნობილი, კითხვარი Noute and Quirle, რომლის მერვე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა ახლახან გამოვიდა ლონდონში.

ამ კითხვარის შემდგენელი იყვნენ ეთნოგრაფები, ახალი, ევოლუციონური მიმართულების შემქმნელი მეცნიერები: ელუარდ ტეილორი, ჩარლზ რიდი, ჯემს ფრეზერი, ჯონ ლებოკი, ჰედონი, ვილიამ ფლინდერს პეტრი, ჯონ ევანსი და სხვ.

ასეთი წვრთნის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ თედო სახოკია დიდ ყურადღებას აქცევდა ეთნოგრაფიული მასალის ზუსტ ფიქსაციას. გარდა ამისა, რომ თვით მისი ეთნოგრაფიული ნაშრომები მჭერმეტყველურად ამაზე მიგვითითებენ, ამ თემაზე მის მიერ 1902 წ. „მოგზაურში“ (№ 9—10) დაბეჭდილი წერილი დადასტოვებს: „ეთნოგრაფი და მისი გამოყენება ეთნოგრაფიაში“.

თედო სახოკია წერდა: „შარშან ზაფხულს ორი მკვლევარი („ეთნოგრაფისტი“) მუშაობდა საქართველოში: ერთი (ბ-ნი ფალიაშვილი) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მინდობილობით და საფასით, ხოლო მეორე (ბ-ნი არაყიშვილი) თავისი ხარჯით. რამდენადაც ვიცით, ჯერჯერობით მხოლოდ სახალხო სიმღერების შევსებას ჰქონდა ყურადღება მიქცეული. სახალხო სიმღერები კი, როგორც ვიცით, ერთი დარგია ხალხის გონებრივი ცხოვრებისა. ვინ ამბობს, ჯერჯერობით ჩვენის უსახსრობის ამბავი რომ მოგვხსენებათ, ჩვენგან ეგეც ბევრია. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამაზე არ შევჩერდებით და თავს მოუყრით სხვა მასალებსაც, როგორც, მაგალითად, მეგრულის (ლაზურის), სვანურის, ინგილოურის და სხვა კოლოკაეების გადაღებას, ზეპირსიტყვაობას, ზნე-ჩვეულებებსა და

მრავალ სხვას. უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება გამოუყვლეველი არ დაგვრჩეს არც ერთი კუთხე ჩვენი სამშობლოსი. არ უნდა დაევიწყოთ, რომ ჩვენსავე გულმტკივნეულად და ადვილად (ადგილობრივი პირობები) ჩვენს ქვეყანას სხვა ვერავინ გამოიკვლევს. მერე თუ შეძლება ნებას მოგვცემს შეგვიძლია (და საჭიროც არის) კავკასიის სხვა ერებშიც გადავიტანოთ მუშაობის ასპარეზი“.

ამითაა შეპირობებული, რომ თედო სახოკია თავის ეთნოგრაფიულ ნაწერებში მოვლენებსა და ფაქტებს აღწერს საკმარისი სისრულით. თითქმის ყოველმხრივ და ზუსტად. ის თავის დროისათვის კარგად მომზადებული, გამკრიახი და გონებამახვილი მკვლევარი ეთნოგრაფია-თედო სახოკიას ეთნოგრაფიულ ნაწერებში უხვადაა მოცემული საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილის ამსახველი მასალა და ამავე დროს რიგი მეცნიერული ღირებულების მქონე საკითხი მართებულადაა დასაშული და სათანადოდ გადაწყვეტილი.

ზემოთ ჩვენ ვუჩვენეთ, თუ როგორი სიუხვით აფიქსირებს თ. სახოკია ეთნოგრაფიულ მასალებს და როგორი ფართო დიაპაზონით იხილავს და იკვლევს ამასთან დაკავშირებულ საკითხებს იმ მონოგრაფიაში, რომელიც დაიწერა 1903 წელს.

ასეთივე მიდგომით აკეთებს ის ბევრს თავის ეთნოგრაფიულ ნაშრომს.

ერთ-ერთ ამგვარ ნაშრომს ეკუთვნის „საქორწილო ჩვეულებანი: სამეგრელოში“, რომელიც დაიწერა დაახლოებით 1907 წელს, ხოლო პირველად დაიბეჭდა რუსულად 1916 წელს „Петербургские Едомости“-ს ფურცელზე (№№ 176, 178, 181 და 191), ქართულად გამოქვეყნდა 1956 წელს კრებულში „ეთნოგრაფიული ნაწერები“.

ამ მონოგრაფიის შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ნაშრომი მეგრელთა ცხოვრებისა შედეგია „ჩვენი პირადი და უშუალო დაკვირვებისა. მხოლოდ ნაწილობრივ მოვიშველიეთ ლიტერატურა, რომელიც მეტად მწირ მასალას იძლევა“. ავტორი სანამ შეუდგებოდეს საკუთრივ საქორწილო ჩვეულებათა აღწერას, საჭიროდ მიიჩნევს გაარკვიოს. თუ რას წარმოადგენს მეგრელებისთვის ცნება ნათესაობისა, რომლითაც ის ხელმძღვანელობს ცოლის შერთვის დროს.

მაგრამ იმისათვის, რომ მეგრელების ნათესაობის სისტემა გაირკვეს, ავტორს საჭიროდ მიიჩნია წინასწარ რიგი ცნებების დაზუსტება და მათი ქართული შესატყვისობების დადგენა. ავტორი ასეც იქცევა. ის აღგენს, რომ ცნებისათვის ტაბუ ქართული შესატყვისია „ვაშინერს“, confraternité — „საძმო“. „საჯიმალო“, აღობტაცია — „სკუალა“.

✓ 11

- ზემოთ აღნიშნულ  
დასახლებაში... აღნიშნული  
მდებარეობს (საქართველო)

- დასახლება საქართველო  
ში, საქართველო შტატში  
მდებარეობს (საქართველო)  
(საქართველო)

- ზემოთ აღნიშნული  
დასახლებაში... აღნიშნული  
მდებარეობს (საქართველო)

ფა“, ეგზოგამურ გვარი — „შხვათური“. კუვადა — „მითორგინაფა“, „შეგორება“ და სხვა.

თ. სახოკია მეგრულთა შორის აღგენს ნათესაობის შემდეგ ფორმებს: 1. ნათესაობა დაბადებით (ბუნებრივი) ან სისხლით, 2. ნათესაობა ქორწილის საშუალებით და 3. ნათესაობა ხელოვნური. ამათგან უფრო დაწვრილებით იკვლევს ხელოვნურ ნათესაობას ადოპტაციის შვილობის შემთხვევაში. მაგრამ ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ: „მეგრული ადოპტაცია არ განისაზღვრება უშვილო მშობლების მიერ სხვათა შვილის შვილობით, არამედ ამ ჩვეულებით მეტად ფართოდ სარგებლობენ მეგრელები ცხოვრებასა და მის გაპირებულ პირობებთან ხმალამოლებულ ბრძოლაში“.

უშვილო მეგრეს შეუძლია იშვილოს არამეტუ სხვისი ვაჟი, არამედ შეუძლია რომელიც გინდა გარდაცვლილს ნათესავს უმაგიეროს სხვა ცოცხალი მეზობელი. ასე რომ მეგრელი თავდაცვის გრძნობის კარნახით დაუყოვნებლივ აღადგენს ყოველგვარ დანაკარგს, რომელიც მის ოჯახში მოხდება. ასე, მაგალითად, ვაჟს შეუძლია გარდაცვლილი მამის მაგივრად სხვა ახალი მამა შეიძინოს, დას შეუძლია — ძმა, ძმისწულს — ბიძა და სხვა.

ამის შემდეგ მკვლევარი ამახვილებს ყურადღებას ადოპტაციის — შვილად აყვანის აქტზე და დაწვრილებით აღწერს ამასთან დაკავშირებულ ჩვეულებას. აქ არ არის დავიწყებული მშობიარე ქალისათვის განკუთვნილი ტიბუ, ქართულში რომ ალიანი ღვინო ეწოდება და მრავალი სხვა.

ამ ჩვეულების. „სქუაშ მითორგინაფას“ აღწერის შემდეგ ავტორს მოაქვს შედარებითი მასალა და ისტორიული მონაცემები და საგულისხმო დასკვნას იძლევა.

„მეგრული „სქუაშ მითორგინაფა“ მოგვაგონებს აფრიკის ზოგიერთი ტომის ასეთსავე ჩვეულებას, რომელსაც ლიტერატურაში „Cuvade-ს (-გამოჩეკა“-ს) ეძახიან“. Cuvade ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში იცოდნენ თანამედროვე მეგრელებს წინაპრებმა — ტიბარენებმა (მეგრულად — ტბაზე მოსახლენი), რომელნიც თანამედროვენი იყვნენ ალექსანდრიელი პოეტის აპოლონ როდოსელი-სა. ავტორი შემდეგ განაგრძობს: „ტიბარენები მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. იქ დღესაც ცხოვრობენ მეგრელები ანუ იგივე ლაზები, რომელნიც იმავე ოდნავად სახეცვლილი მეგრულით ლაპარაკობენ“. თედო სახოკიას აქვე მოყავს ცრტატი აპოლონ როდოსელის „არგონავტიკიდან“: „ორსული ქალი მოილოგინებდა

<sup>4</sup> აქ თ. სახოკიას მითითებული აქვს კარგად ცნობილი შარლ ლეტურნოს თხზულებაზე: «Marriage primitif», Paris, 1889.

თუ არა, მისი ქმარი მოყვება კვენსას, ჩაწვება ლოგინში და თავს შეიხვევს. ამ დროს ქალებს მოაქვთ მასთან ყუათის მომგვრელი საკმელი. ტანის საბანად წყალს უტახლებენ როგორც ამას უშვრებიან მელოგინე ქალებს“ (Apollonius de Rhodes, Argonautiques, II).

მაგრამ ამით არ ამოიწურება ავტორის მიერ მოწოდებული შეხედულება სქუაშ მითორგინაფას ჩვეულების კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის შესახებ. ჯერ ერთი, კუვადას ჩვეულება სტრაბონს დამოწმებული აქვს ესპანეთის იბერებში, ხოლო ბოლო დრომდე ამ ჩვეულებას ადგილი აქვს ბისკაისა და გვიფუწკაოს ხეობებში<sup>5</sup>, თანაგრედროვე ბასკებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე ეთნოგრაფია ამოწმებს მთელ რიგ სხვა შეხვედრებს კულტურის დარგში ესპანელი იბერიის ბასკებსა და კავკასიის იბერებს შორას (შნაკვი, სახენელი იარაღი — ოგაფა, თავსაბურავი და სხვ.), გასაგებია თუ რა მნიშვნელობა ენიჭება თედო სახოკიას მიერ წამოყენებულ დებულებას „სქუაშ მითორგინაფას“ შესახებ.

მეორე მხრით, სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ მიწათმოქმედების ისტორიაში თოხის კულტურას, რომელიც წინ უსწრებდა სახენელის კულტურას, მატრიარქატის ეპოქას მიაკუთვნებდნენ, რაც სწორია თოხის მიწათმოქმედების მხოლოდ დასაწყისი საფეხურისათვის. ძველ კოლხეთში თოხის კულტურა განვითარებული სახით იყო წარმოდგენილი ბრინჯაოს ეპოქის მთელს მანძილზე. უდავოა, რომ თოხის კულტურას ამ სტადიაზე უკვე მამაკაცი ფლობს და მასში სულ უფრო და უფრო გადამწყვეტ როლს ასრულებს. სხვაფრივ არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც განვითარებული თოხის კულტურა ეყრდნობა მამაკაცთა მიერ წარმოებულ მეტალურგიას, როგორც ამას კარგად ადასტურებენ სათანადო მასალები. მატრიარქატიდან პატრიარქატისაკენ ეს გარდამავალი პერიოდი თავის ასახვას პოულობს არა მარტო საწარმოო იარაღების გარდამავალ ფორმებში, არამედ ხალხურ ჩვეულებებშიც. მხედველობაში გვაქვს ტიბარენებსა, მეგრელებსა და ბასკებში დამოწმებული კუვადა, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების ამ გარდამავალი საფეხურის ექვმიუტანელ მოწმობას წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, თედო სახოკიას მიერ მიკვლეული ჩვეულება კუვადა სცილდება ვიწრო ეთნოგრაფიულ ინტერესებს და ის უკავ-

<sup>5</sup> იხილეთ ქართულად: გ. ჩ ი ტ ა ი ა, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში), ისტ. ინსტ. შრომები, ტ. IV, 2, 1959. გერმანულად: G. Tschitaja, Hackbaukultur in Colchis, Veröffentlichungen des Instituts für Deutsche Volkskunde, Bd. 13, Berlin, 1957. წაკითხულია მოხსენებად აგრარული ეთნოგრაფიის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონგრესზე ბერლინში 1955 წ.

Mme DOÛBER  
de HORTILLET

Du 8 Février 1905

BOYAGES

Faubonne, Crêpe au Pot  
RELEVÉ

Bar à la Hollandaise, Pommes nature  
ENTRÉE & POTI

Poulet sauté aux Champignons  
Côte de Boeuf Renaissance

SALADE

DESSERTS

Tchouritch Khéla  
*(Fondue Géorgienne)*

Fromages, Fruits, Gâteaux secs

VINA

Mignon, Crêpes, Vin gris de Lorraine  
CAFÉ — ALCOOLS

პროფ. გ. მარტილეს სახ. სემინარიის მონაწილეთა სერვიების მენიუ ქართული  
კერძების შესახებ და ქართული ეთნოგრაფიული სურათებით

შირდება ერთი მხრით, ეთნოგენეზის რთულ საკითხებსა და. მეორე მხრით, საზოგადოებრივი განვითარების აგრეთვე რთულს პერიოდიზაციის პრობლემას.

ნათესაობის საკითხი, რომელსაც თ. სახოკია იხილავს თავის მონოგრაფიაში, ზემოთქმულით არ ამოიწურება, მაგრამ აქ მათ აღარ გამოვლდგებით. ამ ნაშრომში ასევე საფუძვლიანად არის განხილული დაქორწინების ნაირი სახეობანი და ქორწინების სხვადასხვა საფეხურები: 1. გინოძირაფა (დასინჯვა), 2. შანუა (დანისვნა), 3. მოყონაფა (მოყვანა საქმროს საქლში) და 4. დიარა (საქორწილო ლხინი). ამავე დროს ბევრეგარი ყურადღებას ამახვილებს ტერმინოლოგიაზე და საგულისხმოდ დაკვირვებებს გვთავაზობს.

თ. სახოკია ვარაუდობს, რომ სიტყვები ოქყუდური (მზითევი) და მოქყუდუ (პატარძალი) უკავშირდებიან სიტყვას ჭყვადუეს, რაც ვასაგები იქნებაო, თუ წარმოვიდგენთ მეგრული ქორწილის სურათს, სადაც ერთი მოქმედი პირთაგანი პატარძალი (მოქყუდუ) სხვა გვარის წევრის მიერ არის მოტაცებული, თავისი სურვილის წინააღმდეგ გამოეყოფა თავის გვარს, ხოლო ის, რაც იმას მიჰყვება ე. ი. მზითევი არის ოქყუდური, მიტაცებულიო. თ. სახოკია ამ შემთხვევაში გვევლინება საქორწინო წესებში მოტაცების თეორიის მიმდევრად, რითაც ეს ხარკს უხდის მისი დროის ეთნოგრაფიაში გაბატონებულ შეხედულებას.

არსებითად ზემოთ დასახელებული ეთნოგრაფიული შრომის ხასიათისაა ის ნაშრომიც, რომელიც „მოგზაურობანის“ სახელითაა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ აქ ჩვენ გვაქვს საქმე მგზავრის წერალებთან, ავტორი მგზავრის შთაბეჭდილებათა გადმოცემის გზით ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს ასახავს. თედო სახოკია ვრცლად გადმოგვცემს გურიის, აჭარის, სამურზაყანოსა და აფხაზეთის მოსახლეობის საწარმოო გამოცდილებას, შრომით ჩვევებს და კულტურული ვითარებას. კერძოდ, მას აწერილი აქვს ამათი მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა, საცხოვრებელი ნაგებობანი, ჩაცმულობა, გადასახიდი და გადასაყვანი საშუალებები, ყოფაქცევა, ზნე-ჩვეულებები, ხალხური ზეპირსიტყვიერება და სხვა, რომლებშიც მოცემულია ბევრი ახალი, მანამდე ლიტერატურაში უცნობი ეთნოგრაფიული ფაქტი და თავისებურება. თ. სახოკიას მიერ აღწერილი ეთნოგრაფიული ფაქტები და მოვლენები მკვლევარს საშუალებას აძლევენ ახლებურად დასვას და ახლებურად გაარკვიოს დღემდე უმართებულოდ გადაწყვეტილი საკითხები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ თედო სახოკიას წილად ხედა აჭარის ეთნოგრაფიული სინამდვილე შეესწავლა იმ დროს, როდესაც ამ მხარეში



ახლად იყო გადავარდნილი თურქეთის ბატონობა და თურქეთის მიერ მიყენებული ჭრილობა აქარას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული. თურქეთის თარეშის ნაკვალევზე ავტორი გულდასმით იკვლევს აჭარლების ეკონომიურ მდგომარეობას, მათს კულტურულ ვითარებას და ახალი ცხოვრების ზეალმავლობისა და წინსვლის ფაქტებს აფიქსარებს.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნში (მოგზაურობანი) მოცემული ეთნოგრაფიული სინამდვილის აღწერილობა გაყდენთილია პუბლიცისტური წიაღსვლებით: ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ დროის საჭირობოროტო, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე, ამხელს თავადაზნაურებისა და სამღვდელოების უმსგავსო მოქმედებებს, ამჟღავნებს მოხელეების უკანონო საქციელს და მათ თარეშს, ებრძვის ცარიზმის რუსიფიკატორულსა და კოლონიზატორულ პოლიტიკას და მთელი თავისი არსებით ჩაგრულთა მხარეზეა. ამ ნიადაგზე მეფის მთავრობა თ. სახოკიას დევნიდა და იგი არა ერთგზის იყო დაპატიმრებული და გადასახლებული. მეფის მთავრობის მიერ სახოკიას წინააღმდეგ მოქმედების შემადრწუნებელ სურათს კარგად ასახავს დღემდე გამოუქვეყნებელი ერთი საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც შედგენილია კავკასიის ოლქის მთავარმართებლის სამხედრო-სამოქალაქო მმართველობის კანცელარიის მიერ 1910 წ. 15—20 მარტს.

ამ დოკუმენტს ეწოდება „Дело об исследований благонадежности проживающих в сухумском округе Федота Тимофеева Сахокия, Антимоза Ивановича Джугели... являющихся главными представителями грузинской партии, противодействующей мероприятиям правительства по обрусению населения округа и принятию против них административных мер воздействия».

უნდა ითქვას, რომ „მოგზაურობანი“ დიდი ინტერესით იკითხება, რასაც ხელს უწყობს ავტორის მდიდარი ენა, თხრობის შესანიშნავი ოსტატობა და დამკვირვებლის მჭრელი თვალი და მახვილი ყური. ამავე დროს „მოგზაურობანი“ ის წყაროა. რომელიც საქართველოს რიგი მხარეების მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის ვითარების შესახებ მკითხველის ცოდნას ამდიდრებს და აღრმავებს.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ თ. სახოკია ეთნოგრაფიული კოლექციების შესანიშნავი შემგროვებელი იყო. ველზე მუშაობა ეთნოგრაფის მუშაობის ორგანული ნაწილია. თ. სახოკიას მიერ შეგროვებული ეთნოგრაფიული ექსპონატები სხვადასხვა მუზეუმებშია დაცული, სახელდობრ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (თბილისში), საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ლენინგრადში), საფრანგეთის Musée de l'homme-ში (პარიზში) და სხვ.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ თედო სახოკიას მიერ შეგროვებული ეთნოგრაფიული კოლექციები უმთავრესად სამეგრელოშია მოპოვებული. აღსანიშნავია, რომ სახოკიასეული კოლექციები წარმოდგენილია არა ცალკეული ექსპონატის სახით, არამედ კომპლექსებს შეადგენენ და გარკვეულ თანმიმდევრობას ამჟღავნებენ. ამჟამად მე არ შევალ იმის განხილვაში, თუ რამ გააპირობა საექსპონატო კომპლექსების შერჩევა, კერძოდ მისმა, თედო სახოკიას თეორიულმა და მეთოდოლოგიურმა ორიენტაციამ, თუ მისმა საკუთარმა მსოფლმხედველობამ, ვიტყვი მხოლოდ იმას, როდესაც ნ. მარის რეკომენდაციით რუსეთის ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვება თ. სახოკიას მიანდო — ამაზე უკეთეს არჩევანს მუზეუმი ვერ გააკეთებდა.

იმ დროს მთავრობის დადგენილებით პეტერბურგში უნდა შექმნილიყო ალექსანდრე მესამის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელშიც უნდა განსახიერებელიყო რუსეთის იმპერიაში შემაველი ხალხების ეთნოგრაფია. ამავე დროს განზრახული იყო ისიც, რომ ეჩვენებინათ, თუ რა ადგილი უჭირავს რუსეთის მოსახლეობას მსოფლიოს ხალხთა დიდ ოჯახში. მუზეუმს ხელმძღვანელობას უწევდა აკად. ნ. ლამანსკი, რომლის მეცნიერული შეხედულებები საფუძვლად ედო მუზეუმის მუშაობას. ახლად დაარსებული მუზეუმის უპირველესი საზრუნავი იყო კოლექციების შეგროვება. ამ სამუშაოში ჩაბმული იყო საუკეთესო სპეციალისტები. ამათ შორის იყვნენ: ნიკო მარი (რომელმაც მუზეუმისათვის შეაგროვა ეთნოგრაფიული კოლექცია გურიასა და შავშეთში), კ. ინოსტრანცევი და ივ. ჯავახიშვილი (დალესტანი), ივ. ნიჟარაძე (სვანეთი), ზ. ზანდუკელი (ლაზისტანი), სერაპუჟევსკი (აფხაზეთი), შ. ლუდუშაური (მთიულეთი), თედო სახოკია (სამეგრელო).

თ. სახოკიას მიერ შეგროვებული კოლექციები მრავალ ასეულ ექსპონატს შეიცავს. ამ ძვირფასი მასალის ანალიზი ამჟამად ჩვენი მიზანი ვერ იქნება, ამას ჰირდება ცალკე დამუშავება, სამი თუ მეტი მუზეუმის კოლექციების ერთად გათვალისწინება და გამოცემა. ამგვარი სამუშაო საჭიროა გაკეთდეს ახლო მომავალში. ამჟამად ჩვენ ერთ-ერთ მაგალითზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას იმის საჩვენებლად, თუ რა დიდი საქმეა გაკეთებული თ. სახოკიას მიერ კოლექციების შეგროვებით.

მართლაც, სახოკიასეულ კოლექციებში წარმოდგენილია უნიკალური ხის იარაღი შნაკვი, რომელსაც პირველმა ეთნოგრაფთა შორის თ. სახოკიამ მიაქცია ყურადღება, შეიძინა და მუზეუმის კედლებში მოაქცია. ეს იარაღი განკუთვნილია პურეულის გარკვეული ჯიშის

მოსამკალად, უფრო სწორად რომ ვთქვათ, საკრეფად. აღსანიშნავია, რომ ამ იარაღით იკრიფება პურის ისეთი ჯიში — მახა, რომელიც შეიცავს ველური და კულტურული პურეულების ჯიშის თვისებებს და ამდენად წარმოადგენს ველურობიდან კულტურულ პურეულში გარდამავალ სახეობას. ჩვენში ამ პურეულის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი ქვეყანა პურეულის მოშინაურების ერთ-ერთი კერაა მსოფლიოში. ხოლო ამ პურეულთან დაკავშირებული პურის საკრეფი შნაკვი უძველესი და უნიკალური იარაღია, რომელსაც ისევე როგორც „კუვდას“, ანალოგი მხოლოდ ასტურია-ბასკონიაში მოიპოვება. ამასთანავე შნაკვის არსებობა იმაზედაც მიუთითებს, რომ ნამგლით მკასწინ უსწრებს შნაკვით „კრეფა“. ამ ფაქტის დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედების განვითარების თვალსაზრისითაც.

ამგვარივე მნიშვნელობა ენიჭება თედო სახოკიას წყალობით მეცნიერებისათვის შემონახულსა და მუზეუმში დაცულ ექსპონატს გვაბანაკს. გვაბანაკი მწყემსისათვის განკუთვნილი ნაბდის ქეჩისაგან შეკერილი, სათბურად და საწვიმრად განკუთვნილი საცმელია, რომელსაც ორიგინალურ თარგთან ერთად აქვს ყაბალახის მაგვარი თავსაბურავი. ტანსაცმლის ეს სახეობა ნაირი ვარიაციით გვხვდება, სამეგრელოს გარდა, საჩერქეზოში, სადაც ამავე სახელწოდებით მოიხსენიება მაღალი წოდების ძვირფასი ტანსაცმელი, არის აგრეთვე რუსეთსა და უკრაინაში გადასული კაბენიაკის სახელით, ხოლო უნგრეთში გობენიაკი ეწოდება მდიდრულად მორთულს მწყემსის ჩანთას. თუ ზემოთქმულს იმასაც დავუმატებთ, რომ გვაბანაკი ძველ ქართულშიც დასტურდება, ამ ექსპონატის მნიშვნელობა კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით თავისთავადაც გასაგებია.

თედო სახოკიას ბევრი რამ აქვს გაკეთებული ეთნოგრაფიაში, ამათგან ჩვენ აქ მცირე ნაწილი დავასახელებთ. მის კალამს ეკუთვნის ისეთი შრომები, როგორიცაა: როგორ ვიზრდებოდით ძველად, *Présentation d'objets ethnographiques, Animal folklor*, კავკასიის ებრაელები, შვეიცარიის სოფელი ილუსტრაციებითურთ, ფეტვი და სიმინდი, არაბული ლეგენდა ღვინის შესახებ და მრავალი სხვა (იხ. აქვე ბიბლიოგრაფია).

თედო სახოკიას მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმისათვის შეგროვილი იყო მნიშვნელოვანი ექსპონატები; ამჟამად ეს კოლექცია დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

დიდია თ. სახოკიას დამსახურება ქართული ეთნოგრაფიის წინაშე. თედო სახოკია ქართველ ეთნოგრაფთა იმ დასის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელმაც ნიკო ხიზანიშვილთან, ზაქარია გულისა-

შვილთან, ბესარიონ ნიჟარაძესთან, მოსე ჯანაშვილთან, ვაჟა-ფშაველასთან, ალექსანდრე ყაზბეგთან, ნიკო ჯანაშიასთან და სხვებთან ერთად თავისი უანგარო შრომით, ცარიზმის დუხჭირი პირობების მიუხედავად ქართული ეთნოგრაფიის გაუტეხავ ყამირს ღრმა კვალი გაავლო და ფასდაუდებელი სამსახური გაუწია. ამ დღესი თ. სახოკია ერთი პირველთაგანი იყო, თავისი მომზადებით, თავისი ნიჭითა და მაღლიანი კალმით.

მაგრამ თედო სახოკიას მოღვაწეობა ეთნოგრაფიით არ შემოიფარგლებოდა. მას, ისევე როგორც სხვებს, იმ ხანის მუშაეებს, მუშაობა უხდებოდათ სხვადასხვა დარგში. იგი იყო მწერალი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი, ლექსიკოლოგი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავდადებული და დაუცხრომელი მებრძოლი.

⌵ მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე თედო სახოკია უდიდეს ყურადღებას უთმობდა და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ ზეპირსიტყვაობას, განსაკუთრებით კი ხატოვან თქმებსა და ანდაზებს. 1889 წლიდან მოყოლებული იგი ამგვარ მასალას ხალხში გულმოდგინედ კრებდა. თავის ავტობიოგრაფიაში, რომელიც დაწერილია 1943 წელს, იგი წერდა: „ერთ წელიწადს სოფლის მასწავლებლად მოყვევი ქართლის სოფელში<sup>6</sup>. თუმცა ქართულ ენას ძალიან ვეწაფებოდი და მეგონა, სხვა ენებთან შედარებით, ეს ენა ასე თუ ისე, ვიცი მეტი, მაგრამ ქართლში ყოფნამ და ქართულების ლაპარაკმა დამარწმუნა, რომ დიდი და დიდი მუშაობა მჭირდებოდა ამ ენის შესათვისებლად, რომ არ შემრცხვენოდა საზოგადოებაში ჩემის ქართულის ცოდნით თავის გამოჩენა. პირდაპირ აღმაფრთოვანა ჩვენის ხალხის ზეპირსიტყვაობამ, ამ მრავალფეროვანმა და ამოუწურავმა ზღვამ ხალხის სიბრძნისამ... აქვე ჩაეყარა საფუძველი ჩემ მიერ ქართულ ხატოვან თქმების სალექსიკონო მასალათა და ანდაზათა შეკრების საქმეს. ქართული მეტყველების მასალათა შეკრებისა და ერთად თავმოყრისათვის ზრუნვა ვადამეჭკვა კულტად, ჩემის სიცოცხლის მიზნად“<sup>7</sup>.

როგორც ცნობილია, თ. სახოკიამ „ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი“ დაბეჭდა სამ ტომად. პირველი ტომი გამოვიდა 1950 წ., მეორე და მესამე 1954 და 1955 წწ. პირველ სამტომეულში თავმოყრილია ავტორის მიერ ათეული წლების მანძილზე შეგროვებული უხვი და დიდად საჭირო მასალა არა მარტო ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით, არამედ ეთნოგრაფიის თვალსაზრისითაც. რომ ეს ასეა, ადვილად შეიძლება ერთი ორი მაგალითის მოტანით დავრწმუნდეთ.

<sup>6</sup> ეს სოფელია ტირძნისი, სადაც თ. სახოკია მასწავლებლად იყო 1889 წ.

<sup>7</sup> იხ. აქვე, თ. სახოკიას ავტობიოგრაფია.

ავტორი ცნება „პირთან“ დაკავშირებით ზღვა მასალას უყრის თავს და ზედმიწევნითი სიზუსტით განმარტავს მათ. პირგაქრული, პირგამშრალი, პირზე ხელის დაფარება, პირიდან ლუკმის გამოცლა, პირიდან ცეცხლის ყრა, პირის დაობება, პირი იბრუნა, პირი მიყო მიწაში, პირის აკანვა, პირის არიდება, პირის ალება, პირის გატეხა, პირის გაშავება, პირის გემო, პირის დაკვრევენება, პირის დატოკება, პირის ერთად ბანა, პირის ზიარება, პირის კომლის გაწყვეტა, პირის მოტყუება, პირის მოშლა, პირის მოწმენდა, პირის ბღნეკელი, პირის ქარი, პირის ქცევა, პირის შეკვრა, პირის შერცხვენა, პირის ჩატკბარუნება, პირის წყალი, პირკატანაცემი, პირნათელი, პირტიტველი, პირშავი, პირღნიოში, პირში ალის ქარი ჩაუვარდა, პირში სული უდგა, პირში ტყვი ჩაიდულა, პირში ჩალის გამოვლება, პირში წადგომა, პირწყლიანი.

მეორე მაგალითი: „ცხრა — გადატანითი მნიშვნელობით — მრავალი, ნაირ-ნაირი. თანამედროვეთა ლაპარაკში ცხრა ძალიან ხშირად იხმარება, როცა გვინდა გამოვხატოთ ცხრას გადაცილებული სიმრავლე; მრავალფერობა: ცხრამთას იქით — ნიშნავს ძალიან შორს. ანდაზა: „ღორსა სიმინდი — გინდა ქეჩოზე, გინდა ცხრამთას იქითო“; ცხრაწვენი — სამარხო საკმელი, რომელშიაც შედის სხვადასხვა სახელწოდების მასალა: ხორბალი, ბრინჯი, ქერი, სისირი, სიმინდი და სხვა (ხარშავენ შობის წინაღამეს); დიდი ხნის, ბევრის რასამე მნახველს და გამოცდილს კაცზე იტყვიან: ცხრა საცრის პური უჭამიაო ე. ი. ბევრს საცერში გასულა იმის საკმელ პურისთვის საჭირო ფქვილიო; ცხრათავი სატკივარი — ბევრნაირი სატკივარი; „არ მინდამ“ ცხრა ხინკალი შეჭამაო — ე. ი. ბევრი შეჭამაო; მღვდელმა ცხრა სუფრა გამოიარა, შინ მშვიერი მოვიდაო, ე. ი. უზომოდა სჭამა და მანც შიოდაო; ჭკუიანმა ბატკანმა ცხრა ძუძუ მოსწოვაო და უგუნურმა — არც ერთიო; ცხრა ძმას ცხრა უღელი ხარი ბევრი ეგონაო, გაიყვეს და ცალცალი უღელი შეხვდათ. მერმე თქვეს, სულ არარაობასა, ისევე ცალი უღელი ხარი სჯობიაო; ცხრარჯულაა — ბევრი ენების მცოდნე“.

ზემოთ თქმულს უნდა დავძინოთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ხალხში დამოწმებულ განმარტებათა გვერდით ხატოვანი სიტყვა-თქმის ავტორი გვთავაზობს საკუთარ განმარტებებს, რომლებიც თვით შეიცავენ ავტორისეულ სიტყვა-თქმებს. მაგალითად, თ. სახოკია წერს: „ოწინარით ასაწევი — ხატოვნად ვისაც რისამე გაკეთების შნო არა აქვს, ნიადგ სხვისი დახმარება, შველა ჭირია... დაცინვითი, საქირდავი თქმაა. ამით მიმართავენ მცონარა და უშნო ადამიანს, რომელიც სულ სხვას შესტკერის თვალ-წარბში, ერთთავად სხვათა მოიმედება და თვითონ კი ესიკვდილება განძრევა და ფხის გამოჩენა“ (გვ. 83—84).

რაც შეეხება ანდაზებს, როგორც სათანადო ცნობებიდან ჩანს<sup>9</sup>, 1903 წლისათვის თ. სახოკიას აღრიცხული ჰქონია 7000 მეტი ანდაზა. ამ მასალის ერთი ნაწილი შეტანილია თ. სახოკიას უბის წიგნაკებში, ხოლო მეორე უდიდესი რაოდენობის ანდაზები ფირფიტებზეა გადატანილი. ზემოთ ჩვენ მიერ დასახელებულ ავტობიოგრაფიაში, იმავე 1943 წელს თ. სახოკია წერდა: „მეორე წიგნი (პირველ წიგნად იგულისხმება სამტომეული ხატოვანი სიტყვათქმანი — გ. ჩ.), რომელზედაც ახლა ვმუშაობ, არის ქართული ანდაზები; როგორც ჩემამდე სხვების, ისე ჩემ მიერ შეკრებილები... უნდა გამოვიდეს 20—25 თაბახამდე. ამ უკანასკნელის დასამუშავებლად და საბოლოო სახის მისაცემად საჭიროა, სულ უკანასკნელი, ორი-სამი წელიწადი“<sup>9</sup>.

1951 წლისათვის თ. სახოკიას „ქართული ანდაზების კრებულის“ პირველი ვარიანტი უკვე ჰქონდა მზად. ეს ანბანზე დალაგებული ანდაზების კრებული იმავე წელს მან უსასყიდლოდ გადასცა საქ. სსრ მეცნ. აკადემიას. ხელნაწერი ამჟამად დაცულია სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. იმ დოკუმენტში, რომელიც ხელმოწერილია მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ა. შანიძის მიერ, წერია: „მწერალს თედო სახოკიას. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო თქვენი საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძი, რომლის თანახმად აკადემიას გადმოეცა უსასყიდლოდ ორი თქვენი ნაშრომი: 1. ქართული ანდაზების კრებული (ეს ნაშრომი თან მოჰყვა ანდერძს) და 2. ქართულ ხატოვან სიტყვათქმათა 11 ტომი, რომელიც ამჟამად ხელთ ჰქონია პროფ. გ. ჩიტაიას სარედაქციოდ. დიდ მადლობას მოგახსენებთ ასეთი ძვირფასი შემოწირულობისათვის... ვიცე-პრეზიდენტი ა. შანიძე. 6 თებერვალს 1951 წ.“ მეორე ამგვარი სახოკიასეული ხელნაწერი ინახება საქართველოს სახ. ლიტერატურის მუზეუმში. საბუთებიდან ჩანს, რომ თ. სახოკიას არც ერთი და არც მეორე ხელნაწერი არ მიაჩნია საბოლოო ნუსხად, რადგან იგი ავსებდა მათ ახალი მასალით, ან კიდევ ამოკლებდა.

თ. სახოკიას პირად არქივში დაცული უბის წიგნაკებში შეტანილია დიდი სიფაქიზით, სიზუსტითა და გულისყურით სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირობებში, სხვადასხვა შემთხვევის გამო სოფლად თუ ქალაქად გაგონილი ან წაკითხული ანდაზები. რიგ ჩანაწერს თან ახლავს თუ როგორ ესმის ანდაზის შინაარსი მთქმელს ან კიდევ თუ რა შემთხვევასთანაა დაკავშირებული ესა თუ ის გამონათქვამი. არქივში შემორჩენილი უბის წიგნაკების ფურცლებზე აღნიშნულია უბის წიგნა-

<sup>9</sup> F. Sachokia, Les proverbes géorgiens, Paris, 1903, p. 1.

<sup>9</sup> თ. სახოკია, ავტობიოგრაფია, აქვე, გვ. 244.

კის რიგითი ნომერი, წიგნაკის დაწყების და დასრულების თარიღი და ადგილი. მაგ. ერთ-ერთ უბის წიგნაკს აწერია: „ანდაზები, რვეული XII, დაიწყო მარტს ჩშა წელსა, ქ. პარიზი“ და „დასრულდა ჩშგ წელსა, და ქრისტეშობისთვის, ქ. სოხუმი“. მეორე უბის წიგნის ყდაზე ვკითხულობთ: „ანდაზები და საეთნოგრაფიო მასალები. ქ. სოხუმს ჩშდ წელსა, ა იანვარსა“ და „დასრულდა ჩშდ წელსა მკათათვის დღესა“, პარიზსა შინა რვეული XIII. ანდაზებისათვის განკუთვნილი საფირფიტო კარტოთეკა დაახლოებით რვა ათას ფირფიტას შეიცავს.

ანდაზების შეგროვებასთან ერთად თ. სახოკია დროდადრო ბეჭდავდა ანდაზების ნაკრებს ცალკე კრებულების სახით ან კიდევ ჟურნალებში. ასე, მაგ., მან გამოაქვეყნა სამეგრელოში შეგროვილი ანდაზები 1897 წელს (ჟურ. მოამბე, № 10), ფრანგულად *Les proverbes géorgiens* (ქართული ანდაზები) 1902—03 წწ., ჟურნ. *Revue des Traditions populaires*, ტ. XVII, №№ 11, 1902 წ. ტ. XVIII, № 1. 1903 წ., იგივე გამოიცა ცალკე წიგნად 1903 წ. პარიზში<sup>11</sup>.

ფრანგულად დაბეჭდილ ქართული ანდაზების კრებულში სულ მოთავსებულია 814 ანდაზა.

ფრანგული გამოცემის წინასიტყვაობაში თ. სახოკია წერს, რომ „ჩვენ გვსურს ფრანგ ხალხს გავაცნოთ ქართველი ხალხის საუკუნოვანი გამოცდილების გამოძახილი, მისი სიბრძნის ხმა“. თ. სახოკიას ფრანგულად უთარგმნია ისეთი ანდაზები, რომლებიც გამოხატავენ „აზრებს ზნეობრივი მოძღვრების შესახებ“ და „საერთო ყველა ხალხისათვის“ და თავი შეუკავებია იმგვარი ანდაზების თარგმნისაგან, რომლებიც ადგილობრივი თავისებურების დაღს ატარებენ, ძნელია სათარგმნელად და მრავალ ახსნა-განმარტებას მოითხოვენ.

თ. სახოკია იქვე აღნიშნავს, რომ ქართული ანდაზების ცალკეულ გამოცემებს აქვს ის უარყოფითი მხარე, რომ ანდაზები დალაგებულია ანბანის მიხედვით, რაც არ იძლევა საშუალებას მკითხველმა დაინახოს ანდაზების ურთიერთდამოკიდებულება და მათი აზრის სიღრმეში ჩაწვდეს. თ. სახოკია განმარტავს, რომ ანდაზების ანბანზე დალაგების სისტემა ძალზე მარტივია და ნაკლებად პრაქტიკული მკითხველისათვის: ამ ნაკლის აცილების მიზნით თ. სახოკია ანდაზებს ალაგებს „აზრის სიღრმის მიხედვით, ვინაიდან დალაგების ეს სისტემა მკითხველს ეხმარება დროის დაუკარგავად მისთვის სასურველი ანდაზის მოძებნაში“<sup>11</sup>.

<sup>10</sup> თ. სახოკიამ იტალიურიდან გადმოთარგმნა და დაბეჭდა იტალიური ანდაზები (გაზ. ცნობის ფურცელი, სურათებიანი დამატება, 1902 წ., № 64).

<sup>11</sup> *Les proverbes géorgiens*, Paris, 1903, გვ. II.

თ. სახოკიამ ანდაზების „აზრის სიღრმის“ მიხედვით კლასიფიკაციაზე ყურადღება გაამახვილა ამაზე ადრეც, 1898 წელს, იმ რეცენზიაში, რომელიც მან დაბეჭდა სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული „ხალხური ანდაზებისა და გამოცანების“ კრებულზე, ტფილისი, 1898 წ. თ. სახოკია აღნიშნავდა, რომ არ კმარა ანდაზების მხოლოდ ანბანზე დალაგება, საჭიროა სხვა მხრივაც იყოს ისინი კლასიფიცირებული<sup>12</sup>.

ფრანგულად დაბეჭდილი ქართული ანდაზები თ. სახოკიას მიერ დანაწილებულია 66 ჯგუფად. ჯგუფები შემდეგია: 1. სოფლის მეურნეობა, 2. სიყვარული, თანაგრძნობა, სიძულელი, 3. მეგობრობა-მტრობა, 4. ცხოველები, 5. გარეგნობა, 6. მშვენიერება, 9. მამაცა, მხნე — ლაჩარი, მოღალატე, 10. საჩუქარი, დიდსულოვნება, 11. ნიჭი, ძალ-ღონე — სისუსტე, 12. წარმატება, 13. ნადირობა, 14. ვაჭრობა-სესხი, მოგება-წაგება, 15. რჩევა, 16. ცნობისმოყვარეობა, 17. ღმერთი, სამღვდლოება, 18. სიძნელე, დაბრკოლება, 19. დროსტარება, 20. აღზრდა და სხვა. დანარჩენი ჯგუფების აღნუსხვას არ გავაგრძელებთ, რადგან აღნიშნულიდანაც ჩანს ანდაზების კლასიფიკაციის ნაირი სახის საფუძველი.

ქართული ანდაზების ფრანგულმა გამოცემამ გამომხაურება პოვა იმდროინდელ ქართულსა და რუსულ პრესაში. „ივერიაში“ (1908 წ. № 93) დაიბეჭდა რეცენზია ქალაქელის ხელმოწერით. რეცენზენტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ თ. სახოკიას ანდაზები შინაარსის მიხედვით გაუნაწილებია და რომ „თარგმანი ერთობ კარგია, — უფრო გადმოღებაა, ვინემ თარგმანი. ბატონს თ. სახოკიას კარგად შეუღნია საქმის სიძნელე და სიტყვითი—სიტყვად თარგმანს არ გაჰკიდებია“. პროფ. ა. ხაზანაშვილს თავის სარეცენზიო წერილში, რომელიც 1903 წელს დაიბეჭდა ჟურნალ Исторический Вестник-ში (№ 8, გვ. 699), დამსახურებად ნიანი ის. რომ თ. სახოკიამ პირველმა გააცნო უცხოელებს ქართული ანდაზები<sup>13</sup>. რეცენზენტი აღნიშნავს, რომ თ. სახოკიას მიერ შემოთავაზებულ ჯგუფებში (ავტორის სიტყვით „ტერმინებში“) ძნელია ანდაზების შინაარსის მიხედვით მოთავსება, თუმცა თ. სახოკია თითქმის ყოველთვის მეტ-ნაკლებად თავს ართმევს სიძნელეებს.

<sup>12</sup> „ივერია“, 1898, № 93.

<sup>13</sup> რამდენიმე ათეული ქართული ანდაზის ფრანგული თარგმანი დაბეჭდილი იყო ჟურნალ «Caucase Illustration»-ში, რომელიც გამოდიოდა თბილისში ე. მუორიეს რედაქციით.



შეიძლება ითქვას, რომ თ. სახოკიას მიერ შემოთავაზებული ანდაზების კლასიფიკაცია ანდაზების შინაარსის მიხედვით, პირობითია, რამდენად ღღესაც კი თანამედროვე ფოლკლორის ტიპებში არ არსებობს ცოტათ თუ ბევრად გამართული ანდაზების კლასიფიკაცია, დამყარებული დაყოფის ერთიან პრინციპზე<sup>14</sup>.

როგორც აღნიშნული გვექონდა, თ. სახოკიას მიერ შედგენილი „ქართული ანდაზების კრებული“ ანბანის მიხედვითაა დალაგებული. ეტყობა, მას არ აკმაყოფილებდა იმგვარი დაყოფა ანდაზებისა, როგორც მან ფრანგულ მკითხველს შესთავაზა 1903 წ. წინააღმდეგ შემთხვევაში ანდაზების ამ სრულ კრებულს ისევე დააჯგუფებდა, როგორც ფრანგულ გამოცემაში იყო მოცემული. ამიტომ და იმის გამოც, რომ ქართული ანდაზების მეცნიერული შესწავლის თანამედროვე დონეზე ძნელია მეტ-ნაკლებად მეცნიერულად გამართლებული კლასიფიკაციის დადგენა, ჩვენ, ანდაზების კრებულის რედაქტორმა, ხელი ავიღეთ ანდაზები თემების მიხედვით დაგვენაწილებია, ხოლო იმ მიზნით, რომ მკითხველს გაუადვილდეს სასურველი ანდაზების მონახვა ტექსტში და სპეციალისტებს ანდაზებზე მუშაობა, კრებულს დაუერთეთ საგანთა საძიებელი (საგანთა და სახელთა). საგანთა საძიებელი მკითხველს აღკუთრავს გზის გამკვლევი ცნობებით<sup>15</sup>.

თ. სახოკიას ავტობიოგრაფიის ტექსტიდან ირკვევა, რომ მას განზრახული ჰქონდა ყოველი ანდაზის მნიშვნელობა და დედაპირი აეხსნა, თემატიკურად დაეღაგებინა და ანდაზების შიგნით სიტყვების ახსნა და თითოეული მათგანის წარმოშობის ისტორია დაერთო. იგი წერდა: ანდაზა სხარტულად გამოთქმული სიბრძნეა ხალხისა, მთელის საუკუნოების დაკვირვების შედეგი და წარმონაშობი. ისე მკაფიოდ არსად იხატება დაკვირვება ამა თუ იმ ხალხისა, როგორც ანდაზაში... ხატოვანი თქმანი და ანდაზები შეადგენენ ჩვენის მეტყვე-

<sup>14</sup> შდრ. პ. როფ. მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბილისი, 1946 წ. პ. როფ. მ. ჩიქოვანი წერს: „თემატიკურად ეს ჟანრი (ანდაზები — გ. ჩ.) მეტად უხვია. ანდაზა ცხოვრების ყველა მხარეს შეეხო და თავის საგნად გაიხადა. ამის გამო ყოველი ცდა მისი თემატიკური დახასიათებისა არასოდეს სრული არ იქნება“ (გვ. 242). ანდაზების თემატიკურად დანაწილების ცდა მოცემულია თედო ბეგიაშვილის „ქართულ ფოლკლორში“. თ. ბეგიაშვილის მიხედვით დაჯგუფების მთავარი თემებია: 1. ბუნებრივ ძალთა შესახებ, 2. ბუნებრივ ძალთა შესახებ (გაგოძღვლება), 3. ადამიანთა სოციალური ურთიერთობა, მარტობა და შეგობრობა, 5. სტუმარ-მასპინძლობა, 7. ანდაზები ქალების შესახებ, 8. საოჯახო იარაღები, კურკელი, 9. ზნეობრივი ხასიათისა (გვ. 186).

<sup>15</sup> შდრ. В. П р о ш н и, О составлении алфавитных указателей к собраниям сказок, Ленинград, 1930, გვ. 64.

ლების ლაზათსა და სიმდიდრეს. ერთიცა და მეორეც ან ზოგჯერ სულაც გვავიწყდება და აღარც-კი ვხმარობთ ხოლმე, ან და თუ კიდევ გვაგონდება და ვხმარობთ, ვხმარობთ უალაგო ალაგას, რადგან მათი შინაარსი და მნიშვნელობა აღარ გვესმის, დავიწყებული გვაქვს... და ამიტომ აღარც-კი ვურთავთ ხოლმე ლაპარაკში „ქართულ ხატოვან თქმათა ლექსიკონი“ და „ქართული ანდაზების კრებული“, ჩემის აზრით, აბა სწორედ ამიტომ უნდა გახდეს ჩემთა სალიტერატურო ნაშრომთა ბენიამინე. როცა ამ სტრიქონებს ვწერ, სამოცდამეთექვსმეტე წელში ვარ გადამდგარი. ჩემ ბედად, ხალისი სალიტერატურო მუშაობისა არ მაქვს იმაზე ნაკლები, რაც მქონდა ამ ორმოცი, ორმოცდახუთ წელს წინათ. არ მინდა სააქაოს გავშორდე, სანამ „ანდაზებს“ ჩემის სურვილისამებრ არ დავამუშავებ და ასე არ დავტოვებ დასახტამბავად“. თედო სახოკიამ თუმცა ვერ მოასწრო თავისი სურვილის მიხედვით გაემართა „ქართული ანდაზების კრებული“, მიუხედავად ამისა იმ სახით როგორც მან დაგვიტოვა ეს ნაშრომი — იგი უდავოდ მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ფოლკლორისტიკისათვის. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ანდაზები ღირსეულად საბატიო ადგილს დაიჭერს სხვა ხალხების ანდაზებს შორის და გვერდში ამოუდგება სუმერულსა და ძველბერძნულ ანდაზებს<sup>16</sup>. აქვე აღვნიშნავთ, რომ თ. სახოკიას მიერ ფრანგულად გამოცემული ქართული ანდაზებიდან რამდენიმე შერჩეული ნიმუში შეტანილია მორის მალუს საერთაშორისო ანდაზების ლექსიკონში<sup>17</sup>.

ოთხმოცდათხუთმეტი წლის წინათ, როდესაც თედო სახოკია დაიბადა სოფ. ხეთაში, ვერავინ ვერ იწინასწარმეტყველებდა თუ რა ქუდბედი დაყვა მას. თედო სახოკიას შრომამ, დაუღალავმა ენერგიამ, დაუტყბრომელმა სიყვარულმა, მას სახელი მოუხვეჭა და მისი შრომის ნაყოფი უქკნობი გახადა.

თედო სახოკიას მიერ სამეცნიერო დარგში ჩატარებული მუშაობის მოკლე დახასიათება გვინდა დავაბოლოოთ შემდეგი სიტყვებით: *Eruditio longa, vita — brevis* მეცნიერება მარადიულია, ხოლო სიცოცხლე — (ადამიანისა) ხანმოკლე.

<sup>16</sup> Br. Meissner, *Babylonien und Assyrien*, B. 2, Heidelberg 1925; C. Leutsch und K. Schneidewim, *Corpus paraemiographorum graecorum*, 2 B., Göttingen 1839—51.

<sup>17</sup> Maurice Maloux, *Dictionnaire des Proverbes, Sentences et Maximes*, Larousse, Paris. 1961.

თედო სახოკია და ქართული ფოლკლორი

„თედო სახოკია ღარიბ ქოხში დაიბადა, მაგრამ ამ ქოხში ძლიერი იყო ქართული კულტურის ტრადიციები“ — წერდა 1956 წელს გერონტი ქიქოძე თავის გამოსათხოვარ სიტყვაში ღვაწლმოსილი მოამაგის შესახებ.

ქართული ქოხი იყო ჩვენი ერის სულიერი კულტურის გუშაგი. ქართველი ხალხის დაუწერელი მხატვრული სიტყვის შემქმნელიცა და საგანძურიც.

თედო სახოკია ჩვენ წარმოგვიდგება იმ სახელოვანი პლეადის რიგში, რომელიც თავისი ცხოვრების, შემოქმედებისა და მოღვაწეობის აზრსა და მიზანს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ეძიებდა. იმ მძიმე ეპოქამ, როცა ცარიზმი მშობლიური მიწა-წყლიდან დევნიდა ქართულ ენას, რაც ისე კარგად აგვიწერა თ. სახოკიამ თავის წიგნში „როგორ ვიზრდებოდით ძველად“, ამოზარდა მასში მებრძოლი სული, წარმართა იგი ქართველი ერის მთლიანობისა და თვითშეგნების განმტკიცებისაკენ.

თ. სახოკიას საქართველოში იცნობენ როგორც მწერალს, ჟურნალისტს, ლექსიკოლოგს, ეთნოგრაფს, როგორც ქართული ხალხური მხატვრული შემოქმედების დიდ მოამაგეს. გასული საუკუნის მოღვაწეთა და მწერალთა მსგავსად, თედო სახოკია არ სტოვებდა მშობლიური კუთხის არც ერთ უბანს, რომ თავისი სიტყვა არ ეთქვა, თავისი ხელი არ მიეწვდინა, დველფწყაყრილი ქართული კერა არ გადაეჩხრიკა და წინ არ წამოეწია ყოველივე ის; რაც მშობლიური იყო, რაც ქართველთა სულიერი თუ მატერიალური კულტურის დამახასიათებელი იყო.

თ. სახოკიამ მშვენივრად დაგვიხასიათა თავისი მოწაფეობის წლები და მისი თანამედროვე მოზარდი თაობის დიდი ინტერესი მშობლიური ხალხური შემოქმედებისადმი. როცა სკოლის სულისშემხუთველ ატმოსფეროში, უცხო, გაუგებარ ენაზე ზეპირობით ავტომატებად ქცეულ მოწაფეებს, იმ პერიოდის ცნობილმა პედაგოგმა პ. კვიციანიძემ პირვე-

ლად წაუკითხა „არსენას ლექსი“, შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ უკვე ხანდაზმული მოღვაწე აღფრთოვანებით იგონებდა ამ ეპიზოდს: „ისე გაგვიტაცა, — წერს იგი აღნიშნული ხალხური ნაწარმოების შესახებ, — რომ კითხვის დროს სმენად გადაგვაქცია, და მერე სულ ამ წიგნს ვაბარებდით ქუთაისში საყიდლად. არსენას ვაუკაცობა, უსამართლობის წინააღმდეგ გალაშქრება, გაჭირვებულთა გამოქომაგება, მტრების შურისძიება გულსა გვეფხანდა, ჩვენი ნორჩი გულის გამოძახილი საუკეთესო პასუხი იყო წიგნში გატარებული იდეისა“, — გადმოგვცემს ავტორი.

ამრიგად, „არსენას ლექსმა“ ბრძოლის წყურვილი გაუღვივა მოწაფეს, რომელსაც მშობლიური ენა წაართვეს. თავდაპირველად ნაკლებ შეგნებული ეს განწყობილება შემდეგში გაცნობიერებულ რისხვად იქცა ყოველგვარი სახის მჩაგვრელის წინააღმდეგ.

მეორე საკითხავი წიგნი, როგორც თ. სახოკია უწოდებს, იყო „ხვანთქრის ვეზირის ალის თავგადასავალი“, იაკ. გოგებაშვილის გამოცემული (წიგნს ჭერჭერობით ვერ მივაკვლიეთ. თ. ო.), რომლის დედააზრი თ. სახოკიას გადმოცემით ასეთია — ყოველმა კაცმა, რა გინდ დიდი გვარის და თანამდებობის შთამომავალი იყოს, უნდა იცოდეს რაიმე ხელობა, რომლითაც შეიძლება გაჭირვების დროს ლუკმა პური იშოვნოს, თავი დაირჩინოს<sup>1</sup>.

აღნიშნული სიუჟეტის პარალელის სახით ქართულ ფოლკლორში გვხვდება ზღაპარი „მეფობა ვერაფერი ხელობაა“, სადაც გლეხის ქალი ცოლად არ გაჰყვა მეფეს, სანამ ამ უკანასკნელმა ხელობა არ ისწავლა<sup>2</sup>. მართლაც, გასაჭირში ჩაყარდნილი მეფე სიკვდილს გადაარჩინა საცოლეს კატეგორიული მოთხოვნით ნასწავლმა ნოხებისა და ხალიჩების ქსოვამ.

ამ საყოფიერო-ნოველისტურ ზღაპარში ასახულია ფეოდალიზმის რღვევა, კაპიტალიზმის შემოჭრა და ამ ცვლილებებთან დაკავშირებით ხალხის გათვითცნობიერება. ვფიქრობთ, თ. სახოკიას მიერ დასახელებული ვეზირის თავგადასავალი, ჩვენ მიერ მოყვანილი ზღაპრის ანალოგიური სიუჟეტის შემცველია. აღნიშნულმა იდეამ „არსენას ლექსთან“ ერთად თავისი გამოძახილი ჰპოვა ქართული კულტურის მომავალი მოამაგის გულში.

---

<sup>1</sup> თ. სახოკია, როგორ ვიზრდებოდით ძველად (მოგონებანი), თბ., 1955, გვ. 81.

<sup>2</sup> რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები. ელენე ვირსალაძის რედაქციით, შესავალი წერილით და შენიშვნებით, 1958, გვ. 290.

სამოსწავლო პერიოდიდან, მარტვილის სკოლის დაწვის გამო, თ. სახოკიას მოგონებებში ვკითხულობთ თვით მოწაფეთა მიერ ხალხურ ყაიდაზე შეთხზულ ორსტრიქონიან ლექსს:

ნიორი და ხახვის ფოჩი,  
მადლობა ღმერთს, მარტვილს მოვრჩიჰ.

ამ ლექსიდან ნათლად ჩანს იმდროინდელი სკოლის რაობა.

თ. სახოკიას ბავშვობიდან ნათელ მოგონებად დარჩა ორი მასწავლებლის სახე — პ. კვიციანიძისა და დიდი ქართველი მწერლის ვ. ბარნოვისა, რომლებიც მივიდნენ სკოლაში და თან მიიტანეს ადამიანური გული, სიტბო და სიყვარული, რაც ისე უჩვეულო იყო მაშინ მოწაფეთათვის. 25 წლის ახალგაზრდა პედაგოგს ვ. ბარნოვს „თავი სერიოზულად ეჭირა,—წერს თ. სახოკია და მის დასახასიათებლად იშველიებს ზღაპრისეულ გამოთქმას, — გაცინებული არავის გვინახავს და გაუცინარი ხელმწიფის (ხაზი ჩვენია. თ. ო.) სახელიც კი დავარქვითო“<sup>4</sup>.

ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრება-შესწავლისა და გავრცელების ორგანიზაციის თვალსაზრისით თ. სახოკიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა თავის დროზე. იგი აგრძელებდა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, პ. უმიკაშვილის და სხვათა წამოწყებულ დიდ ეროვნულ საქმეს.

როგორც ცნობილია, წ. კ. გ. საზოგადოებამ 1882 წელს გამოსცა „პროგრამა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის“. ამ პროგრამის შედგენაში მონაწილეობდნენ პ. უმიკაშვილი, ი. გოგებაშვილი და ი. ჭავჭავაძე<sup>5</sup>. ძირითადად, ხალხური საუნჯის ნიმუშების შემკრებად გათვალისწინებულნი იყვნენ სახალხო მასწავლებლები. პროგრამაში არ იყო აღნიშნული საქართველოს მნიშვნელოვანი და თავისებური კუთხე სამეგრელო. თ. სახოკიამ სცადა გამოესწორებინა ეს ნაკლი. 1891 წელს გაზ. „ივერიაში“ (№ 22) დაიბეჭდა მისი მოწოდება „ხალხური ნაწარმოების მოყვარულთა მიმართ“, სადაც ვკითხულობთ: „მას აქეთ, რაც უურნალ-გაზეთები შეუდგა ჩვენი ხალხის ზეპირსიტყვიერების მოგროვებას, თითქმის ყოველ კუთხიდან ბანი მისცეს. ყველამ შეძლებისდაგვარად თავისი წვლილი შეიტანა. საქართვე-

<sup>3</sup> თ. სახოკია, დასახ. წიგნი, გვ. 167.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 171.

<sup>5</sup> თ. ოქროშიძე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა XIX საუკუნეში. ლიტ. ძიებანი, IV, 1948, გვ. 406—408.

ლოს ერთი კუთხეთაგანი, სამეგრელო — კი მივიწყებული დარჩა, თითქო სამეგრელოში ზეპირსიტყვაობის ქაჭანება არ იყოსო. ჩვენს მწერლობაში ეს — კი დიდ ნაკლად, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. ახლა ჩვენ განვიზრახეთ ეს ნაკლი, მცირედაც არის, შევაგსოთ. ამიტომ გულმხურვალედ ვსთხოვ ყველას, ვისაც ასე თუ ისე, რაიმე დამოკიდებულება აქვს ხალხთან, ნამეტურ სოფლის მასწავლებელთ, — რომ შეგვიგროვონ მეგრული ხალხური ზღაპრები, შაირები, ანდაზები, ლექსები, შელოცვები, გამოცანები, თქმულებები ალ-ქაჯებზე და სხვ. და სხვ. ყველა ეს მასალა მეგრულ ენაზედ უნდა იყოს დაწერილი, რა თქმა უნდა, ქართული ასოებით, ხოლო მათს ქართულად გამოცემას ჩვენა ვკისრულობთ.

ამასთანავე ვთხოვთ ყველას, გადმოწერის დროს ნებით თუ უნებლიეთ თავისი არა ჩაუმატონ — რა, არამედ ჩასწერონ ისე, როგორც გაიგონებენ. აგრეთვე აღნიშნონ ის სოფელიც, სადაც გაიგონებენ ჩასაწერ მასალას. როდესაც საკმაო მასალა შეგვიგროვდება და ცალკე გამოიციემა, თითო ცალი ყველას გაეგზავნება, ვინც კი დახმარება თავისი არ დაიშურა“.

აღნიშნული მოწოდების გამოქვეყნებით თ. სახოკიამ შეავსო წ. კ. გ. საზ-ბის მიერ შედგენილი პროგრამის ხარვეზი, დააზუსტა რამდენიმე აუცილებელი და საჭირო საკითხი. მოწოდებიდან ჩანს თ. სახოკიას დამოკიდებულება ზეპირსიტყვიერებისადმი. იგი ჩამწერთაგან მოითხოვდა გულისხმიერებას, ფაქიზ მოპყრობას, ტექსტის ფიქსირებას ზუსტად, საკუთარი დანართების გარეშე. მოწოდებაში, როგორც დავინახეთ, თ. სახოკია აგრეთვე კატეგორიულად მოითხოვს მასალის მეგრულ ენაზე ჩაწერას. აქ, კი, უთუოდ გადმოქართულების საკითხი ჰქონდა მხედველობაში თ. სახოკიას. სრულიად მართებულად, იგი თარგმანს ვერავის ანდობდა.

თ. სახოკია დიდ ანგარიშს უწევდა ფოლკლორულ ძეგლებს, აუცალებლად თვლიდა მათ მოხმობას ეთნოგრაფიული მომენტების ასახნუნლად და გულისტიკვილს გამოსთქვამდა მათი სიმცირის გამო.

მიუხედავად XIX საუკ. მწერალ-მოღვაწეთა აქტიური ქმედობისა, ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელი იყო. თ. სახოკია განსაკუთრებითა გრძნობდა ამ ნაკლებობას. თავის სტატიაში „საქორწილო ჩვეულებანი სამეგრელოში“, იგი სინანულით ამბობდა: „შეუძლებელია, ესა თუ ის ცნობა მეგრული ქორწილის გამოსაკვლევად საზოგადო ქართული ფოლკლორიდან ამოკრიბოთ, რადგან ეს უკანასკნელი ამ ბოლო ხანამდე ძალიან ცოტაა შეკრებილი, იმისას ნულარ ბრძანებთ, რომ რაც

მასალა შეკრებილია, ისიც დამუშავებული და სისტემატურად დალაგებული არ არის“<sup>6</sup>.

მაგრამ თ. სახოკია არა მარტო მოუწოდებდა სხვებს ფოლკლორული მასალების შეგროვებისაკენ, არამედ, თვითონ უშუალო მონაწილე იყო ამ საქმიანობისა. დაუღალავმა მოგზაურმა მოიარა საქართველოს სხვადასხვა კუთხე: გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, სამეგრელო, უშუალოდ გაეცნო მათ და ქართველ ხალხს დაუტოვა გასული საუკუნის მდიდარი მემკვიდრეობა ისტორიის, ეთნოგრაფიის, ლექსიკოლოგიის თუ ფოლკლორის დარგში. თ. სახოკია ერთნაირი ყურადღებით იწერს ფოლკლორის ყოველი ქანრის ნიმუშებს, იქნება ეს ზღაპარი, ლეგენდა, თქმულება, გადმოცემები, ლექსები. მცირე ქანრებიდან — ანდაზა, თქმა, გამოცანები, ეპიტაფიები და სხვ.

დამახასიათებელია, რომ დასავლეთ საქართველოში მოგზაურობიდან თ. სახოკიამ ყველაზე მეტი ლეგენდები აჭარაში ჩაიწერა და ისიც მომეტებულად დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული. ეს თავისებური უბანი, სადაც სამი საუკუნის მანძილზე ოსმალები ყოველნაირად ცდილობდნენ ქართველთა გათურქებას, მკვლევარისათვის საინტერესოდ გამოიყურებოდა. მიუხედავად მძიმე პირობებისა, აჭარამ სათუთად დაიცვა მოგონებები ჩვენი ერის ისტორიის ბრწყინვალე ხანაზე, სიყვარულით შეინახა საქართველოს ძლევა-მოსილებისათვის მებრძოლი ეროვნული გმირების წმინდა სახელები.

თ. სახოკია თავისი ცხოვრების ვრცელ გზაზე მოსმენილ ლეგენდებს გულდასმით იხსომებს, იწერს, ურთავს მგზავრის შთაბეჭდილებებში. ერთ-ერთი პირველთაგანია ზოგად-ქართული ლეგენდა დავით აღმაშენებელზე, რომელიც ჭერ კიდევ ბავშვმა — თედომ მოისმინა მარტვილელი მასპინძლისაგან. დოკუმენტური პროზის ქართველი ოსტატი ცოცხლად წარმოგვიდგენს იმ გარემოს, რომელიც ველზე სამუშაოდ გასული თითოეული ჩვენგანისათვის ნაცნობია: „ერთ ზამთრის საღამოს, — გადმოგვცემს თ. სახოკია, — კარგი ცეცხლი გვენთო. ვახშამი გათავებული გვქონდა და ცეცხლს გარშემო ვუსხედით. ველოდით, ვისმე რამე კარგი ამბავი ეთქვა და კარგი შთაბეჭდილებით დაგვეძინა... „საქართველოს დიდი მეფე ყოფილა ვინმე დავითი, — დაიწყო თხრობა მასპინძელმა, — მეტსახელად აღმაშენებელი დაურქმევიათ. დაურქმევიათ იმიტომ, რომ ჰყვარებია ტაძრების აშენება და მცოდნეცა ყოფილა ამ ხელობისა. ერთსა და იმავე დროს განუზრახავს სამ ალაგას აეშენებინა ტაძარი: გელათს, მარტვილსა და ბიჭვინთაში...“<sup>7</sup>

<sup>6</sup> თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, გვ. 71.

<sup>7</sup> თ. სახოკია, როგორ ვიზრდებოდით ძველად..., გვ. 116—117.

ლეგენდის მოსმენის შემდეგ „დიდხანს გვიღგა თვალწინ გოლიათი დავით აღმაშენებელი, — გადმოგვცემს თ. სახოკია, — გოლიათ ჯორათქცეულ ეშმაკის ზურგზე შემეჭდარი, თავისი ტანის საფერი ლოდების მზიდავი იმერეთ—სამეგრელო—აფხაზეთის სამ უმთავრეს ტაძრისათვის და სუროთმოდგრების ხელოვნებაში სასწაულის მრქმედი“...<sup>8</sup>

აღსანიშნავია, რომ თ. სახოკიას მიერ ჩაწერილი ეს ლეგენდა შედარებით სრული და საყურადღებო ვარიანტია.

ქართულ ფოლკლორში იდეალიზირებულია ცენტრალიზებული საქართველოს უძლიერესი მეფე თამარი, ამიტომაც ყველაზე უმდიდრესი ციკლი შეიქმნა და დაგროვდა მის ირგვლივ. ჩვენი ქვეყნის არც ერთი მეფე ისე პოპულარული და საყვარელი არ ყოფილა აჭარაში, როგორც თამარ მეფე. შეიძლება მართებული იყოს თ. სახოკიას დასკვნა, რომ აჭარულ ფოლკლორში თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ლეგენდა — თქმულებათა თუ ლექსთა სიმრავლე იმიტაც აიხსნებოდეს, რომ „თამარი აქაური ქართველების მენსიერებაში აღბეჭდილია, როგორც... განაპირა ადგილების მფარველი და გამმაგრებელი, მტრისთვის რისხვის დამცემი, ქვრივ-ობოლთა გამკითხავი, მიუკერძოვლი მოსამართლე და ყოველივე ამის დასასრულ — წმინდანი და უბიწო...“<sup>9</sup> ამაზე მეტყველებს თ. სახოკიას მიერ ფიქსირებული ლეგენდები თამარ მეფეზე, თამარის სახელთან დაკავშირებული ადგილობრივი ტოპონიმიკა.

თ. სახოკიას მოგზაურობამ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე ისევ აამეტყველა დიდებული თამარ მეფის ხსოვნა აჭარაში. სხალთას სალოცავად მიმავალი თამარის მარშრუტი: ვარცხლა (გზის მაჩვენებლის თქმით, „ძველად თამარ მეფეს იქ ვერცხლის მადანი ჰქონია, რაც ვერცხლი სჭირდებოდა, სულ აქედან გაჰქონდა თურმე“)<sup>10</sup>, დედოფლის ხიდი, დედოფლის ქვა, დედოფლის წყარო, დოლიაური, ნალობიევი, ნახუცარი, ყარა-გიოლ ანუ შავი ტბა, — ყოველივე ეს მოწმობს, როგორც თამარის ისე მისი ხალხის უკვდავებას.

საინტერესოა, თ. სახოკიას მიერ ფიქსირებული, სხალთის ტაძრის აშენებასთან დაკავშირებული ზეპირთქმულება. „ტაძრის მშენებლად გამოჩენილი ოსტატი ყოფილა მოწვეული. ოსტატი საჭირო ქვის მასალას შეგირდი უმზადებდა ერთ კლდის ძირას, სხალთიდან ნახევარი დღის სავალზე. გამოჩენილ ოსტატს შეგირდიც თავის შესაფერი ჰყო-

<sup>8</sup> თ. სახოკია, როგორ ვიზრდებოდით ძველად..., გვ. 118.

<sup>9</sup> თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 197.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 199.



ლია. უკანასკნელს წინდაწინ გამოუანგარიშნია, რამდენი ქვაც დასჭირდება ტაძრის დამთავრებას და სწორედ იმდენი მოუშზადებია, არც მეტი და არც ნაკლები. ოსტატს შენება რომ დაუშთავრებია, გამოსაცდელად შეგირდისათვის შეუთვლია, ქვა დამაკლდა და მომაწოდეთ, შეგირდს თამამად შემოუთვლია: რაც გამოგიგზავნე, ის ეყოფოდა, მეტი საჭირო არ არისო. ოსტატს სწყენია თავის შეგირდის მიხვედრილობა: ახლავე რომ ასეთი ნიჭი გამოიჩინა და მაჯობა, მერე რაღა იქნებაო? არა, ჩემი სიცოცხლე არა ღირსო. აუწვევია და ეკლესიის სახურავიდან გადმოშვებულა და თავი გაუფუჭებია“<sup>11</sup>.

ქართულ ფოლკლორში ცნობილია სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებული ლექსი:

ხეკორძელას წყალი მისვამს  
მცხეთა ისე ამიგია,  
დამიკირეს, ხელი მომპრეს,  
კარგი რისთვის აგიგია.

შინაარსის მიხედვით ეს „გალექსილი ლეგენდა“, ოსტატისა და შეგირდის ურთიერთობას შეეხება. ოღონდ სვეტიცხოვლის მშენებელივით არ მოქცეულა სხალთის ოსტატი. მას შეგირდისათვის კი არ მოუჭრია ხელი, არამედ თვითონ მოუკლავს თავი. შეიძლება ორივე ლეგენდა ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობდეს და ეს წყარო კი არ უნდა იყოს სვეტიცხოვლის ტაძრის გამოსახულება — მოჭრილი ხელი გონიოთი, როგორც ეს თ. ყორდანაიას ჰგონია<sup>12</sup>. საჭიროა ლეგენდის უფრო რეალური საფუძვლის ძიება.

თამარ მეფის სახელს უკავშირდება ხირხათის ციხის აშენება აჭარაში<sup>13</sup>. ეს ვრცელი ლეგენდა ეხმაურება ისტორიულ ამბავს, ნუქარდინის წადილს თამარის ცოლად შერთვის შესახებ.

აჭარელებს თამარ მეფის საფლავის პრობლემაც აწუხებდათ. თ. სახოკიას იქვე ჩაუწერია თამარის საფლავის საიდუმლოების შემცველი ლეგენდის რამდენიმე ვერსია.

ზოგადქართულმა ლეგენდა-თქმულებამ, „იესო ქრისტესა, ელია წინასწარმეტყველსა და წმ. გიორგის“ შესახებ, იმთავითვე მიიპყრო აკად. ივ. ჭავჭავიძელის ყურადღება. განიხილა-რა ღვთაებათა უფროს-უმცროსობა ხალხური თქმულებების მიხედვით, იგი გარკვეულ დასკვნამდე მივიდა: მიუხედავად იმისა, რომ ამ სამში იესო ქრისტე

<sup>11</sup> თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 236.

<sup>12</sup> ქრონ., I, 1893, გვ. 175.

<sup>13</sup> თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 224.

შემოქმედ ღმერთად გვევლინება, საქართველოში მთავარი ადგილი უჭირავს არა შემოქმედს, ამ შემთხვევაში ქრისტეს, არამედ წმ. გიორგის. იგი არის ღარიბი, დაჩაგრული მშრომელი ხალხის ღმერთი.

ივ. ჯავახიშვილს ხელთ ჰქონია მხოლოდ ქართლური, იმერული და სვანური თქმულებანი.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა თედო სახოკიას მიერ სამეგრელოსა და სამურზაყანოში მოგზაურობის დროს ჩაწერილი ლეგენდები.

მეგრელების რწმენით, წმ. გიორგი ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა „სამეგრელოს მკვიდრი, სამეგრელოშივე დაბადებული“, ოღონდ გამოირჩეოდა თავისი ფიზიკური მშვენიერებით. იგი ცხოვრებაშიაც წარმოდგენილი იყო „თეთრ რაშზე მკდომარედ და საგმირო საქმეთა მოქმედად. ხელთ მუდამ ეპყრა შუბი, რომლითაც განგმირავდა უწმინდურსა... მისი მსხვერპლი ყოფილან ვეშაპები და ავსულები, განსაკუთრებით უსჯულონი (იგულისხმება ოსმალონი). ბრძოლაში წმ. გიორგი სულ მუდამ თავში სდგომია მეგრელთა ჯარს... ღვინის სმასა, სიმღერა-მოდუნებაში სწორი და ბადალი არა ჰყოლია“<sup>14</sup>. თ. სახოკიას მიერ ჩაწერილ ამ ლეგენდაში განსაკუთრებით ხაზგასმულია წმ. გიორგის „მუცლის ტევადობა: ერთ ჯერზე ერთი ხარი, ან ძროხა მხოლოდ იმისთვის იკვლებოდა და სუფრაზე ძვლები თუ-და რჩებოდაო... ჭიდაობაშიაც პირველობა ჰქონდა“... ქვემოთ ლეგენდაში გადმოცემულია თუ როგორ შურდა ყველას წმ. გიორგის ვაჟკაცობა, თვით ღმერთსაც კი შეშურებია და მოუნდომებია მისი ზეცაში აყვანა და იქ მისი დაბინავება თავის მსახურთა შორის<sup>15</sup>. ლეგენდაში აღნიშნულია: წმ. გიორგიმ როგორც სმა-ჭამა იცოდა არაჩვეულებრივი, მისი ძაღლის შესაფერი, ისე ძილიც მღევური იცოდაო“<sup>16</sup>.

ზეციურ არსებათა წრეში მოქცეული წმ. გიორგი მეგრელთ ევლინება ვერცხლით მოჰყვდილი ხატების სახით<sup>17</sup>. „ღმერთმა მას მიანდო პატრონობა ჭექა-ქუხილისა, თავთავის დროს წვიმის ჩამოშვება დედამიწაზე და განსაკუთრებით დევნა ეშმაკისა და უკეთური სულებისა, რომ ამ უკანასკნელთ არაფერი ავნონ ადამიანთაო...“<sup>18</sup>.

სამურზაყანოში თ. სახოკიას მიერ ჩაწერილი ლეგენდა მწყემსების ყველაზე დიდ მფარველ მთავარ-ანგელოზს ეხება. ეს არის მიქელ-გაბრიელი, რომელსაც ჩამწერის შენიშვნით: „აქ „მიქამ-გარიოს“ ეძა-

<sup>14</sup> თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1953, გვ. 57—58.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 59.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 59.

ხიან, მეორე სახელიც ჰქვიან — ერგე. მიქამ-გარიო არის პატრონი მთისა, მას მორჩილებენ ცის მნათობნი... მიქამ-გარიოს ნებაზედაც დგას დარი მთაში... მის ნებაზე არის დამოკიდებული ელვა-ქუხილი და კოკისპირული წვიმის მოსვლა.

როცა მთაში წვიმს, — წერს თ. სახოკია, — მწყემსები დიდ ცეცხლს დაანთებენ ხოლმე, გარს შემოუსხდებიან და ერგე — აშვას (ერგე აფხაზურად — მიქელ-გაბრიელი და აშვა — სიმღერა), ე. ი. მიქელ-გაბრიელის სიმღერას ამბობენ, უმღერიან მიქელ-გაბრიელს, აღიდებენ: ძლიერი ხარ, ჩვენ უშენოთ არაფერი შეგვიძლია, შენ გლოცულობთ, შენს წყალობას ნუ მოგვაკლებ, საქონელს ნუ შეგვიწუხებო“<sup>19</sup>.

ქვემოთ, თ. სახოკიას მოყავს იქაურ მწყემსებში დაცული თქმულება მიქელ-გაბრიელსა და მწყემსზე. ამ თქმულებაში მიქელ-გაბრიელი, ისევე, როგორც წმ. გიორგი, მიდის მწყემსთან, ესაუბრება, რჩევას აძლევს, აფრთხილებს მოსალოდნელი ხიფათისაგან, სახლ-კარს უშენებს, ფულებს აძლევს, მის ყანაში ღვთის თვალი ტრიალებს. ერთი სიტყვით, ანიჭებს ყოველივე სააქაო სიკეთეს, რის ნატვრაც კი შეუძლია მწყემსსა<sup>20</sup>.

სამურზაყანოული თქმულების პერსონაჟი, როგორც ვხედავთ, ენაცვლება წმ. გიორგის, იგი ამ უკანასკნელის მსგავსად შეუპოვრად უპირისპირდება ღმერთს და იცავს ადამიანს ბოროტისაგან. დროდადრო ელია წინასწარმეტყველის ფუნქციებსაც ითავსებს.

ამრიგად, საქართველოს ბარისა და მთის თქმულება ერთი ზოგად-ქართული თქმულების სხვადასხვა ვარიანტია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ წმ. გიორგის მასშტაბი ვიწროდ არის წარმოდგენილი მთაში. თუ წმ. გიორგის სახელობის ეკლესია-მონასტრებით მოფენილია მთელი საქართველო, მიქამ-გარიოს სახელზე სამურზაყანოს მთებზე ერთი ტბა არის ერგეძაშრა (მიქელ გაბრიელის ტანის საბანი). (ამ ტბასთან დაკავშირებულია ფრიად საგულისნმო ლეგენდა მწყემსსა და ცხვრებზე).

ჩამწერის თქმით, მწყემსები ერიდებიან იქაურ წყლებში ბანაობას. „მიქამ-გარიო ზეციდან რომ ჩამოდის, ტანს მარტო ამ მთების წყალში იბანსო, ბარის წყალი არ ვარგა, ყველა შიგ ურევს ხელსაო. იმათი აზრით, მიქამ-გარიოს საბანებელი წყლის გაბინძურება არავის ეპატიება...“<sup>21</sup>

<sup>19</sup> თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1950, გვ. 289.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 293.

თ. სახოკიამ თავის საინტერესო მოგზაურობაში სამურზაყანოელი მწყემსების რწმენიდან მეტად მნიშვნელოვანი მომენტის ფიქსირება მოახერხა: „მიქელ-გაბრიელის შემდეგ იქაური მწყემსი სასოებით ეპყრობა, თაყვანს სცემს მთას, აღმერთებს მთას, მიქამ-გარიოს საფარველ ქვეშ მყოფს, მასა ლოცულობს, მწყემსის ლაპარაკში ხშირად მოჰკრავთ ყურს „მთის მადლმაო“. მწყემსის აზრით, მთას შიშველ ტანს ვერ აჩვენებს კაცი, ეწყინებაო... მთაზე ყოფნის დროს მწყემსები უწმაწურ სიტყვა-პასუხს ერიდებიან, — ესეც მთას ეწყინებაო. მთას საალერსო სიტყვები უნდა გავაგონოთ, სიმღერით დავატკბოთო.

ქვაბს რომ გადმოაპირქვეავებენ, ზემოდან ბალახს რასმე დააფარებენ, — ცამ შავი და მურიანი ძირი არ დაინახოს ქვაბისა, თორემ განრისხდება და წვიმით სულს ამოგვხდისო.

როცა გაზაფხულზე პირველად მთაზე ამოდიან, მწყემსები საკლავსა ჰკლავენ და მთის ლოცვას ამბობენ. ხანში შესული მწყემსი ხონჩაზე აწყობს საკლავის გულ-ღვიძლსა და ყველას მაგივრად მთას ევედრება: ნუ მოგვაკლებ შენს წყალობას ჩვენ, ჩვენ ჯოგსა, რომლებიც შენს კალთაზე დავდივართ, მხიარულად და უვნებლად ჩაგვიყვანე ბარადო“<sup>22</sup>.

ეს მეტად საინტერესო ლოცვა რიტუალურ დალოცვა-დამწყალობინებას გვაგონებს თავისი გაქვეავებული ფორმით. გარდა ამისა, იქაც ხომ დიდი ადგილი უჭირავს საქონლის უზრუნველყოფისათვის ევედრებას.

აჭარაში მოგზაურობის იმ ნაწილში, სადაც ჩვენი მკვლევარი სწავლა-განათლების, საოჯახო და სხვა საყოფაცხოვრებო საკითხებს ეხება, საინტერესო დაკვირვებას გადმოგვცემს ლექსისა და სიმღერის ურთიერთმიმართების გამო. მას შეუნიშნავს, „რომ აჭარელი ლექსს ვერ იტყვის, თუ სიმღერაც არ ააყოლა. ლექსი და სიმღერა განუყრელი შექმნილა მისთვის — თავის ნათქვამის დასადასტურებლად თ. სახოკია იმოწმებს ცოცხალ ყოფაში შემჩნეულ მაგალითს, — სოფ. ფურტიოში (ზემო აჭარა) ერთ მოხუცებულს, „ქოსად“ წოდებულს და განთქმულ მოლექსეს, ვთხოვე რამე ლექსი ეთქვა. ბევრი ხვეწნის შემდეგ სიმღერა დაიწყო ქართლურ „ოროველას“ ხმაზე, თანაც ლექსი დაატანა. როცა მოვინდომე ლექსის ჩაწერა, ბევრი ვეცადე გაემეორებინა, მაგრამ ცდა ამაო იყო. „მოხუცი ვარ, რა ჩემი საქმეა ლექსის თქმა, ლექსი ახალგაზრდებმა უნდა სთქვანო“<sup>23</sup>.

<sup>22</sup> თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1950, გვ. 294—295.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 185—186.

ამ შემთხვევაში, თ. სახოკიას მიერ მოპოებული ცნობა, ლექსისა და მელოდიის მთლიანობაში შესრულების შესახებ, განვითარების უძველეს საფეხურზე მიგვითითებს და ეს მით უფრო საინტერესოა, რომ სწორედ აქარამ, ამ უცხოთა მიერ საუკუნეთა განმავლობაში დაპყრობილმა კუთხემ, ქართლური ოროველას მელოდიის დაცვასთან ერთად, შემოგვინახა არქაული ხელოვნების სინკრეტული ხასიათი.

წიგნის იმავე თავში მცირეოდენი წინააღმდეგობა გვხვდება ფაქტის დაზუსტებაში. თ. სახოკია კატეგორიულად უარყოფს სიმღერის არსებობას აქარაში: „მთელი თვის მოგზაურობის განმავლობაში სხვადასხვა ადგილას განგებ თვალყური გვექირა, — გადმოგვცემს თ. სახოკია, — და წამლად ერთი სიმღერა არ გაგვიგონია, თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ ზემოაღნიშნულ მოხუცს, რომელსაც თავის სურვილის წინააღმდეგ და თითქმის ძალდატანებით ვათქმევინეთ ერთი ნაწყვეტი სიმღერისა. ცხენით თუ ქვეითად მიდის აქაური, ლეწავს კალოზე თუ თივასა ჰთიბავს — ხმას არ იღებს...“ — წერს მკვლევარი „მოგზაურობანის“ 186 გვერდზე, ხოლო იმავე წიგნის 189 გვერდზე, აქარული ქორწინების აღწერისას კი ვკითხულობთ: ... გზაში ქალები ცხენებზე სხედან და ქვეითა კაცებს მათი ცხენები აღვირით უქირავთ ხოლმე. სიშორეს სიმღერითა და ლექსით იადვილებენ.

თ. სახოკიას მიერ ჩაწერილ ფოლკლორულ მასალებში გვხვდება ყოფაცხოვრების სხვადასხვა მომენტებთან შერწყმული ლექსები. საახალწლო ანუ საკალანდო ცერემონიალთან იყო დაკავშირებული გურიაში ლექსი:

აგუნა, აგუნა, გამეიარე,  
ბახვი, ასკანა, გადმეიარე... და სხვ.

საქართველოში ამ საყოველთაოდ გავრცელებულ ლექსს გურული კოლორიტი დაჰკრავს.

თ. სახოკია გულდასმით აღწერს ნანახსა და გაგონილს. სოფ. ფურტიოში მას აჩვენეს უზარმაზარი ქვევრები, ქვებით ამოვსებული. „გურჯობისას, დიდძალი ღვინო დგებოდა ფურტიოში. დღეს კი აქა-იქ თუ-ღაა დარჩენილი ვაზები ამ სოფელში და დამსხვრეული ქვევრები-ღა თუ მოწმობს, რომ ძველად მეღვინეობა ერთი უპირველესი დარგი ყოფილა აქაურების მეურნეობისა“<sup>24</sup> — გულისტყვივლით შენიშნავს თ. სახოკია.

<sup>24</sup> თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1950, გვ. 206.

სოფ. კუტიჯვარის სახელიც მევენახეობასთან არის დაკავშირებული. „სხალთის მიდამოებშიაც ნაპოვნია მიწაში ჩამარხული უზარმაზარი ქვევრები... ნაშთი ძველი ქართული კულტურისა“<sup>25</sup> — გადმოგვეცემს თ. სახოკია.

ხალხური ლექსებიც ადასტურებს მევენახეობის განვითარებული მეურნეობის არსებობას აღნიშნულ კუთხეში. თავისი მოგზაურობის დროს თ. სახოკიას ქვემო აჭარაში სოფ. ქედის მცხოვრებ გულადიასამიძისაგან ჩაუწერია „ყურძნის ლექსი“, რომელიც აქ ძველთაგან დარჩენილად — შენიშნავს იგი. „მართალია, — განაგრძობს ჩამწერი, — ლექსს თავისი პირვანდელი ღირსება არ შერჩენია, ხან რითმა ჰყოლობს, ხან ზომა აკლია, მაგრამ საინტერესოდ ვცანი. როგორც შებღალული ენის შებღალული ლექსი, ოდესღაც ალბათ ლამაზათ შექმნილი ხალხის მიერ“<sup>26</sup>. ლექსში მოცემულია მღლარი ვენახის კრეფის ცოცხალი სურათი, გოდორში ჩაყრა, მისი დაწურვა და ღვინოდ დადუღება, აღწერილია ღვინის დაყენების ყოველგვარი ქართული წესი.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თ. სახოკიას მოგზაურობას გასული საუკუნის 90-იან წლებში და მის მიერ ნანახის ასე ცოცხლად აღწერას, ხალხური სიტყვიერი შემოქმედების ნიმუშების ფიქსირებას, ამას ადასტურებს შემდეგი გარემოება. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ქედაში, თ. სახოკიას ნაკვალევზე, ბათუმის კვლევითი ინსტიტუტის მიერ მოწყობილმა ფოლკლორულმა ექსპედიციებმა, აღნიშნულ ლექსს ვეღარ მიაკვლია. ამრიგად, გასული საუკუნის 90-იან წლებამდე დავიწყებას გადაარჩენილი ეს სავენახო ლექსიც დაიკარგა<sup>27</sup>.

აჭარულ ფოლკლორში გვხვდება ლექსი, რომელიც შექმნილია აჭარაში თურქთა დამკვიდრების შემდეგ, როდესაც მოისპო და განადგურდა ვაზის კულტურა და გაძლიერდა ბრძოლა ყოველივე ქართველურისა და მამაპაპურის წინააღმდეგ.

ლექსიდან გვესმის გოდება:

ჩაღმა ჩაყრილო ვენახო, სად წადი და სად მოგნახო?  
ჩემო გაზრდილო ვენახო, სად წადი და რომელ მხარეს?  
მამაპაპურო ვენახო, სად წადი და სად მოგნახო?<sup>28</sup>

<sup>25</sup> თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1950, გვ. 207.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 176.

<sup>27</sup> ჯ. ჩხეიძე, შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზეპი სიტყვიერებაში, ბათუმი, 1961, გვ. 57.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 65—66.

აჭარაში თ. სახოკია მოწმე გახდა ერთი საქმისა, რომელიც ხულოს სასამართლოში ირჩეოდა: სოფ. რიყეთში მცხოვრები გლეხის ულამაზესი ქალი გაიტაცა უიმედოდ შეყვარებულმა ვაჟმა ამხანაგების დახმარებით. ქალი სიმწრისაგან თმებს იგლეჯდა და გზაზე ბლუჯაბლუჯა ჰტანტავდა... მდეერები ქალისაგან გაფანტული თმის კვალზე მისდევდნენ უკან...<sup>29</sup>.

ამ ნამდვილმა ამბავმა მოგვაგონა ცნობილი ხალხური ლექსი „ჩილოს წისქვილში ატირდა“. ლექებისაგან გატაცებულმა ნანა თორღვის ქალმაც ასე დანიშნა გზა:

ავიხსენ საყურბეჰელი,  
იმით დავნიშნე გზანია,  
მკლავით ვიყარე ზალტები,  
მდევართ გაიგონ კვალია...<sup>30</sup>

ეს არის ლექსის პარალელი ცოცხალ ყოფაში, ლექსის რეალური საფუძველი.

ეჟურნ. „მოამბე“-ს, 1897 წლის IV ნომერში დაბეჭდილია თ. სახოკიას მიერ ჩაწერილი გურული „ქალ-ვაჟიანი“. იგი საინტერესოა ჩამწერის მუშაობის მეთოდით, პასპორტის სისრულით. დაწვრილებით არის აღნიშნული მთქმელი, ჩამწერი, ადგილი. ერთვის შენიშვნა შესრულების წესის შესახებ (ჩონგურის აკომპანემენტით), ტექსტისეული გაუგებარი სიტყვების ახსნა მოცემულია სქოლიოში.

ეჟურნ. „მოამბის“, იმავე წლის VIII ნომერში გამოქვეყნებულია ხუთი ხალხური ლექსი, სოფ. ბერშუეთში(ქართლში) გაგონილი გლეხის ზაქარია კვიწინაძისაგან და ჩაწერილი თ. სახოკიას მიერ.

მოგვყავს ერთი მათგანი:

ტურფა ბალი და წალკოტი, ეკლითა ვინმე შეჰნარა,  
რკინის კარები შეაბა, კლიტე მე მომცა, შენ არა,  
სიკვილსა ჰირის სანაცლოდ, თავსა მე მიცემ, შენ არა,  
ვაი თუ ეს დამემართოს: მე კი მიყვარდე, შენ არა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში თ. სახოკიამ „ივერიაში“ გამოაქვეყნა „ტარიელის ზღაპარი ანუ ხალხში დაშთენილი „ვეფხისტყაოსანი“ (ქართლში გაგონილი).

მაგრამ ფოლკლორული უნარებიდან სველაზე მეტად ანდაზება უყვარს თ. სახოკიას. თავისი სიყვარული მხატვრული შემოქმედების

<sup>29</sup> თ. სახოკია, მოგზაურობანი..., გვ. 140.

<sup>30</sup> ე. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 161.

ამ უბნისადმი, მრავალგზის დაადასტურა მან საქმით. თ. სახოკია ანდა-  
ზების ცნობილი შემკრებია. ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან იტაცებდა  
მას ხალხის მახვილი, სხარტი აზრი, ნართაულობა და ლაკონურობა,  
რაც აღნიშნულ ჟანრს ახასიათებს.

მიყვებით კვალდაკვალ თ. სახოკიას მოგზაურობას, გაცემთ  
მისი მჩქეფარე ენერგია, შეუწელებელი ენთუზიაზმი. გზიბლავთ მისი  
ბუნებრივი მეთოდი ხალხთან ურთიერთობისა. ყოველი სათანადო შე-  
მთხვევისათვის მას მომარჯვებელი აქვს ანდაზა, თქმა. ხალხისაგან  
ამოღებულსა და შესწავლილს, ფოლკლორის ამ მცირე ჟანრის ნიმუშს,  
ისეთ გარემოში ჩაურთავს იგი, რომ მაშინვე მკაფიოდ გაიეღვებს  
ანდაზის ფუნქცია, ანდაზის პირდაპირი დანიშნულება. თ. სახოკიას  
მიერ მომარჯვებელი ანდაზა ეპიზოდის, ამბის ფინალად გვევლინება.  
ასეთია ოჩამჩირის სკოლის შესახებ ნათქვამი მის მიერ:

„მშვენიერი ექვსთვლიანი ქვიტკირის შენობა სკოლისა ოჩამჩირის  
გამოჩინებულ ადგილასა დგას, და შორ მანძილიდან პირველად ეს  
სკოლა ხვდება კაცს თვალში... მაგრამ (რომ იტყვიან) „გარედან მტერს  
უყენებს თვალსა და შიგნიდან მოყვარესაო“. — ამბობს თ. სახოკია,—  
სწორედ ამ სკოლაზე ითქმის...“ ან და მეორე ანდაზა იმავე სკოლის  
წიგნსაცავის შესახებ „მისი ავლადიდება, კატას აეკიდება“-ო.<sup>31</sup>

აჭარაში სხალთის განთქმული ტაძრის, აწ განადგურებულისა და  
შეგინებულის შესახებ, თ. სახოკია ამბობს: „უპატრონო ეკლესიას  
ეშმაკები დაეპატრონენო,“ — აბა სწორედ ამ ტაძრის შესახებ ითქმი-  
სო...“<sup>32</sup> — და, მართლაც, თვალწინ წარმოგიდგება, ამ, ოდესღაც დი-  
დებული ტაძრის დღევანდელ ნანგრევებში მოთარეშე ავსულები.

თ. სახოკიას სამეგრელოს საქორწილო ჩვეულებათა განხილვის  
დროს მოჰყავს ანდაზები, „რომლებიც ასახავენ შეხედულებას, რო-  
გორც ქორწილსა ისე ქალზე“:

— ბედნიერს ცოლი მოუკვდება და უბედურს — ცხენიო.

— კარგის ცოლის პატრონს გზაში საგზალი არ უნდაო.

— თუ ცოლი ქმარს არა ჰგავს (იმის ხასიათი არა აქვს), მისი არ  
იქნებაო.

— ცოლის შერთვა ვისაც უნდა, სახლი კარგ საფუძველზე უნდა  
ჰქონდესო“<sup>33</sup>.

თ. სახოკიას მიერ შეგროვილი და კლასიფიცირებული 7000-მდე  
ქართული ანდაზა მანქანაზე გადაბეჭდილი ორ ცალად, დაცულია გი-

<sup>31</sup> თ. სახოკია, მოგზაურობანი... გვ. 254—255.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 235.

<sup>33</sup> თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1956.



ორგი ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმსა და კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

თ. სახოკია არ კმაყოფილდებოდა ქართული ანდაზების მხოლოდ შეგროვებით, იგი თარგმნიდა მათ ფრანგულ ენაზე. მან ევროპელებს გააცნო ქართველი ერის ბრძნულ თქმებთან და ანდაზებთან ერთად საქართველოს ეთნოგრაფია და მითოლოგია.

1900 წელს გაზ. „ივერიაში“ (№ 240) მოთავსებული ცნობა გვაუწყებს: ფრანგული ჟურნალის „La Ceucase illustrée“-ს მეექვსე ნომერში დაიბეჭდა მეგრული ანდაზები“. ეს მეგრული ანდაზები თარგმნილი იყო თ. სახოკიას მიერ.

1902 წლის „მწყემსის“ № 23—24 (გვ. 13) ახალ ამბებსა და შენიშვნებში ვკითხულობთ: „ერთ ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდილია ქართული ანდაზები, თარგმნილი თედო სახოკიას მიერ. სულ 800-ზე მეტი ანდაზა დაბეჭდილი, როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს, მრავალი მათგანი თვით თ. სახოკიას შეუგროვებია და ჯერ ქართულადაც არ ყოფილა დაბეჭდილი. ანდაზები ცალკე წიგნადაც გამოვა“.

1903 წელს პარიზში მართლაც ცალკე წიგნად დაიბეჭდა თ. სახოკიას მიერ შეგროვილი 800-ზე მეტი ანდაზა, ხოლო იმავე წლის „ივერიის“ № 93, გამოქვეყნდა რეცენზია ზემოაღნიშნულ წიგნზე „ქალაქელის“ ფსევდონიმით.

რეცენზენტი მართებულად აღნიშნავდა: „...ბ—ნ სახოკიას კრებულის უმთავრეს ღირსებად ანდაზების კლასიფიკაცია უნდა ჩაითვალოს. აქამდის ანდაზების კრებულები ანბანის რიგზე იწერებოდა, პატივცემულ ავტორს კი შინაარსის მიხედვით გაუნაწილებია თავისი მასალა. მისი ანდაზები ასეთს ჯგუფებად არის დაყოფილი: მიწის მუშაობა, სიყვარული, გულშემატკივრობა, მძულვარება, მოყვარე და მტერი, პირუტყვი, მშვენიერება, ღმერთი და სამღვდლოება, ენა, სიცილი და ტირილი...“ და სხვ.

რეცენზიაში ხაზგასმულია თ. სახოკიას დამსახურება თარგმანის საკითხშიაც, რომ იგი სიტყვასიტყვით თარგმანს არ გამოჰკიდებია. გაუთვალისწინებია — რა ფრანგული ენის ბუნება, ცდილა ქართული ანდაზების შინაარსის თავისუფლად გადაღებას.

თ. სახოკია ერთნაირად შეიძლება მიისაკუთროს, როგორც ლიტერატურამ, ისე ისტორიამ, ეთნოგრაფიამ, ენათმეცნიერებამ, ლექსიკოლოგიამ და ფოლკლორისტიკამ, იმიტომ რომ მისი მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო. იგი ერთნაირი ინტერესით იწერდა როგორც ჩამურის, კერის კონსტრუქციასა და ნაწილებს, საქორწინო თუ სხვა საოჯახო წესებს, ისევე ქართული ფოლკლორის ნიმუშებს, იწერდა ცოცხალ ყოფაში, ბუნებრივ, დამახასიათებელ გარემოში. სწორედ ამი-

ტომაც არის მისი ნაწერები ისე მიმზიდველი და მსუბუქად საკითხავი.

ბავშვობიდანვე დაწაფებული ქართულ ეროვნულ საუნჯეს, ეს ინტერესი თ. სახოკიას არასოდეს შენელებია, პირიქით, თანდათან იზრდებოდა მისი მასშტაბი და მოიცავდა ყოველივეს, რასაც ქართული ძირი ჰქონდა.

თ. სახოკიამ ეს თავისი დიდი სიყვარული ქართული ცხოველმყოფელი სიტყვისადმი დაადასტურა სიცოცხლის დასასრულს „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“-ს სამტომეულის გამოქვეყნებით.

---

## 6. ნეოლათიზმი

### თედო სახოკია

#### ხალხთა თავისუფლებისა და მემოკრობის შესახებ

თედო სახოკია XIX საუკუნის 90-იანი წლების და XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მოღვაწეთა შესანიშნავ პლეადას ეკუთვნის.

დიდა თედო სახოკიას დამსახურება ქართული კულტურის განვითარების საქმეში. იგი ცნობილია, როგორც ეთნოგრაფი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, ქართული ენის მკვლევარი, პედაგოგი.

ბევრი გაჭირვება გადაიტანა თავისი ცხოვრების მანძილზე ამ შესანიშნავმა მამულიშვილმა. რევოლუციურ განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ის ბევრჯერ ყოფილა დაპატიმრებული, გადასახლებული, მაგრამ სასტიკმა რეპრესიებმა ვერ გატეხეს მტკიცე რევოლუციონერის ნებისყოფა. მან მოახერხა ციმბირიდან სამშობლოში გამოქცევა და ემიგრაციაში გაემგზავრა.

თედო სახოკიას მდიდარი მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით ძვირფასია ნარკვევები და წერილები, რომლებიც ხალხთა მემოკრობას და ჩაგრულ ხალხთა რევოლუციურ განმათავისუფლებელ მოძრაობას შეეხება. ეს წერილები ისე ახლოსაა თანადროულობასთან, რომ მსცოვანი მოღვაწე შეიძლება ჩვენ შორის წარმოვიდგინოთ, როგორც მებრძოლი მწერალი, ამ მხრივ საგულისხმოა წინასიტყვაობა, რომელიც თ. სახოკიამ, ანრი ბარბიუსის რომანის „ცეცხლი“-ს მთარგმნელმა, ამ ნაწარმოების ქართულ გამოცემას წარუმიძღვარა. ის წერდა: „...ადამიანი ქვეყნად სატანჯველად კი არ არის გაჩენილი, არამედ პატიოსან შრომისა და ბედნიერ და ნეტარ ცხოვრებისათვის, ადამიანი — ადამიანის, თუ გინდ სხვა ეროვნების იყოს, ეს ადამიანი, მოსისხლე მტერი კი არ უნდა იყოს, არამედ ძმა და თავისი, და გასაყოფი არაფერი ჰქონდესო, ადამიანთა შორის უნდა სუფევდეს თავისუფლება, ერთობა და უმეტესად თანასწორობა, არ უნდა იყოს ერთის მხრივ მცონარა, მუქთახორა, ფუფუნებითა და განცხრომით მცხოვრები გაბატონებული კლასი და მეორეს მხრით მარტოოდენ მაშვრალი და

ტვირთშიძემ, მშიერ-მწყურვალ და ტანთჩაუტკმელი. ეს სიმართლე იმასა ჰლადადებს, რომ ყველა უნდა შრომობდეს და სასყიდლად ბედნიერება უნდა ენიჭებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმას, ვინც იღწვის და ვინც ოფლსა ჰღერის“.

მოტანილი სიტყვები მოწმობს, რომ თედო სახოკია ქადაგებდა ერებს შორის თანასწორობის, სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა შორის მეგობრობის იდეას.

დიდ ინტერესს იწვევს წერილები, რომლებიც ჩაგრულ ხალხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ხალხთა მეგობრობას შეეხება. ამ სტატიებსა და წერილებში იგი გაბედულად ილაშქრებს კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ოცნებობს უკეთეს მერმისზე, როდესაც კაცობრიობა ბოლოს მოუღებს დაპყრობით ომებს და ადგილი არ ექნება კოლონიურ ჩაგვრას.

თ. სახოკიას მიერ 1895 წ. გამოჩენილი პოლონელი მწერლის მილკოვსკის მოთხრობა „განთიადის“ ქართულად თარგმნამ ხელი შეუწყო ქართველთა შორის ჩაგრული ბულგარელი ხალხისადმი სიმპატიის გაღვივებას, ამ ორ ჩაგრულ ერს შორის რევოლუციური თანამეგობრობის განმტკიცებას. მოთხრობაში „განთიადი“, რომელიც მ. გორკის შეფასებით მწერლის შემოქმედებითი სიმწიფის ხანაშია დაწერილი, ასახულია თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბულგარელი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. მილკოვსკის მოთხრობა „განთიადის“ თ. სახოკიასეული ქართული თარგმანი 1895 წელს ჟურნალ „მოამბის“ III—XIII ნომრებში დაიბეჭდა და იმავე წლის ბოლოს ცალკე წიგნად გამოიცა.

წიგნისათვის დართულ მოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო წინასიტყვაობაში თ. სახოკია წერდა:

„ბულგარელი ხალხი მთელი ხუთი საუკუნე იჩაგრებოდა ოსმალებისაგან. ფეხქვეშ ითელებოდა მისი წმინდათაწმინდა ეროვნული, გრძნობა. აეყარა პატივი ბოლგართა ენას, მწერლობასა, აბუჩად იგდებდნენ მათ ეროვნულ ზნესა, ხასიათსა, ჩვეულებასა, მტარვალობით ეპყრობოდნენ მათ სარწმუნოებასა... ყოველ ფეხის გადადგმაზე ათახსირებდნენ მათ ოჯახსა, მოხუცებულსა, ჩვილსა, ქალსა და კაცსა...“

ერმა დაუმტკიცა ქვეყანას: მართალია საღათა ძილში მეძინა, მაგრამ ახლა გამოვიღვიძე. მართალია მკვდარი ვეგონე ყველას, მაგრამ ახლა ჰნახეთ, — ცოცხალი ვარ და მინდა ქვეყანას ვუჩვენო, რამდენი ენერჯია და გოლიათური ღონე ყოფილა დაფარული ჩემს ვითომდა მიმკდარებულ არსებაშიო... აი ეს ხანა, თავგანწირული ბრძოლისა და სისხლისღვრის ხანა, ეს დავრდომილი, ჩაგრული მამულისათვის თავდადების ხანაა აღნიშნული პოლონელი მწერლის (ეჟი ფსევდონიმია, ამ

მწერლის ნამდვილი გვარი არის მილკოვსკი) მოთხრობა „განთიადში“, რომელიც ჩვენ ქართულად ვთარგმნეთ და რომელიცა ჩვენთა მკითხველთათვის მიგვიძღვნია“<sup>1</sup>.

ვაზეთი „ივერია“ მაშინვე გამოხმაურებია თ. სახოკიას მიერ მოთხრობა „განთიადის“ წიგნად გამოცემას და მისთვის დადებითი შეფასება მიუცია.

მოთხრობა „განთიადი“ — ეკითხულობთ „ივერიის“ რედაქციის ბიბლიოგრაფიულ წერილში — იბეჭდებოდა ჟურნალ „მოამბეში“, დღეს კი ის მთარგმნელს გამოუცია ცალკე წიგნად. იგი ეკუთვნის ცნობილ პოლონელ მწერალს მილკოვსკის. მოთხრობის შინაარსად აღებულება ბულგარეთის მდგომარეობა ოსმალთა ხელში, განთავისუფლების წინა ხანებში.

...წიგნი დიდად საინტერესოა და მიმზიდველია თავისი შინაარსით. ჩვენს საზოგადოებას ძალიან უყვარს ისტორიული მოთხრობები. რაკი ჩვენი ისტორიიდან ვერა მივაწოდეთ რა, უცხო ენიდან უნდა ვეცადოთ ვთარგმნოთ ისტორიული მოთხრობები. იმიტომაც სრულიად დროის შესაფერად უნდა ვიცნოთ თ. სახოკიას თარგმანი... წიგნი გადმოთარგმნილია მშვენიერის ქართული ენით. ვისურვოთ ეს წიგნი გავრცელებულიყოს ჩვენს საზოგადოებაში“<sup>2</sup>.

მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში ძნელია დავასახელოთ მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც ისეთი ქმედითი იდეური ზეგავლენა მოეხდინოს საზოგადოებაზე, როგორც ეს მილკოვსკის (ეჟის) მოთხრობა „განთიადმა“ ქართველ საზოგადოებაზე მოახდინა.

მოთხრობაში მოტანილმა მიწისქვეშა საიდუმლო სადგომებს აღწერილობამ, რაც ბულგარელ რევოლუციონერთა არალეგალური მუშაობის პრაქტიკიდან იყო აღებული, დიდი დახმარება გაუწია ცნობილ ქართველ რევოლუციონერებს 1903 წ. ავლაბრის არალეგალური სტამბის მოწყობაში.

1946 წლის თებერვალში თ. სახოკია ამასთან დაკავშირებით წერდა: „...ჩემს მიერ თარგმნილი მილკოვსკის (ეჟის) მოთხრობა „განთიადი“, სადაც აღწერილია ბულგარელ ხალხთა რევოლუციური მოძრაობა თურქეთის წინააღმდეგ, პირველად 1895 წელს ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა და შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდა. მასსოვს ერთხელ შეეხვდი ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბის მომუშავეებს, რომლებმაც დიდი სიამოვნებით მოიგონეს ის ფაქტი, თუ რა

<sup>1</sup> ე ჟ ი, განთიადი, თ. სახოკიას „წინასიტყვაობა“, 1895, გვ. 1—11.

<sup>2</sup> ვაზ. „ივერია“, 1896, 14/IV, № 81.

დახმარება გაუწევია მათთვის ჩემს მიერ თარგმნილ მილკოვსკის (ეეის) მოთხრობა „განთიადს“ ავლაბრის არალეგალური სტამბის კონსპირაციული ბინის აშენების დროს“<sup>3</sup>.

თ. სახოკიას მიერ, პოლონელი რევოლუციონერი მწერლის მილკოვსკის (ეეის) მოთხრობა „განთიადის“ ქართულად თარგმნა და გამოცემა ადასტურებს იმ დიდ თანაგრძნობას, რაც სახელოვან ქართველ მწერალს ბულგარელი ხალხის მიმართ გამოუჩენია.

ამასვე ადასტურებს 1902 წელს ჟურნალ „მოამბის“ № 5-ში გამოქვეყნებული თ. სახოკიას ნარკვევი — „მებრძოლნი“. ამ ნარკვევში სახელოვანი მწერალი ქართველ საზოგადოებას აცნობდა თავისუფლების მოყვარე ბური ხალხის ბრძოლას ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. ნარკვევის გამოქვეყნება ბური ხალხისადმი იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობის ღრმა ინტერესის და თანაგრძნობის მაჩვენებელია. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ბურია ხალხის მხარეზედ მამაცურად იბრძოდა ქართველი ვაჟკაცი ნიკოლაზ ბაგრატიონი.

ნარკვევში თ. სახოკია მკითხველს მოუთხრობს სამშობლოსათვის ბური პატრიოტების თავგანწირული ბრძოლის შესახებ. ავტორი სიხარულს გამოთქვამს ბური ხალხის წინააღმდეგ ინგლისის მიერ კოლონიალური ომის შეწყვეტის გამო, და ამასთან ერთად, მკაცრად ესხმის თავს ინგლისელ კოლონიზატორებს. ის წერს: შეწყდა სამხრეთ აფრიკის ომი, ბოლო მოეღო დროებით მაინც ამდენი ხალხის უღეტას, მშვიდობისმოყვარე ხალხის ნაოფლარის ნაცარტუტებას. გამარჯვებული... ძლიერი ერი გამოვიდა, მაგრამ თვით სახელი ბურებისა, ამ ერთი მუჭა მხვენელ-მთესველი ხალხისა, რომელმაც გოლიათ ინგლისს შეჰბედა და პირში შეება, რათა თავის ოფლით მორწყული მიწა-წყალი, თავისი მამული დაეცვა, ვამბობთ სახელი ბურებისა სამახსოვროდ დარჩება. ისტორია არ დაივიწყებს სახელს ბურებისას, როგორც უებარ მეომართა, უზომო კეთილშობილთა,... თავის სამშობლოსათვის თავდადებულთა.

მთელი განათლებული კაცობრიობა გულის ფანცქალით მოელოდა ამ უსწორო ბრძოლის გათავებას, ყველას აღონებდა ცად ამაველი გოდება უმანკო მსხვერპლთა. თუ აქტიურად არა, პასიურად მაინც ყველას სიმპატია ბურებისაკენ იყო მიმართული“<sup>4</sup>.

---

<sup>3</sup> თ. სახოკიას აღნიშნული მოგონება აქეამად ინახება საქ. კპ ცკ-თან არსებულ პარტიისტორიის არქივში.

<sup>4</sup> ჟურ. „მოამბე“, 1902, № 5, გვ. 51.

ამ სიტყვებში შესანიშნავადაა გამოხატული თ. სახოკიას მეგობრული თანაგრძნობა და სიმპათია ბური ხალხისადმი; ის სასტიკად გმობს ინგლისელი კოლონიზატორების მოქმედებას და მათ „მუხანათებს“<sup>5</sup> უწოდებს.

ნარკვევში ავტორი ქართველ საზოგადოებას აცნობს ბური ხალხის თავდადებული ბრძოლის ეპიზოდებს.

ტყუილად ჰგონიათ — მიმართავს ტყვე ბურის ქალი ვილჰელმ-მიანა ინგლისელ ოფიცერს — ბურების ფერმაში ისე შეგვიძლიათ შესვლა როგორც სასტუმროში, ყველგან. საცა კი ერთი კაცი ან ერთი ქალი მოიძებნება, თუ კი თოფის ხმარება შეუძლია, ამნაირადვე დაგვიხვდება... და როცა ყველა სახლებს გადასწავთ და როცა ჩვენ მარტო ხეები დაგვიჩრება თავის შესაფარებლად, მაშინაც — კი არ შეგვიძლება თავისუფლად იუფლოთ ეს ქვეყანა.

ყოველ კლდისა და ყოველ ბუჩქს უკან დამალული იქნება თოფი, რომელმაც სიცოცხლეს უნდა გამოასაღმოს შემოსული ინგლისელი“<sup>6</sup>.

ნარკვევში მრავალი მაგალითია მოტანილი სამშობლოსათვის ბური ხალხის საუკეთესო შვილების თავგანწირული ბრძოლის შესახებ. ამგვარი მაგალითებით თედო სახოკია ქართველ საზოგადოებაში ერთი მხრივ ნერგავდა სამშობლოსათვის განმათავისუფლებელ რევოლუციურ საბრძოლო განწყობილებას და, მეორეს მხრივ, ჩაგრულ ხალხთა მიმართ მეგობრულ თანაგრძნობას გამოხატავდა.

საყურადღებოა თ. სახოკიას მემუარები, რომელსაც ის 1905 წ. ციმბირში დღიურების სახით წერდა. ამ მემუარებში თ. სახოკია დიდ სიყვარულს ამჟღავნებს რევოლუციური რუსი ხალხისა და მისი სახელოვანი შვილის ნ. გ. ჩერნიშევსკისადმი, რომელმაც გადასახლებაში გაატარა თავის ცხოვრების საუკეთესო წლები. „აქ იტანჯებიან და სასჯელს იხდიან — წერდა ის — რუსი, უკრაინელი, ქართველი, პოლონელი და სხვა ხალხთა საუკეთესო შვილები, მათ სწამთ თავისუფლების გამარჯვება და ამიტომ იტანენ ცივი ციმბირის მძიმე გადასახლებას“. ასე წერდა ციმბირში გადასახლებაში მყოფი თ. სახოკია თავის დღიურებში. შემდეგ ჩანაწერებს მან ვრცელი მემუარების სახე მისცა და მომავალ თაობას უანდერძა. თ. სახოკია ყოველთვის დიდი თანაგრძნობით ეხმაურებოდა ჩაგრულ ხალხთა გამათავისუფლებელ მოძრაობას. ის დიდი სიმპათიით წერდა იტალიელი ხალხის ეროვნული გმირის — ჯუზეპე გარიბალდის შესახებ. საყურადღებოა თ. სახოკიას წერილები,

<sup>5</sup> უფრ. „მოამბე“, 1902, № 5, გვ. 52.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 62.

რომელიც მან 1914 წელს ემიგრაციაში ყოფნისას პოლონელი ხალხის რევოლუციურ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მიუძღვნა.

ამ წერილებში, რომლებიც 1914 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ჩვენს ერის“ ფურცლებზე „პოლონეთი და პოლონელების“ სახელწოდებით, სახელოვანმა მწერალმა შესანიშნავად გამოხატა პოლონელი ხალხისადმი ქართველი ხალხის მეგობრული დამოკიდებულება.

თ. სახოკია მკითხველ საზოგადოებრიობას აუწყებდა 1914 წლის გაზაფხულზე ევროპის დიდი სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევას, რომელსაც უნდა განეხილა ალბანეთისათვის „დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხი“. ამასთან დაკავშირებით პოლონეთის სხვადასხვა პარტიები შეთანხმებულან და კონფერენციისათვის მიუმართავთ პეტიციით, რომელშიც მოითხოვდნენ რათა ალბანეთის მსგავსად პოლონეთისათვის ავტონომიის მინიჭების საკითხიც ყოფილიყო განხილული. ამის შესახებ თ. სახოკია წერდა: „საეჭვოა, ევროპამ თავი გამოიდვას და პოლონეთის ერის ჭრილობას რაიმე უებარი წამალი დაადვას“.

ემიგრაციაში მყოფ თ. სახოკიას საფუძვლიანად ჰქონია პოლონეთის საკითხი შესწავლილი და იმ დასკვნამდე მისულა, რომ პოლონეთის საკითხის განხილვა ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კონფერენციაზე უშედეგოდ დამთავრდებოდა. მაგრამ მას მაინც საჭიროდ მიუჩნევია, ქართველ მკითხველებისათვის გაეცნო პოლონელი ხალხის მდგომარეობა.

„...24 მილიონი ერი — წერდა თ. სახოკია პირველ წერილში, დანაწილებული ჰყავს სამ სხვადასხვა სახელმწიფოს...“

პოლონეთის ერს წართმეული აქვს უფლება თავის ეკონომიურ ცხოვრებას თვითონვე გაუწიოს კონტროლი... ძველად ექვსი უმაღლესი სასწავლებელი ავრცელებდა ხალხში სწავლა-განათლებას... დღეს წამლად ერთი პოლონური უნივერსიტეტიც კი აღარ არის, აღარც აკადემია. პირველდაწყებითი სასწავლებელი მთავრობის ხარჯით არ ინახება და თვით კერძო სწავლა-განათლების საქმეს ათასგვარი დაბრკოლება ელობება წინ“.

სხვა სტატიებში თედო სახოკია პოლონელი ხალხის XIX საუკუნის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას ეხება და ყურადღებას ამახვილებს პოლონეთის 1830, 1846 და 1863 წლების აჯანყებებზე. „მეფის რუსეთის მიერ პოლონეთის ავტონომიის გაუქმებამ, — ვკითხულობთ წერილში, — 1830 წლის აჯანყება გამოიწვია. პოლონელთა მხრივ აუარებელი სისხლის ღვრისა და თავგანწირული ბრძოლის შემდეგ, ეს აჯანყება მხოლოდ 1831 წლის დასასრულს იქნა ჩაქრობილი. რაც შეეხება პოლონეთის დანარჩენ ნაწილს, ორ სხვა



სახელმწიფოს უღელქვეშ მყოფს, იმასაც არ აკლდა შევიწროება და აქაც 1846 და 1848 წლების განმავლობაში ახალმა აჯანყებებმა იჩინეს თავი. პოლონელებმა სცადეს გადაეგდოთ ავსტრიისა და გერმანიის უღელი, მაგრამ აქაც დამარცხდნენ“.

„ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ამ საკითხისა, — წერდა დასასრულს თ. სახოკია — ის იქნებოდა, რომ მთელი პოლონეთი გაერთიანდებოდეს, მაგრამ პოლონელებმა ძალიან კარგად იციან, რომ მის განხორციელებას ხანგრძლივი ბრძოლა სჭირდება“.

თედო სახოკიას ამ სტატიებში მოცემულია პოლონელი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შესანიშნავი დახასიათება. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პირველი ისტორიული ნარკვევი პოლონეთის შესახებ, რომლის მსგავსი ქართულ პუბლიცისტიკას მანამდე არ გააჩნდა.

ეს წერილები საბრძოლო პათოსით იყო გამსჭვალული. თ. სახოკია მხოლოდ საკითხის განხილვით როდი კმაყოფილდება. იგი გზადაგზა ქართველი ხალხის ისტორიულ ბედსაც ეხება, მოითხოვს დახმარება გაუწიონ იმ ხალხებს, რომლებიც პოლონელების მსგავსად გაჭირვებულნი არიან.

თედო სახოკიას ამ სტატიებმა მეფის მთავრობის მოხელეთა გულისწყრომა გამოიწვია. 1914 წლის 5 აპრილს ქუთაისის გუბერნიის ბეჭდვითი საქმის ინსპექტორი თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში მოითხოვდა, რომ ყოველდღიური გაზეთის „ჩვენი ერის“ რედაქტორი ს. გერსამია, წერილის „პოლონეთი და პოლონელების“ გაზეთში მოთავსებისათვის, როგორც მძიმე დამნაშავე, პასუხისგებაში მიეცათ.

აღნიშნული მიმართვის საფუძველზე თბილისის სასამართლო პალატის პროკურორს სასწრაფოდ დაუწყია ძიება გაზეთ „ჩვენი ერის“ რედაქტორი მაშინვე პასუხისგებაში მიეცა. ამ საქმეზე შედგენილ საბრალმდებლო აქტში აღნიშნულია, რომ გაზეთში დაბეჭდილი სახოკიას სტატიები აშკარად ეწინააღმდეგება მეფის მთავრობის პოლიტიკას.

გამოჩენილი ქართველი მწერლის თედო სახოკიას პოლიტიკური მოღვაწეობის ეს ფაქტები შესანიშნავი დადასტურებაა იმისა, თუ როგორი შეუურიგებლობით იბრძოდა იგი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, რა მღელვარე თანაგრძნობით ეხმაურებოდა ჩაგრულ ხალხთა რევოლუციურ-გამათავისუფლებელ მოძრაობას და რა დიდად ზრუნავდა ქართველ ხალხში რევოლუციური პატრიოტიზმის დანერგვისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

მოგონება

რევოლუციამდელ პერიოდში ჩვენ გვყავდა ენერგიული, ჩუმი და უნაგარო მოღვაწეთა ერთი საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი, რომლის წარმომადგენელი მუდამ ტრიალებდნენ ხალხის ფართო მასებში, ეცნობოდნენ მათ ყოფა-ცხოვრებას და ზრუნავდნენ მათში შეეცნათ სწავლა-განათლება, კულტურა, ეროვნულ-პოლიტიკური გათვითცნობიერება. ისინი ყოველთვის განიცდიდნენ მეფის მთავრობის აგენტთაგან დევნა-შევიწროებას, ხშირად, ძალიან ხშირად, ნივთიერი გაჭირვებაც აწუხებდათ, მაგრამ ყოველივე ამას დიდი სულგრძელობით იტანდნენ, ერთხელ არჩეული გზით სიარულს უდრეკად განაგრძობდნენ და მედგრად ეწეოდნენ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ჭაპანს.

ამ ჯგუფის წევრები იყვნენ: ცნობილი მწიგნობარი—ზაქარია ჭიჭინაძე, ივანე როსტომაშვილი, იოსებ იმედაშვილი, ილია ალხაზიშვილი, გიორგი სალარიძე (მწერლობაში „გ. ახალციხელი“), კოტე მესხი, ი. გვარამაძე წერდა ფსევდონიმით — „ვინმე მესხი“, ისიდორე კვიციანიძე (მწერლობაში „ისო“) და კიდევ რამდენიმე სხვაც.

ამ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი თედო სახოკიას ეჭირა. თ. სახოკია დაუღალავი, უშიშარი და თავდაუზოგავი საზოგადო მოღვაწე იყო. თუ ამას მოითხოვდა მისი სამშობლო, ქვეყნის საჭიროება და კეთილდღეობა სახიფათო დავალებათა შესრულებასაც კი კისრულობდა. ცნობილია მისი აქტიური მონაწილეობა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებით, ევროპიდან იარაღის გადმოზიდვის საქმეში... მაგრამ ამაზე ლაპარაკს არ გამოვუდგები, შორს წავიყვანს... მე აქ მხოლოდ მინდა მოგონების სახით, ამ შესანიშნავ ადამიანზე რამდენიმე ცნობის გადმოცემა.

თედო სახოკია, ასეთი მწერალი და მოღვაწე რომ არსებობდა, მე პირველად გავიგონე მოწაფეობის დროს, 1909 წელს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ვსწავლობდი. მეხუთე კლასის მოწაფე ვიყავი (ქართულ გიმნაზიაში იყო ოთხი მოსამზადებელი განყოფილება და რვა კლასი, პროგრამის მიხედვით მაშინდელი მეხუთე კლასი დაახლოებით უდრიდა ახლანდელ საშუალო სკოლის მეცხრე კლასს). საქართველოს ისტორიას და ქართულ ლიტერატურას გვასწავლიდა მწერალი და ის-

ტორიკოსი სიმონ ქვარიანი. მოწაფეებმა მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით შევადგინეთ აღნიშნული საგნების შემსწავლელი წრე. ყოველ შაბათს, საღამოთი, ვიკრიბებოდით ს. ქვარიანის ოჯახში და სხვადასხვა თემაზე ვკითხულობდით რეფერატებს. ეს ჩვენი რეფერატები რა ღირსების იქნებოდა სხვა საკითხია, მაგრამ ამ წრემ ჩვენს გონებრივ განვითარებაზე და ეროვნულ გათვითცნობიერებაზე დიდი გავლენა იქონია. ჩვენს მომავალ ცხოვრებას გარკვეული მიმართულება მისცა.

ერთ-ერთ მორიგ შეკრებისას ს. ქვარიანმა მოგვიტანა საშუალოზე ნაკლები ფორმატის, არც ისე სქელი წიგნი და გვითხრა:

— საინტერესო წიგნია, მისი ავტორია თედო სახოკია, წაიღეთ სათითაოდ, წაიკითხეთ მორიგეობით და როცა წაიკითხავთ ერთმანეთს აზრი გაუუზიაროთო.

ეს წიგნი იყო „სამშობლოსათვის თავდადებულნი“, გამოცემული 1910 წელს. 54 წლის წინანდელი ამბავია, წიგნის შინაარსი დაწვრილებით არ მახსოვს, მაგრამ საერთოდ იქ იყო ბულგარელი ხალხის პატრიოტ შვილებზე, რომელნიც გმირულად იბრძოდნენ თურქეთის მონობის ქვეშ მყოფ სამშობლოს განთავისუფლებისათვის, იყო ლაპარაკი იტალიელ პატრიოტ ჯუზეპე გარიბალდზე და თუ მეხსიერება არ მდლატობს სხვებზეც. წიგნი უბრალო, გასაგები და მიმზიდველი ენით იყო დაწერილი. მკითხველს ძლიერ იზიდავდა და მასში პატრიოტული გრძნობების გაღვივებას ხელს უწყობდა... ავტორიც ამ თავის ნაშრომს ასეთ მიზანსაც უსახავდა და მას ჩინებულადაც აღწევდა.

წრის წევრებმა წიგნი საჩქაროდ წაიკითხეთ. წრის გარეშე მყოფ ზოგიერთ ამხანაგსაც ვაცნობეთ მისი არსებობა და შინაარსი გავაცანით. ზოგი მათგანი დაინტერესდა, წიგნი იშოვა და წაიკითხა.

უნდა აღინიშნოს ერთი ამბავი, ქუთაისელ ხელოსანთაგან წიგნების კითხვით ბევრი იყო დაინტერესებული. ასეთი პირების დაზგაზე ხშირად დაინახავდით იაფფასიან სახალხო წიგნებს და შესვენების დროს კითხულობდნენ. ზოგი მათგანი კვირა-უქმედლებს სულ კითხვაში ატარებდა. განსაკუთრებით ეტანებოდნენ საგმირო-სათავგადასავლო და ისტორიული შინაარსის მქონე წიგნებს. მათ შორის პოპულარობით სარგებლობდა წიგნები: „არსენას ლექსი“, „ყარამანიანი“, ილია ჭავჭავაძის — „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „დედა და შვილი“, აკაკი წერეთლის — „თამარ მეფე“, „პატარა კახი“, „ორი ქართველი — ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი“, ვ. აბაშიძის შედგენილი კრებული — „ჩანგი“ და სხვ. მათ შორის, ზოგან თ. სახოკიას წიგნი „სამშობლოსათვის თავდადებულნი“-ც მოიპოვებოდა.

ამის შემდეგ გავიდა წლები. ქუთაისში ხმები გავრცელდა — თურმე ძველი ღროიდან აფრიკაში ქართველები ცხოვრობენ და ბევრი მათგანი ახლაც კი ქართულად ლაპარაკობსო. თბილისელებს ეს ამბავი გაუგიათ, დაინტერესებულან და გადაუწყვეტიათ აფრიკაში ვინმე გაგზავნონ იქაური ქართველების გასაცნობად და ყოფა-ცხოვრების შესასწავლადო. ამბობდნენ, ეს საქმე თედო სახოკიამ იკისრა და გამგზავრება კიდევო, რადგან საკითხით ძლიერ დაინტერესებულია და ძლიერ გაბედულიც არისო. ქუთაისელი საზოგადოება ამ საკითხით ძლიერ დაინტერესდა და ხშირად გაიგონებდით მუსაიფის დროს: — „საწყალი საქართველო, რამდენი უბედურება აქვს გადატანილი,... აქეთ ფერეიდანელი ქართველები, იქით აფრიკელები. ეჰ ვინ იცის კიდევ ეგებ სხვაგანაც არიან თავშეფარებულიო...“ თედოს აფრიკაში გამგზავრებას პატრიოტულად განწყობილი ქართველები მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ მისი გამგზავრება ვერ მოხერხდა, რადგანაც საამისო ნივთიერი საშუალებები ვერ გამოიძებნა. ჩვენ, ახალგაზრდები, გარდა იმისა, რომ თედოს პატრიოტიზმით აღტაცებული ვიყავით, ამავე დროს, იგი გაბედულ კაცად — გმირად გვყავდა წარმოდგენილი.

1914 წლის გაზაფხულიდან ქუთაისში გამოდიოდა ყოველდღიური გაზეთი — „ჩვენი ერი“, რომლის რედაქტორ-გამომცემელიც მე ვიყავი. თედო ამ დროს საზღვარგარეთ, სახელდობრ ლონდონში ცხოვრობდა, როგორც ემიგრანტი. გაზეთის მუდმივმა თანამშრომლებმა, ცნობილმა პუბლიცისმა და საზოგადო მოღვაწემ გრიგოლ ივანეს ძე გველესიანმა და მწერალმა დავით მესხმა — „თმა პუსამ“ (სერგეი, კოტე, ივანე და ეფემია მესხების ძმა იყო) თედოს ცალ-ცალკე გაუგზავნეს წერილი, თანამშრომლობა სთხოვეს და თანაც მიწერეს ჩვენი რედაქციების სილარიბის ამბავი კარგად იცი, ამიტომ დიდ ჰონორარს ვერ დაგპირდებით, ცოტ-ცოტას კი დროგამოშვებით გამოგიგზავნითო... კარგა ხანი გავიდა. რედაქციამ ლონდონიდან კარგა მოზრდილი პაკეტი მიიღო, რომელშიც აღმოჩნდა თ. სახოკიას ვრცელი სტატია სათაურით — „პოლონეთი და პოლონელები“, აგრეთვე იყო კერძო, საპასუხო წერილიც. თედო სიხარულს გამოთქვამდა, რომ „ჩვენი ერის“ წინამორბედი გაზეთის მთავრობის განკარგულებით დახურვის შემდეგ, მისი ვაგრძელება რომ შესაძლებელი შეიქნა. გაზეთში თანამშრომლობაზე თანხმობას აცხადებდა და თანაც უმატებდა — „კვდარი კვდარს აეკიდაო“ ისე გამოვა, თქვენ რა გაგაჩნიათ, რომ იქიდან შე რამე მომაწოდოთ. არაფერს გთხოვთ, უჰონორაროდ ვითანამშრომლებო.

თედოს სტატიის ბეჭდვა დაიწყო გაზ. „ჩვენი ერის“ ფურცლებზე 1914 წლის მარტის ბოლო რიცხვებში. ის ეხებოდა პოლონეთის ეროვნული თავისუფლების საკითხს. სტატიის დაწერა გამოიწვია შემ-

დეგმა გარემოებამ: იმ ხანად, ლონდონში შესდგა დიდ სახელმწიფოთა დიპლომატურ წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ბალკანეთის ომთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება. პოლონეთის პოლიტიკურმა პარტიებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და კონფერენციაში შეიტანეს ერთობლივი პეტიცია და ითხოვდნენ, კონფერენციის შედგენილობას პოლონეთის მდგომარეობისათვის მიექცია ყურადღება და მსჯელობის საგნად გაეხადა. პოლონელთა ასეთმა გამოსვლამ მაშინ დიდი ინტერესი გამოიწვია, განსაკუთრებით დაინტერესდნენ დიდ სახელმწიფოთა მორჩილებაში მყოფი წვრილი ერები, რომელნიც პოლონელთა მსგავსად დიდ ეროვნულ შევიწროებას განიცდიდნენ. თედომაც ამ შემთხვევით ისარგებლა და თავის სტატიაში გააშუქა სამ სახელმწიფოს შორის (რუსეთი, გერმანია და ავსტრო-უნგრეთი) განაწილებული პოლონეთის ეროვნული მდგომარეობა და შეეხო იმას თუ რა არის საჭირო პოლონეთისათვის. მართალია სტატია ეხებოდა პოლონეთს, მაგრამ ფაქტიურად ის ეხმაურებოდა სხვა დაჩაგრულ პატარა ერთა ეროვნულ მისწრაფებასაც.

ის იბეჭდებოდა ფელეტონებად (ახლა „სარდაფს“ — პოდვალს“ რომ ეძახიან, მაშინ მას ფელეტონს უწოდებდნენ). დაიბეჭდა რამდენიმე ფელეტონი, ხოლო სტატიის დასკვნითი ნაწილი ე. ი. უკანასკნელი ფელეტონი გამოქვეყნდა 3 აპრილს (№ 15).

პირველი მსოფლიო ომის წინაპერიოდში წინასწარი ცენზურა არ არსებობდა, გაზეთი დაიბეჭდებოდა თუ არა იგი ხელზე გამყიდველებს სტამბიდანვე ურიგდებოდა გასაყიდად; იქიდანვე, პირდაპირ ეგზავნებოდა ჟურნალ-გაზეთების კანტორას გასაერცელებლად. პარალელურად ახლადგამოცემული ნომრის რამდენიმე ეგზემპლარი ეგზავნებოდა ცენზორს ნებართვის გასაცემად. ცენზორიც, შიგ თუ რაიმეს ისეთს იპოვიდა რისი გამოქვეყნებაც პოლიტიკური თვალსაზრისით მავნებლად მიაჩნდა, გაზეთის ნომერს შეაჩერებდა, გავრცელებას აკრძალავდა და პოლიციის საშუალებით ჟურნალ-გაზეთების კანტორაში დარჩენილ გაუყიდველ ეგზემპლარებს კონფისკაციის წესით წაიღებდა... „ჩვენი ერის“ 3 აპრილის ნომერიც (№ 15) ჩვეულებრივი წესით დარიგდა. მეორე დღეს ე. ი. 4 აპრილს, ასე დილის 10 საათზე, რედაქციაში მივიღივარ. გზაზე შევიარე ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში“ (მაშინ ქუთაისში ის ერთადერთი კანტორა იყო). შესვლისთანავე კანტორის გამგემ ისიდორე კვიციანიძემ (მწერლობაში მისი ფსევდონიმი იყო — „ისო“) მითხრა: „გუშინ საღამოს შენს გაზეთს, ცენზორის განკარგულებით, პოლიციამ კონფისკაცია გაუკეთა“-ო... როგორ ხასიათზე დავდგებოდი ადვილი წარმოსადგენია, რადგან კონფისკაცია, როგორც წესი, ყოველთვის სასამართლოთი

მთავრდებოდა... მაგრამ რას იზამ როცა ძალა აღმართსა ხნავს... შევედი რედაქციაში... იქაც ყველანი ცხვირჩამოშვებული არიან. გავიგე რომ კონფისკაციის მსხვერპლი სულ 100—120 ეკზემპლარი გამხდარა, დანარჩენიდან ზოგი ხელზე გამყიდველებს უკვე გაუყიდიათ, ზოგიც დამტარებლებს ჰქონიათ ხელზე, ხელის მომწერთათვის დასარიგებლად. ქუთაისის გარეთ მცხოვრებ ხელმომწერლებისათვის ვაზეთის ფოსტით გავზავნა ვერ მოუსწრიათ... ავიღეთ აკრძალული ნომერი და ვათვალისწინებთ, ვეძებთ იმ ადგილს რამაც გამოიწვია მისი აკრძალვა... ამასობაში შემოვიდა ცენზორიდან გამოგზავნილი შიკრიკი და მე მიკითხა... გადმომცა საღარბაზო ბარათი, სადაც ეწერა: „პატივცემულ სერგო ლუკას ძევი! გთხოვთ ამ საღამოს საათის 9-ზე მობრძანდეთ ჩვენთან ჩაიზე. უეჭველად გელით. პატივისცემით ეგნატე ნიკიტას ძე სუდაკოვი“. ყველა მივხვდით რა მიზნით მპატიყებს, მაგრამ უნდა ვეწვიო, მეტი რა ჯანია. ეს სუდაკოვი წინათ ქუთაისის რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორის თანამდებობაზე მუშაობდა. დედა ქართველი ჰყავდა და ქართული ენა კარგად იცოდა. ამავე დროს იყო უკიდურესი მემარჯვენე და რეაქციონერი... და ცენზორადაც ამიტომ დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს ცდილობდა ორ სკამზე ჯდომას, ვითომ ლმობიერებას იჩენდა, მაგრამ ფაქტიურად პროგრესულ პრესას ძალზე ავიწროებდა. ვაზ. „ჩვენი ერი“ სულ რაღაც ორი თვეც არ გამოდიოდა და მე სამჯერ მიმცა პასუხისგებაში... დანიშნულ დროზე მივედი მასთან. თავაზიანად და პირზე ღიმილით შემხვდა. მითხრა: რედაქტორებსა და ცენზორს შორის ახლო დამოკიდებულება უნდა არსებობდეს და თქვენ — რედაქტორები ამას გაურბიხართ და ამიტომაც ხშირად იქმნება უსიამოვნო მდგომარეობაო და სხვა ასეთები. შემეყვანა თავის კაბინეტში, გადამიშალა „ჩვენი ერი“-ს აკრძალული ნომერი და მიჩვენა სტატიის საბედისწერო ადგილი. თედოს სტატია აღმოჩნდა. სულ ხუთი თუ ექვსი სტრიქონი იყო წითელი მელნით ხაზგასმული... წავიკითხე და უკვე მივხვდი რაშიც იყო საქმე.

— ბატონო, ახლანდელმა ჩვენმა მწერლებმა და ჟურნალისტ-პუბლიცისტებმა წერა არ იციან. პირდაპირ წერენ რაც ენაზე მოადგებათ და ამას რა მოჰყვება არ ითვალისწინებენ. თქვენც, ვინც ვაზეთის ნომრისთვის მასალებს ამზადებთ, ყველაფერს ზერეგლედ ეპყრობით და სიფხიზლეს არ იჩენთ... აი შედეგიც ასეთია. მერმე ჩვენ ცენზორებს გვაბრალებთ ყველაფერს და გვლანძღავთ, ჩვენ კი დამნაშავე არაფერში ვართ. მე იძულებული ვიყავი ეს ნომერი ამეკრძალა. იძულებული ვარ საქმე პროკურორს გადავსცე, ასეა წესი. მე იმისთვის მოგიწვიეთ რომ გავაფრთხილოთ და გთხოვოთ მომავალში მეტი სიფრთხილე გამოიჩინოთ, თორემ შეიძლება უფრო მეტ ხიფათს გადაეკიდოთ.

მე ჩემის მხრივ შევაპარე სიტყვა და ვუთხარი: აწი უფრო ფრთხილად ვიქნებით, ნომრის კონფისკაციით: დაკმაყოფილებით და საქმეს პროკურორს ნუ ჭადსაცემთ მეთქი. ამაზე მიპასუხა:

— არა ჩემო კარგო, ამა ვერ ვიზამ. შენ პასუხისგებაში არ მიგცე, ხომ იცი ჩვენი ხალხის ამბავი, ვინმე შარიანი კაცი აღმოჩნდება და უმადლეს ორგანოში მიჩივლებს, აშკარა დამნაშავეს ხელს აფარებსო და პასუხს მომთხოვენ... და ჩემს პასუხისგებაში მიცემას, შენი პასუხისგებაში მიცემა მირჩევნია.

ეს ორ სკამზე ჩამომჯდარი ცენზორი „ჩვენს ხალხში“ ვის გულისხმობდა? მაგრამ, ყველაფერი ეს ისეთი ტონით მითხრა, რომ სიტყვის გაგრძელება ზედმეტად ჩავთვალე... ჩაი გეახელით: და დაღონებული წამოვედი.

პასუხისგებაში მიმცეს რუსეთის საიმპერიო კანონთა სისხლის სამართლის 129 მუხლის საფუძველზე. ეს მუხლი ითვალისწინებდა დამნაშავეს დასჯას 1 წლიდან 6 წლამდე ციხეში პატიმრობით (заклѣчение в крепости), ეს მშვიდობიანობის პერიოდში. ხოლო ქმედობა თუ ჩადენილი იყო ომიანობის დროს მაშინ უფრო სასტიკი სასჯელი იყო ვათვალისწინებელი.

სიტყვას აღარ ფავაგრძელებ, შევებები პირდაპირ სასამართლოს. აქაც მოკლედ მოვჭრი.

საქმე ფაარჩია კავკასიაში სასამართლოს უმადლესმა დისტანციამ — სასამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, დახურულ კარებში. საქმე ფაარჩია ქუთაისში 1914 წლის 3 ნოემბერს. სასამართლოს თავმჯდომარეობდა პალატის წევრი მის. გეგიძე, ის იყო მოლიბერალო შეხედულების და ლაპარაკობდნენ ძლიერ წესიერი კაციაო. ბრალდებულად იყო სასამართლო პალატის პროკურორის მოადგილე სკულსკი. გასამართლებაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყვნენ: ქუთაისის გუბერნიის თავდა-აზნაურობის წინამძღოლი დავით ოტიას-ძე ნიჟარაძე, ქუთაისის ქალაქის თავი ილია მანუჩარის-ძე ჩიქოვანი (მწერლობაში ი. პონტელი) და სოფ. ფარცხანაყანევის მამასახლისი, რომლის ფვარიც სამწუხაროდ, კარგად არ მახსოვს, ვგონებ კახეთელიძე იყო. მე მიცავდნენ ქუთაისელი ადვოკატები—ცნობილი ქუთაისელი მოღვაწე მეჭი ფადავა და ჟურნალისტი გრიგოლ ლალიძე (მისი ფსევდონიმები იყო „დალი“ და „ლალი“).

საბრალმდებლო აქტში ბრალდება ისე იყო ჩამოყალიბებული, თითქოს სტატიის ავტორი თ. სახოკია სეპარატისტია, ამიტომ სტატიაში იცავს და ავრცელებს იმ აზრს, რომ საქირთა სრულიად რუსეთის იმპერიას პოლონეთი სულ ერთიანად ჩამოსცილდეს, მას შეუერთ-

დეს პოლონეთის სხვა ნაწილებიც და დაარსდეს დამოუკიდებელი პოლონეთის სახელმწიფო. გაზ. „ჩვენი ერი“ ავტორის ამ შეხედულებებს იზიარებს და სტატიაც ამისათვის გამოაქვეყნა და მე, როგორც გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი სეპარატისტი ვარ და მოსახლეობაში სეპარატისტულ იდეების გავრცელებას ვეწევი და სხვა ასეთები. პროკურორი წამოყენებულ ბრალდებას მტკიცედ იცავდა. ის რიხიანად ლაპარაკობდა და თქვა: ვინაიდან სტატიის ავტორი ემიგრაციაში იმყოფება და მისი პასუხისგებაში მიცემა შეუძლებელია, ამიტომ გაზეთის რედაქტორი უნდა დაისაჯოს, როგორც სტატიის ავტორის მხარის დამკვირ და მისი იდეების გამავრცელებელი.

ჩემი დამცველები კარგი ორატორები იყვნენ და პროკურორს არა ნაკლები რიხით გასცეს პასუხი... მათ საპასუხოდ პროკურორი ისევე გამოვიდა. ამ დროს ჩემთან ორივე დამცველი მოვიდა და მითხრეს: ერთი წლით პატიმრობა არავითარ შემთხვევაში არ აგცილდება და როცა შენ მოგეცემა სიტყვა ეს გარემოება გაითვალსწინე და როგორც ჰკუაში დაგიჯდეს ისე ილაპარაკეო. აქაც ლაპარაკს არ გავაგრძელებ, ამბავს სხვა უფრო მონერჩებულ დროისთვის შემოვინახავ, მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავ, როცა სასამართლოს თავმჯდომარემ სიტყვა მომცა მე ვთქვი: გაზ. „ჩვენი ერი“ სეპარატისტულ იდეებს არ იცავს. ამის შესახებ ცნობებს პროკურორი გაზეთის ვერც ერთ ნომერში ვერ იპოვის. გაზეთი, რუსეთის იმპერიის საზღვრებში მყოფ პატარა ერთა ავტონომიის მომხრეა. ის ამ პრინციპზე მტკიცედ დგას, აქედან გამომდინარე, არც სტატიის ავტორი და არც მე როგორც გაზეთ „ჩვენი ერის“ რედაქტორი, სეპარატისტები არა ვართ, ავტონომიის მომხრე ვართ და გამოქვეყნებულ სტატიაშიც არსად ჩანს სეპარატისტული იდეების პროპაგანდის კვალი მეთქი.

სასამართლომ მომისაჯა ერთი წლით პატიმრობა ციხეში (заключен в крепости)... ძაგრამ აქ მოხდა ერთი საყურადღებო ამბავი, რაც მაშინდელ რეაქციონულად განწყობილ ზოგიერთ ელემენტთა სულიერ განწყობილებას კარგად ახასიათებს და საჭიროდ მიმაჩნია მოვიხსენიო. სასამართლოს თავმჯდომარე გუგუიძე და მსაჯულებიც სასჯელის ერთი წლის ვადით განსაზღვრის მომხრე იყვნენ, ზოლო მამასახლისი მათ არ დაეთანხმა და სასჯელის ვადის გაგრძელებას მოითხოვდა. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ იგი ხალხის მიერ არჩეული მამასახლისი კი არ იყო, არამედ მთავრობის დანიშნული და ცნობილია რომ მთავრობა თუ რაიმე მიზეზით მამასახლისს დანიშნავდა, ასეთი მამასახლისო პირი უეჭველად მეფის მთავრობის რეჟიმის ერთგული დამცველი იყო. თავის რეაქციონერობა ჩემმა მსაჯულმა



მამასახლისმა სასამართლოს სხდომაზე გამოამჟღავნა: სასამართლომ განაჩენი ხმის უმეტესობით გამოიტანა, მაგრამ ამ განაჩენს მამასახლისმა ხელი არ მოაწერა... და ასეთი მოქმედებით პროკურორს სენატში კასაციის გადატანის საშუალება მისცა, მაგრამ პროკურორმა, არ ვიცი რა მიზეზით, თავის უფლებებით არ ისარგებლა, საქმე კასაციის წესით არ გადაიტანა და პალატის განაჩენიც დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ ძალაში შევიდა...

მე სასჯელი მოვიხადე ქუთაისის საგუბერნიო ციხეში.

ამის შემდეგ გავიდა 23 წელიწადი. მე სულ რაიონებში ვცხოვრობდი, თბილისის იშვიათი სტუმარი ვიყავი და არ მომეცა თედოს გაცნობის საშუალება. მე თბილისში საცხოვრებლად გადმოვედი 1938 წელს. ერთ დღეს რუსთაველის პროსპექტზე მივიღივარ, გავიხედე, ქუთაისელი გაზეთების ყოფილი თანამშრომელი სოლომონ ცაიშვილი მოდის (მაშინ ის წერდა ს. ცაიშელის ფსევდონიმით). მას ერთი გამხდარი, ჭალარამოსილი სახდომიანი სახის კაცი მოყვება... მე და სოლომონი ერთმანეთს მივესალმეთ, შემაჩერა, მიუბრუნდა თანამგზავრსა და უთხრა:

— თედო! შენ ამ კაცს არ იცნობ? ეს არის ის პირი, რომელიც შენის სტატიისათვის ერთი წელიწადი ციხეში რომ იჯდა.

— ეს არის ის გერსამია შენ რომ მელაპარაკებოდი? ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა — ღიმილით მითხრა. მერე სახე მოელუშა და მწუხარე ხმით მითხრა: ძალიან გვაწუხებს რომ უნებლიედ მოგაყენეთ სასჯელი-ო და დამიწყო მობოღიშება: — „მაპატიეთ, რომ უსიამოვნება მოგაყენეთ, დაგსაჯეთ“ და სხვ.

— რას ბრძანებთ, ბატონო თედო, თქვენ რა შუაში ხართ, თქვენ ზომ პროკურორი ან მოსამართლე არ იყავით, თქვენ სრულიად უდანაშაულო ხართ. თქვენ როგორც ავტორმა საჭიროდ სცანით ასეთი სტატიის გამოქვეყნება და რედაქციამაც თქვენი აზრი გაიზიარა, ის გამოაქვეყნა. ამას ჩვენი ხალხის ეროვნულად გათვითცნობიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს არის და ეს. თქვენ ჩემს წინაშე დანაშაული არ მიგიძღვით, ამაში მთავრობა იყო დამნაშავე.

— მართალია, მაგრამ მთავრობას საბაბი მე მივეცი-ო თქვა და კვლავ განაგრძო ბოდიში. ის ღელავდა, წუხდა, მე კი ვამშვიდებდი... მერე როგორც იქნა გადავედით სხვა ამბავზე.

ამ შეხვედრა-გაცნობამ ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა. საკვებით დავრწმუნდი იმაში, რასაც თ. სახოკიაზე ლაპარაკობდნენ. რომ ის არის: კეთილშობილი, სათნო, პატიოსანი და თავმდაბალი ადამიანი.

ამის შემდეგ თედოს დროგამოშვებით ვხვდებოდით. ვმუსაიფობდით. ტკბილი მოლაპარაკე იყო. უყვარდა წარსულ თავგადასავალთა მოგონება. მისი გონება, მისი აზრი მუდამ ფარვანასავით თავს დატრიალებდა სამშობლო ქვეყნის ბედ-იღბალს. საერთოდ დიდი პატრიოტი იყო და მუდამ იმაზე ფიქრობდა თავის ქვეყნისთვის რა სასარგებლო საქმე გაეკეთებია.

მე მაშინ სათეატრო მუზეუმში ვმუშაობდი და ზოგჯერ იქაც შემომივლიდა. ერთხელ მიამბო როგორი გაჭირვებით იმართებოდა სახალხო თეატრში წარმოდგენები და თქვა: — პოლიციამ მოითხოვა იგივე პიესა, რომელიც ქართულ ენაზე დაიდგმებოდა, იმავე სცენის მოყვარეებს რუსულ ენაზეც უნდა წარმოედგინათო და რუსულად როლების შესრულება მეც მიხდებოდა. — მერმე დაუმატა — ჩემი სემინარიული აქცენტით როგორ შევასრულებდი როლებს ადვილი წარმოსადგენიაო. ჩემი ლაპარაკი რუსულის მცოდნეთა სიცილს იწვევდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, ოღონ ადმინისტრაციას ქართული სახალხო წარმოდგენების მართვა არ აეკრძალაო.

1950 წელს სოხუმის თეატრის ისტორიის დაწერა მომანდეს. შევუდექი მასალების შეკრებას. ერთხელ როცა თედო მუზეუმში მეწვია ვთხოვე სოხუმში ქართული წარმოდგენების მართვის შესახებ მოგონებების დაწერა. ის სოხუმში დიდხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, წარმოდგენების მართვის საქმეშიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა.

სოხუმის თეატრის ისტორიის დაწერა კარგი საქმეა. თეატრმა იქ დიდი როლი შეასრულა. ხალხის გამოფხიზლებას ხელს ძლიერ უწყობდა. მოგონებებს აუცილებლად დავწერ და მოგაწოდებთ, გზადაგზა შეიძლება სხვა ამბებსაც შევუხრო მითხრა. თან დაშიწესა მოტანიან რიცხვი და დაუმატა: ამ რიცხვში ჩემი მოგონებები 12 საათზე აქ გვექნებაო.

— ნუ შეწუხდებით, დანიშნულ ვადაზე მე თვითონ მოვალ ბინაზე თქვენთან და წამოვიღებ-მეთქი, ვუთხარი. არ დამთანხმდა და მიპასუხა:

— ამისთანა კარგი საქმის გაკეთება გიკისრიათ, ჩემი მოვალეობაა ხელი შეგიწყოთ, დახმარება გაგიწიოთ, თქვენ რომ მოხვიდეთ წამოიღოთ ეს დახმარება კი არა დამადლება იქნება, როცა საქვეყნო საქმე კეთდება, მაშინ დამადლებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თუ სიკეთეს იზამ, მარილიც უნდა მოაყაროთ იტყვიან. ასეც უნდა.

დანიშნულ დღეს მართლაც მოვიდა, მაგრამ ცოტა დაგვიანებით. ვერ წარმოდგენთ როგორი დარცხვენილი და შეწუხებული იყო. დაგვიანების მიზეზი ამიხსნა. მომიბოდიშა „სირცხვილი ვჰამე შენთანო“

მეუბნებოდა — „და ეს ჩემი ხნის კაცს არ ეპატიებაო“... მეც ჩემის მხრივ ვამწვიდებდი, მაგრამ ის თავისას განაგრძობდა და მითხრა:

— უბირულობა ჩვენს მამა-პაპას, ჩვენს წინაპრებს არ სჩვევია, ისინი დაპირებას ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებდნენ და ჩვენც მათმა შთამომავლებმა ეს სანუკვარი ტრადიცია მომავალშიც ურყევად უნდა დავიცვათ.

ამ სიტყვების შემდეგ ჩემთვის კიდევ უფრო ნათელი შეიქნა, თუ რა დიდი პატრიოტი, კეთილშობილი და თავმდაბალი ადამიანი იყო თ. სახოკია. აქვე მინდა შევნიშნო, თედო წმინდა ლიტერატურული ქართული ენით ლაპარაკობდა, ზოგჯერ მუსაიფის დროს შიგადაშიგ გაურევდა ძველ სიტყვებსა და გამოთქმებს. ლაპარაკობდა უბრალოდ, ყოველნაირი პათოსის გარეშე. მახვილი სმენის პატრონი თუ ღრმად ჩააკვირდებოდა და აქცენტების გარკვევას იყო შეჩვეული, უეჭველად შეამჩნევდა რომ თედო მეგრული აქცენტისგან საეხსებით განთავისუფლებული არ იყო, მაგრამ მისი, ასე ვთქვათ, ღრმა ქართულით მეტყველება ამას ფარავდა.

წარმოდგენილი მოგონებები მისი თანდასწრებით რამდენიმეჯერ გადავთვალეირე, სათაურად ჰქონდა — „სოხუმის წარსულიდან“. რამდენიმე საინტერესო ამბავს წავაწყდი და წავიკითხე. სოხუმის შესახებ მოგონებათა ფონზე ავტორი შიგადაშიგ თეატრის და სათეატრო მოღვაწეთა საქმიანობასაც ეხებოდა... მაგრამ ჩემი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიპყრო: ავტორი თავის საქმიანობის შესახებ სასცენო ხელოვნების დარგში არაფერს ლაპარაკობდა. მე კი ვაგონილი მქონდა, რომ თედო სოხუმში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში, ქართულ წარმოდგენების მოწყობის საქმეს დიდ ყურადღებას აქცევდა, ყოველნაირად უწყობდა ხელს. თუ აუცილებელი საჭირო შეიქნებოდა, როლების შესრულებასაც კი კისრულობდა, თუმცა კარგად იცოდა, რომ სამსახიობო უნარით მაინცადამაინც დაჯილდოებული არ იყო. თეატრში მისი მოღვაწეობის შესახებ მუზეუმის არქივსა და პრესაში ოფიციალური ცნობები არ მოიპოვებოდა, ვაგონილ, ყურმოკრულ ამბებზე დაყრდნობით, დოკუმენტაციის გარეშე ისტორიაში რისიმე შეტანა კი შეუძლებელია, ამიტომ ვკითხე — სათეატრო დარგში თქვენი მოღვაწეობის შესახებ ცნობებს რად არ იძლევიან მეთქი.

— ეს ხომ ჩემი რეკლამა იქნება?! თუ ადამიანს პატიოსნებაზე პრეტენზიები აქვს, თავის თავის რეკლამას უნდა გაუბოლდესო, მოკლედ მომიჭრა.

— რადგან წერილობით ცნობებს არ გვაწოდებთ, ზოგი რამ სიტყვიერად მაინც გადმომეცით მეთქი, ეთხოვე. ამით მინდოდა შემე-

მოწმებია რაც ზეპირგადმოცემით ვიცოდი, მაგრამ ამაზეც უარი მითხრა და მიპასუხა:

— სოხუმის თეატრს ჩემი მოქმედებით ბევრი არაფერი შემატებია და მისი ისტორიაც ჩემი ნამოქმედარის აღნიშვნის გარეშეც თავისუფლად დაიწერებაო.

ესეც ერთი საბუთი თედოს თავმდაბლობის და უპრეტენზიოებისა. მე იძულებული შევიქენი მისი მოღვაწეობისთვის გვერდი ამექცია, დაეკმაყოფილებულიყავი მოგონებებიდან ცნობების მოყვანით და მისი ავტორის სქოლიოში დასახელებით. ეს გარემოება, სიმართლე რომ ითქვას, ძლიერ მაწუხებდა, მაგრამ სხვა გამოსავალი გზა ვერ ვიპოვნე.

ამის შემდეგ თედო კიდევ რამდენიმეჯერ შემოვიდა ჩემთან და ეცნობოდა მუშაობის მიმდინარეობას... მერე ლოგინად ჩავარდა. თედო თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში საერთოდ ძალზე დასუსტდა და დასნეულდა. ავადმყოფობა განსაკუთრებით სიცივეებში უჭერდა მუხრუჭს. ზამთრობით თითქმის სულ ჩაკეტილი იყო სახლში და იწვა. როცა დათბებოდა, წამოდგებოდა და ქუჩაშიც გამოჩნდებოდა. როცა ჭანმრთელობის შესახებ შეეკითხებოდნენ იცოდა თქმა: „მე ბალღინჯოსავით ვარ, ზამთრობით, როცა სიცივე მომიჭერს მივიმაღლები, როცა დათბება გამოვჩნდები და გამოვმზეურდებიო“.

---

## როდინი კორია

### მოგონებანი თედო სახოკიაზე

#### იარაღის ღარიბება

თედო სახოკიას სახელი პირველად ფოთში გავიგონე. ეს იყო 1905 წლის შემოდგომაზე, როცა რევოლუცია ბობოქრობდა.

ერთ მზიან დღეს ქალაქში ხმა გავარდა, რევოლუციონერებმა ევროპიდან იარაღი ჩამოიტანეს და ხალხს ურიგებნო მეფესთან საბრძოლველად.

ეს იარაღი გემით ჩამოიტანეს. გემს ერქვა „სირიუსი“. გემი მოადგა ფოთის ნაპირებს და ხალხი გაეშურა გემის დასაცლელად. იარაღის მისაღებად და დასარიგებლად თბილისიდან ჩამოსული იყო თედო სახოკია და მისი სახელი ყველას პირზე ეკერა. ჩემთვის კი მისი სახელი გმირის შარავანდელით შეიმოსა.

ევროპიდან ჩამოტანილი თოფი მე თვითონ მინახავს. ეს იყო ძალზე გრძელლულიანი თოფი. იგი ფოთში თითქმის ყველა მუშას ჰქონდა. ამ თოფის მიღებასთან დაკავშირებული იყო დიდი თავდადება და ვაჟკაცობა. საქმე ის იყო, რომ მთავრობამ შეიტყო იარაღის მიღების ამბავი და ჯარი მიუსია ხალხს, რომელიც იარაღის მისაღებად მოსულიყო. ატყდა სროლა, გაჩაღდა ბრძოლა, დაიღვარა სისხლი, ნაწილი იარაღისა დაიღუპა, ნაწილი ხალხმა მაინც ჩაიგდო ხელთ.

ჩვენთვის, მოწაფეებისათვის, ყველა ეს ამბები დიდი რომანტიკით იყო შემოსილი. იმ ამბებში ხომ თედო სახოკიას სახელიც ისმოდა? ეს, რასაკვირველია, მოწაფეებში ცხოველ ინტერესს იწვევდა და ხალხისათვის თავდადების გრძნობას აღვივებდა. კარგი იყო ეს გრძნობა და კეთილშობილ გზაზე გვაყენებდა მომავალ თაობას. ამ დიდსა და კეთილშობილ საქმეში თედო სახოკიას ღირსეული წილი უდევს. ჩემი თაობისათვის ის ერთ-ერთი სულიერი აღმზრდელი და მასწავლებელი იყო...

#### ენეზის ცოდნა

ერთმა ახალგაზრდა მასწავლებელმა მომმართა თხოვნით: ინგლისური ენის პირველი გაკვეთილი უნდა მივცე და მირჩიეთ რა ფაქტივ,

რა მაგალითით დავაინტერესო მოწაფეები, რომ ენების ცოდნის აუცილებლობა ირწმუნონ.

მასწავლებელს მე ვუამბე ერთი საინტერესო ეპიზოდი თედო სახოკიას მდიდარი და მღელვარე ბიოგრაფიიდან.

— აი, ეს ეპიზოდიც.

რევოლუციური მოღვაწეობისათვის თედო სახოკია ციმბირში იყო გადასახლებული. გადასახლება უვადო იყო. მთელი სიცოცხლე თედოს ციხესა და შორეულ ციმბირში უნდა გაეტარებინა. 1908 წელს თედო ციმბირიდან გამოიქცა და ბათომში ჩამოვიდა. აქედან მოახერხა ევროპაში გაქცევა. ოსმალეთის საზღვარზე მან დაიჭირა ვა ფელუგა და ოთხი ლაზი. ლაზებს თედო ოსმალეთის საზღვარზე უნდა გადაეყვანათ ზღვით.

აი, ჩასხდნენ ფელუგაში. ლაზები თითქოს თევზაობენ, ნელინელ შედიან ზღვის სიღრმეში. სანაპირო დაცვის კატერი არა სჩანს. თედოს გული უფანცქალებს. გამოჩნდება თუ არა კატერი? თუ გამოჩნდა თედოს დააპატიმრებენ და ისევ გააციმბირებენ. დრო ნელა მიდის. ფელუგაც ნელა მიცურავს: ის ხომ ნიჩბებით მიჰყავთ? ლაზები ოფლში იწურებიან, რომ ჩქარა მიაღწიონ საზღვარს. თედოც აჩქარებს.

უცებ ერთმა ლაზმა უთხრა მეორეს:

— დავიღალე. მაინც რაღას ვიწუხებთ თავს? ეს კაცი რომ გრანიცაში მიდის ალბათ ოქრო ექნება. წავართვათ ფული და თვითონ კი გადავადგოთ ზღვაში.

აზრი მოიწონეს: ნიჩბები წყალში დაუშვეს. დადგა ტრაგიკული წუთი.

თედომ კი დინჯად დაიწყო ლაზურ ენაზე:

— ძმებო! მე მწერალი ვარ, რევოლუციონერი. ვებრძოდი მეფეს: სიტყვით, კალმით, იარაღით. ვებრძოდი იმიტომ, რომ თქვენისთანა მუშა და საწყალი ხალხი თავისუფალი იყოს და ადამიანურად ცხოვრობდეს. განა თქვენ მუშები არა ხართ? განა თქვენ მარტო თქვენი მარჯვენით არა ცხოვრობთ? და განა თქვენ კარგად ცხოვრობთ?... აი, მე მინდა თქვენ კარგად იცხოვროთ... თქვენი გულისთვის მღევნის მე მეფის მთავრობა. გამაციმბირეს. შორს, ცივ ციმბირში მიკრეს თავი. გამოვიქციე. გავრბივარ საზღვარგარეთ. ეხლა რომ დამიჭირონ — ჩამომახრჩობენ... ეხლა თქვენ და თქვენი სინიღისი... ფული კი — ფული — აბა საიდან შექნება? სულ რამოდენიმე მანეთი მაქვს.

და ის ცოტა თანხა ამოიღო ჯიბიდან, რაც ჰქონდა.

ლაზებს შერცხვათ. ნიჩბებს დაავლეს ხელი და თედო სახოკია საზღვარს გადაიყვანეს.

აი, როგორ იხსნა ენის ცოდნამ თედო სახოკია უეჭველი სიკვდილისაგან...

ახალგაზრდა მასწავლებელმა ეს ეპიზოდი მოწაფეებს უამბო. მოწაფეები დიდად დააინტერესა ამ ამბავმა. მოისურვეს თედოს მოწვევა, მაგრამ თედო უკვე ცოცხალი აღარ იყო.

## უეჭა და წიხნები

ერთხელ თედოს „მოგზაურობა“ დამჭირდა. ვესტუმრე, რომ მეტხოვა მისი წერილების კრებული.

მივდიოდი და, ცხადია, თედოზე ვფიქრობდი. ბუნებრივად წარმომიდგა თვალწინ თედოს მდიდარი და მღელვარე წარსული. თედო პარიზის ანთროპოლოგიურ სამეცნიერო საზოგადოების სხდომაზე კითხულობს მოხსენებას ქართული ეთნოგრაფიიდან. მან ხომ პირველმა გაიტანა ევროპის ლიტერატურულ ასპარეზზე ჩვენი ეთნოგრაფია. თედო — რევოლუციონერი, 1905 წლის ამბების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე; მან ხომ იარაღი ჩამოიტანა ევროპიდან და დაურიგა ქართველ მუშებს, თედო — სამუდამო გადასახლებაში ციმბირში; თედო — ციმბირიდან გამოქცეული და ემიგრაციაში მიმავალი. გზაზე კინალამ გადაადგეს ზღვაში — ფული ექნებო... თედო — მწერალი, ავტორი მშვენიერი წერილებისა, სადაც ქართულ კულტურას ღირსეულად იცავდა. თედო — მთარგმნელი ბოკაჩიოსი, ანრი ბარბუსისა... და სხვა და სხვა...

რატომღაც წარმომიდგა: თედო ზის კაბინეტში და წერს. კაბინეტი დიდია, ნათელი. იატაკზე ნოხი ფენია. კედელზე ხალიჩა ჰკიდია. საწერ მაგიდასთან სავარძლები დგას. თბილა და მყუდროებაა ოთახში...

ცივი და სუსხიანი ზამთარი იყო. მივდივარ აჩქარებით, რომ გავთბე თედოს კაბინეტში. აი, თედოს ბინაც.

თედო დამხვდა ოთახში. თბილი შალი ჰქონდა მოხურული მხრებზე, თუნუქის ღუმელს უჭდა და შეშას უკეთებდა. მომესალმა და განაგრძო შეშის შეკეთება.

მიმოვიხედე. ოთახის ფართობის ნახევარი წიგნებს ჰქონდა დაკავებული, წიგნები ელაგა იატაკზეც, მაგიდაზეც. ერთ კუთხეში შეშა ელაგა. ფანჯრისაკენ უბრალო მაგიდა იდგა. მაგიდასთან ორი ვენური სკამი. ერთგან, კედელზე, გაზეთი იყო გაკრული, ალბათ ზიანს რასმე ფარავდა. ოთახში ციოდა. თედომ ხელების ფშვნეტით მითხრა:

— პირდაპირ ციმბირი გადმოვიდა საქართველოში. ეს ოხერი ღუმელიც რომ არ თბება? მე კი სასწრაფო სამუშაო მაქვს...

დავიწყე პალტოს გახდა. თედომ მომამძახა:

— არ გაიხადო! არ გაიხადო! გაცივდები!

შემდეგ გაიცინა და დაუმატა:

— მასპინძელიც ასეთი უნდა! სტუმარს პირიქით უნდა თხოვდეს: გაიხადეო!

გამეცინა მეც...

ვუთხარი თუ რისთვის ვიყავ მოსული. მოძებნა „მოგზაურობა“ და მომცა. „მომამბის“ სხვადასხვა ნომრებში მოთავსებული წერილები ერთად აუკინძავს, ერთ წიგნად. მომცა და მთხოვა: დიდხანს არ გამიჩერო, დამჭირდებაო. ჩვენში პირადი ბიბლიოთეკის შედგენა ხომ ძნელია, წაიღებენ წიგნს და არ დაგიბრუნებენო.

წერილები დაეუბრუნე გაზაფხულზე. უკვე არ ციოდა, მაგრამ თედოს კაბინეტში და დერეფანში წიგნები და შეშა ისევ ისე ერთად ელაგა.

მართლაც და ზამთარი ხომ ისევ მოვიდოდა?..

### ს ხ ვ ი ს ი კ ა რ გ ი ა ხ ა რ ე ბ ა

ერთხელ რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდი. ვხედავ, თედო სახოკია მოდის. რომ დამინახა ნაბიჯს აუჩქარა, ჩემსკენ გამოექანა და გადამეხვია. გამიკვირდა. ვერ ამეხსნა ასეთი შეხვედრის მიზეზი. თედო მაშინვე მიმიხვდა და მითხრა:

— კარგია! კარგია! მომეწონა შენი „ყველგან შინ“. ძალიან საკვიროა ხალხთა ძმობის მხატვრული პროპაგანდა...

საქმე შემდეგში იყო. წინა დღით გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ჩემი მოთხრობა „ყველგან შინ“. მოთხრობის შინაარსი ასეთია: ფოთში ჩამოვიდა წითელი არმიის ორი რუსი ლეიტენანტი გავლით. ათვალეირებენ ქალაქს. უცებ წვიმამ დაუშვა. ლეიტენანტებმა ევკალიპტების ქვეშ შეაფარეს თავი, მაგრამ მაინც გაიწუწუნენ. ლეიტენანტების გასაჭირი მეზობელი სახლიდან კომკავშირელმა გოგონამ დაინახა და შინ შეიპატიჟა. ერთ-ერთმა ლეიტენანტმა კედელზე თავისი სურათი დაინახა და გაუკვირდა. გოგონამ აუხსნა ეს ჩემი ძმის მეგობრის სურათიაო, ამ ლეიტენანტმა ჩემი ძმა იხსნაო ფრონტზე სიკვდილისაგან...

და როცა გამოირკვა რომ ეს ლეიტენანტი თვითონ ესაა, ეს წვიმისაგან გაწუწული, რა სიხარული დატრიალდა ოჯახში!...

აი, ეს მოთხრობა მოსწონებია თედოს და მომილოცა.

ასეთი იყო თედო: კეთილშობილი ბუნების მქონე, მოღვაწე და გულწრფელი ადამიანი. სხვისი კარგი ახარებდა.



ბ. ხუნდაძე

## თედო სახოკია

(მასალა ბიოგრაფიისათვის):

მე და ჩემი ამხანაგები ჯერ კიდევ ქუთაისის ქართული გიმნაზიის დაბალ კლასებში ვსწავლობდით, რომ თედო სახოკია უნახავი გვყავდა, მაგრამ მის შესახებ ბევრი რამ გაგვეგონა: ვიცოდით, რომ ის იყო დიდი პატრიოტი, უნაგარო, თავდადებული დამცველი და მზრუნველი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ქართული ენის სიწმინდისათვის მებრძოლი და თვითონ ჩინებული მოქართულე, რომელსაც, თითქოს, რუსული ზოგი სიტყვის შესანაცვლი შემოედოს ქართულში (კალოში—სატუცავი, ბუბლიკი — ბლითი და სხვა). შემდეგში, თედო რომ კარგად გავიცანი, ბავშვების მიერ მის შესახებ შექმნილ მსგავს ანეგდოტებს ვუამბობდი და ბევრს იცინოდა. საერთოდ თედო სახოკია ბავშვობისას ჩვენი საყვარელი მასწავლებლის სილოვან ხუნდაძის მსგავსად გვყავდა წარმოდგენილი — ტანჯული და წამებული მათი საყვარელი ხალხისა და უძვირფასესი განძის — ქართული ენის ბეჩავი მდგომარეობით. თედო რომ გავიცანი, მასში ვერ დავინახე ის სიფიცხე, რაც სილოვანს ახასიათებდა და რასაც ის დაუყოვნებლივ ავლენდა ყოველგვარი უსამართლობის დანახვისას.

მარტვილის სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ თედო სახოკია თბილისის სასულიერო სემინარიაში შესულა. 1874 წლიდან კუვშინსკის რევიზიისა და მოწაფეთა სისტემატიური ჩხრეკის შედეგად გამოირკვა, რომ ეს სასწავლებელი ეკლესიის მსახურთა სამჭედლოს კი არ წარმოადგენდა, არამედ ახალგაზრდობის თავშესაყრელს, სადაც ის არაღეგალურად მოწინავე იდევბს ითვისებდა და სემინარიაში გაბატონებულ მოწაფეთა სულისშემბუთავ რევიმს ებრძოდა. აქედან მოკიდებული სემინარიის მოწაფეებს ბრძოლა ამ სასწავლებლის ხელისუფლებასთან არ შეუწყვეტიათ ათეული წლების მანძილზე, 1917 წლამდე, სანამ ეს სასწავლებელი არსებობდა. 1880-იან წლებში ურთიერთობა სემინარიის მოწაფეთა და ადმინისტრაციას შორის მეტად გამწვავდა. სემინარია ორ მტრულად განწყობილ ბანაკს

წარმოადგენდა — მოწაფეებისა და მასწავლებლებისას. განსაკუთრებითა გამწვავდა ურთიერთობა ამ ორ მტრულად განწყობილ ბანაკს შორის 1886 წელს, როდესაც თედო სახოკია მე-2 კლასში იყო. მან თავიდანვე მიიპყრო სემინარიის ადმინისტრაციის ყურადღება თავისი მტრული განწყობილებით სემინარიის რეჟიმისადმი და მისი ზშირი დარღვევით, აგრეთვე აკრძალული წიგნების კითხვით, სხვა მოწაფეებზე „უარყოფითი“ გავლენით, რადიკალური მიმართულებით. ამ წელს ბევრი მოწაფე გარიცხეს სემინარიიდან. არა სასურველ მოწაფეებს ადმინისტრაცია ზოგჯერ აიძულებდა თხოვნა შემოეტანათ გასვლის შესახებ. წესით ასეთ მოწაფეებისაგან მშობლების ნებართვას ითხოვდნენ. თედოს ჯერიც დადგა, მისთვის მშობლების ნებართვა არ მოუთხოვიათ. სემინარიის არქივში შემონახულია თედო სახოკიას განცხადება 1886 წლის 19 თებერვლით დათარიღებული: ამ თხოვნის ფორმა ადასტურებს მის იძულებით წასვლას სემინარიიდან. მოვიყვანთ ამ განცხადებას: Воспитанника II кл. оной же семинарии Федотия Сахокия: «По совету семинарского доктора мне небезопасно продолжать свое уместное развитие во вверенной вам духовной о семинарии, почему прошу покорнейше высокопреподобие уволить меня легльным путем, выдавъ необходимое для того свидетельство о моем пребывании семинарии». 21 თებერვალს თ. სახოკია ორ სხვა ამხანაგთან სემინარიიდან გარიცხეს და 26 თებერვალს მან საბუთები გაიტანა (საქ. ც. ს. არქივი, ფონდი 440. საქ. № 942, ფურ. 33). სემინარიაში კრიზისი მომწიფდა: სემინარიის III კლასიდან გარიცხულმა იოსებ ლალიაშვილმა, თედო სახოკიას უახლოესმა ამხანაგმა, 1886 წლის 24 მაისს მოჰკლა სემინარიის რექტორი დეკანოზი პავლე ჩუდეცკი. ი. ლალიაშვილი დააპატიმრეს და სამართალში მისცეს. სამი ივნისის სხდომაზე სემინარიიდან 34 მოწაფე იქნა გარიცხული, პირველ რიგში მე-6 კლ. მოწაფე მიხეილ ცხაკაია, რომელთანაც ბინაზე ერთად თედო სახოკიას სიტყვიერი გადმოცემით ის ცხოვრობდა. მიხ. ცხაკიას ბრალად ედებოდა: „ყურწავდებული — მოწაფის მოვალეობის ასრულებაში, უხეში და თავხედი. არაერთხელ შენიშნულია აკრძალულ წიგნების კითხვაში და აშკარად ანტირელიგიური და ნაწილობრივ სოციალისტური მიმართულებისაა, რომლის გავრცელებას ის ცდილობდა განსაკუთრებით დაბალი კლასების მოწაფეებში“. ზოგი იმიტომ გარიცხეს, რომ ბრალად დაედვა მ. ცხაკიას, ი. ლალიაშვილის ან თედო სახოკიას სიახლოვე და მეგობრობა, მაგ. მე-2 კლ. მოწაფის ხარიტონ კასრაძის გარიცხვის მიზეზად ნათქვამია... „მეგობარია სახოკიას, თითქმის აშკარა ურწმუნოსი და სოციალისტისა“ (სცია, ფ. 440, საქ. № 954, ფ. 28).

თედო სახოკია შედარებით ადრე ჩაება ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. სემინარიაში გაბატონებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა, არსებითად, ნაციონალურ-გამათავისუფლებელი შინაარსისა იყო და მისი პირველი საფეხური, რისთვისაც თედო საგრძნობლად დაისაჯა.

შემდეგი სასჯელი თ. სახოკიამ 1894 წელს მიიღო, როდესაც ჟანდარმერიამ გამოარკვია, რომ ის აქტიური წევრი იყო ქართველ ახალგაზრდობის მიერ 1891 წელს დაარსებულ „საქართველოს განთავისუფლების ლიგისა“ და მიწერ-მოწერა ჰქონდა ამ „ლიგის“ ვარშავის წევრებთან, სტუდენტებთან: შიო არაგვისპირელთან (დედაბრიშვილი), ნიკ. მელიქიშვილთან (შემდეგში ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე), ანტონ გელაზარიშვილთან (შემდეგში ნაფიცი ვეჟილი) და სხვ. ამისათვის თედო ქუთაისის ციხეში მოათავსეს, სადაც ის რამდენიმე თვე იჯდა.

თედო სახოკია აფხაზეთის მკვიდრი იყო და მკვიდრო კავშირი ჰქონდა აფხაზეთის მოსახლეობასთან, ხშირად ჩადიოდა სოხუმში, ხანგრძლივად ცხოვრობდა იქ და ადგილობრივ საზოგადო საქმეებში მონაწილეობას იღებდა. 1890-იანი წლების მეორე ნახევრიდან მეფის მთავრობამ აფხაზეთში გააძლიერა კოლონიალური პოლიტიკა. აფხაზეთის თავისუფალ მიწა-წყალზე ასახლებდა გერმანელებს, ესტონელებს, რუსებს, ბერძნებს, ავიწროებდა აფხაზებს და ქართველებს, დევნიდა ქართულ ენას ეკლესიებიდან და სკოლებიდან. მთავარმართებელი გოლიცინი და ეგზარქოსი ალექსი წერდნენ სინოდის ობერ-პროკურორს, რომ „სოხუმის ეპარქია მისი ჭარბი აბხაზ და რუს მოსახლეობით სასურველი იქნება გავაცალკეოთ უკიდურესად არა სასურველ ქართულ გავლენისაგან და ამ მიზნისათვის, წერდნენ ისინი, პატარა და მრავალენიან სოხუმის ეპარქიისათვის მისი ყუბანის მხარისათვის შეერთება მეტად სასარგებლო იქნებაო. ყუბანის მხარე ითვლის 1.716.245 სულს წმინდა რუსულ მართლმადიდებელ მოსახლეობას. ამ მასაში ადვილად გაითქვიფება შავი ზღვის სანაპიროს 100.000 მრავალენიანი მოსახლეობაო“ (საქ. ც. არქ. ფ. 37, საქ. № 2707, ფ. 1—18). მაგრამ ახლოვდებოდა 1905 წლის რევოლუცია და მთავრობა მოერიდა ასეთი საკითხების აღძვრას და მოსახლეობაში ახალი უკმაყოფილებების გამოწვევას. „უფრო ხელსაყრელ პირობებს დაველოდოთო“, — იტყობინებოდა გოლიცინი რუსეთიდან მოსული პასუხის შედეგად.

1890-იან წლების მეორე ნახევარში აფხაზეთ-სამურზაყანოში შეიქმნა ქართველი ინტელიგენციის ჯგუფი, რომელიც ამ მხარის ქართველ მოსახლეობაში ქართული ენისა და ქართული კულტურის დაცვას ისახავდა მიზნად იმ იერიშებისაგან, რომელიც მასზე მიჰქონდათ

მეფის მოხელეებს. ამ ჯგუფის, რომელსაც ცარიზმი „ქართულ პარტიას“ უწოდებდა, აქტიური წევრები იყვნენ: ანთიმოზ ჭულელი (სოხუმის მთიელთა სკოლის მასწავლებელი), თედო სახოკია, სპირიდონ ნორაკიძე (ადგილობრივი მრეწველი, ცარიზმის დაუძინებელი მტერი, რომელიც ადგილობრივ რევოლუციური ორგანიზაციებს ნივთიერ დახმარებას უწევდა), ივ. ბურჭულაძე, გრიგოლ კანდელაკი (ოქუმის მუაფთიაქე), ივ. გეგია (ოქუმის ბიბლიოთეკის გამგე, ყოფ. მასწავლებელი), კანდელაკი (ს. ოქუმის სკოლის მასწავლებელი), ფარნა დავითაია (ოჩამჩირის წვრილი ვაჭარი), ამ წრის თანამგრძობი იყვნენ: პეტრე ჭარხაია (მასწავლებელი და აფხაზური ენის მკვლევარი), ნიკო ჯანაშია (გუდაუთის სკოლის მასწავლებელი, ჟურნალისტი) და სხვანი.

აღნიშნულ პირთა შორის თედო სახოკია ყველაზე გავლენიანი, მოქმედი, დაუბრუნებელი მებრძოლი იყო. ის მეფის მოხელეებს ებრძოდა სიტყვით საჯარო კრებებზე, ააშკარავებდა მათ შავრაზმულ საქმეს ადგილობრივი და სატახტო პრესის საშუალებით, აკავშირებდა აფხაზეთ-სამურზაყანოს ქართველობას ეროვნული იდეების გარშემო. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი მოახსენებს მთავარმართებელს 1900 წლის 3 აგვისტოს: „სახოკიაჲ სოხუმის ოლქში ჩამოაყალიბა ქართველთა პარტია, რომელიც ისწრაფვის: ა) აფხაზური მოსახლეობის ეკლესიებში მოაწყოს ღვთისმსახურება არა სლავურ, არამედ მხოლოდ ქართულ ენაზე და ბ) სამრევლო-საეკლესიო სკოლებში და კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ სკოლებში, რომლებიც აფხაზეთსა და სამურზაყანოს ფარგლებშია, ყველა საგნის სწავლება მოაწყოს ქართულ და არა რუსულ ენაზე, რომ ამ გზით გააქართველოს აფხაზეთისა და სამურზაყანოს მოსახლეობა“ (საქ. ც. არქივი, ფ. 37, საქ. № 2367, ფ. 2). მთავრობა და მისი აგენტები სამურზაყანოსა და საკუთრივ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს (მეგრელებს) ქართველებად არ სთვლიდა. მთავრობისათვის ამ „ქართული პარტიის“ საქმიანობის შესახებ ცნობების მიმცემნი იყვნენ: სოხუმის ეპისკოპოსი არსენი, სოხუმის ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველი ვარ. იასტრებოვი, ბლალოჩინი მარღანია, ს. ღრანდის მღვდელი ხუციშვილი, ს. ოქუმის მღ. ივ. ქავჯარაძე. ესენი ჟანდარმერიის აგენტები იყვნენ და სხვებზე უფრო აქტიურნი ცარიზმის პოლიტიკის გატარების საქმეში. ესენი აწვდიდნენ ცნობებს ჟანდარმერიას იმის შესახებ, რომ „ღრანდაში ბურჭულაძის ბინაზე და ოჩამჩირეში ფარნა დავითაიას ბინაზე იყო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ თედო სახოკია, ანთიმოზ ჭულელი, აქვსენტი სახოკია, ივანე გეგია, სპირიდონ ნორაკიძე და სხვ.“, მაგრამ მათთვის უცნობი ღარჩა მიზანი და საგანი თათბირისა, „რომ სპ. ნორა-

კიძეს მონაწილეობა მიუღია ასეთ საიდუმლო შეკრებაზე მლ. კერესე-ლიძის ბინაზე, სადაც იხილავდნენ საკითხს ქართული ენის შემოღების შესახებ აფხაზური მოსახლეობის სკოლებში და სხვ.“ გარდა პირადი შეხვედრებისა ამ ჯგუფის წევრები ურთიერთშორის კავშირს უმთავრესად მიწერ-მოწერით აბამდნენ. ამ მიწერ-მოწერის ცენტრს იედო სახოკია წარმოადგენდა, საზოგადო საკითხების შესახებ მასთან იყვნენ წერილობით დაკავშირებულნი ნ. ჯანაშია, პ. ჭარაია, ივ. ბურჭულაძე, ივ. გეთია და სხვები. ასეთი შინაარსის წერილები ჟანდარმერიამ უპოვა გაჩხრეკის დროს დაბა ოქუშში ივანე გეგიას. ამ ჯგუფის საქმიანობის მამხილებელი იყო აგრეთვე ჩხრეკის შედეგად თ. სახოკიასთან და ივ. გეგიასთან აღმოჩენილი დაბა ოქუშის 169 მრევლის ხელმოწერილი განჩინება — არ მიემართათ მლ. ივანე ქავეარაძისათვის მღვდელმსახურების საჭიროებისას. რომ ჟანდარმერია ამ ჯგუფის წევრთა საქმიანობაში კარგად იყო გარკვეული იქიდანაც ჩანს, რომ 1900 წლის მარტში ერთდროულად იქნა მოწყობილი ჩხრეკა ჯგუფის აქტიური წევრებისა — ჯუღელისა და სახოკიასი სოხუმში, ბურჭულაძის — დრანდაში, დავითაიასი — ოჩამჩირეში, კანდელაკისა და გეგიასი — ოქუშში. გაჩხრეკამ თვალსაჩინო შედეგები მთავრობას არ მისცა, შეიძლება იმიტომ, რომ გასაჩხრეკნი ამის შესახებ გაფრთხილებულნი იყვნენ. გაჩხრეკილ-დაკითხულნი გადაჭრით უარყოფდნენ აფხაზეთ-სამურზაყანოში რაიმე ეროვნულ მიმართულებით პარტიის ან ჯგუფის არსებობას. მაგრამ არ უარყოფდნენ დრანდაში შეხვედრას. ამასთანავე ყველანი, როგორც პირმიცემულნი, ამ შეკრების მონაწილეებად მხოლოდ თ. სახოკიასა და ანთიმოზ ჯუღელს ასახელებდნენ, დანარჩენი მონაწილენი, არ ახსოვდათ და ამ შეხვედრას მებარეშუმეთა საზოგადოების შექმნით ასაბუთებდნენ. ჯგუფის ხელმძღვანელმა თედო სახოკიამ დაკითხვისას აღიარა: პირველი, რომ ის პრესის საშუალებით ცდილობს, რათა ქართული ენა, როგორც მშობლიური ისწავლებოდეს სოხუმის მოსახლეობაში, რადგან სცნობს, რომ ამ გზით ის ხელს შეუწყობს რუსული ენის უადვილესად შესწავლას, მეორე, რომ ღვთისმსახურება სოხუმის ოლქის მეგრულ მოსახლეობაში წარმოებდეს ქართულ ენაზეო (საქ. ც. არქ. ფ. 37, № 2367, ფ. 210).

სოფ. ოქუშის სამკითხველოს გამგეს, ყოფ. მასწავლებელს ივ. გეგიას ჟანდარმებმა გაჩხრეკის შედეგად უპოვეს ცნობილი ზაქარია ჭიჭინაძისაგან მისთვის მიწერილი წერილი, რომელშიც ის აძაგებს მლ. ქავეარაძეს და მასწავლებელ ბორის ხაჩავას, რომელთაც ის ქართული ენის დევნისათვის ქართველი ხალხის საზიზღარ შვილებს უწოდებს. ამასთანავე ზ. ჭიჭინაძე აცნობებს ივ. გეგიას, რომ მან გური-

სამეგრელოს საეპარქიო კანცელარიის მდივანს (ამ წლებში ეს ადგილი ეჭირა ცნობილ ბელეტრისტს სოფრომ მგალობლიშვილს (ტ. ხ.) დაუტოვა ათასი ცალი ქართული წიგნი და სთხოვდა გეგიას დაერიგებია ეს წიგნები უფასოდ სოხუმის მახლობელ მცხოვრებთათვის. უანდარმერიის ცნობით ივ. გეგიას უღიარებია, რომ მან მიიღო ათასი ცალი ქართული წიგნებისა და უკვე დაურიგა სოხუმის ოლქის მცხოვრებთ.

თედო სახოკია გაზ. „ს.-პეტერბურგის უწყებებში“ ათავსებდა წერილებს და აფხაზეთ-სამურზაყანოს ქართველ მოსახლეობის სამრევლო სკოლებსა და ეკლესიებში ქართული ენის დაცვის კანონიერებას იცავდა. მოწინააღმდეგენი კი აფხაზეთისა და სამურზაყანოს მთელ მოსახლეობას აფხაზეთად თვლიდნენ წინააღმდეგ თვით მოსახლეობის მტკიცებისა.

ამჟერად მთავრობა დაკმაყოფილდა „ქართული პარტიის“ ორი მეთაურის თ. სახოკიას და ან. ჯუღელის სოხუმიდან გაძევებით. სახოკია უცხოეთში წავიდა (პირველად ის უცხოეთში 1887 წელს გაემგზავრა სწავლის მისაღებად, მაგრამ უსახსრობის გამო მალე დაბრუნდა (ტ. ხ.), ხოლო ჯუღელი იძულებული გახდა თავის სოფელში სვირში გადასახლებულიყო. ქართული ენა გაძევებული დარჩა აფხაზეთ-სამურზაყანოს ქართველი მოსახლეობის სკოლებიდან და ეკლესიებიდან.

მთავრობის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სახოკიასა და ჯუღელის სოხუმიდან წასვლის შემდეგ „ქართული პარტიის“ წევრთა საქმიანობა აფხაზეთს-სამარზაყანოში შენელებულა, თუმცა ეს ჯგუფი არსებობას განაგრძობდა, მაგრამ 1903 წლიდან სახოკია უცხოეთიდან დაბრუნებულა, ჯუღელიც სვირიდან სოხუმში გადმოსულა და მათ გარშემო „ქართული პარტიის“ წევრები კვლავ ამოქმედებულან. თ. სახოკია ქ. სოხუმის თვითმმართველობის ხმოსნებს გამგეობის წევრად აურჩევიათ 1904 წ. თვითონ სახოკიას ინიციატივით ცნობილი საზოგადო მოღვაწე და „ვეფხისტყაოსნის“ კომენტატორი ალექსანდრე სარაჯიშვილი ხმოსნებს სოხუმის ქალაქის თავად აურჩევიათ, მაგრამ არც ერთი და არც მეორე ქუთაისის გუბერნატორს არ დაუმტკიცებია. ან. ჯუღელისა და თედო სახოკიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შექმნილა ამხანაგობა ქ. სოხუმში მიწის ნაკვეთებისა და სახლების შექმნის გაადვილების მიზნით. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ინიციატივი შექმნა იმის გამო, რომ სოხუმის ქართველმა საზოგადოებამ პანაშვიდი გადაიხადა გარდაცვლილ გიორგი წერეთლის პატივსაცემად, ხოლო ეპისკოპოსმა არსენმა მღვდელს, რომელმაც იქ ქართულ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა, როგორც წესის დამრღვევს განმარტება მოსთხოვა და მითითება მისცა.

მთავრობამ ერთ-ერთ საბრალმდებლო მუხლად აღნიშნა ის შეხვედრა, რომელიც სოხუმის ქართველმა საზოგადოებამ 1903 წლის 24 მაისს გაუმართა იქ საგასტროლოდ ჩასულ ქართველ მსახიობთა დასს ლ. მესხიშვილისა და ვ. აბაშიძის ხელმძღვანელობით და ილია ჭავჭავაძეს, რომლის შესანიშნავი სიტყვა, თითქმის სტენოგრაფიულად ჩაწერილი თედო სეხოკიას მიერ, მკვლევარმა სოლომონ ცაიშივილმა მისი არქივიდან მიიღო და ჟურნალ „დროშაში“ გამოაქვეყნა (1955 წ. № 12). ბანკეტის მომწყობთ ბრალდებოდა მასზე არაქართველების სრული დაუსწრებლობა. თედო სეხოკიას მოწინააღმდეგენი მას იმასაც აბრალდებდნენ, რომ ის არაქართველის ეტლში არ ჯდებოდა, მღ. ივ. ჭავჭავაძე „ს.-პეტერბურგის უწყებებში“ თ. სეხოკიას მიერ იმავე გაზეთში მოთავსებულ ერთი წერილის საპასუხოდ, დამაბეზღებლად წერდა: „...გულწრფელად ვურჩევ ბ-ნ თ. სეხოკიას, გონს მოვიდეს... და რუსულ ეტლში ჩაჯდომასზე უარის მთქმელს, არ აღუკვეთონ სიარული რუსულ ქალაქებში“ (დასახელებული გაზეთი“, 1900 წ., № 262, გვ. 4).

მეტად თვალსაჩინოდ ამჟღავნებდა სპირილონ ნორაკიძე თავის თანაგრძნობას რევოლუციურ მოძრაობისადმი. „ქ. ფოთში გაფიცულ მტვირთავეებს გემიდან გადმოსულმა ნორაკიძემ რომ ჩაუარა, ტაშის კვრით მიესალმა მათ და ხმამაღლა ყვიროდა: „ასეა საქირო, ყოჩაღ, ვაშა“ — საიდუმლო ჩვენება მოწმესი, რომელიც ნორაკიძესთან ერთად ეტლით მიდიოდა ნავსადგურიდან სასტუმროში — ნათქვამია საბრალმდებლო საქმეში. 1904 წელს იგივე ნორაკიძე სოხუმში მიმავალ გემზე გულმხურვალედ და სხვების თანდასწრებით ესაუბრებოდა თედო ყორღანიას და ამართლებდა და აქებდა გურულებს რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, კიცხავდა მთავრობის ღონისძიებებს, რაც ცარიზმის აგენტმა ბორის ხორავამ სოხუმის ოლქის უფროსს აცნობა. იგივე ოლქის უფროსი მოხსენებაში აღნიშნავს: „ექვს გარეშეა, რომ ეს ნორაკიძე მხურვალე მონაწილეობას იღებს ყველა მღელვარებაში, რომელიც ხდება: ბათუმში, ფოთში, ოზურგეთში, თბილისში“. სპ. ნორაკიძე დაახლოებული ყოფილა ილია ჭავჭავაძესთან, ი. გოგებაშვილმა გულთბილი წერილი მოათავსა ერთ-ერთ ჟურნალში, როდესაც ის ბოროტმოქმედმა 1909 წელს თბილისში სიცოცხლეს გამოასალმა (იხ. მისი „რჩეული ნაწერები“, 1910 წ., გვ. 548). სხვა გაზეთებმაც აღნიშნეს მისი ღვაწლი და ქველმოქმედება კულტურის სარბიელზე. ქართული ენისა და კულტურის სხვა დამცველებსაც (ამბროსი ხელაიას, ივ. კერესელიძეს და სხვ.) ჰქონდათ წაყენებული ბრალდებანი. 1904 წელს კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში დამზადდა ვებერთელა საბრალმდებლო საქმე „ქართველი

პარტიის“ წევრთა „დანაშაულებრივი მოქმედების“ შესახებ აფხაზეთში 1895 წლიდან მოკიდებული. ამ მოხსენების შედეგად მთავარმართებელმა 1904 წლის მარტში ხუთ-ხუთი წლით რუსეთში გადასახლება მიუსაჯა ადმინისტრაციული წესით ამ ჯგუფის შემდეგ წევრებს: თედო სახოკიას, ანთიმოზ ჯულელს, ივანე გეგიას, გრიგოლ კანდელაკს, ივანე ბურჭულაძეს, ფარნა დავითაიას და სპირიდონ ნორაკიძეს — „ЯВЛЯЮЩИХСЯ ГЛАВНЫМИ ПРЕДСТАВИТЕЛЯМИ ГРУЗИНСКОЙ ПАРТИИ, ПРОТИВОДЕЙСТВУЮЩЕЙ МЕРОПРИЯТИЯМ ПРАВИТЕЛЬСТВА ПО ОБРУСЕНИЮ НАСЕЛЕНИЯ ОКРУГА“. (საქ. ც. არქივი, ფ. 37, საქ № 2367, ფ. 262). ამ ჯგუფის საქმიანობის მთავარი ნაკლი ის იყო, რომ მას არ უცდია, არც მიზნად დაუსახავს ცარიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში დაკავშირებოდა და ჩაება აფხაზეთის მოსახლეობაში მოწინავე, შეგნებული ნაწილი.

საქართველოს ც. არქივში (ფონდი 37, საქ. № 2367) ინახება სახოკიასა და მისი ჯგუფის ვებერთელა საქმე, რომელიც ამ 20 წლის წინათ პროფ. აბელ კიკვიძემ ნახა და მე მიმითითა, რამდენად დიდი იყო თედო სახოკიას კმაყოფილება, როდესაც მე მას ამ „საბრალმდებლო საქმის“ არსებობის შესახებ ვუამბე და მისი დავალებით საქმის ანოტირებული ნაწილი ამოვბეჭდე და თედოს გადავეცი.

საქართველოდან განდევნილი თედო სახოკია კვლავ საზღვარგარეთ გაემგზავრა და იქ ჩაება ქართველ ემიგრანტთა რევოლუციურ და კულტურულ საქმიანობაში. 1903 წლიდან პარიზში ქართველ ემიგრანტთა ერთი ჯგუფი სცემდა ეროვნული მიმართულების ჟურნალს „საქართველო“. ამ საქმის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყვნენ ინჟინერი გიორგი დეკანოზიშვილი და არჩილ ჯორჯაძე. ამ ჟურნალში უთანამშრომლია თედო სახოკიასაც, რომელიც აფხაზეთ-სამურზაყანოს საზოგადოებრივ საკითხებს აშუქებდა. კერძოდ ამ ჟურნალის 1904 წლის № 6-ში მოთავსებულია წერილი იმ გამოსვლის შესახებ, რომელიც რამდენიმე წლით ადრე სოხუმის ქალთა პროგიმნაზიის პანსიონერმა ქალებმა მოაწყვეს მასწავლებლების მიერ მათი ეროვნული თავმოყვარეობის სისტემატური დამცირებისა და შელახვის საპროტესტოდ. პანსიონის ყველა 27 მოწაფემ ხელი მოაწერა კოლექტიურ საჩივარს და იანოვსკის, სასწავლო ოლქის მზრუნველს, გაუგზავნეს, გამოეგზავნა ვინმე, ან თვითონ ჩამოსულიყო და მიექცია ყურადღება მათ მწუხარებისა და დამცირებისათვის. გამოგზავნილმა სახალხო სკოლის დირექტორმა ლევიციმ აღიარა მართლაც მასწავლებლების მიერ ადგილობრივი წარმოშობის ბავშვების ეროვნული თავმოყვარეობის შელახვის ფაქტები, მაგრამ დამნაშავეებად ისევ ეს მოწაფეები სცნო — როგორ გაბედეთ მასწავლებლებზე კო-



ლექტიური საჩივრის გაგზავნაო, მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა მასწავლებელმა აღიარა, რომ ასეთ გინებას — паршивая туземка, дикарка და მსგავს დამცირებას მოწაფე-ქალებისას იშვიათად, მაგრამ ქონდა ადგილი. აღნიშნული პროგიმნაზიის მოწაფეები, ვერა კობახიძე და სოფიო ქოიავა, თავიანთ მოგონებებში აღნიშნავენ: „სოხუმში ჩვენ გვყავდა ერთადერთი მეგობარი, მწერალი და პატრიოტი და საქართველოს მაღიღებელი თედო სახოკია, რომელიც იყო ჩვენი მრჩეველი ყველაფერში, ჩვენს დამცირებას და გაჭირვებას მას ვუამბობდით... მარიამ თურქია ხშირად მოდიოდა ჩვენთან პროგიმნაზიაში, აღფრთოვანებით გადმოგვცემდა თედო სახოკიას სიტყვებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო, ვაფასებდეთ და მაღლა ვაყენებდეთ ჩვენს სამშობლოს, აღტაცებით ვისმენდით ჩვენ ამ სიტყვებს და ვამაყობდით იმით, რომ ჩვენი საყვარელი სამშობლოს შვილები ვიყავით... ჩვენ თანაგვიგრძობდნენ რუსი პანსიონერები. რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენ ახალგაზრდულ მოძრაობაში...“ აღნიშნავს მოგონების ავტორი სოფიო ქოიავა. აღნიშნული მოგონებებით დასტურდება, რომ თედო სახოკია სოხუმში ახალგაზრდობის მფარველი და დამცველი ყოფილა, მათ მგრძობიარე გულში ნერგავდა სამშობლოს სიყვარულს, რომელსაც სათანადო ნაყოფიც გამოჰქონდა.

აღნიშნული საკითხის შესახებ ჟურ. „საქართველოში“ № 6 მოთავსებული წერილი, ხელმოუწერელია, მაგრამ ვინც თედო სახოკიას სტილს იცნობს, მას მის ავტორობაში ეჭვი არ შეეპარება. ....„სამშობლო ენა მათთვის არ არსებობს (მოწაფეთათვის) და დანაშაულობასა და ხელმწიფის მოღალატეობაში ჩამოგართმევენ, რომ აღნიშნოთ ასეთი ბარბაროსობა... ყველაზე საშინელი კიდევ ის წესია, ეს მასწავლებლები სასწავლებლებში რომ ამეფებენ. ეს გახლავთ ავად ხსენება ბავშვთა ჩამომავლობისა, მათი ეროვნებისა, ლანძღვა მათი სამშობლო ენისა, მათი ენისა და ჩვეულებისა. „პარშივია ტუზემკა“, „დიკარკა“, აი სიტყვები, რომლებითაც „პედაგოგები“ თავიანთ მოწაფეებს მიმართავდნენ ხოლმე დღე ყოველი და ენა ყოველსა...“ და შემდეგ წერილში გადმოცემულია აღნიშნული პანსიონერი ქალების გამოსვლა მასწავლებლების წინააღმდეგ ისე, როგორც ეს გადმოცემულია ოფიციალურ საბუთებში და აღნიშნულ მოგონებათა ავტორების მიერ.

თედო სახოკია საზღვარგარეთ კულტურული საქმიანობით არ კმაყოფილდებოდა. თედოს რევოლუციურ საქმიანობაში აღსანიშნავია მისი აქტიური მონაწილეობა საქართველოში თოფების შემოზიდვის საქმეში. ამ მეტად გაბედული და ძნელად შესასრულებელი საქმის ორგანიზატორი იყო ცნობილი ინჟინერი გიორგი დეკანოზიშვილი.

გ. დეკანოზიშვილის მოკლე ბიოგრაფიას გადმოგვცემს თ. სახოკია. ის დაბადებულია ქ. სარატოვში 1867 წელს. თბილისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პეტერბურგის სამთამადნო ინსტიტუტი დაუსრულებია 1892 წელს. ნ. ლოლობერიძეს ზესტაფონში და ქიათურაში მოუწევია სამუშაოდ, 1895 წელს ბაქოში გადასულა ნობელის ქარხანაში სამუშაოდ, სადაც ის ორი წელი დარჩენილა. 1901 წელს ქიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის გ. ზდანოვიჩის წინადადებით ის ბრაზილიაში მიემგზავრება სამთამადნო საქმის დაყენების გასაცნობად. ამავე წლიდან რევოლუციურ საქმიანობას ეწევა საზღვარგარეთ. 1902 წელს პარიზში ჩამოასხმევინა ქართული შრიფტი (პარიზული), განზრახული ჟურნალის საბეჭდავად. 1903 წლის აპრილში გამოვიდა ამ ჟურნალის — „საქართველოს“ № 1, რომლის ფარულად გადმოგზავნას საქართველოში სისტემატურად ეწევა თედო სახოკია და გიორგი დეკანოზიშვილი ხან ჩემოდნებით (გვადრუცებით), ხან მარსელიდან გემით მიმავალ მგზავრის საშუალებით<sup>1</sup>. გიორგი დეკანოზიშვილს ამ ეროვნულ-გამათავისუფლებელ და რევოლუციურ საქმეში თავგანწირულად ეხმარებოდა მეუღლე — ფრანგის ქალი.

რუსეთში რევოლუცია იწყებოდა. რევოლუციის გასამარჯვებლად საქართველოში იარაღის მიწოდება იყო საჭირო. გ. დეკანოზიშვილის ინიციატივით და თედო სახოკიას აქტიური მონაწილეობით ამ საქმის განხორციელებას შეუდგნენ. ამ მიზნისათვის დიდი თანხა იქნა შეძენილი. ცნობილი რევოლუციონერი ალექსანდრე გაბუნია (ისკანდერი) მაკედონიაში გაგზავნეს როგორც ქიმიკოსი „მაკედონური ბომბების“ დამზადების შესასწავლად. შვეიცარიაში 60.000 ფრანკის გაღებით 9.000 თოფი ვაზნებით იქნა შეძენილი, 70.000 ფრანკით ჰოლანდიაში სამანძიანი გემი „სირიუსი“ იქნა შეძენილი და იქვე დაიქირავეს კაპიტანი და ექვსი მატროსი. შეძენილი თოფებით გემი ამსტერდამში დატვირთეს და თედო სახოკიას ხელმძღვანელობით საქართველოსაკენ გამოისტუმრეს. მხოლოდ ერთი ნაწილი ამ თოფებისა გადმოტვირთეს ფოთის მახლობლად და გუდაუთთან (ბომბორაში) გიორგობის თვის ძლიერი ღელვის გამო გემის განტვირთვა არ მოხერხდა და კაპიტანს თოფების დიდი ნაწილი, ხიფათის თავიდან ასაცილებლად, ზღვაში გადაუყრია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „შვეიცარული“ თოფი, რომლითაც ჩემი სოფლის ერთი წითელი რაზმელი იყო შეიარაღებული 1905 წელს, მეც მჭერია ხელში. ეს თოფი მეტად დიდი იყო და მძიმე, შიგ

<sup>1</sup> აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „საქართველოს“ ამ იშვიათი ჟურნალის სრული კომპლექტი ინახებოდა თეატრალური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, რომელიც ცეცხლმა შთანთქმა, როდესაც თეატრს ხანძარი გაუჩნდა ამ ოციოდე წლის წინათ.

შეიდი ვაზნა ჩადიოდა, რომლის გასროლის შედეგად ლულა ხურდებოდა და ტყვიები გასროლისას დნებოდა. არა მგონია ამ თოფებს, რომლის შემოტანამ საქართველოში იმდენი ფული, ენერგია და ხიფათი მოითხოვა, რაიმე სამსახური გაეწიოს რევოლუციისათვის, ხოლო თედო სახოკიას სიცოცხლე ლამის იყო არ იმსხვერპლა.

თედო სახოკია 1906 წლის დასაწყისში დაატუსაღეს, 1907 წლის სექტემბერში გაასამართლეს და მას ყოველგვარი ღირსება აყარეს და ციმბირის შორეულ რაიონში სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს. 1908 წლის ოქტომბერში ის ქუთაისიდან ბორკილებგაყრილი ბათომში ჩაუყვანიათ და იქიდან ციმბირში გაუგზავნიათ. ციმბირის გზაზე, განსაკუთრებით ირკუტსკიდან სოფელ ვერხოლენსკოემდე თედოს და მის ორ პოლიტიკურ თანამგზავრს დიდი ტანჯვა-წამება განუცდიათ და მუდამ სიკვდილის პირზე მდგარან მათთან ერთად ბადრაგებით თანამგზავრ სისხლის დამნაშავეებისაგან, რომელნიც პოლიტიკურებს ძარცვავდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ (ჟიგანები), განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თედოს თანამგზავრმა პოლიტიკურმა ზოსიმე ხუბუამ ერთხელ თავდამსხმელი მთავარი ჟიგანი ზაგრად დაბეგვა, მაგრამ ამჯერად თედო და ხუბუა გადარჩენილან. მათი მფარველობა უკისრია გველენიან ჟიგანს — ყირგიზს, რადგან მისი ოდინდელი მეგობარი მაქსიმე შეროზია ხუბუას ნაცნობი აღმოჩნდა და მის შესახებ სასურველი ცნობა მიაწოდა ყირგიზს. მაგრამ ის მალე ჩამოშორდა ეტაპს. სოფ. ვერხოლენსკოეში ციხეში ღამის გათევისას თედოს და მის ორ ამხანაგს (ერთი პოლონელი იყო), უეჭველი სიკვდილი მოელოდათ, ისე ალესილი იყვნენ ჟიგანები პოლიტიკურებზე და მათი მხსნელი არავინ იქნებოდა ციხეში, რომ ისინი არ ეხსნა შემდეგ გარემოებას: თედოს და მის ამხანაგებს მამასახლისთან წაყვანა მოუთხოვიათ. რა უსაზღვრო ყოფილა მამასახლისის მიხეილ შემეტოვის სიხარული, როდესაც მას თედოსგან მოუსმენია ცნობები გიორგი ზდანოვიჩის შესახებ. საკატორლო ციხეში სასჯელის მოხდას შემდეგ ზდანოვიჩი სოფ. ვერხოლენსკოეში დაასახლეს და შემეტოვის ბინაში უცხოვრია. მაშინ მიხ. შემეტოვი 15 წლის ყოფილა. „მან ამიხილა თვალები, წერა-კითხვა მასწავლა, წიგნები მიკითხა, გამანათლა, არა მარტო მე, სოფლის მთელი ახალგაზრდობა, მისი წყალობით 1905 წლის რევოლუციას შეგნებულად შევხვდით და მასში მონაწილეობაც მივიღეთ. სოფელმა ის დიდი ზეიმით გააცილა, მისი სურათი დღემდე ინახება ჩვენთანო. ყოველგვარ დახმარებას გაგიწევთო“<sup>2</sup>. ამაზე იტყვიანო, ამბობდა თედო:

<sup>2</sup> იმავე სოფელ ვერხოლენსკოეში, ზდანოვიჩთან ერთად ყოფილან დასახლებულნი 50-იანთა პროცესის მონაწილენი (1877 წ.) ანთიმოზ გამყრელიძე და მ. ჩიკოიძე, რომელთაც აგრეთვე დიდი ავტორიტეტი ჰქონიათ მოპოვებული.

„კაი კაცია, პურმარილი ზღვაზე ხილად გაიდებისო“. ამ შემოტოვის ხელშეწყობის გარეშე რამდენიმე თვის შემდეგ თედო საქართველოში დაბრუნებულა მალულად (იხ. ჟურ. „მნათობი“, 1939 წ., № 10—11).

თედოს საქართველოში დარჩენა აღარ შეიძლებოდა, მეგობრების ხელშეწყობით თედო ბათომში ჩავიდა და აჭარელმა ბეგმა ლორთქიფანიძემ მისი საზღვარზე გადაყვანა ორ მენავე ლაზს მიანდო. თედო ხშირად იგონებდა, თუ როგორი საუბარი გააბეს ამ ლაზებმა (ლაზურ ენაზე) თედოს შესახებ: „ამ კინკრაქას, თურმე, რუსეთის პადიშახის ჩამოგდება განუზრახავს“, შემდეგ დაუბრუნებლად, ხმამაღლა, რაც თედოს კარგად ესმოდა, განიზრახეს მისი გაძარცვა და ზღვაში გადაგდება, მაგრამ თავი შეიკავეს, რადგან მოერიდათ ბეგის რისხვისა და თედომ თურქეთის ტერიტორიას უვნებლად მიაღწია, იქიდან კი პარიზში წავიდა ხანგრძლივად, სადაც ლიტერატურულ მოღვაწეობას განაგრძობდა. არ ვიცი, იღებდა თუ არა უშუალო მონაწილეობას თედო სახოკია მისი უახლოესი ამხანაგისა და თანამებრძოლის, იშვიათი ქართველის, გიორგი დეკანოზიშვილის გადმოსვენებაში. მისი მოგონებიდან გ. დეკანოზიშვილის შესახებ ეს არ ჩანს (იხ. გაზ. „ტრიბუნა“, 1928 წ., 19, XI, გვ. 348) და ასეც უნდა იყოს: თედო ხომ ფარულად წავიდა ემიგრაციაში, 1910 წელს მისი კვლავ საქართველოში დაბრუნება ახალი თავგანწირვა იქნებოდა, რასაც საჭიროება არ მოითხოვდა.

გიორგი დეკანოზიშვილი გარდაიცვალა 1910 წელს 6 XI-ს სამ სრეთ საფრანგეთში, ქ. კანში. ადგილობრივმა პროგრესულმა საზოგადოებამ მას დიდი პატივი სცა როგორც რევოლუციონერსა და სოციალისტს. განსვენებულის დას მარიამ ქანანაშვილს ნება დართეს მისი ნეშტის თბილისში ჩამოსვენებისა, მაგრამ პოლიციამ მის შესახებ დრად მოსული ხალხი გაჰვანტა.

ერთხელ თედო სახოკიამ კუკიის სასაფლაოზე დამინახა, წამავლო ხელი, ალაყაფის კარებთან მიმიყვანა, კედლის გასწვრივ მარჯვნივ ექვსი დაგრძელებული ნაბიჯი გადადგა და მტკიცედ მითხრა: „გახსოვდეს, კარგად დაიხსომე, რომ აქ, დაადგა ხელი მოტიტვლებულ ადგილს, ამ ადგილას დაკრძალულია. გიორგი დეკანოზიშვილი“.

თედო სახოკია მრავალმხრივი და ნაყოფიერი მუშაკი იყო ყოველთვის, მაგრამ ამ საკითხს მე არ შევეხები. ის შესანიშნავი, მისაბაძი მოქალაქე იყო, დიდი პატრიოტი, რასაც ის ყოველდღიურ საქმიანობაში ავლენდა, გულმართალი, ჰუმანური, ჩაგრულის მიმართ გულშემატკივარი. კეთილი და სათნო, დიდი ცოდნისა და მეხსიერების მქონე, მის ამავს ქართველი ხალხი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს.

მ ო ზ ო ნ ე ბ ა

კადნიერებად ნურავინ ჩამომართმევს, თუ ორიოდ სიტყვით მოვიგონებ თედო სახოკიას. ამ დიდი მოღვაწისა და ნათელი პიროვნების შესახებ ბევრი დაწერილა და კვლავაც დაიწერება. მე მინდა მოვიგონო ზოგი რამ, რაც ვფიქრობ, გაამდიდრებდა მისი პიროვნებისათვის დამახასიათებელ ცნობებს.

თედო სახოკია დიდი მეგობარი იყო ბიძაჩემის — პედაგოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — ალექსანდრე მიქაბერიძის. როგორც წესი, ყოველ სამშაბათ საღამოს ის ალ. მიქაბერიძის ოჯახში ატარებდა. მე ბ—ნ თედოს 1925 წლიდან ვიცნობდი და ჩემი მოგონებაც ამ წლიდან იწყება.

ბ—ნი თედო საერთოდ ძალიან ორგანიზებული პიროვნება იყო. ზუსტად არ მახსოვს მისი დღის განაწესი, მაგრამ ეს კი ნამდვილად ვიცი, რომ დღლის საათებში უთუოდ მუშაობდა (თარგმნიდა, წერდა), სადილის შემდეგ ისვენებდა, საღამოს 8—10 საათამდე რომელიღე მეგობრის ოჯახში ატარებდა. დამის 11 საათზე კი აუცილებლად წვებოდა დასაძინებლად. მეგობრები მას ბევრი ჰყავდა. კვირის ყველა დღე განკუთვნილი ჰქონდა უახლოესი მეგობრებისათვის.

კვირა — ვ. ბარნოვი, ორშაბათი — კალისტრატე ცინცაძე, სამშაბათი — ალ. მიქაბერიძე, ოთხშაბათი — პროფ. ე. შალამბერიძე, ხუთშაბათი — შიო დედაბრიშვილის ოჯახი, პარასკევი — ი. გუნცაძე; ორმოციანი წლებიდან კი — ს. ცაიშვილი, შაბათი — ნიკ. ყავრიშვილი.

სამშაბათს საღამოს დაირეკებოდა თუ არა ზარი, ვიცოდით, რომ ბ—ნი თედო მოვიდა. მოდიოდა ყოველთვის ისე ზუსტად, რომ საათიც კი შეგვეძლო გაგვესწორებინა. თან ყოველთვის ერთი ბოთლი ღვინო მოჰქონდა, აუცილებლად „მუკუზანი“. თუ რაიმე გადაუღებელი საქმის გამო საღამო დაკავებული ჰქონდა, აუცილებლად თვითონ მოვიდოდა — გაგვაფრთხილებდა (ეს მაშინ, როცა ტაქსები არ იყო, ტელეფონიც იშვიათად თუ ვინმეს ჰქონდა): თუ რაიმე მიზეზის გამო ვერ გვაცნობებდა, სახლში ყველა ღელავდა. მეორე დღეს, დილით ადრე უნდა

გაგვეგო მისი მოუსვლელობის მიზეზი. ეს მისია თითქმის ყოველთვის მე შეეცინებოდა და მეც სიამოვნებით ვასრულებდი, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ დაახლოებით 15 წლის მანძილზე 3—4-ჯერ თუ ჰქონდა ადგილი ასეთ შემთხვევას. დამამახსოვრდა ჩემი პირველი მისვლა. კარები ბ—ნმა თედომ გაძლიო. გაცივებული იყო. შლიაპა ეხურა (ყოველთვის შლიაპას ატარებდა). ყელზე თბილი ყელსახვევი მოეხვია და ხელებს იფშენებდა. მოიბოდიშა, რომ ვერ გვაცნობა თავისი უღონობის შესახებ. ოთახის სამი კედელი ჰერამდე სავსე იყო წიგნებით. წიგნები იატაკზეადაც კი ეწყო. კედელზე ქართველი მწერლების გვერდით გი დე მოპასანისა და ჯ. გარიბალდის სურათები ეკიდა. მოპასანის დიდი სურათი საწერ მაგიდას შუაში დასცქეროდა (მოპასანი ბ-ნ თედოს საყვარელი მწერალი იყო, მისი ნოველების დიდი ნაწილი მის მიერ არის ნათარგმნი ქართულ ენაზე).

საწერ მაგიდაზე სამუშაო ჰქონდა გაშლილი და მუშაობდა. იქვე მაგიდასთან იატაკზე ნათქურა ენთო და სადილი მზადდებოდა ბ—ნი თედოს მეთვალყურეობით (ბ—ნი თედო ქალიშვილთან — თინასთან ერთად ცხოვრობდა. თინა მსახურობდა, ამის გამო საოჯახო საქმეებს დილის საათებში ის ადევნებდა თვალყურს).

საწერი მაგიდის ერთ კუთხეში ჩემი ყურადღება წითელი კვერცხებით სავსე მოზრდილმა ლარნაკმა მიიპყრო. მან ეს შენიშნა და მითხრა, რომ ყოველ აღდგომას ახალ წითელ კვერცხს ვუმატებ ამ კვერცხებსო. მე ძალიან გამაკვირვა ამ ამბავმა, მაგრამ ვერ შეეხებე კითხვა, თუ რა მიზანი ჰქონდა წითელი კვერცხების შეგროვებას.

სამშაბათს საღამოს ჩვენი ოჯახის ყველა წევრი ცდილობდა შინ ყოფილიყო. დიასახლისი ვერა მიქაბერიძისა, გარდა თავისი მაღალგონიერების და საზოგადო მოღვაწეობისა, ცნობილი იყო, როგორც სტუმართმოყვარე დიასახლისი. იგი ყოველთვის მისთვის ჩვეული ხალისით ემზადებოდა ხოლმე ამ საღამოსათვის და ნუგბარ-ნუგბარი საქმელებით სადღესასწაულო იერს აძლევდა ამ მეტად საინტერესო საღამოებს.

ეს საღამოები არ იყო უბრალო შეხვედრები, დატვირთული საყველ-პურო მასლაათით. ეს იყო დიდი სკოლა საერთო განათლების მისაღებად. ეს იყო საღამოები ქვეყნისათვის, ხალხისათვის უანგარო მოღვაწეთა შრომისა და ცხოვრების შესახებ. ეს იყო საღამოები, რომლებსაც, მიუხედავად თავისი ამადლებული შინაარსისა, არ აკლდა გონებამახვილური ჯანსაღი მხიარულებაც. ბ—ნმა თედომ მეტად ფაქიზი იუმორით იცოდა ხოლმე თხრობა თავისი ბავშვობის, გადასახლებაში თუ უცხოეთში გატარებული წლების შესახებ. მარტო ის რად ღირდა, როცა ლაზებთან მომხდარი შემთხვევის შესახებ გვიამბობდა. გადასახლებიდან გამოპარული ლაზებს ნავით თურქეთში უნდა გადა-

ეყვანათ. ზღვაში რომ გავიდნენ, ლაზებმა მოითათბირეს გაეძარცვათ იგი და ზღვაში გადაეგდოთ. მაშინ თედომ მეგრულად აუხსნა ვინც იყო (ცნობილია, რომ ლაზური და მეგრული ღიად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან) და რატომ იპარებოდა უცხოეთში. ამის შემდეგ დარცხვენილმა ლაზებმა იგი უვნებლად გადაიყვანეს თურქეთში. ამას გვიამბობდა ყოველთვის ისე ლამაზად, ამაღელვებლად, რომ სიცილი და ცრემლები ერთმანეთს სცვლიდა ხოლმე. თხრობას ყოველთვის ამთავრებდა იმით, თუ რა სასარგებლოა ენების ცოდნა, რომელიც არ უნდა იყოს. „მეგრული რომ არ მცოდნოდა, ეხლა ჩემი ძვლები ზღვის ფსკერზედაც აღარ იქნებოდაო“ — დასძენდა ის.

სალამოები განსაკუთრებით ხალისიანი იყო, როცა მას სპირიდონ ბაქრაძე ესწრებოდა (პროფ. კოტე ბაქრაძის მამა). ეს გონებამახვილი, ჭაბუკური ხალისით სავსე მოხუცი, მუდამ განსაკუთრებულ ხალისს აფრქვევდა თავის ირგვლივ. სუფრის გაშლა და მომსახურება მე მევალებოდა. მე, რაც შეიძლებოდა, ვცდილობდი ბ-ნი თედოს შენიშვნა „პარიზში ასე არ იციანო“ — თავიდან ამეცილებინა.

ბ-ნი თედოს უბის წიგნაკი და ფანქარი მუდამ მომარჯვებული ჰქონდა მისთვის საინტერესო სიტყვებისა და გამოთქმების ჩასაწერად. მახსოვს, როგორი სიამაყით ამევსო გული, როცა რამდენიმე გამოთქმა, რომელიც ზემო იმერეთში იხმარება, მე ჩავაწერინე. (მაგალითად, ზემო იმერეთში არ იტყვიან 27 პური გამოვაცხეო. იტყვიან სამი ცხრა პური, ორი ცხრა გომიჯი ან ერთი ცხრა ხაჭაპური გამოვაცხეო).

თედო პირდაპირი, პირში მთქმელი პიროვნება იყო. ის ყველგან— ქუჩაში, სახლში თუ საზოგადოებრივი შეკრების ადგილზე—თუ კი რაიმე უმართებულოს შენიშნავდა, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს „დანაშაულის ადგილზე“ შეაჩერებდა და შეცდომაზე მიუთითებდა. განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდა, მისი ენით რომ ვთქვათ, „ენის წაბილწვას“. მაგონდება: თედოს სალაროში 6 აბაზი უნდა გადაეხადა. მიაწოდა მოლარეს ხუთმანეთიანი და ეუბნება: „მიიღეთ 6 აბაზი“. მოლარე იწყებს ქვითრის გაშოწერას და ხმამაღლა იმეორებს „რუბლ დვადცატ“. თედო აჩერებს და უიმეორებს „ექესი აბაზი“. მოლარე გაკვირვებული შეხედავს და ამბობს „რუბლ დვადცატ“. თედო ისევ, მაგრამ დამარცვლით იმეორებს: „არა, ექესი აბაზი“. მოლარე დაბნეული და გაკვირვებული ისევ „რუბლ დვადცატს“ იმეორებს. ასე გაგრძელდა, ვიდრე აცრემლებული მოლარე თედომ არ მიახვედრა, თუ რა განსხვავება იყო ექვს აბაზსა და „რუბლ დვადცატ“-ს შორის. ანალოგიური ამბავი განმეორდა, როცა ბ-ნმა თედომ გამყიდველს შაქრის ფხვნილი მოსთხოვა, მან კი „პესოკი“ შესთავაზა.

მაგონდება კიდევ ერთი შემთხვევა, რომელშიაც კარგად ჩანს ბ-ნ თედოს ხასიათი:

თედო ხალხით გაჭედილი ტრამვაით მგზავრობდა. მის გვერდით ვილაც გაციებულმა მოქალაქემ ცხვირი დააცემინა და ირგვლივ ყველას აკურა „იაზმის“ წვეთები. ამით აღშფოთებულმა თედომ გულისწყრომა იმით გამოხატა, რომ მოქალაქეს „ღვთის წყალობა“ უსურვა. თავის მხრივ მოქალაქეც აღშფოთდა. მიუბრუნდა თედოს და დაუწყო ლექციის კითხვა ათეისტურ თემაზე. მაშინ თედომ სრულიად აღუშფოთებლად „ღვთის წყალობის“ მაგივრად „ღვთის რისხვა“ უსურვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თედო მისთვის დაკანონებული განრიგით დადიოდა მეგობრებთან. მეგობრის გარდაცვალების შემდეგ იმავე წესით განაგრძობდა მეგობრის ოჯახში სიარულს (მეუღლესთან, შვილებთან). მოხდა მხოლოდ ერთი გამონაკლისი: ი. გუნცაძის გარდაცვალების შემდეგ პარასკევ საღამოს ს. ცაიშვილთან დადიოდა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე. ამ წესს ის მტკიცედ იცავდა, სანამ ფიზიკური შესაძლებლობა ჰქონდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში-კი სიარული გაუძნელდა, შორს მცხოვრებ მეგობრებთან ვეღარ დადიოდა. დადიოდა მხოლოდ იმათთან, ვინც მასთან ახლოს ცხოვრობდა და ამის გამო ძველი განრიგი შეიცვალა. მაგ. სამშაბათობით ბოლო ხანებში ის თავის ნათესავების ხვედელძიძეების ოჯახში დადიოდა. ამ წლებში მას ხშირად ნახავდით შვილიშვილთან შუქიასთან ერთად, რომელიც მისი ნაზი სიყვარული და მოხუცებულობის მშვენიება იყო.

15 მარტი ბ—ნი თედოს დაბადების დღე იყო. ამ დღეს მისი მეგობრები მასთან იყრიდნენ თავს. იყო წლები, როცა მხოლოდ თავდათოვლილი წყვილები ამშვენებდა სუფრას. მართლაც ლამაზი სანახავე იყო პროფ. ე. შალამბერიძე მეუღლით, კოლა (როგორც მას შინაურულად ეძახდნენ) ყავრიშვილი მეუღლით, ალ. მიქაბერიძე მეუღლით, ძმები სონღულაშვილები ვანო და იროდიონი. ამ წვეულების მუდმივი წევრები იყვნენ მწერალ ვასილ ბარნოვის ქალიშვილები — ლელა და სარა. წლები გადიოდა. თედოს მეგობრები თანდათან აკლდებოდა. მათ აღვილს მათი შვილები და შვილიშვილები იკავებდნენ. ასე რომ, ბოლო წლებში წვეულებას შუახნის ხალხი და ახალგაზრდობა მოეძალა. მე ამ ზეიმს 30-იანი წლებიდან ვესწრებოდი. იმ დროს ახალგაზრდა იქ ჩემს მეტი არავინ იყო. მართალია, მე მეგობრობდა ბიძაჩემის მიყვანა და უკან წამოყვანა (გულით ავადმყოფი იყო და იმ წლებში სახლიდან აღარ გამოდიოდა), მაგრამ, ვფიქრობ, „მეგზურის“ მიწვევა ზეიმზე არ იყო აუცილებელი, თუ არ ბ—ნი თედოს ჩემდამი განსაკუთრებული თბილი დამოკიდებულება.



სუფრა ყოველთვის საგანგებო იყო. რომ იტყვიან, ჩიტის რძეც კი არ აკლდა. ჭარბობდა დასავლური კერძები. ნაზუქი, ფლავი კომშის მურაბით და მუქუზნის ღვინო ყოველ წელიწადს ამშვენებდა სუფრას. სუფრაზე რამდენიმე ადგილას, ზოგჯერ ყველა თეფშთან, „მენიუ“ იღო. ეს უკანასკნელი ყოველთვის დიდ გამოცოცხლებას იწვევდა. თამაღის დავალებით ყველანი დიდი გულმოდგინებით ვადევნებდით თვალყურს, „მენიუ“-ში შეტანილი საჭმელებიდან არაფერი „დაგვკლუბოდა“. „მენიუ“ ქართულ-ფრანგულად იყო შედგენილი და დაახლოებით ასე გამოიყურებოდა:

სულგუნი — მეგრული, ტყემალი — a la ნადია, მწვანილი — დიდ-მური, ქათამი — მეგრული, ინდაური — იმერული, ღომი — მეგრული, მჭადი — მეგრული, ნაზუქი — a la მარია, ფლავი კომშის მურაბით — a la ლელა, ღვინო — მუქუზნური.

თამაღობდა ყოველთვის ივანე სონღულაშვილი. სამაგიეროდ ორმაისს თედოც მიაშურებდა ხოლმე დიღომს ივანე სონღულაშვილის დაბადების დღეზე საზეიმო სუფრის სათამაღოდ.

სადილი ყოველთვის მხიარულად ტარდებოდა. თინას წკრიალა ხმით წამოწყებულ სიმღერას უერთდებოდა გამხიარულებული სუფრის წევრების ხმა. მაგრამ ბ—ნი თედოს მეორე ყოველთვის გამოირჩეოდა საერთო სიმღერებში.

პირველად როცა მე მომეცა ბედნიერება ბ—ნი თედოსათვის დაბადების დღე მიმელოცა, მას საჩუქრად ჰალსტუხი მივართვი. ჩემი უკანასკნელი საჩუქარიც 1955 წლის 15 მარტს ჰალსტუხი იყო. მას ჩემი საჩუქარი მოსწონდა და ყოველთვის მას ატარებდა.

1936 თუ 1937 წელს თბილისის ეკრანებზე უჩვენებდნენ ფრანგულ ფილმს „პარიზის ჭერ ქვეშ“. ბ—ნი თედო საერთოდ კინოში არ დადიოდა, მაგრამ მე ისე შევუჩნდი, რომ პარიზის ნახვის ეშხით დავითანხმე კინოში წასვლაზე. წავედით კინო „მინიონში“ (ახლანდელი „თბილისი“) ბ—ნი თედო, ვერა მიქაბერიძისა და მე. სურათის მსვლელობის დროს მე სულ მას შევეცქეროდი. როცა მის კმაყოფილებით გაბრწყინებულ სახეს ვუმზერდი, ვმშვიდდებოდი, რადგან გამაფრთხილა: დრო არ დამაკარგვინო. ფილმის ერთი ადგილი ასეთი იყო: პარიზის გარეუბანში მოხეტიალე მომღერალი მღერის ახალ სიმღერას პარიზზე. გამვლელნი და ფანჯარებსა თუ აივნებზე გამოფენილი ხალხი აიტაცებს ახალ სიმღერას და ყველა ერთად მღერის. თედოს ეს ადგილი განსაკუთრებით მოეწონა. მოიგონა ახალგაზრდობა, პარიზი, თვითონაც თურმე ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა ასეთ „კონცერტში“. როცა კინოდან გამოვედით, მთელი გზა ღიღინებდა ახალ მელოდიას. მეორედ 1947 წლის ზაფხულზე ისევ ძალით წავიყვანე კინოში. ვნახეთ „ბალერინას

ბელი“. ეს ფილმიც მოეწონა და პირობა დავდეთ, 10 წლის შემდეგ ე. ი. 1957 წელს, კვლავ ერთად წაესულიკავით კინოში. მაგრამ 1956 წლის თებერვალში ბ—ნი თედო გარდაიცვალა.

მიუხედავად ჩვენი ასაკობრივი სხვაობისა, მე და ბ—ნი თედო დიდი მეგობრები ვიყავით. ის ყოველთვის დაუზარებლად მაძლევდა ხოლმე საჭირო შემთხვევაში რჩევა-დარიგებას. დაუტუქსიწარ კიდეც, თუკი სამშაბათობას არ დავსწრებივარ. ყოველთვის ამას მიმეორებდა: რასაც აქ გაიგებ, იმას ვერსად ვერ წაიკითხავ, ყურადღებით მოგვისძინე და დაიმახსოვრო. ვერ ვიტყვი, რომ მაშინ ამ მოთხოვნას აღუშფოთებლად ვიღებდი. ახლა კი სიტყვებიც არ მყოფნის მადლობისათვის.

გვიყვარდა კამათი სხვადასხვა საკითხზე. განსაკუთრებით ხშირად ვკამათობდით იმაზე, შეიძლება თუ არა განათლებული ადამიანი იყოს მორწმუნე. თედო, რა თქმა უნდა მორწმუნე არ იყო. ამას ადასტურებს თუნდ ის ფაქტი, რომ მღვდლის შვილმა, სემინარიის მოწაფემ სახლში ხატები დარკინის და სხვა მეცნიერების სურათებით შესცვალა. პარიზში ყოფნის დროს კი იღებდა მონაწილეობას ანტირელიგიურ დემონსტრაციაში, რომელიც იმით დამთავრდა, რომ პოლიციის მიერ დევნილებს მოსახლეობა ყოველგვარ უსუფთაობას ასხამდა თავზე. მაგრამ მე თავს ვითომ მორწმუნედ წარმომიდგენდა და ცხარე კამათში ჩავებმე-ოდით ხოლმე.

1928 წელს გამოვიდა ბოკაჩოს „დეკამერონი“, რომელიც ბ—ნმა თედომ იტალიურიდან ქართულად თარგმნა. წიგნი მორიგ სამშაბათს მოუძღვნა ალ. მიქაბერიძესა და მის მეუღლეს. მაშინვე შეიქნა მსჯელობა იმის შესახებ შეიძლებოდა თუ არა წამეკითხა ეს წიგნი (მაშინ მე 15 წლის ვიყავი). ბ—ნი თედო იმ აზრისა იყო, რომ შეიძლებოდა წაკითხვა, თუკი სწორად გავიგებდი მის მნიშვნელობას. მომისვა გვერდით და ისე შესანიშნავად ამიხსნა ყველაფერი, რომ დღემდე სიტყვასიტყვით დამამახსოვრდა ყოველივე.

უთუოდ ბევრს ახსოვს, და მათ შორის მეც, მისი კეთილშობილი გული და საჭირო შემთხვევაში სამეგობროდ გამოწვდილი ხელი. ეს დაუზარებელი, მუდამ მუშა ფუტკარივით მოფუსფუსე მოხუცი მზად იყო ყველასათვის გაეწია სამსახური. მეგობრებისათვის, ვისაც სიარული უკვე აღარ შეეძლო, ხომ გაჭირვების ტალკვესი იყო! თუ არ ვცდები, 1933 თუ 1934 წელს გამოვიდა ვასილ ბარნოვის რომელიღაც რომანი თუ რჩეული ნაწერები. ავტორმა ერთი ეგზემპლარი თავის მკურნალს პროფ. სვ. ყიფშიძეს გაუგზავნა საჩუქრად. საჩუქარი ბ—ნმა თედომ მიუტანა პროფ. ყიფშიძეს კლინიკაში. ასეთ საქმეშიაც კი დაუზარებელი იყო.

კიდევ ბევრი რამ მაგონდება, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. მინდა კიდევ ერთი შემთხვევა მოვიგონო, რომლის მოგონებაც ყოველთვის მალეღვებს.

1947 წლის 29 თუ 30 დეკემბერი იყო. საღამოს 5 საათი იქნებოდა. ბ—ნი თედო მოვიდა ჩემთან სამსახურში, აღელვებული ჩანდა. მითხრა, რომ მოდის გამომცემლობიდან, ეს წუთია მიიღო ჰონორარი, გამოვიდა მოპასანის მოთხრობები—დღესვე უნდა ჩამოუაროს ყველა ახლობელს და, ვისაც სჭირდება, შესთავაზოს საახალწლოდ ფული. რადგანაც ტერიტორიულად მე ყველაზე ახლოს ვიყავი, დაიწყო ჩემით. შეუძლია მასესხოს 200 მან. (ძველი ფულით), დაბრუნება შემიძლია ნაწილ-ნაწილ.

ძნელია აღვწერო, თუ რა დამემართა: ბ—ნი თედოს კეთილშობილებაში საეჭვო აბა რა იყო? მაგრამ ეს ფაქტი რაღაც განსაკუთრებულად მივიჩნიე და ახლაც ასე ვთვლი. მართალია, მე მაშინ ფული მაინცდამაინც არ მჭირდებოდა, მაგრამ იმდენი კი მოვისაზრე და მოვანერხე, რომ დიდის აღფრთოვანებით მივიღე ეს წინადადება. სხვანაირად, ვერც მოვიქცეოდი: ვერ გავუწვდებდი იმ დიდ სიხარულს, რომელსაც ეს დიდბუნებოვანი ადამიანი ამაში ხედავდა. რამოდენა სიკეთე ამოქმედებდა ამ 80 წელს მიტანებულ მოხუცს, თუმცა სულით მოხუცი არასდროს ყოფილა, როცა ჩემთან მესამე სართულზე ამოდიოდა და წინ კიდევ ნახევარი ქალაქის შემოვლა ჰქონდა განზრახული:

როცა ფულს მითვლიდა, იქვე მჯდომ ავადმყოფს რაღაც თავისებური ღიმილით გადახედა და უთხრა: ქრთამს ვაძლევო.

ისევე როგორც მაშინ, ახლაც თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ბ—ნი თედოს ასე ახლობლად მივაჩინდი.

## ბ. ხვედელიძე

### დიდი გზის დასასრულთან

ჩვეულებრივ ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწის შესახებ მოგონებებს წერენ ან მასთან ბავშვობის წლებიდანვე თანშეზრდილი მეგობარ-ამხანაგები, ან საქმიანობის ხასიათით და საერთო მოღვაწეობით. ხანგრძლივი ურთიერთობითა და ნაცნობობით დაკავშირებული პიროვნებანი; თედო სახოკიასთან მე, როგორც პროფესიით ფიზიოლოგს, ჩემი საქმიანობის ხასიათი, რა თქმა უნდა, არ მაკავშირებდა. გარდა ამისა მე პატივცემულ თედოსთან არც ძველი მეგობრობა მქონდა. მე ბედნიერება მხვდა გამეცნო იგი მისი საზოგადო მოღვაწეობის დიდი გზის მხოლოდ დასასრულთან. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ზემონათქვამისა, ვფიქრობ ჩემი მოგონებები თედო სახოკიაზე — არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული მისი პატივისმცემლებისათვის, რადგან განსვენებულის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ჩვენს შორის დამყარებული იყო მეტად ახლო ურთიერთობა და მე მგონია, ზოგიერთი საყურადღებო ფაქტი და ბიოგრაფიული შტრიხი დავიმახსოვრე ამ მართლდაც კოლორიტულ პიროვნებაზე. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ ჩემი და პატივცემულ თედოს გზები სავსებით სხვადასხვა იყო, ალბათ უფრო ობიექტურ ელფერს მისცემს ამ მოგონებებს. ამ მოსაზრებებმა განაპირობეს ის, რომ სიამოვნებით მივიღე პატივცემულ თედო სახოკიას ზოგიერთი პატივისმცემლის წინადადება მოგონებებით გამოვსულიყავი მისი დაბადებიდან 95 წლის თავისადმი მიძღვნილ სხდომაზე, რომელიც საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოებამ გამართა.

#### 1. კ ი რ ვ ე ლ ი ბ ა ც ნ ო ბ ა

ყოველთვის ასე ხდება, რომ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს მის თანამედროვეთა უმეტესობა ერთხელ გაიცნობს (მისი შემოქმედების მიხედვით). ხოლო მცირედი (და ბედნიერი) გამოჩენილი ორჯერ (პირადი გაცნობით). ამ სახით — თედო სახოკიაც მე ორჯერ გავიცანი; პირველად 7—8 წლის ასაკში — ეს იყო მის მიერ ქართულ ენაზე შესანიშნავად თარგმნილი ბულგარელი მწერლის ივან ვაზოვის „დამო-

ნებულნი“-ს რევოლუციამდელი გამოცემის მიხედვით გაცნობა. ეს წიგნი მაშინ ჩემი მამის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა ჩემმა უფროსმა ძმამ ბორისმა. მე იმ დროს ჯერ კიდევ ჩათვლით ვკითხულობდი და ამიტომ უსიტყვოდ შეთანხმებით მას გაკვეთილების დამზადებისაგან და თამაშისაგან თავისუფალ დროს ხმამაღლა კითხულობდა ხოლმე ჩემი უფროსი ძმა. წიგნმა ისე გამიტაცა, რომ მთელ მომდევნო დღეებს ერთი სული და გული მქონდა როდის მოიცილიდა ჩემი ძმა კითხვის გასაგრძელებლად. როცა ჩემმა ძმამ ხმამაღალი კითხვა დაამთავრა ვთხოვე მას, ჩემთვის დაეტოვებინა ეს წიგნი, რაზედაც იგი დიდი ხვეწნის შემდეგ დავითანხმე მხოლოდ მას შემდეგ, როცა მტკიცე პირობა დავდე, რომ წიგნს თვალის ჩინივით მოვუვლიდი და არაფერს ვაწვებდი. წიგნი მართლაც საგულდაგულოდ შევინახე და თავისუფალ დროს ფაქიზად ვათვალიერებდი. ჯერ გამიტაცა სატიტულო ფურცელმა; მასზე მხატვრის (ვგონებ ცნობილი გრაფიორის ტატიშვილის) მიერ, სათაური „დამონებულნი“ შედგენილი იყო დაჭრილი ტოტებისაგან, რაც ჩემში მოკრძალებას და აღტაცებას იწვევდა. სიზუსტით დავიმახსოვრე წიგნის ავტორი ივან ვაზოვი, მხოლოდ მთარგმნელის გვარი — სახოკია იწვევდა ჩემში გაკვირვებას, რადგან ასეთი ქართული გვარი მანამდე ჯერ არსად გამეგონა, და უნდა გამოვტყდე პირველ ხანებში გამიჭირდა კიდევ მისი დამახსოვრება. ამ წიგნმა თავის დროზე ალბათ მამაჩემზეც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, რადგან მას იგი ჯერ კიდევ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის დროს შეეძინა და მიუხედავად მოწაფის ხელმოკლეობისა, არ დაეშურებია მისი ლამაზ შავ ლიდერინის ყდაში ჩასმა.

გარდა ამისა, წიგნის უკანასკნელი ფურცელი ლამაზი კალიგრაფიული ხელით (მამას ძალიან ლამაზი ხელწერა ჰქონდა) მიწერილი საკუთარი ორ ტაეპიანი ლექსით დაემშვენებინა. ამ ლექსის პირველი ტაეპი ახლაც მახსოვს — იგი ამ შინაარსისა იყო:

„ქართველო იყავ გმირთ-გმირი,  
 გიყვარდეს შენი ერია,  
 ხელი მიეცი ჩაგრულსა —  
 და სდევნე მისი მტერია“...

მეორე ტაეპი უკვე აღარ მაგონდება.

წიგნი დიდხანს (დაახლოებით ორი თუ სამი კვირა) ვატრიალე, სანამ გავბედავდი მისი დამოუკიდებლად კითხვის დაწყებას. რატომღაც ის გარემოება, რომ იგი ასეთი სქელტანიანი იყო ჩემში ერთგვარ

შიშს იწვევდა, მე ხომ მანამდის ასეთი დიდი მოცულობის წიგნი თავის დღეში არ წამეკითხა! — მაგრამ ერთ დღეს გავხედე უკვე დამოუყიდებლად მისი კითხვა და, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსი მოსმენილი მქონდა ჩემი ძმის ხმამაღალი კითხვით — მე მან ისე გამიტაცა, რომ მალე გავათავე.

ჩემს ტოლ-ამხანაგებს, რომლებსაც ეზოში ვეთამაშებოდი უკვირდათ: რა ასეთ წიგნს გადავეკიდე, რომ ეზოში მათთან ურიაშულს და თამაშს კითხვას ვამჯობინებდი. წიგნი თითქმის გათავებული მქონდა — როდესაც ტოლ-ამხანაგები დარწმუნდნენ, რომ მე არ ვხუმრობდი ასეთ „დიდ წიგნთან“ კიდილს, ამოვიდოდნენ ხოლმე აივანზე და შემომეხვეოდნენ; ზოგს არც კი სჯეროდა, რომ მე ასეთ „დიდ წიგნს“ ნამდვილად ვკითხულობდი და შესამოწმებლად მეკითხებოდნენ შინაარსს, რასაც ხალისით ვუამბობდი. ჩემი ნაამბობით ყველა დაინტერესდა და იქვე შედგა რიგი, თუ ვინ ვის შემდეგ წაიკითხავდა წიგნს. საბოლოოდ საქმე იმით გათავდა, რომ ერთ-ერთმა ამხანაგმა წიგნი დამიბრუნა სატიტულო ფურცლის გარეშე, რამაც მე ძალიან შემაშინა, მამისა და უფროსი ძმისაგან დატუქსვის მომლოდინემ. წიგნი გადავმალე, მაგრამ ეს ამბავი მაინც გამომჟღავნდა, რის გამოც საყვედური მაინც არ ამცდა.

## 2. „დ ე კ ა მ ე რ ო ნ ი“

თედო სახოკიას მიერ მშვენიერი ქართულით თარგმნილი მეორე დიდი წიგნი, რომელიც მე წავიკითხე, „დეკამერონი“ იყო; ჩემმა ძმამ გამოიტანა იგი ჭაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკიდან, მაგრამ მამაჩემმა წაასწრო კითხვის დროს და სასტიკად დატუქსა — ჯერ ამის კითხვის დრო არ დაგდგომილაო. წიგნი ჩამოართვა და ჩვენს ბიძას მისცა ბიბლიოთეკაში დასაბრუნებლად, მაგრამ მან საიღუმლოდ ისევ ჩემ ძმას დაუბრუნა. ამის შემდეგ ჩემმა უფროსმა ძმამ იგი საგულდაგულოდ გადამალა და მხოლოდ მამის სამსახურში ყოფნის დროს კითხულობდა ჩვენი დიდი ბაღის რომელიმე მყუდრო კუნჭულში.

მე ძალზე დავინტერესდი ამ „აკრძალული“ წიგნით — მაგრამ ჩემი ძმა ჩემს მიმართ ამ შემთხვევაში უფრო მეტ სისასტიკეს იჩენდა, ვიდრე ეს მამაჩემმა გამოიჩინა მის მიმართ — და კითხვის დროს არამც და არამც არ მიკარებდა ახლოს. ბოლოს მაინც მოვახერხე და მივაგენი „დეკამერონი“-ს სამალავს და მეც შევეუდექი მის კითხვას. საქმე ისაა, რომ მეცადინეობა მეორე წყებაში მქონდა და სკოლაში დღის პირველ საათზე მივდიოდი. ჩემი ძმა კი პირველ წყებაში სწავლობდა. ამრიგად, მე დაუბრკოლებლივ ვახერხებდი „დეკამერონი“-ს კითხვას. საუბედულ-

როდ პირველი წიგნი ვერ დავამთავრე (მისი წაკითხვა ძმამ აღრე დაამთავრა და ბიბლიოთეკას ჩააბარა), მაგრამ მეორე წიგნის წაკითხვა თითქმის ბოლომდე მივიყვანე და მხოლოდ შემდეგ გამოკუთხედი ჩემ ძმას დანაშაულში.

„დეკამერონი“-ს კითხვას ჩემში უმთავრესად ეკლესიის მსახურთა მიმართ გარდა კომიკური განწყობილების წარმოშობისა არავითარი სხვა რაიმე აზრი არ წარმოუქმნია და მაკვირვებდა, რატომ დავგიშალა მამამ მისი წაკითხვა. სანქმე ისაა, რომ ჩვენ მაშინ კალინინის ქუჩაზე ვცხოვრობდით რუდენკოების კერძო სახლში (№ 88, ეს სახლი ამჟამადაცაა, მაგრამ ჩვენს შემდეგ კიდევ ორი საართული დააშენეს). ამ სახლისაგან ახლოს ორი ეკლესია იყო: ერთი ალექსანდრე ნეველის რუს მართლმადიდებელთა, იქვე ახლოს კი კათოლიკეთა კასტელი — ასე რომ ჩვენს უბანში ეკლესიის ანაფორიან მსახურთა საკმაო სიმრავლე იყო. თუ მანაჲდე მათ ერთგვარი მოკრძალებითა თუ შიშით შეეყუარებდი, „დეკამერონი“-ს წაკითხვის შემდეგ ანაფორიან ჯვაროსნებისადმი ჩემი წინანდელი განწყობილებიდან ნატამალიც აღარ დარჩა. ამის შემდეგ მათი დანახვა ჩემში მხოლოდ ღიმილს იწვევდა — მე უკვე ყველა ისინი „დეკამერონი“-ს ცოდვილ გმირებად წარმომედგინა.

### 3. თეატრ სახოკია და ბორის რუდენკო

როგორც აღვნიშნე, ჩვენი ოჯახი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ათ წელიწადს რუდენკოების კერძო სახლში ცხოვრობდა კალინინის ქუჩაზე. 30-იანი წლების დამდეგისათვის ჩემი მშობლები ახალ ბინაში გადავიდნენ ვერაზე. ძველ ბინაში რუდენკოებთან დარჩა ჩემი დეიდა ნინო. მე და ჩემი უფროსი ძმა ხშირად დავდიოდით დეიდა ნინოსთან და ზეგჯერ მთელი დღეებიც იქვე ვრჩებოდით. ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ძველი ბინა ჩვენ ძალზე გვიყვარდა, რადგან ბავშვობის პირველი უდარდელი წლები იქ გვქონდა გატარებული. გარდა ამისა, იქვე გვეგულებოდნენ უამრავი ტოლ-ამხანაგები, რომლებთანაც უკვე შეჩვეული და შეზრდილები ვიყავით, რუდენკოების კარგად მოვლილ შესანიშნავ ბაღში ერთად თამაშით.

ჩვენი სახლის მფლობელი ალექსანდრა ივანეს ასული ღუნაივა-რუდენკო მეტად საინტერესო და კოლორიტული პიროვნება იყო. მას თავის დროზე დამთავრებული ჰქონდა ხარკოვის ქალთა სამედიცინო ინსტიტუტი ექიმის წოდებით. მისი მეუღლე ტიხონ რუდენკო აგრეთვე ექიმი იყო — ოღონდ სამხედრო უწყებისა და სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკის ხარისხით გარდაცვლილიყო ჯერ კიდევ საბჭოთა ხელი-

ისუფლების დამყარებამდე. მას ჩვენ არ მოვსწრებებივართ, მხოლოდ მე-ზობლებისაგან გვსმენოდა მისი ქება, როგორც შესანიშნავი ადამიანისა.

ალექსანდრა ივანეს ასულს სამი შვილი ჰყავდა. მათ შორის ალექსანდრა ტიხონის ასული რუდენკო იყო სიმღერის მასწავლებელი. ვლადიმერ ტიხონის ძე რუდენკო — ინჟინერი და, უნდა აღინიშნოს, რომ იგი თავისი დარგის კარგი სპეციალისტი იყო; მას ჰქონდა ბევრი რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონებები, რის გამოც, გარდა ხელფასისა ხშირად იღებდა პრემიებს და ჯილდოებს. მისი სამწუხარო ნაკლი ის გახლდათ, რომ სპირტიან სასმელებს ეტანებოდა. ალექსანდრა ივანეს ასულის მესამე შვილი ბორის ტიხონის ძე რუდენკო ფილოლოგი გახლდათ და დაინტერესებული იყო ქართული ენით. იგი ძალიან ბევრს მუშაობდა ძველი ენების და უმთავრესად ქართულის შესასწავლად. ამ მიზნით მან სარდაფში განცალკევებული კაბინეტი მოაწყო. ამ სარდაფ-კაბინეტის ფანჯარა რუდენკოების ეზოში შემოსასვლელ ალაყაფის კარებისაკენ იყო მიმართული და მე მანსოვს, როდესაც ჩვენ გვიან დავებრუნებულვართ კინოსეანსებიდან ან თეატრიდან, ბორის რუდენკოს სარდაფ-კაბინეტში სინათლე ენთო ხოლმე; დავგინახავს, თუ როგორ ჩაჰკირკიტებდა იგი ამ დროს სხვადასხვა წიგნებს კალმით ხელში მომარჯვებული.

მე იმ ხანებში ამოს (ამჟამად შეროზიას) ქუჩაზე მდებარე ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი გახლდით და იქაურ ბიბლიოთეკართა შორის ისეთი პატივისცემა მქონდა დამსახურებული, რომ მეტად იშვიათ გამოცემებსაც მანდობდნენ სახლში წასაკითხად. მალე მე გამიტაცა ყურნალ „მოამბის“ კითხვამ. ამ ბიბლიოთეკას გააჩნდა ხსენებული ყურნალის თითქმის მთელი კომპლექტი — და მე, ერთბაშად გამომქონდა ხოლმე ორი-სამი ნომერი ერთად, რომლებშიც წაუკითხავს არაფერს ვტოვებდი.

ერთხელ 90-იანი წლების „მოამბის“ ნომერში მე წავაწყდი თედო საჩოკიას საინტერესო სტატიების სერიას დასავლეთ საქართველოს პროვინციებში მის მიერ ჩატარებულ მოგზაურობათა შესახებ. სტატიებმა მე იმდენად დამაინტერესეს, რომ ზოგიერთი მათგანი ორჯერ-სამჯერაც კი გადავიკითხე. უნდა მოგახსენოთ, რომ იმ დროისათვის ქართულ ლიტერატურას მე ძალიან კარგად ვიცნობდი და გემოვნებაც საკმაოდ მქონდა განვითარებული. ამიტომ ხსენებული სტატიების პირველად გაცნობისთანავე მივხვდი, თუ რა საყურადღებო ნაშრომთან მქონდა საქმე.

სტატიები ინტერესით იკითხებოდა არა მარტო იმიტომ, რომ მათში ცოცხლად იყო აღწერილი ავტორის მიერ გაცდილი და დანა-



ზული დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას, არამედ საქმის ღრმა ცოდნით, უშეცდომოდ, ბელეტრისტულად იყო გაკეთებული ამ კუთხეების მოსახლეობაში გავრცელებული ბევრი დამახასიათებელი ზნე-ჩვეულება. რაც მთავარია, ამ სტატიებში გაბნეული იყო ბევრი სრულიად ახალი ქართული სიტყვა, რომლებიც ჰე მანამდის არსად არ შემხვედროდა. ახლაც მახსოვს, თუ როგორი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე „წყალვარდნილის“ გურულმა სინონიმმა „ჩაქუხამ“, რომელიც უდავოდ უფრო ცოცხლად და სხარტად გამოხატავს შინაარსს მოვლენისას, ვიდრე სიტყვა „წყალვარდნილი“. მე ამ დროისათვის ეგნ. ნინოშვილი მთლიანად მქონდა წაკითხული და თვალში მომხვდა, რომ ეს სიტყვა გურიის მკვიდრ მწერალს არსად არ ჰქონდა ნახსენები.

სწორედ ამ პერიოდში ბორის რუდენკო ინტენსიურად მუშაობდა მასალების შეგროვებაზე ქართული გრამატიკისათვის (რომლის დაწერაც, როგორც შემდეგ შევიტყვე განზრახული ჰქონდა). იგი სწირად დაგვიძახებდა ხოლმე მე და ჩემ ძმას ბორისს და ხანგრძლივად გვემასლაათებოდა ქართულ ენაზე. სხვათა შორის იმ დროისათვის ბორის რუდენკოს კარგად გამართული ქართული ჰქონდა, მხოლოდ საუბრისას სიტყვებს მართალია სავსებით სწორად იყენებდა, მაგრამ ძლიერი რუსული აქცენტი.

მე და ჩემ ძმას დიდხანს გვეგონა, რომ რუდენკო ენის გავარჯიშების მიზნით გვემასლაათებოდა ქართულად, მაგრამ მოგვიანებით ერთ-ერთ საუბრის დროს რუდენკომ გვითხრა, რომ იგი ოცნებობს დაწეროს ქართული ენის გრამატიკა რუსთათვის და ცდილობს სათანადო მასალის მოკრეფას უშუალოდ ცოცხალი მეტყველების საფუძველზე. ამ მიზნით — გვითხრა მან — იგი არ იშურებს ყოველ თავისუფალ დროს ქართული საზოგადოების სხვადასხვა თაობისა და ასაკის წარმომადგენლებთან ხანგრძლივი საუბრისათვის. ერთ-ერთი ასეთი საუბრის დროს, რუდენკომ შემნიშნა ილიაში გამოჩრილი ჟურნალი „მოამბის“ ნომრები, რომლებიც გამომართვა და გადაათვალიერა. იგი ძალიან გაოცებული დარჩა, რომ მე — 12—13 წლის ყმაწვილი მე-19 საუკუნის დამლევის ჟურნალით ვიყავი დაინტერესებული. მე ვუთხარი, რომ ახალ ჟურნალებსაც ინტერესით ვკითხულობ, მაგრამ ჟურნალ „მოამბემაც“ არა ნაკლებ დამაინტერესა, რადგან მასში წარსული ცხოვრების ბევრ საყურადღებო სურათებს ვნახულობ მეთქი. რადგან სიტყვამ მოიტანა მე რუდენკოს მიუუთითე თედო სახოკიას მოგზაურობებზე, რომლებიც სწორედ ჟურნალ „მოამბი“-ის ამ ნომრებში იყო გამოქვეყნებული — და ვუთხარი: რადგან ცოცხალი ქართული მეტყველება გაინტერესებთ, სწორედ ამ სტატიებში შეიძლება იპოვნოთ და-

სავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხმარებული ცოცხალი მეტყველების ბევრი საყურადღებო მაგალითი, რომლებიც თედო სახოკიას უხვად აქვს თავის ამ სტატიებში მოყვანილი-მეთქი.

რუდენკომ იქვე გადაათვალიერა სახოკიას სტატიები და თქვა, რომ მათ ავტორს მე დღემდის მხოლოდ, როგორც ფრანგული ენის კარგ პედაგოგს და „დეკამერონი“-ს ქართულად მთარგმნელს ვიცნობდიო, მაგრამ თუ იგი ასეთი სტატიების ავტორიც იყო, პირველად გავიგეო. რუდენკომ გამოთქვა სურვილი თედო სახოკიას სტატიების წაკითხვისა და ჩემგან ითხოვა „მოამბ“-ის ეს ნომრები. არ ვიცი, ნამდვილად გამოიყენა თუ არა რუდენკომ თავისი „ქართული გრამატიკისათვის“ (რომელიც ომის დაწყების წინა წელს გამოვიდა) თედო სახოკიას სტატიები, მაგრამ ის კია, რომ „მოამბ“-ის ნომრები მას ჩემთვის დიდხანს არ დაუბრუნებია.

დაახლოებით 2—3 კვირის შემდეგ როდესაც ჟურნალ „მოამბ“-ის წაღებულ ნომრებს მიბრუნებდა, ბორის რუდენკომ მითხრა, რომ ამ დღეებში მასთან სტუმრად იქნება თედო სახოკია და შემპირდა, რომ ჩემს თავს გააცნობდა მას. ამ გარემოებამ ძლიერ ამალელვა, რადგან პირველი შემთხვევა იყო, რომ პირადად ვეცნობოდი ქართველ მწერალს.

რუდენკოებს იმ ხანებში ბაღში ფანჩატური ჰქონდათ მოწყობილი და ზაფხულის თვეებში სტუმრებს ხშირად იქ იღებდნენ და უმასპინძლდებოდნენ. ერთ დღეს, როდესაც რუდენკოების ბაღში ჩემს ახლო ამხანაგთან ლეო დოლიძესთან (ამჟამად ინჟინერი) ვერთობოდი, ფანჩატურში მოვიდა ბორის რუდენკო სამ-ოთხ სტუმართან ერთად. მე, რატომღაც მაშინვე მიგრძნო გულმა, რომ ერთ-ერთი ამ სტუმართაგანი უთუოდ თედო სახოკია იქნებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ბორის რუდენკომ მართლაც დამიძახა და გამაცნო თავისი სტუმრები, რომელთა შორის მე მხოლოდ სანდომიანი სახის, უალრესად კეთილი თვალების მქონე, უღვაშებიანი მოხუცი დამამახსოვრდა. იგი ჩემი მოლოდინის თანახმად სწორედ თედო სახოკია იყო. რუდენკომ მას ჩემი თავი გააცნო როგორც საერთოდ ქართული ლიტერატურის და მათ შორის მისი ნაწარმოებების მოყვარული და აქტიური მკითხველი. რუდენკომ დაუმატა, რომ თედო სახოკია, როგორც საინტერესო ეთნოგრაფიული სტატიების ავტორი მას სწორედ მე გავაცანი. მთელი ამ ხნის განმავლობაში პატივც. თედო კეთილად იმილით მომჩერებოდა და რუდენკოს მიერ წარდგენის დამთავრების შემდეგ დამიწყო საუბარი თუ რა წიგნებს ვკითხულობ, რომელ სკოლაში ვსწავლობ და ვინ არიან ჩემი მასწავლებლები, რა პროფესია მსურს ავირჩიო მომავალში და ა. შ. როცა გაიგო ჩემი სურვილი

მწერლად გახდომისა, მან გაიღიმა და მითხრა ამისათვის საჭიროა კიდევ ბევრი ვიკითხო და ვისწავლო. შემდეგ მისურვა ყოველგვარი წარმატება ჩემი მისწრაფების შესრულებაში.

ახლაც სიამოვნებით მაგონდება ის სიამაყის გრძნობა, რაც მაშინ ჩემში წარმოიშვა, როდესაც ბ. თედომ გაკვირვება გამოთქვა, რომ მე ჩემს ასაკთან შედარებით შეუსაბამოდ ბევრი წიგნი მქონდა წაკითხული. როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. ბ-ნმა თედომ მთხოვა განმეშარტა ამის მიზეზი; მე ავუსხენი, რომ ბოლო სამი წელიწადი მძიმე ავადმყოფობის გამო მიჯაჭვული ვიყავი ლოგინს, რაც იძულებულს მხდიდა ეს თავისუფალი დრო წიგნების კითხვაში გამეტარებინა. წიგნების კითხვის სიყვარულის ჩვევა შემდეგში მორჩენის შემდეგაც შემრჩა. გარდა ამისა ბ-ნ თედოს ვუამბე, რომ ავადმყოფობის პერიოდში, ჩემთვის შესაფერი წიგნების ძებნისას ჩემი დედა გაეცნო ცნობილ ბუკინისტს სოსიკო მერკვილაძეს, რომელიც მე განუწყვეტლივ მამარაგებდა ჟურნალების „ჭეჭილი“-სა და „ნაკადული“-ს ძველი ნომრებით და სხვადასხვა ძნელად საშოვნო წიგნებით... ისე რომ დაუსწრებლად მე ამ ცნობილი ქართველი ბუკინისტის ისეთი პატივისცემა დავიმსახურე, რომ მან დედას ჩემთვის გადმოსაცემად სამახსოვრო წარწერით მის მიერ გამოცემული ხალხური „ვეფხისტყაოსანიც“ გამოატანა.

ამის შემდეგ თედო სახოკიას გავეუხილე, რომ მე ლექსებსაც ვწერ. შევატყვე რომ ამ ცნობამ თედოს ყურადღება გაამახვილა და მთხოვა თუ არ დავზარდებოდი მეჩვენებინა ეს ლექსები. მე პირდაპირ გავფრინდი შინისაკენ და ჩემი ლექსებით აჭრელებულ რვეულთან ერთად მამაჩემის ლექსით დამშვენებული ივანე ვაზოვის „დამონებულნი“-ც მივუბრუნინე ბ-ნ თედოს. მან ყურადღებით გადაათვალიერა ჩემი ლექსები. ზოგიერთი მათგანი მოიწონა კიდევ. შემდეგ მასში დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე მამაჩემის ლექსმა, რომელიც „დამონებულნი“-ს უკანასკნელ ფურცელზე იყო მიწერილი და გამოქიტხა მამის ვინაობა. როდესაც გაიგო, რომ იგი ამჟამად ექიმია, თქვა: ამ ლექსის მიხედვით ჩანს, რომ მამაშენს შენს ასაკში პოეზია იტაცებდა, მაგრამ შემდეგში ექიმი გამხდარაო. ლექსიდან ჩანს, რომ მამათქვენი ურიგო პოეტი არ უნდა დამდგარიყო, მაგრამ ხომ ხედავ ამ განზრახვაზე ხელი აუღიაო. შემდეგ ღიმილით განაგრძო: ქართული ანდაზაა — კვიცი გვარზე ხტისო და ვაი თუ მამის გზას გაჰყევთო. მაგრამ მე მტკიცედ განვუცხადე, რომ ჩემი სურვილია პოეტი გამოვიდე, საბოლოოდ გადაწყვეტილია-მეთქი. თედო სახოკიამ ამაზე გაიცინა და მითხრა: ვნახოთ, ვნახოთ, ერთი 10—15 წლის შემდეგ შეხვედრისასო. ეს იყო 1933 წლის მზიანი შემოდგომა, მე მაშინ 13 წლის ვიყავი და თედო სახოკიას ამ ჩემი პირველი გაცნობის შემდეგ მხოლოდ 10—11

წლის შემდეგ 1943 თუ 1944 წელს შეეხვდი ჩემი ძმის ოჯახში, როცა შე ახლად კურსდამთავრებული ექიმი ვიყავი. პატ. თედოს მე გავახსენე ჩვენი პირველი გაცნობის დღე და ჩვენ ბევრი ვიცინეთ მისი წინასწარმეტყველების ახდომის გამო. შემდეგ გულისტკივილით მოვიგონეთ ბორის რუდენკო. ჩემს ძმას, რომელიც ბორის რუდენკოს სეხნია იყო, ახლად ჰქონდა გაგებული სამწუხარო ამბავი — ბლოკირებულ ლენინგრადში ბორის რუდენკოს შიმშილით სიკვდილი.

სხვათა შორის მე კარგად დამამახსოვრდა ის მაღალი შეფასება, რაც თედო სახოკიამ მისცა ბორის რუდენკოს მიერ ლენინგრადში გამოცემულ ქართულ გრამატიკას.

#### 4. თედო სახოკიას სამშაბათობები

ბ-ნი თედო ჩვენს ოჯახში ხშირი სტუმარი იყო. მაგრამ ზოგჯერ ძალიან დაიგვიანებდა ხოლმე და ერთხელ საყვედური განვუცხადეთ, რომ იგი, ყველა ჩვენგანისათვის საყვარელი და საინტერესო პიროვნება, ხშირად გვანატრებს თავს. მან გაიცინა და შეგეპირდა, რომ ჩვენს ოჯახში სტუმრობას მისცემს უფრო მუდმივ ხასიათს. მართლაც ბ-ნმა თედომ გამოგვიყო ყოველი სამშაბათი საღამო — ეს იყო 1954 წლის თებერვლიდან. გარდაცვალებამდე მან ერთი თუ ორი სამშაბათი გამოსტოვა ავადმყოფობის გამო, რისთვისაც ყოველთვის მოგვიბოდიშებდა თავისი ტკიბილი ღიმილით. ამ სამშაბათობებზე გარდა ჩვენი ოჯახის წევრებისა ხშირად ესწრებოდნენ ხოლმე სხვა ნათესავეები და მეგობრები, აგრეთვე შემოსწრებული სტუმრები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნ თედოს კვირის სხვა საღამოები ასევე ჰქონდა განაწილებული თავისი უახლოესი ოჯახებისათვის, სადაც ზუსტად საღამოს რვა საათისათვის უსათუოდ უნდა მისულიყო სტუმრად — მიუხედავად ყოველგვარი ამინდისა და საქმეებისა. უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ უკანასკნელი ვიზიტი თავის სიცოცხლეში 1956 წლის თებერვლის ერთ-ერთ სამშაბათს მან სწორედ ჩვენს ოჯახში გააკეთა. მაშინ იგი ცოტა შეუძლოდ იყო და სახლამდის გავაცილე. ამის შემდეგ ბ-ნი თედო მხოლოდ ავადმყოფი ენახე თავის ბინაზე.

ამ სამშაბათობებზე მას უამრავი ეპიზოდი და ფაქტი უამბნია როგორც თავის ცხოვრებიდან, ისე XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიიდან. ამ ფაქტებს განსაკუთრებულ ინტერესს და სიცოცხლეს ანიჭებდა ის გარემოება, რომ ბ-ნი თედო თითქმის ყველა მათი აქტიური მონაწილე ან მოწმე იყო.

ახლა ძალიან ვნანობ, რომ ბევრი რამ მაშინვე არ ჩავიწერე, რადგან ველარ ვიხსენებ ბევრი საინტერესო ისტორია-მოვლენის მონაწილეებს გვართ და სახელით. იმ პერიოდში მე ვაგროვებდი მასალებს ჩემი მონოგრაფიისათვის, რომელიც XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილ ქართველ ექიმს და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ გედევანიშვილს შეეხებოდა (ეს მონოგრაფია 1960 წ. გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ). ამ მონოგრაფიასთან დაკავშირებით მე დაინტერესებული ვიყავი ყოფილ აღბულაღ-მანგლისის მხარეში ქართველი მთიელების ჩასახლების ისტორიით. ბ-ნმა თედომ ამასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო ფაქტი მოგვიყვა 1890-იანი წლების ბოლოს ოსმალეთში გადახვეწილი აფხაზების მიერ უპატრონოდ მიტოვებულ მიწაწყალზე ქართველი მთიელების ჩამოსახლების ნებართვის მიღებისათვის ბრძოლაზე, რომელიც სოხუმის ქართველი ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა გაშალა მისი მეთაურობით. ამ ჯგუფში მის გარდა შედიოდნენ ნიკო ჯანაშია (აკად. ს. ჯანაშიას მამა), მასწავლებელი ანთიმოზ ჭულელი და საზოგადო მოღვაწე ნიკო თავდგირიძე. მან აქ ბევრი სხვა პიროვნებაც დაასახელა, მაგრამ ისინი სამწუხაროდ აღარ მახსენდებიან.

საინტერესოა თედოს მიერ მოყვანილი ფაქტი იმის შესახებ, რომ სოხუმელი ინტელიგენციის ამ ინიციატივას ფარულად მხარს უჭერდა სოხუმის ოლქის მაშინდელი უფროსი ვინმე ჯანდიერი.

ერთ-ერთ სამუშაოს ამ ნაამბობთან დაკავშირებით თედოს ნათესავმა ოიდიპოს კეკელიამ საიდანადაც მოიტანა საინტერესო ფოტო-სურათი, რომელზედაც გადაღებული იყო სოხუმელი ინტელიგენციის ჯგუფი ილია ჭავჭავაძესთან ერთად (სოხუმში ილიას ყოფნასთან დაკავშირებით). ამ ფოტოზე აღბეჭდილი იყო თვით ბ-ნი თედოც. მან ფოტოზე აღბეჭდილი თვითეული პიროვნება მოიხსენია გვართ და სახელით, ამასთანავე ყოველი მათგანი დაგვიხასიათა დაწვრილებით, მოგვიყვა, რომ სოხუმელი ინტელიგენციის სხვა თავკაცებთან ერთად, მას საინტერესო მოლაპარაკება ეწარმოებინა ილიასთან, თბილისის საადგილ-მამულო ბანკის (რომლის გამგეობის თავმჯდომარეც ილია იყო) მხრივ მათი ინიციატივისათვის ფულადი ხელშეწყობის თაობაზე. ილიამ ამ საკითხში მხურვალედ დაგვიჭირა მხარი და აღვითქვა ყოველგვარი დახმარება — მოიგონა ბ-ნმა თედომ.

ილიას განსაკუთრებით მოეწონაო ჩვენი აზრი აფხაზეთის უპატრონოდ მიტოვებულ მიწებზე სწორედ მთიელების (თუშ-ფშავ-ხევსურებისა და სვანების) ჩამოსახლების შესახებო. ილიამ გვიჩაჩა — მოიგონა თედომ — რომ ეს საქმე გავკეკეთებინა მთავრობისათვის გვერდის

ავლით, რადგან მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დაგვრთავს ნებას „ინოროდცებით“ იქნეს დასახლებული შავი ზღვის სანაპირო.

ბ-ნმა თედომ აგრეთვე მოიგონა ილიას სიტყვა მის საპატივცემოდ გამართულ სადილზე. ილიას ამ სიტყვაში განსაკუთრებული ქებით მოეხსენებინა სოხუმის ქართველი ინტელიგენცია. ილიას ეთქვა, რომ ის მდგომარეობა, რაც ამჟამად ქართველ საზოგადოებრიობას უკავია სოხუმის ცხოვრებაში, თბილისში ჩვენთვის მხოლოდ საოცნებოა დღეისათვის: თქვენ ჩვენთვის ნამდვილად საუკეთესო მაგალითის მომცემნი ხართ.

საინტერესოა ის გარემოება, რომ რუსეთის ცარიტული ხელისუფლება, როგორც ბ-ნმა თედომ აღნიშნა, აფხაზეთის უპატრონო მიწებზე ასახლებდა რუსეთის შიდა გუბერნიებიდან უფრო ხშირად დანაშავე პირებსა და სექტანტებს, რითაც რუსეთის ცარიზმი ერთბაშად ორი კურდღლის მოკვლას ლამობდა: რუსეთის შიგა გუბერნიებიდან თავიდან იშორებდა მუქთახორა და პარაზიტულ ელემენტებს და მეორეს მხრივ, მათი ჩვენში ჩამოსახლებით საფუძველს უყრიდა რუსულ კოლონიზაციას. ამიტომ კავკასიის რუსული ადმინისტრაციის წინაშე საქართველოს ნაკლებ და მწირ მიწიანი მთიანეთიდან მოსახლეობის ჩამოსახლების ნებართვის მიღებისათვის ბრძოლაში როგორც ბ-ნმა თედომ გვიამბო ჩვენ ვიყენებდით შემდეგ საბუთს: აფხაზეთის ბარის რაიონები იმ დროს ტროპიკული მალარიის ბუდე იყო, რაც ახლად ჩამოსახლებულ რუსულ მოსახლეობას მუსრს ავლებდა. ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა კი ამ ციების მიმართ გამძლე იყო.

ამ მოტივით ჩვენ გვინდოდა ოფიციალური ნებართვის მიღება ჩვენი ინიციატივისათვის ხორცის შესახებმელად, მაგრამ ადგილობრივი რუსის შავრაზმელების დასმენით, ჩვენი ჯგუფი ხელისუფლებამ მალე მონათლა როგორც „ქართული პარტია“, რომელიც ოფიციალური ინტერპრეტაციის თანახმად, როგორც ბ-ნმა თედომ მოიყვანა „Противодействовала обрусению края“. დღეს ბევრისათვის შეიძლება დაუჯერებელი ამბავიც იყოს, მაგრამ სწორედ ამ ბრალდებით სოხუმის ინტელიგენციის რამდენიმე მეთაურს და მათ შორის ბ-ნ თედოსაც ხუთი წლით გადასახლება მიუსაჯეს. მაგრამ ბ-ნმა თედომ მოასწრო საფრანგეთში გასვლა, რის გამოც მან შაშინ რეპრესია აიცდინა. ამ მოვლენებს ადგილი ჰქონია დაახლოებით 1898—1899 წლებში.

პარიზში თავისი ყოფნის ამ პერიოდიდან ბ-ნმა თედომ რამდენიმე საინტერესო ფაქტი გვიამბო გამოჩენილი ქართველი ფიზიოლოგის აკად. ივანე თარხნიშვილის საჯარო ლექციების შესახებ სორბონის უნივერსიტეტში. როგორც მან აღნიშნა, თარხნიშვილის ლექციები პარიზში არაჩვეულებრივი ტრიუმფით მიმდინარეობდა და ამ ლექციებს უამ-

რავი სტუდენტი ესწრებოდა არა მარტო სპეციალურ, არამედ ჰუმანიტარულ და სხვა ფაკულტეტებიდანაცო. თარხნიშვილი მართლაც არაჩვეულებრივი მკვრამეტყველი ორატორი და ლექტორი იყო — დასძინა ბ-ნმა თედომ; პარიზში ყოფნის დროს ბ-ნი თედო რა თქმა უნდა, ყოველთვის ცდილობდა ესარგებლა, როგორც პარიზის განთქმული ეროვნული ბიბლიოთეკით, ისე მუზეუმებით, რადგანაც იგი არასოდეს არ წყვეტდა მუშაობას ეთნოგრაფიის საკითხებზე. ბ-ნმა თედომ მოიგონა, რომ სორბონის უნივერსიტეტში თარხნიშვილის ბრწყინვალე ლექციების შემდეგ, როგორც ლუერის მუზეუმში ისე პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მას უფრო მეტი მოწიწებითა და პატივისცემით დაუწყეს მოპყრობა, როდესაც შეიტყეს, რომ ის თარხნიშვილის თანამემამულე იყო. აქვე უნდა დავძინო, რომ ბ-ნმა თედო საზოკიამ მოგვაწოდა პირველად ცნობა ჯერ კიდევ 1946 წელს იმის შესახებ, რომ პარიზის პასტერის ინსტიტუტში მსოფლიოს სხვა გამოჩენილ მეცნიერთა ბიუსტებს შორის იყო აკადემიკოს თარხნიშვილის ბიუსტიც. ეს ცნობა, როგორც ჩემს ისე პროფ. მიხეილ სააკაშვილის მიერ მოყვანილი იყო 1947 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიებში აკად. ივანე თარხნიშვილის შესახებ.

პარიზიდან დაბრუნების შემდეგ, რადგანაც „ქართული პარტიის“ ისტორია ცოტად თუ ბევრად უკვე მივიწყებული იყო, ბ-ნი თედო კვლავ სოხუმს უბრუნდება. ძალიან საინტერესო მოგონებები გაუზიარებია ჩვენთვის ბ-ნ თედოს 1905 წლის რევოლუციის პერიოდში, რევოლუციური ორგანიზაციებისათვის, საზღვარგარეთიდან საქართველოში იარაღის შემოტანის შესახებ, რომლის ერთ-ერთი მოთავეც თვითონ იყო.

იარაღი შემოტანილი იყო გემ „სირიუსით“ და როგორც თედომ აღნიშნა საზღვარგარეთ იარაღის შექენას და გამოგზავნას ხელმძღვანელობდა სამთო ინჟინერი გიორგი დეკანოზიშვილი. იარაღის ადგილზე მიღებას და განაწილებას ხელმძღვანელობდა ბ-ნი თედო. როგორც მან აღნიშნა იარაღი გაუნაწილდა იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც გამოდიოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ. ამრიგად, ერთ რომელიმე პარტიას შემოტანილი იარაღის წილზე რაიმე უპირატესობა არა ჰქონია. გუდაუთაში იარაღის ნაწილი გადაეცათ ბოლშევიკების ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობდა სერგო ორჯონიკიძე. მაგრამ ეს ჯგუფი იარაღის განაწილების მომენტშივე დაეპატიმრებინათ. იარაღის ჩამოტანის ამბავი და ამ საქმეში თედოს მონაწილეობა, აშკარაა, დაბეზლების წყალობით მეფის ადგილობრივ ხელისუფლებას მაშინვე გაეგო და პირველად სწორედ თედო დაეპატიმრებინათ.

როგორც ვიცით, თედო სახოკიას როლი 1905 წ. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს რევოლუციური ორგანიზაციების საქიროებისათვის იარაღის შემოტანის საქმეში ფართოდაა ცნობილი. მაგრამ აქ მოკლედ ამ საკითხის გაშუქება იმიტომ ჩავთვალე საჭიროდ, რომ მე პირადად, მოწმე ვარ ორი საინტერესო ეპიზოდისა, რომელიც უკავშირდება ამ ფაქტს; ერთხელ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პარტიის ისტორიის კათედრის გამგემ პროფესორმა ვ. ონიანმა მთხოვა შემეხვედრებინა იგი თედო სახოკიასთან, რადგან თავისი ერთ-ერთი ისტორიული მონოგრაფიისათვის ესაჭიროებოდა რამდენიმე ცნობა მიეღო მისგან. ბ-ნმა თედომ ბევრი საინტერესო ფაქტი უამბო პროფესორ ონიანს. მაგრამ მე დამამახსოვრდა ნაამბობი ფოთის მაშინდელი პოლიცემისტრის ვინმე აბაშიძის შესახებ. თედო მოყვა, რომ ეს აბაშიძე, რომელსაც თავის სამსახურებრივი მოვალეობის მიხედვით ევალებოდა რევოლუციონერების დაპატიმრება, თავისი ერთ-ერთი ახლო ნათესავის პირით წინასწარ ატყობინებდა ზოლმე დასაპატიმრებელ პირებს „...დღეს საღამოს, ამა და ამ საათზე თქვენს დასაპატიმრებლად მოვდივარ და თავს უშველეთო...“ თედომ მოგვიყვა, როდესაც გემი „სირიუსი“ იარაღით ფოთის გარე რეიდს მოადგა, როგორც შემდეგ გავიგეთ, ჩვენი დაპატიმრების ოპერაციის ხელმძღვანელობა, ძირითადად ამ აბაშიძის ხელში ყოფილიყო თავმოყრილი — და მას ყველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რომ ვითომცდა ზედმეტი სიფრთხილის ზომების დაცვით, რაც შეიძლება მეტად დაეყოვნებინა ჩვენთვის ალყის შემორტყმა, რამაც გემ „სირიუსს“ საშუალება მისცა გაქცეულიყო და ჩვენც იარაღის დიდი ნაწილით მივმალულიყავითო. სწორედ ამიტომ ჩემი დაპატიმრება უშუალოდ იარაღის გადმოტვირთვის ადგილას ქ. ფოთში ამიტომ ვერ მოხდა, მაგრამ შემდეგ ამ საქმის გაშო მანც დამაპატიმრეს უკვე სოხუმშიო — მოიგონა ბნ-მა თედომ. მან აგრეთვე დასძინა: ეს აბაშიძე რომ არ ყოფილიყო 1905 წ. ფოთის პოლიცემისტრად, ფოთი ალბათ ნათოფარს დაემსგავსებოდაო.

ეს საინტერესო ნაამბობი იმიტომ მოვიგონე, რომ ერთ-ერთი სამშაბათობის დროს, როგორცაც თედომ ფოთელი პოლიცემისტერი აბაშიძე შეადარა ქ. სოხუმის მაშინდელ პოლიცემისტერს ვინმე პლატონ მიქაბერიძეს, რომელიც აბაშიძისაგან განსხვავებით პირიქით სამსახურის ერთგული აღმოჩენილა. იარაღის შემოტანასთან დაკავშირებით სოხუმში რომ დამაპატიმრესო — მოგვიყვა თედო, სასამართლომ დამტკიცებულად სცნო ჩემი დანაშაული და ციმბირში სამუდამო გადასახლება მომისაჯაო. განაჩენი გავასაჩივრე სენატში და პასუხის მოლოდინში წინასწარი პატიმრობიდან განთავისუფლება ვითხოვეო. მაგრამ მომთხოვეს თავდებობა და ამასთანავე თავლებ პირს ჩემზე ძალიან



დიდი თანხა (ვგონებ 2000 მანეთამდე) უნდა შეეტანა. საბედნიეროდ აღმოჩენილიყო ერთი სოხუმელი კომერსანტი, ეროვნებით ბერძენი (სამწუხაროდ გვარი ვერ გავიხსენე), რომელსაც შეეტანა ეს თანხა. იგი იმდენად კეთილი პიროვნება აღმოჩენილა, რომ თედოსათვის შეეთავაზებინა: „ჩემი ფული შენი სანაცვლო იყოს და ახლაც გადაიძალიო“. მაგრამ როგორც თედომ აღნიშნა სწორედ იმ პერიოდში, მას მეუღლე ავად ჰყოლია — და ეს არ შემეძლო. უკიდურეს შემთხვევაში, იმედი მქონდა, სენატს განაჩენი თუნდაც დაემტკიცებინა, მე გადასახლების ადგილამდე ჩემი ხარჯით წასვლის ნებას მაინც მომცემდნენ, ხოლო ციმბირიდან ჩემი სემინარელი ამხანაგის იოსებ ლალიაშვილის მსგავსად საზღვარგარეთ გაქცევა მქონდა გადაწყვეტილიო.

სოხუმის ციხეში თედოს პატიმრობა და მისი გასაპართლება 1907 წელს მომხდარა ისე, რომ სწორედ სოხუმის ციხეში შევიტყუე ილიას ვერაგული მკვლელობაო, — მოიგონა თედომ. ამასთან დაკავშირებით, სოხუმის საპატიმროში ყველა პატიმარს (მათ შორის სისხლის სამართლის დამნაშავეებსაც კი) მეფის ხელისუფლებისადმი პროტესტის ნიშნად ერთდღიანი შიმშილობა გამოეცხადებინათ — ამ დროს პატიმრებს დაემტკრიათ ყველაფერი, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ. თბილისში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე სოხუმელი პატიმრების სახელით სამძიმრის დეპეშაც მე გამოვგზავნეო, მოიგონა თედომ. როგორი იყო ჩემი გაოცება, როდესაც თბილისის გაზეთები მივიღეთ, სადაც ჩემი დეპეშა იყო დაბეჭდილიო. ახლაც არ ვიცი ცენზურამ როგორ გაუშვა და არ დააკავა ეს დეპეშაო, — დასძინა ბ. თედომ.

თავდებით გამოშვების შემდეგ, მე სოხუმის ქალაქის თვითმართველობაში განვაგრძე სამსახური — თქვა თედომ. — და გულით ეთხოვე სოხუმის მაშინდელ პოლიცემისტერს პლატონ მიქაბერიძეს (რომელსაც ძალიან ახლოს ვიცნობდი), რომ სენატიდან პასუხის მიღება ჩემთვის ოფიციალური მსვლელობის მიცემამდე წინასწარ შეეტყობინებინა, რომ მოვმზადებულიყავიო. მიქაბერიძემ აღმითქვა დამშვიდებული ბრძანდებოდე პასუხს არაოფიციალურად რამდენიმე დღით ადრე გაცნობებო.

ერთ დილას — მოიგონა თედომ — სამსახურამდე, გზად პლატონ მიქაბერიძეს გავუარე, იგი მაშინ ჩემი ქალიშვილის ნათლიასთან ნიკო თავდგირიძესთან ცხოვრობდა და რომ მივედი, ორივენი ჩაის შეექცეოდნენო. ჩემს კითხვაზე მიქაბერიძემ დამამშვიდა: ჯერ არავითარი პასუხი არაა სენატიდან და ნუ ღელავ როგორც კი მივიღებ, დაპირების თანახმად, რამდენიმე დღით ადრე გაცნობებო. თელო ქალაქის თვითმმართველობაში წასულა და სამსახურს შედგომია. გავიხედოთ — და

ასე ნახევარი, ერთი საათიც არ იყო გასული, გაიღო ოთახის კარი და ჩემი ნაცნობი პლატონ მიქაბერიძე ორი შეიარაღებული უნდარმის თანხლებით გამომეჭიმაო. ის ჩემგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა, ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო და საზეიმო ხმით წაიკითხა: «По указу Его Императорского Величества, Вы высылаются в Сибирь на вечной — Во исполнение чего должны быть немедленно арестованы и этапом препровождены до места ссылки». ოთახში ამ დროს ბევრი პიროვნება ყოფილა (როგორც თვითმპარტველობის მოსამსახურენი, ისე მთხოვნელები), მაგრამ ის, რაც მოხდა, ყველასათვის (და განსაკუთრებით თედოსათვის) იმდენად მოულოდნელი აღმოჩენილა, რომ ჯერ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, შემდეგ კი ყველას სახეში ფურთხება დაეწყო მიქაბერიძისათვის, რადგან სცოდნოდათ მისი შეპირების შესახებ. ჩემთვის კი აშკარა გახდაო — თქვა თედომ — მე რომ მასთან დილით ვიყავი, ჩემი განაჩენის დამტკიცების ქაღალდი ჯიბეში სდებია მიქაბერიძეს, რაც დამიძალა — იქედან კი პოლიციაში წავიდა, რათა შეიარაღებული ბადრაგი მოეყვანა ჩემს დასაპატიმრებლადო.

ამ ამბების მოყოლა ბ. თედომ ის-ის იყო დაამთავრა, რომ მოხდა დაუჭერებელი ფატალური რამ: ჩვენს სადარბაზო კარზე ვიღაც სტუმარმა დარეკა. არ მახსოვს ვინ გააღო კარი, გადმომცეს ვიღაც მოხუცია და გკითხულობთო. მე ვთხოვე მოეპატივნათ იგი და ამ დროს ოთახში შემოვიდა თეთრი წვერულვაშით მოსილი სანდომიანი სახის ლამაზი მოხუცი. თედომ და ახლადმოსულმა ერთმანეთს დაუფარავი გაოცუცებით შეხედეს და გაირინდნენ, მხოლოდ რამდენიმე ხნის გავლის შემდეგ მიესალმნენ ერთმანეთს გაუბედავად. უხერხული სიჩუმე, როგორც მასპინძელმა, პირველმა დავარღვიე და სტუმარს ვკითხე, რით შემიძლია გემსახუროთ მეტქი. მან თავი გამაცნო პლატონ მიქაბერიძედ და ამიხსნა: გავიგე, რომ თქვენ შეგისწავლიათ რაღაც ახალი პრეპარატის მოქმედება, რომელიც პარკინსონიზმით დაავადებულთა წამლობისათვის იხმარება. ძალიან დამავალებთ თუ ამ წამალს მიშოვნით ჩემი მეუღლის სამკურნალოდო — დაამთავრა თხოვნა სტუმარმა.

ეს პრეპარატი (სუკრადბელი), რომლის შესახებაც აქაა ლაპარაკი მიღებული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში აწ განსვენებულ აკად. იოველ ქუთათელაძის მიერ დამუშავებული მეთოდით — მისი წინასწარი ექსპერიმენტული შესწავლა ჩატარებული იყო ამ სტრიქონების ავტორის მიერ, რისი შედეგებიც ცალკე წიგნად გამოიცა 1956 წ<sup>1</sup>, ხოლო პარკინსონიზმით დაავა-

1. Хведелидзе Г. В. Сукрадбел как лекарственное средство хонического энцефалита (паркинсонизма), Грузпедгиз, Тбилиси, 1956.

დებულებზე ამ წამლის დადებითი გავლენა დადასტურებული იყო აკადემიკოსების პეტრე სარაჯიშვილისა და აწ განსვენებულ პეტრე ქავთარაძის მიერ.

სტუმარს ხსენებული წამლის შონაში დახმარება აღუთქვი და რადგან სუფრა გაშლილი იყო, რა თქმა უნდა, ქართული წესის თანახმად, შემოსწრებული სტუმარი აღარ გავუშვი, მიუხედავად მისი დიდი უარისა. გასაგებია, ჩვენ უკვე ვიცოდით მისი და ბ-ნ თედოს ძველი ურთიერთობის შესახებ, რომელიც სწორედ ახალი მოსმენილი გეჰონადა. ამიტომ ჩვენდა უნებურად ორივენი ყველა ჩვენგანის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. მაგრამ უნდა დავძინო, როგორც ბ. თედომ, ისე ჩვენმა ახალმა ნაცნობმა უკვე სავსებით დამშვიდებით დაიწყეს ძალდაუტანებელი საუბარი, როგორც ეს ძველ დიდი ხნის უნახავ ნაცნობებს შეუფერის.

პირველად წავიდა მიქაბერიძე და შემდეგ ბ-ნი თედო, რომელმაც წასვლის წინ გაგვანდო, რომ პირისპირ სალაპარაკოდ პლატონ მიქაბერიძეს პირველად შეხვდა 1907 წლის შემდეგ და ისიც ასეთი საოცარი დამთხვევის პირობებში. ჩემთვის რომ სხვას მსგავსი რამ ეამბნა, მე არ დავიჯერებდიო, გაღიმებით დაამთავრა ბ-ნმა თედომ (ამ შეხვედრას ადგილი ჰქონდა დაახლოებით 1955 წლის გვიან გაზაფხულის ერთ-ერთ სამშაბათს). — რადგანაც ასეთი ფატალური შეხვედრის მოწამენი გახდით, მომავალ სამშაბათს მოგიყვებით დღეს დაწყებული ამბის დასასრულსო — შეგვპირდა ბ-ნი თედო.

მორიგ სამშაბათს (რომელსაც მოუთმენლად ველოდით) აი რა გვიამბო თედომ: როგორც იყო განველე ეტაპით მგზავრობის საშინელებანი სოხუმიდან ციმბირის გადაკარგულ კუთხემდეო — დაიწყო მოცოლა თედომ, ციმბირში მისი მასპინძელი აღმოჩენილა 1863 წლის პოლონეთის აჯანყების მონაწილე, რომელიც სამუდამოდ გადაესახლებინათ ციმბირში თუ მესხიერება არ მღალატობს ვინმე პან ქოსია. ერთ-ერთი საუბრის დროს გამოკვეულა, რომ პან ქოსიას 1870-იან წლებში გარკვეული ხნით ემასპინძლა აგრეთვე თედოს გულითადი მეგობრის გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილისათვის. გიორგი ზდანოვიჩი ეს ნამდვილად ზეციდან დედამიწაზე ჩამოსული და ხორც-შესხმული ანგელოზი იყო — ეთქვა ცრემლმორეულ ქოსიას. ამის შემდეგ ჩემი მასპინძლები, როგორც საკუთარი ოჯახის წევრს, ისე მიუყრებდნენო და ჩემი ციმბირიდან საზღვარგარეთ გაქცევის სამზადისშიაც, რაც შეეძლოთ, ყოველგვარი დახმარება აღმომიჩინესო — გვიამბო თედომ:

გამოქცევისას მთავარი იყო ირკუტსკამდე ჩამელწია, მერე კი ჩემი კარგი მეგობრის ნესტორ კალანდარიშვილის იმედი მქონდაო (ეს ის 7. თედო სახოკიასადმი მიძღვნილი კრებული

კალანდარიშვილია, რომელიც სამოქალაქო ომის წლებში ციმბირის წითელ პარტიზანთა სახელმძღვანელო მეთაური გახდა).

ირაკუტსკამდე თედოს მართლაც მშვიდობიანად მოეხერხებინა ჩასვლა. იქ კი კალანდარიშვილს მიეცა მისთვის როგორც ფული, ისე პასპორტი სხვის სახელზე. ამის შემდეგ მეორე ძნელი ეტაპი ჩემს გზაზე იყო ომსკამდე მგზავრობა, რადგან პოლიცია-ჟანდარმერია გულდასმით ამოწმებდა მგზავრებს სწორედ ციმბირის რკინიგზის ამ მონაკვეთზე, გაქცეული კატორღელების აღმოჩენის მიზნით — აგვიხსნა თედომ. მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ, ჩემს კუბეში აღმოჩნდა ვიღაც რუსი პოლკოვნიკი თავისი მეუღლითურთ, რომლებსაც თედო მალე დამეგობრებია და როდესაც ჟანდარმები კუბეს შემოაღებდნენ პოლკოვნიკის დანახვისთანავე სამხედრო სალამის მიცემის შემდეგ კარებს მსწრაფლადვე გაიხურავდნენ და მიდიოდნენო.

კალანდარიშვილის მოცემული ფული ბაქომდე მეყო. ბაქოში თედო მისულა ექიმ ივანე ელიაშვილთან, ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან და ჟურნალისტთან. მას თედო პირველად დიდი პატივისცემით მიეღო, მაგრამ როცა გაეგო მისი სტუმრის საქმის ნამდვილი ვითარება (კატორღიდან გამოქცევა) ძალიან შეშინებულიყო — შეიძლება ჯაშუშები უკვე დაგსდევნენ და ჩემთან კი მოხვედითო. მაშინვე 25 მანეთი ამოიღო და მომცაო — გვიამბო თედომ, დიდ გასაჭირში რომ არ ვყოფილიყავი გამორთმევას არც კი ვაპირებდიო. ეს ვალი თბილისში ჩასვლისთანავე გამოგზავნა თედოს ელიაშვილთან. თბილისში, თედო მეგობრების დახმარებით საზღვარგარეთ გასვლის თადარიგს შედგო-მია. უკვე ყველაფერი მზად იყო ბათუმისაკენ გამგზავრებისათვის (საიდანაც მას გზა საფრანგეთისაკენ უნდა გაეგრძელებინა), რომ წინაღობით სასტუმრო „ჩრდილოეთის ნომრების“ რესტორანში შევედიო — მოიგონა თედომ (ეს სასტუმრო ახლანდელი რუსთაველის პროსპექტზე იყო მუზეუმის პირდაპირ). დარბაზში თავისუფალი მაგიდები თითქმის არ ყოფილა, მაგრამ თედო დაუნახავს მის კარგ ნაცნობს აკაკი ხოშტარიას, რომელსაც თავის მაგიდასთან მიუპატიებია იგი. თედო დაწვრილებით მოჰყოლია თავის თავგადასავალს და რა თქმა უნდა, პლატონ მიქაბერიძის შესახებაც ეამბნა ხოშტარიასათვის. ამ უკანასკნელს ეთქვა — ბედი შენი, თორემ ერთი წუთით აღრე რომ შემოსულიყავი, პლატონ მიქაბერიძემ აქ ისაძილა და გასვლისას ჩემს მაგიდასთან გაიარა და მომესალმა კიდევო. გამოირკვა, რომ მიქაბერიძე ამ სასტუმროში ჩამომხტარიყო.

უკვე ბათუმის მატარებელში ვიჯექი, რომ მცხეთის სადგურზე მე და კუბეში ჩემმა თანამგზავრმა გიორგი ჩიჩუამ განვიზარახეთ მცხეთის სახელმძღვანელო ღვეძელები გვეჭამაო. პერონზე არავინ იყო, თქვა

თედომ. მოშორებით დავინახე ვილაც სამხედრო პირი, ალბათ თვით-დაცვის ინსტიტუტმა მიკარნახა, რომ მე შეეჩერდი და გზა აღარ გამი-გრძელებია, შემდეგ მხედველობის დაძაბვით გავარჩიე, რომ ის სამ-ხედრო პირი სწორედ ჩემი ძველი ნაცნობი პლატონ მიქაბერიძე იყო. თედო მაშინვე ამობრუნებულა ვაგონში. საბედნიეროდ მიქაბერიძე ჩვენსკენ არ იყურებოდაო, დასძინა თედომ. შემდეგში, მე უკვე სამშვი-დობოს — პარიზში ვიყავი, როდესაც იქედან პლატონ მიქაბერიძეს გი-ორგი გვაზავას (რომელიც საქართველოში გამოემგზავრა) პირით შემო-ვუთვალე, რომ ნამდვილად დაგაკარგვინე სამსახურში დაწინაურება და ორდენის მიღება, რადგან მცხეთის პერონზე ამა და ამ დროს, რომ იდექი, გვერდით ჩავიარე, შენ კი ვერ შემნიშნე და ხელიდან გა-გისხლტი-მეთქი. შემდეგში გიორგი გვაზავამ მიაამბო — განავრძო თე-დომ — პლატონ მიქაბერიძემ მიპასუხა, რომც მეცნო, მე მას ხელს არ ვახლებდიო — მაგრამ იმის შემდეგ, რაც მან სოხუმში გამოიკეთა, რო-გორღაც არა მჯერა, რომ ხელს არ მახლებდაო — დასძინა ბ-ნმა თედომ.

ვიცოდი რა ბ-ნ თედოს ახლო მეგობრობის შესახებ ივანე მაჩა-ბელთან (წაკითხული მქონდა მისი მოგონება მაჩაბელზე, რომელიც 1938 წელს გამოქვეყნდა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“), ერთ-ერთ სამშაბათობაზე თედოს წაუუკითხე 1955 წ. გაზ. „ახალ-გაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატია ივანე მაჩაბლის შესა-ხებ. სტატიაში გატარებული იყო აზრი, რომ ივანე მაჩაბელი უკმაყო-ფილო იყო თავისი ბედისა და ზოგიერთი მაშინდელი მოღვაწისა, რომლებმაც იგი „გარიყეს“ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, თითქოს ინკოგნიტოდ წავიდა რომელიღაც უცხო ქვეყანაში და იქ დარჩა სა-მუდამოდ. ამ ვერსიის დასამტკიცებლად მითითებული იყო აკაკი წე-რეთლის ერთ-ერთ ლექსზე, რომელშიაც სტატიაში მოყვანილი დებუ-ლების სასარგებლო მოტივები იყო წარმოდგენილი მაჩაბლის ტრაგი-კული ბედის შესახებ. მაინტერესებდა, რა აზრს გამოთქვამდა ბ-ნი თედო ამ სტატიასთან დაკავშირებით. ბ-ნი თედო ძალიან აღაშფოთა ამ სტატიამ—მან განაცხადა, რომ ივანე მაჩაბელს ძალიან ახლოს იცნობდა და როგორც მის ერთადერთ ცოცხლად დარჩენილ მეგობარს, შეუძ-ლია მთელი პასუხისმგებლობით განაცხადოს, რომ მაჩაბელი არსად ინკოგნიტოდ არ წასულა და არც შეეძლო ეფიქრა ამის შესახებ, რად-გან მას იმდენად უყვარდა თავისი სამშობლო საქართველო, რომ მის გარეშე ცხოვრება არც ერთი წუთით არ წარმოედგინა. იგი არც არა-ვის „გაუფრიაკვს“ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. მართალია „ბანკო-ბიადის“ შედეგად ილიასთან ბრძოლაში იგი დამარცხდა და ბანკიდან წავიდა, მაგრამ ამ მარცხს სავსებით შერიგებული იყო. ივანე მაჩა-ბელი არ იყო ისეთი ტიპის მოღვაწე, რომ იგი უსაქმოდ დარჩენილიყო.

ბ-ნმა თედომ მოიგონა, რომ უქანასკნელ ხანებში მაჩაბელი სინანული-თაც კი იგონებდა ბანკის საკითხებზე ილიასთან ბრძოლას, რომელმაც როგორც მას ისე ილიას ბევრი დრო დააკარგვინა უსარგებლოდ.

როგორც თედომ გვიამბო, მაჩაბელს განზრახული ჰქონდაო მთელი შექსპირის ქართულად თარგმნა და შემდეგ დიდი წიგნის დაწერა შექსპირზე. ამრიგად საზოგადოებრივ საქმეებიდან მაჩაბლის რაიმე „გარიყვაზე“ ლაპარაკიც კი ზედმეტიაო — დასძინა თედომ. სწორედ თავისი ტრაგიკული ბოლოს რამდენიმე თვით ადრე მაჩაბელმა ქართულ საზოგადოებას ზედიზედ მიუძღვნა „ანტონიოს და კლეოპატრას“ და „კოროლიანაის“-ს თარგმანებიო. შექსპირზე მუშაობაში ივანე მაჩაბელი ამ დროს ისევე მთელი ვატაცებით ჩაბმულა დიდი ხნის ინტერვალის შემდეგ, რომელიც თავის დროზე „ბანკობიადით“ იყო გამოწვეული. გარდა ამისა თედომ გვიამბო, რომ 1897 წლის შემოდგომაზე თუ 1898 წლის ადრე გაზაფხულზე იგი სპეციალურად ჩამოსულა ვანოს სანახავად სოხუმიდან და სუბტროპიკული მცენარეების ნერგები ჩამოეტანა მისთვის. ვანოს ეს მცენარეები სიხარულით მიეღო და მაშინვე შედგომოდა თავის ეზოში (ახლანდელი წილკნის ქუჩისა და ლენინის ქუჩის კუთხეში) მათ დარგვას, რაშიაც მეც სიამოვნებით დავეხმარეო ვანოს — თქვა თედომ.

ნერგების რგვის დროს ვანოს თედოსთვის ბევრი თავისი გეგმის შესახებ ეამბნა. თედომ მოიგონა, რომ ვანოს ბავშვივით ახარებდა აბასთუმანში სამკურნალოდ მომავალი წასვლა, რაც 1898 წლის ზაფხულისათვის იყო განზრახული — ექიმები ვაწაძე, ვოინო და გედევანიშვილი მაიმედებენ, რომ იქედან საღსალამათად დაებრუნდებიო და მაშინ კი შეეძლებ ჩემი შექსპირიც მალე მოვათავოო — ეთქვა მაჩაბელს. „ვიც კი ვანოს ახლო იცნობდა, ყოვლად შეუძლებელია მასზე ოდნავადაც დაუშვას ის აზრი, რომ იგი ოდესმე ვინმეს ან რასმეს რისგანმე შეეძლო გაერიყა“-ო (ზუსტად ბ-ნ თედოს სიტყვები მომყავს).

გარდა ყოველივე ამისა, მსჯელობა ივანე მაჩაბლის საზოგადოებიდან „გარიყვაზე“, თუნდაც იმ მოღვაწეთა დაუსახელებლად, რომლებიც თითქოსდა ამ „გარიყვის“ მიზეზნი იყვნენ, ნებით თუ უნებლიეთ წყალს ასხამს ილია ჭავჭავაძის ბევრი იმდროინდელი დაუძინებელი მტრის ინსინუაციებს, რომლებიც ჯერ კიდევ მაშინ „ბანკობიადის“ შედეგად ილიას გამარჯვების ფაქტს მიიჩნევდნენ საზოგადოებრივი საქმეებიდან მაჩაბლის ვითომცდა გარიყვის მიზეზადო — დასძინა თედომ. ბანკის საქმეების გამო მაჩაბელს თავის დროზე ბევრ პიროვნებასთან მოუხდა შეხლა-შემოხლა და პირადი უსიამოვნება, მაგრამ იმ პირებში არც ერთი არ ერია ისეთი, რომ ვანო გაემეტებინაო — თქვა თედომ. მით უმეტეს ყოვლად შეუძლებელია აგრეთვე იმის დაშვება, რომ ვა-

ნოს საკუთარი ხელით თავისი დღე მოესწრაფებინაო — დაასკვნა ბ-ნმა თედომ.

ერთ-ერთი მომდევნო სამშაბათობის დროს ბ-ნი თედო მოგვიყვა ივ. მაჩაბლის შექსპირის ქართულად თარგმნის მეთოდზე, რომელიც ვფიქრობ, არ იქნება ინტერესს მოკლებული მაჩაბლის სსოვნის პატივისმცემლებისათვის; უშუალოდ ინგლისურიდან მის მიერ შესრულებულ თარგმანებს მაჩაბელი ძალიან ხშირად აღარებდა სხვა ევროპულ ენებზე არსებულ შექსპირის საუკეთესო თარგმანებს — და თუ ამ შედარების შედეგად მის წინაშე რაიმე ორაზროვნება წამოიჭრებოდა, მაშინ ვანო ერთდროულად უგზავნიდა შეკითხვებს ევროპის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრებ ავტორიტეტულ შექსპიროლოგებს. პასუხებს რომ არ დაეგვიანა, შეკითხვის მთელ ტექსტს, რომელსაც ხშირად საკმაოდ ვრცელი წერილის ფორმაც კი ჰქონდა ხოლმე, მაჩაბელი ტელეგრაფით აგზავნიდა, წინასწარ გადახდილი საზღაურით ჰაუსისათვის, მხოლოდ ყველა პასუხის მიღებისა და მათი ურთიერთშეჯერების შემდეგ გამოჰქონდა ხოლმე ივანე მაჩაბელს თავისი საკუთარი საპოლო მსჯავრი შექსპირის ასეთი რთული ადგილების ქართული თარგმანების დადგენისასო, გვიამბო ბ-ნმა თედომ. მკითხველებისათვის, ვფიქრობ, არ იქნება ინტერესს მოკლებული აგრეთვე თედო სახოკიას აზრი ივანე მაჩაბლის როლის შესახებ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის შექმნის საქმეში. რატომღაც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებლად მარტო ილიას და აკაკის ასახელებენ და ივიწყებენ ამ საქმეში მათ გვერდით ივანე მაჩაბლის დაყენებასო, სინანულით თქვა ბ-ნმა თედომ.

ერთ სამშაბათს ბ-ნი თედო ძალიან ნასიამოვნები მოვიდა; მას ის-ის იყო დაემთავრებინა ვახტანგ ჭელიძის მონოგრაფიის წაკითხვა ივანე მაჩაბელზე, როცა გაიგო, რომ მე ვახტანგს ახლო ვიცნობდი — მთხოვა, როგორმე მიმეყვანა იგი მასთან, რადგან მსურს მისი წიგნის გარშემო მიღებული შთაბეჭდილება პირადად გადავცეო. შევთანხმდით და ერთ-ერთ კვირა დღეს ვეახელით ბ-ნ თედოს ბინაზე ვახტანგ ჭელიძე და ამ სტრიქონების ავტორი. თედო სახოკია გადაეხვია ვახტანგს და დიდი მადლობა გადაუხადა იმ სიამოვნებისათვის, რაც მან ივანე მაჩაბელზე მისი მონოგრაფიის კითხვით მიიღო.

— თუ ჩემს აზრს თქვენთვის რაიმე მნიშვნელობა აქვსო — მისთვის ჩვეული თავმდაბლობით უთხრა მან ვახტანგს — შემიძლია თამამად გითხრა „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ მე თანამედროვე ქართული პროზის შედევრად მიმაჩნიაო. წამოსვლის წინ ამ შეხვედრის სამახსოვროდ და მოსაგონებლად თავისი ახლად გამოსული წიგნით („როგორ ეიზრდებოდით ძველად“) დაგვესაჩუქრა.

საერთოდ ბ-ნ თედოს ძალიან ახარებდა ყოველი ახალი დადებითი მოვლენა ქართულ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში; მიუხედავად თავისი მუდმივი მოუცლევლობისა („ქართული ხატოვანი სიტყვების ლექსიკონზე“ მუშაობის დამთავრების შემდეგ იგი ინტენსიურად მუშაობდა თავის მეორე კაპიტალურ ლექსიკონზე, რომელსაც „ქართულ-ქართლური ლექსიკონი“ უწოდა. დანარჩენ დროს კი გამოჩენილ მოღვაწეებზე მოგონებების წერას ანდომებდა). ერთ დღეს ბ-ნი თედო აღტაცებით მოგვიყვია იმ დიდ შთაბეჭდილებაზე და სიხარულზე, რაც მან განიცადა „თბილისის ზღვის“ ხილვით. მის სანახავად აწ განსვენებულ სოლომონ ცაიშვილს წაეყვანა და თედო შემდეგ ძალიან დიდხანს იყო ნანახის გავლენის ქვეშ. მხოლოდ რატომღაც არ მომწონს. რომ სამგორის წყალსაცავს მაინცადამაინც „თბილისის ზღვა“ უწოდესო — გაგვიზიარა თავისი აზრი თედომ. იმ ადგილას საცა ახლა ეს „ზღვა“ ე. ი. სამგორის ყოფილ ველზე სამი ბუნებრივი ტბა იყო და რადგან ამ სამი ტბის გავრთიანებით დიდმა წყალსაცავმა სამგორის ველი დაიკავა, წყალსაცავისათვის, ჩემის აზრით, უფრო ლამაზი იქნებოდა სწორედ სამგორის ტბა დაგვერქმიაო, — ამბობდა თედო. სხვა მხრივ, როგორც აღვნიშნე, იგი ძალიან აღტაცებული იყო სამგორის წყალსაცავის შექმნით და მისი მოცულობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ხრიოკი მახათა და მისი შემოგარენი ტყით დაფარებაო, რაც ჩვენ თბილისს კიდევ უფრო გაამშვენებს და გააჯანსაღებს მის ჰავასო — ამბობდა იგი. ამასთან დაკავშირებით ბ-ნმა თედომ გვიამბო, რომ მთაწმინდის მიდამოები კავკასიაში ჯერ კიდევ გენერალ პასკევიჩის მეფის ნაცვლობის პერიოდს მოსწრებოდა ტყით დაფარული. მაგრამ საუბედუროდ, იქ რამდენიმე ყაჩაღი დაბინავებულიყო და პასკევიჩმა, მიუხედავად იმისა, რომ დიდ სამხედრო სტრატეგად მოჰქონდა თავი, მათთან ბრძოლაში ვერაფერი გააწყო. ამიტომ მას „ყაჩაღების ბუდის“ მოსპობის ორიგინალური ხერხისათვის მიემართან; ერთ მშვენიერ დღეს მთაწმინდის და მისი მიდამოების ტყეებისათვის გასაჩეხად კაზაკთა პოლკები შეესია, ხოლო შემდეგ ტყე რომ კვლავ არ განახლებულიყო, გადაჩეხილი ძირკვებისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ. პეტერბურგში, თბილისთან „ყაჩაღთა ბუდის“ მოსპობის რაპორტს ნიკოლოზ I-საგან პასკევიჩის მორიგი ორდენით დაჯილდოება მოჰყოლოდა. როგორც ბ-ნმა თედომ აღნიშნა ნიკოლოზ პირველს ძალიან მოსწონებოდა „ყაჩაღობასთან“ ბრძოლის ეს მეთოდი, რასაც ეს სისხლის მსმელი მეფე შემდეგში თურმე ფართოდ იყენებდა შამილთან ომის პერიოდში. ამით აიხსნებაო, — თქვა ბ-მა თედომ, რომ სამხედრო გზის გასწვრივ დარიალის ხეობის იქეთ და აქეთ დიდ მანძილზე აღარც ერთი ხე აღარ მოიპოვებო. გარდა ამ უბედურებისა, რაც პასკევიჩმა მთაწმინდის



ტყეების გაჩეხით თბილისს თავს დაატეხა, მან კიდევ მეორე კვალიც დაუტოვა თბილისსო — გვიამბო თედომ. დღევანდელი ლენინის მოედანი, როგორც თედომ აგვიხსნა ატარებდა არა ერევნის სახელს არამედ პასკევიჩის სახელს. საქმე შემდეგში ყოფილა: ქ. ერევნის აღების საპატივსაცემოდ და სამახსოვროდ როგორც ცნობილია ნიკოლოზ I-მა გენერალ პასკევიჩს გრაფ ერევნელის წოდება მიანიჭა და თბილისის ცენტრალურ მოედანს, მაშინვე გამარჯვებული მხედართმთავრის გრაფ პასკევიჩ-ერევნელის მოედანი Площадь графа Паскевича-Эриванского<sup>2</sup> დარქმევოდა. დროთა ვითარებაში ხალხს პასკევიჩი ჩამოეშორებინა და დაეტოვებინა „ერევანსკის“ მოედნის სახელი. „ერევნის“ მოედნის სახელის წარმოშობის ასეთი ვერსია არც მანამდე და არც მის შემდეგ (როგორც ეს ბ-ნმა თედომ მიაბმო) არსად არ შემხვედრია, რის გამო საჭიროდ ჩავთვალე მისი აქ მოყვანა.

ასევე არ შემიძლია არ მოვიყვანო მეორე ეპიზოდი: ერთ-ერთ სამშაბათობისას ბ-ნი თედო ძალიან მხიარულ გუნებაზე მოვიდა — წინასწარ ვიცოდით ასეთ დროს ის რაღაც ახალ საინტერესო ამბავს მოგვიყვებოდა — და მართლაც აი რა გვიამბო: XIX ს. 70—80-იან წლებში ქ. სოხუმში მოღვაწეობდა ვინმე ჩერნიაესკი. იგი შემთხვევით მოხვედრილა სოხუმში და ეს ქალაქი ისე მოსწონებოდა, რომ იქვე დარჩენილა. მე მას მოვსწრებივარო, თქვა თედომ — განათლებული კაცი იყო, მაგრამ მეტისმეტად დილეტანტი, რის გამოც წერდა ყველაფერზე: შავი ზღვის სანაპიროს რაიონების, როგორც ფლორასა და ფაუნაზე, ისე ეთნოგრაფიასა, ისტორიასა და არქეოლოგიაზეო. რადგან ამ მხარეს რუსული საზოგადოება ცუდად იცნობდა — ამიტომ მას ყველაფერს ადვილად უბეჭდავდნენო. ადგილობრივ ხალხებსა და ისტორიაზე მას მეტად ზერელე წარმოდგენა და ცოდნა ჰქონდა, რის გამოც ბევრი არევ-დარევა შეიტანა ამ საკითხების გაშუქებაშიო — გვითხრა თედომ. — მისი ერთი ყველაზე დიდი უბედურება ის იყო — განაგრძო თედომ, რომ მაგალითად ქართველებს არ თვლიდა იმ ისტორიული ძეგლების შემოქმედად, რითაც მდიდარი იყო საქართველოს შავი ზღვის სანაპირო. დღეს, ბევრმა არც კი იცისო — თქვა ბ-ნმა თედომ, რომ სწორედ ამ ჩერნიაესკიმ დაასკვნა პირველად, რომ ქ. სოხუმთან მდინარე ბესლეთზე თამარის ეპოქის თაღვანი ხიდი თითქოს ვენეციელთა აშენებული იყო. ქალაქ სოხუმის მაშინდელ სათათბიროში ჩერნიაესკის უკვე დიდი გამავლობა ჰქონდა იმ დროისათვის მოპოვებული და მას ოფიციალურად გამოეტანინებინა დადგენილება ამ ხიდი-

<sup>2</sup> რევოლუციამდელ ქ. ერევანს რუსული ტრანსკრიპციით ეწოდებოდა არა Ереван-ი, როგორც ამჟამად, არამედ Эривань-ი.

სათვის „ვენეციელთა ხიდის“ (Венецианский мост), ხოლო მის ახლო მდებარე გზისათვის „ვენეციელთა გზატკეცილის“ (Венецианское шоссе) დარქმევის შესახებ.

1937 წ. „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის 750 წლის იუბილეს დღეებში, როცა ეს ხიდი მრავალსაუკუნოვანი ხავსის დანაშრევებისაგან სადღესასწაულოდ გაწმინდეს — მნახველებს თვალწინ გადაეშალათ ქვებზე ამოკვეთილი ქართული წარწერა, რამაც სავსებით ძირი გამოუთხარა დილეთანტ ჩერნიავესკის ჰიპოთეზას ხიდის ვენეციური წარმოშობის შესახებ. მიუხედავად ამისა სამწუხაროდ ეს ხიდი და გზატკეცილიც ხალხში მაინც „ვენეციურ“ სახელს ატარებდაო — გულისტკივილით თქვა ბ-ნმა თედომ — დღეს კი გავიგე სასიხარულო ამბავი: სოხუმის საქალაქო საბჭოს ხიდისთვის ოფიციალურად აღუდგენია „ქართული ხიდის“, ხოლო გზატკეცილისათვის „ქართული გზატკეცილის“ სახელები. ამ სასიხარულო ამბის გაგებისთანავე სოხუმის ქალაქის მესვეურებს ეს-ეს არის მისალმების დეპეშა გაუუგზავნეო, დაამთავრა მოყოლა ბ-ნმა თედომ.

შემიძლია ასევე მოვიგონო, თუ როგორი კმაყოფილებით შეხვდა პატ. თედო სახოკია „ქართული განმარტებითი ლექსიკონი“-ს გამოსვლას. ეს საშვილიშვილოდ გადადგმული პირველი დიდი ნაბიჯიაო, რომელიც სამწუხაროდ ასე დაგვაგვიანდაო — ამბობდა თედო — მაგრამ როგორც პირველი ნაბიჯი გასაგებია იგი სავსებით უნაკლო არ იქნებო. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი საყურადღებო ეპიზოდი: ბ-ნ თედოს სიცოცხლეში სულ გამოცემული იყო „ქართული განმარტებითი ლექსიკონის“ სამი ტომი.

— დავამთავრე ამ სამი ტომის შედარება ჩემი „ქართული ლექსიკონის“ შესაბამის მასალასთან და სამწუხაროდ აღმოვაჩინე, განმარტებითი ლექსიკონის ამ ტომებს სამიათასამდე სიტყვა აკლიაო — გულისტკივილით აღნიშნა ბ-ნმა თედომ. შემდეგ რამდენიმე სიტყვა მოიყვანა, რომლებიც მისი აზრით არ უნდა ყოფილიყო შეტანილი ქართულ განმარტებით ლექსიკონში. ამ სიტყვებიდან მე მხოლოდ ერთი „დუხტი“ დამამახსოვრდა. როგორც ბ-ნმა თედომ ახსნა, ქიზიყში და შიგნით კახეთში შამილთან ომის პერიოდში ბევრი რუსის პოლკი იდგა, რის გამოც ადგილობრივ მოსახლეობაში დარჩა გადამახინჯებული ბევრი რუსული სიტყვა, ასეთია ეს „დუხტი“, რომელიც ქიზიყში იხმარება — იგი იგივე რუსული „Дерогъ“ — ია გავვიმარტა მან. მაგრამ მიუხედავად ასეთი წვრილმანი თუ მსხვილმანი ნაკლისა „ქართული განმარტებითი ლექსიკონი“ უდავოდ დიდი კულტურული მოვლენაა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მეორე გამოცემა უკვე ნამდვილად უნაკლო იქნებო — ამბობდა თედო სახოკია.

ჩემი მოგონების დასასრულს არ შემიძლია არ შევეხო თედო სახოკიას სახელთან დაკავშირებულ ერთ ფაქტს — ეს არის მისი სასამართლო დავის ისტორია გაზეთ „ივერიის“ რედაქციასთან. შეიძლება ამ საკითხს არ შევხებოდით, მაგრამ რადგან იგი უკვე გაშუქებული იყო პრესაში, ამიტომ ჩემს მოვალეობად ვთვლი მკითხველ საზოგადოებას გაეაცნო მისი შინაარსი ისე, როგორც ბ. თედოსაგან მსმენია იგი. მით უმეტეს თედო სახოკია დღეს ცოცხალი აღარაა და პრესაში ხსენებული საკითხის პუბლიკაციას პირადად ბ-ნი თედო ვეღარ უპასუხებს. ამიტომ გამართლებულად მიმაჩნია ჩემი მოგონების საშუალებით საზოგადოება გაეცნოს აგრეთვე ბ-ნ თედოს ნაამბობს „ივერიას“-თან მისი დავის ნამდვილი ვითარების შესახებ.

საქმე ისაა, რომ მე დაწვრილებით ვიცნობდი ამ საკითხს გაზეთ „ივერიის“ 90-იანი წლების კომპლექტებზე მუშაობის წყალობით, რაც მომიხდა აკადემიკოს ივანე თარხნიშვილზე ჩემი მონოგრაფიისათვის მასალების შეგროვების პროცესში. ამიტომ ერთ-ერთი სამშაბათობის დროს დაყინებით ვთხოვე ბ-ნ თედოს ეამზა ამ საქმის ისტორია, რაც დიდი თხოვნის შემდეგ დააკმაყოფილა. მიმაჩნია, რომ მისი ხსონისადმი მიძღვნილი ეს კრებული სავსებით შესაფერი აღგლია ამ საკითხის გასაშუქებლად. რა თქმა უნდა, თედო სახოკია აკაკი წერეთელთან შედარებით ბევრად უფრო მოკრძალებული და ჩუმი მოღვაწეა ქართული სინამდვილისათვის, მაგრამ ვფიქრობთ, მაინც უნდა აღდგენილ იქნეს ის კეშმარტება, რაც „ივერიის“ რედაქციასა და სახოკიას შორის დავას დაედო საფუძვლად. მით უმეტეს, როგორც ამას მკითხველი ქვემოთ დაინახავს, „საქმე“ წარმოიშვა სამწუხარო გაუგებრობის შედეგად, რისი გარკვევაც არა ნაკლებ საჭიროა როგორც თედო სახოკიას ისე თვით აკაკი წერეთლის პრესტიჟისათვის.

საქმის ვითარება შემდეგში ყოფილა: თედო სახოკიას შეეკრიბა აკაკის ზოგიერთი ოხუნჯობანი (რა თქმა უნდა აკაკისავე დასტურით). ხელნაწერი ბ-ნ თედოს სტამბაში გაგზავნის წინ აკაკისათვის გადაეცა, რომელიც ყოველგვარი შენიშვნის გარეშე დაებრუნებინა მას თედოსათვის. როგორც ბ-ნი თედო მოგვიყვება, ბექდვაში გაშვების წინ უკანასკნელი კორექტურაც მიეტანა მას დიდი მგონისისათვის, რომელიც თედოს აგრეთვე აკაკის ყოველგვარი შესწორების გარეშე დაბრუნებოდა. წიგნის დაბეჭდვის შემდეგ — აღნიშნა თედომ — „ივერია“-ში დაიბეჭდა სტატია ჩემსა და ჩემი გამოცემული წიგნის მიმართ მეტად შეურაცხმყოფელი ეპითეტებით. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ აკაკის უსვამდნენ მოთხოვნას — მოეხსნა თავისი სახელი ჩემ მიერ შეკრებილ მის ოხუნჯობებზე — გვიამბო თედომ. მე მაშინვე ჩემი მეგობრის გიორგი ლასხიშვილისაგან ზუსტად გავიგე, რომ გაზ. „ივერიის“

მთელი ეს გამოსვლა მომზადებული იყო „ივერიის“ ერთ-ერთ მაშინდელი წამყვანი თანამშრომლის არტემ ახნაზარის (ახნაზაროვის) მიერ, რომელიც ლიტერატურაში, „ჩიორას“ ფსევდონომით გამოდიოდა. როგორც ბ-ნმა თედომ აღნიშნა არტემ ახნაზართან ადრე მას მოსვლოდა კონფლიქტი—გაზეთ „ივერია“-ში ერთი ეთნოგრაფიული ხასიათის გამოკვლევის დაბეჭდვის საკითხთან დაკავშირებით. თედოს ეს სტატია ახნაზარს დაკარგოდა რედაქციაში. მათ შორის მომხდარი ამ უსიამოვნების შესახებ ილიასაც გაეგო, რომელსაც რედაქციის სახელით როგორც ეს ილიას დიდ ბუნებას შეჰფეროდა ბოდიშიც მოეხადნა ბ-ნ თედოსათვის. ილიას ეთქვა! ყმაწვილო, როგორმე აღადგინეთ ის სტატია და პირადად მე მომიტანეთ და დავბეჭდავო. ასეთი შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში არა ერთხელ გადამხდენია—თქვა ბ-ნმა თედომ, მაგრამ საოცარი ხასიათი მქონდა—დაკარგული სტატიის აღდგენის ხალისი ყოველთვის მეკარგებოდაო. ასევე ჩემს ეთნოგრაფიულ წერილებში რაჭა იმიტომ აღარ შევიდა, რომ რაჭაში ჩემი მოგზაურობის აღწერა (მთელი საერთო რვეული) ერთ-ერთი მგზავრობის დროს დაკარგე. შემდეგ ბევრი მეხვეწა ჟურნ. „მოამბის“ რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია, როგორმე აღმედგინა რაჭის აღწერა, მაგრამ ვერა და ველარ დაუდევნი გული მის აღდგენასო — გულდაწყვეტით თქვა ბ-ნმა თედომ.

ჩემი ღრმა რწმენით ილიას გამოქომაგებით განაწყენებული არტემ ახნაზარი სამაგიეროს მიხდიდაო—განაგრძო მოყოლა ბ-ნმა თედომ. იმიტომ, როცა სასამართლო სარჩელი აღვძარი „ივერიის“ რედაქციის მიმართ ფაქტიურად ეს იყო დავა ჩემსა და ახნაზარს შორისო—მაგრამ სარჩელი თავიდანვე მკვდრადშობილი აღმოჩნდა, რადგან აკაკიმ ჩემთვის მოულოდნელი პოზიცია დაიკავა: მე გაკვირვებული დავრჩი, როდესაც პატივცემულმა აკაკიმ განაცხადა, რომ სახოკიას მიერ შეკრებილ ჩემს ოხუნჯობათა კრებულს წინასწარ გაცნობილი არ ვიყავიო, და ეს მაშინ, როდესაც ხელნაწერმაც და კორექტურამაც მის ხელში გაიარესო. საქმე ცხადია მოისპო და დღემდის ვერ ამიხსნია აკაკის მაშინდელი უცნაური პოზიციის მიზეზი —ალბათ ჩემს როგორც ახალგაზრდა ლიტერატორის ავტორიტეტს მაინც გაზ. „ივერიის“ ავტორიტეტი ამჯობინაო—ახსნა თედომ.

მიუხედავად ასეთი გაუგებრობისა ჩემსა და აკაკის შორის ყოველთვის კარგი ოფიციალური ურთიერთობა სუფევდა და არც ერთ ჩვენთაგანს არასოდეს მოგვიფონებია ეს არასასიამოვნო ეპიზოდი—დასძინა ბ-ნმა თედომ. აღსანიშნავია, რომ პირველი იმპერიალისტური ომის დაწყების წინა წლებში, აკაკიმ პარიზში თავის ვაჟიშვილ ალექსისთან ყოფნის დროს, სწორედ მე მომწერა ბრიუსელში წერილი—მანდ ჩამოსვლა და მანდაური ქართველების ნახვა მინდა და იქნებ რაიმე მომიხერ-

ხო. აკაკიმ მე ამირჩია, მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელში იმ დროს აკაკის ბევრი სხვა ახლო მეგობარი და ნაცნობი იყო—დასძინა ბ-ნმა თედომ. (სხვათა შორის, ბ-ნ თედოს ნამძობობით ბრიუსელში მაშინ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქართული კოლონია ყოფილა). მე ბევრი ვეცადეო, მოიგონა ბ-ნმა თედომ, მაგრამ სამწუხაროდ ვერ შევძელი ფულის შეგროვება საყვარელი აკაკის ბელგიაში მოსაწვევადო. საერთოდ ჩემთან კარგი ურთიერთობით—თქვა თედომ—აკაკის ალბათ სურდა ჩემს თვალში ხაზი გაესვა, რომ „ივერიას“-თან ინციდენტს ის არავითარ სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

ეს საკითხი ჩემთვის სრულიად გარკვეული აღმოჩნდა უკვე რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც პატივცემული თედო უკვე გარდაცვლილი იყო; 1959 წელს. კურორტ ბორჯომში სასტუმროში ერთად დასვენება მოგვიხდა მე და აწ განსვენებულ პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილს. ერთ-ერთი ჩვენი შეხვედრის დროს მე პატივცემულ იოსებს ვთხოვე გამოეთქვა თავისი აზრი „ივერიის“ რედაქციასთან თედო სახოკიას ზემოაღწერილი ინციდენტის და მასში აკაკის — ამ ნამდვილად დიდბუნებოვანი ადამიანის უცნაური პოზიციის მიზეზების შესახებ. იოსებმა გაიცინა. და მითხრა მე მგონია ეს გაუგებრობა იმიტომ მოხდა, რომ აკაკი და თედო სახოკიაც ცალკე ორივე მართლები იყვნენო. ჩემი გაოცების პასუხად პატ. იოსებმა ზემოაღნიშნული ინციდენტი შემდეგნაირად გააშუქა: იმ პერიოდში, როცა თედო სახოკიამ აკაკის ოხუნჯობანი შეკრიბა, გაზეთ „ცნობის ფურცელსა“ (რომელიც ახლად იყო დაარსებული) და გაზ. „ივერიას“ შორის გამწვავებული ურთიერთობა იყო, ცნობილია, რომ მაშინ აკაკიც იყო „ივერია“-ზე განაწყენებული. აკაკის ხშირად უხდებოდა ყოფნა „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში და აშკარაა იქ ბევრ თავისებურ ცხარე ოხუნჯობებსაც მოაყოლებდა ხოლმე „ივერია“-ის მისამართით. თედო სახოკია იმ პერიოდში უფრო მეტად „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის ორიენტაციისა იყო, თუნდაც იმიტომ, რომ თითქმის მისი ყველა მეგობარი-ჟურნალისტი მაშინ სწორედ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში იყო თავმოყრილი. მე მგონია, რომ ის ოხუნჯობანიც თედოს უმთავრესად სწორედ ამ მეგობარ ჟურნალისტებმა მიაწოდესო—თქვა ბ-ნმა იოსებმა. შესაძლებელია თედომ, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლიტერატორი იყო. ბევრი მართლაც ისეთი ოხუნჯობა შეიტანა თავის კრებულში, რომელიც მართალია ითქმება. მაგრამ არ დაიწერება. შესაძლებელია—თქვა ბ-ნმა იოსებმა—ამაში ბრალი „ცნობის ფურცლის“ ჟურნალისტებსაც მიუძღვით, რომლებმაც ზედმეტი სიბეჭითე გამოიჩინეს, რომ „ივერია“-სათვის ეკბინათო. ყოველ შემთხვევაში, როგორც იოსებმა აღნიშნა—მას გულწრფელად სჯერა, რომ ოხუნჯობათა კრებულის ხელნაწერი და შემდეგ კორექტუ-

რებიც თედომ ნამდვილად ჩააბარა წასაკითხად აკაკის—მართლაც ძნელი დასაჭერებელია—განაგრძო იოსებმა, რომ ქართული პოეზიის ასეთი ბუმბერაზის აკაკის სიცოცხლეში სცემდნენ მის ოხუნჯობებს ავტორის უნებართვოდ და მასთან შეუთანხმებლად. მაგრამ სათავე მაშინ წარმოშობილი გაუგებრობისა ის იყო, რომ აკაკი არ იყო სტამბის კაცი —სახელდობრ, იგი არასოდეს არ კითხულობდა თავისი ნაწარმოებების კორექტურებს, რისი მოწმეც პირადად ვარო — თქვა იოსებმა. ამიტომ ასევე გულწრფელად უნდა ვიწამოთ აკაკის აღიარებაც, რომ თედო სახოკიასაგან შედგენილი მისი ოხუნჯობათა კრებული მას წაკითხული არა ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით იოსებმა მოიგონა, რომ აკაკის ამ თვისების გამო (რომ მას კორექტურის კითხვა არ უყვარდა) მხოლოდ ახლახან გახდა შესაძლებელი ზოგიერთი ადგილის აღდგენა მის ისეთ კაპიტალურ ნაწარმოებებშიაც კი, როგორცაა „ნათელა“ და „თორნიკე ერისთავი“-ო. ვფიქრობ, იოსებ გრიშაშვილის ამ განმარტების შემდეგ ყველაფერი გასაგები უნდა იყოს „ივერია“-სთან თედო სახოკიას — მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, — იმ ზემოაღწერილი ბედ-უკუღმართი ინციდენტის გარშემო.

---

## ალექსანდრე სიგუა

### მწერალი და მოქალაქე

(მოგონება თედო სახოკიაზე)

რუსთაველას პროსპექტზე, იქ, სადაც ამჟამად ქვანახშირის კომბინატის ხუთსართულიანი ლამაზი შენობა აღმართულა, ძველად იდგა ორსართულიანი სახლი. წინათ ამ სახლის პირველ სართულზე მოთაქსებული იყო სილიბისტრო თავართქილაძის წიგნის მაღაზია „განათლება“. მაღაზიის პატრონს თავისი გამომცემლობაც ჰქონდა. თავის დროზე ამ კაცმა სასახელო თაოსნობა გამოიჩინა. გამოსცა ბევრი საინტერესო წიგნი ქართული კულტურის ისტორიიდან. ასე მაგალითად: ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ (1 ტომი), აოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, შოთა რუსთაველას „ვეფხისტყაოსანი“, იუსტინე აბულაძის რედაქციითა და შენიშვნებით.

ამ გამომცემლობასა და წიგნის მაღაზიაში ზმირად ნახავდით ქართველ მწერლებს, მსახიობებს, მეცნიერებსა და პედაგოგებს; აქ მოდიოდნენ ივ. ჯავახიშვილი, ვ. ბარნოვი, შ. დადიანი, შიო მღვიმელი, თ. სახოკია, ივ. გომართელი, ზ. ჭიჭინაძე, ი. აბულაძე, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია და სხვები. იმ ხანებში მე ვმუშაობდი ყოფილ პოლიტკატორლელთა საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. მაღაზია მოთავსებული იყო იქ, სადაც ამჟამად მოზარდ-მაყურებელთა ქართული თეატრია. გასაგებია, რომ ზმირად მიხდებოდა გადასვლა მოპირდაპირე მხარეს, თავართქილაძის მაღაზიაში. და, აი ერთ დღეს პოლიტკატორლელთა საზოგადოების მაღაზიიდან თავართქილაძის მაღაზიაში გადმოვიტანე ერთი შეკვრა ვარლამ მაღაქიაშვილის წიგნი „სამნი“ და იქვე კუთხეში დავდევი. ამ დროს ერთი ლამაზი კაცი მომაჩერდა და მითხრა: — საიდან ხართ, თქვენ ჭაბუკო, — მე მარტვილიდან გახლავართ, ბატონო; ვისი შვილი ხართ, — კონდრატე სიგუას, ბატონო. — ოჰ, ეს ჩემი კარის ძეგობელია, პატიოსანი მშრომელი გლეხის შვილი — უთხრა მან დეთო სახოკიას, რომელთანაც მას საუბარი ჰქონდა გამართული. აი ასე გავიცანი მე თედო სახოკია. ის კაცი კი, რომელმაც ჩემი ვინაობა იკითხა იყო აკაკი პეტრეს ძე სიგუა. დედისაგან სოფელში გაგონილა

მქონდა, რომ გუჯა (ასე ეძახდნენ მას შინაურობაში) ეხმარება და ზელს უწყობს ყველა იმას, ვისაც განათლების მიღების სურვილი აქვს და მართლაც არა ერთი დახმარება გაუწევია მას, როგორც ჩემთვის, ისე ჩემი ძმისათვის. შემდეგ აკაკი სიგუა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი იყო, რომელიც დაიღუპა 1937 წელს.

სწორედ ამის შემდეგ თედოს ძალიან დავუახლოვდი. ამ დაახლოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ის ყოფილ პოლიტკატორდელთა საზოგადოების წევრი იყო და თითქმის ყოველდღე შემოდის ჩვენს ძალაზიაში. იმავე ხანებში მას გამოსაცემად გამზადებული ჰქონდა ვრცელი მოგონებები „ციმბირში“; იმ ხანებში ამ წიგნის გამოცემა რატომღაც არ მოხერხდა.

მოგვიანებით, როდესაც სახელმწიფო გამომცემლობაში დავიწყე ძეშობა, თედომ იქ გამოსაცემად მოიტანა მოპასანის მოთხრობის „ფუნთუშას“ თარგმანი. ამის შემდეგ თედო უფრო ხშირად მოდიოდა გამომცემლობაში. ზოგჯერ მე თვითონ მიმქონდა მასთან ბინაზე წიგნის კორექტურა. თედოს სახლი მოსკოვის ჩიხში — ეს ნამდვილი სამხარეთმცოდნეო მუზეუმი იყო, სადა არქეოლოგიური ნივთებით, კაჟიანი დამბაჩებით და უძველესი მონეტებით. ეს ძვირფასი ნიმუშები, თედოს მამის მოგვრევებია, როდესაც ის, როგორც ეთნოგრაფი, საქართველოს შორეულ კუთხეში მოგზაურობდა.

ბოლო წლებში თედო ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ გული მაინც საწერ მაგიდისაკენ მიუწევდა, ანდა გაღიებით მეტყვოდა: „აი, იქ მაგიდაზე დევს ჩემი მოგონება „ციმბირში“ და მომაწოდებო“. მოგონების რამდენიმე გვერდს გადაფურცლავდა და შემდეგ აცრემლებული თვალებით იტყვოდა: სოხუმი, ციმბირი, ბელგია, ბრიუსელი, ნეაპოლი, რომი, პარიზი, ლონდონი, სტამბოლი და ისევ ჩემი თბილისი, ვასო და მიშო (ლაპარაკია ვასილ ბარნოვზე და შიო არაგვისპირელზე).

1947 წელი იყო, თედო ავად იყო და მთხოვა, რომ მისი ავადმყოფობა მეცნობებინა მწერალთა კავშირში, სიმონ ჩიქოვანისათვის, საშა აბაშელსა და აკაკი შანიძისათვის. მართლაც იმავე დღეს წავედი მწერალთა კავშირში სიმონთან, რომელმაც ასაწრაფოდ გამომაყოლა ექიმში გაჩეჩილაძე და იქვე მითხრა, რომ ექიმი მიმეყვანა ავადმყოფთან და მე უკან დავბრუნებულიყავ. ასეც გავაკეთე და თანაც ვაცნობე სიმონს, რომ თედოს ძალიან უნდა ნახოთ თქვენ, საშა აბაშელმა და აკაკი შანიძემ მეთქი. ოჰ, კარგი, მითხრა მან და თანაც დაუმატა, სად შეიძლება მოინახოს საშა და აკაკიო. ამ საკითხს მე თვითონ მოვაგვარებ, ბატონო სიმონ და გაცნობებთ მეთქი. ორივე მოვნახე და საღამო ეამს ოთხივე ავადმყოფთან ვიყავით. თედო ძალიან გახარებული დარჩა და



სიმონს თხოვა დაეჩქარებინა ივანე ვაზოვის წიგნის „დამონებულნის“ გამოცემა.

თედომ ერთხელ ავადმყოფობის დროს პატარა ბარათი გადმოძეა და მითხრა, რომ წერილი სრულიად საქართველოს კათალიკოს — პატრიარქს კალისტრატე ცინცაძეს მიუტანეო და თანაც დამარიგა, რომ თუ ოთახის ფანჯრები დარაბებით დაკეტილი იყოს, უკან დაბრუნდით. და აი, შევედი სიონის ეკლესიის ეზოში, სადაც პატრიარქი ცხოვრობდა და ვნახე, რომ ოთახის ფანჯრები ღია იყო, ფრთხილად დავაკაკუნე, კარები მდივანმა გამიღო. არ გასულა არც ისე დიდი ხანი თვითონ კალისტრატე გამოვიდა და სახლში შემეიყვანა. კარგა ხანს ვისაუბრეთ ილიაზე, აკაკიზე, ნიკო ნიკოლაძეზე, გაბრიელ ეპისკოპოსზე.

— მე წავიკითხე მელიტონ კელენჯერიძის ორტომიანი მონოგრაფია: გაბრიელზე — მითხრა პატრიარქმა. ამ წიგნის გამოცემას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიისათვის. მელიტონს გაბრიელი გამოყვანილი ჰყავს არა როგორც თეოლოგი, არამედ როგორც დიდი მოაზროვნე და ათეისტი. რა ვუყოთ მერე — მითხრა მან, თუ გაბრიელი მღვდლის ანათორაში გახვეული ბაგრატიის ტაძარში ქადაგებდა. განა ჩვენი ძველი ფილოსოფოსები თითქმის ყველა სასულიერო პირები არ იყვნენ? ამის შემდეგ კალისტრატემ ჩამოაგდო საუბარი ნიკო ნიკოლაძეზე. — ნიკო — სთქვა მან — დიდი მასშტაბის პიროვნებაა თავისი აზროვნებითა და შემოქმედებით. პატრიარქთან ასეთი საუბრის შემდეგ მე საშუალება მომეცა რამდენიმე შეკითხვით მიმემართა ილია ჭავჭავაძის შესახებ. — ილიას მე ძალიან ახლოს ვიცნობ — მითხრა მან. მასთან სახლში რამდენიმეჯერ ვყოფილვარ, როგორც თბილისში ისე საგურამოში. ერთხელ ილიას შეეხვდი გიგო დიასამიძესთან, გიგოს შვილის ნათლობა ჰქონოდა და მეც ვიყავი მიწვეული. გარდა ილია ჭავჭავაძისა, გიგო დიასამიძესთან ბევრი ქართველი საზოგადო მოღვაწე იყო. გიგო დიასამიძეს ნათლობაზე აგრეთვე მოწვეული ჰყავდა ვორონცოვ-დაშკოვი.

— ილია გრიგოლის ძე, — უცებ მიმართა გრიგოლ რცხილაძემ ილიას — ვორონცოვი რომ შოვა ალბათ თქვენთან ისურვებს საუბარს, კარგი კი იქნებოდა თქვენთან ერთად ჩვენც მიგვიწვევდესო, სთქვა რცხილაძემ. ამ სიტყვაზე ილიას ცოტა გაეღიმა და ღიმილად უპასუხა: რასაკვირველია ჩემთან ერთად თქვენც უნდა იყოთ და ერთად უნდა განვიხილოთ ჩვენი ერის საჭირ-ბოროტო საკითხებით. ამის შემდეგ ილია მე შემხვდა პასკევიჩისა (ახლანდელი მახარაძის ქუჩა) და სოლოლაკის (ახლანდელი კიროვის ქუჩა) ქუჩის კუთხეში. ეს იყო ორი, თუ სამი დღით ადრე, სანამ ილიას ტრაგიკული მკვლელობა მოხდებოდა წინამურში. ილია ყავარჯნით ხელში წელი ნაბიჯით მი-

დიოდა ქვემოთ, რომ დავშორდი თვალი მაინც გავაყოლე და შევნიშნე, რომ ფრედლინის ქუჩაზე შეუხვია, მგონი იმ ქუჩაზე მაშინ პეტრე უმიკაშვილი ცხოვრობდა. ეს იყო ჩემი უკანასკნელი შეხვედრა ამ ბუმბერაზ ადამიანთან, რომლის გადამლილი ნათელი შუბლი დღევანდელ დღესავეთ მახსოვს.

შემდეგ ერთად წამოვედით თედოს სანახავად. მან თან წამოიღო მწერლის მოგონება ციმბირზე, რომელიც მას წასაკითხად ჰქონდა. — დიდებული მოგონებაა, ჩემო თედო, უთხრა კალისტრატემ — ეს ცალკე წიგნად უნდა გამოსცე. — დიახ, ბატონო კალისტრატე, ამის გამოცემას გიორგი ლეონიძე აპირებს და მთხოვა „მოგონება“ გავუგზავნო. ამ ამბავით კალისტრატე მეტად ნასიამოვნები დარჩა და სთქვა, რომ გიორგი ლეონიძეს ამის შესახებ მეც გამოვესაუბრები და ჩემს აზრს მოეხსენებო.

თედო სახოკიას რაღაც განსაკუთრებული და უღრმესი სიყვარულით უყვარდა ილია ჭავჭავაძე; დღე არ გავიდოდა, რომ მისი სახელი არ ეხსენებინა. ერთხელ თედომ ჩამომიწერა 1897 წლის გაზეთ „ივერიის“ ნომრები (№№ 53, 61, 67, 75, 78, 80, 85, 86, 88, 89, 90, 91, 93) და მითხრა — აქ ხელმოუწერლად დაბეჭდილი მოწინავე წერილები ილიას ეკუთვნის. წაიკითხე და გააგებ ვინ იყო ილია ჭავჭავაძე: ყოველი მისი მოწინავე წერილი, გარდა თავისი მებრძოლი საზოგადოებრივი მნიშვნელობისა, წარმოადგენს მხატვრულ შედეგს, ქართული ენის მთავარი ძარღვი აქა სცემსო. ილიას დიდი ადამიანური გულისხმიერების დასახასიათებლად ის კიდევ ერთ ასეთ ამბავს გაიხსენებდა ხოლმე:

ერთხელ „ივერიაში“ არტემ ახნაზაროვმა დაბეჭდა წერილი, რომელშიც მე უსამართლოდ გამკიცხა. თურმე ილია მაშინ თბილისში არ იყო და არც იცოდა, თუ ეს წერილი იბეჭდებოდა, მე რედაქციას სასამართლოში ვუჩივლე, მეგონა რედაქციის მდივანს და იმ წერილის ავტორს ახნაზაროვს გამოიძახებდნენ. როგორ გავოცდი და შევკრთი, როცა დარბაზში დიდი ილია დავინახე. გამაცია და გამაცხელა, აღარ ვიცოდი საით გავქცეულიყავი.

თედო სახოკიასთან შეხვედრა და საუბარი ჩემთვის ერთგვარი სკოლა იყო, მაგრამ არა ისეთი, სადაც მასწავლებელი თავის მოწაფეს სკოლაში მშრალად უამბობს ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებსზე. როდესაც თედო იგონებდა ილიასთან, აკაკისთან, ვაჟასთან და ალექსანდრე ყაზბეგთან შეხვედრებს, ჩემს წინაშე ცოცხლდებოდა მათი უკვდავი და განუმეორებელი სახეები. და, აი დღეს როგორ ვნანობ, რომ არ ჩავიწერე მწერლის მიერ ასე დაწვრილებით ნაამბობი ზოგიერთი საინტერესო ეპიზოდი, ჩვენი დიდი მწერლებისა და საზო-

გადო მოღვაწეების შესახებ, რომლებიც მას თავის ახლახან გამოცემულ მოგონებათა კრებულში არ შეუტანია.

თედო იყო უბადლო მცოდნე ჩვენი ეთნოგრაფიისა და ისტორიისა. და ერთხელ მან წამიყვანა ძველი თბილისის ისტორიული ადგილების გასაცნობად და არ გამიშვა, სანამ არ მაჩვენა და არ გამაცნო ძველი თბილისის მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილები. ჩვენი მეფეთა სასახლეების, ზარაფხანისა და დაბახანის ისტორია ისე დაწერილებით მომიყვა, რომ გეგონებოდათ ეს კაცი არქიტექტორ-ხუროთმოძღვარი ყოფილიყოს XVII თუ XVIII საუკუნის ისტორიული ძეგლებისა და არა XX საუკუნის მწერალი და საზოგადო მოღვაწე. როდესაც დავამთავრეთ თბილისის ისტორიული ადგილების დათვალიერება და გაცნობა, გზაზე თედოს ვუთხარი:

— ბატონო თედო, რაც თქვენ მე მიაძებთ თბილისის ისტორიული ადგილების შესახებ ყველაფერი ეს უნდა დაწეროთ და ჩვენი ახალგაზრდობა დიდი სიამოვნებით წაიკითხავს მეთქი. მწერალმა თავისებურად უღვაშებში ჩაიციინა და ღიმილით მითხრა: — კარგად ვყვებოდ. არა. დიახ, დიდებულად, ბატონო თედო. აბა მოგესმინათ დიდი ივანესათვის და შემდეგ არ მეტყოდი ასეთ ქათინაურებს, მითხრა თედომ. დავამთავრეთ ჩვენი ეგრეთწოდებული თბილისის მიდამოების ექსკურსია და შემდეგ მთხოვა წავეყოლოდი შინ და გიორგი ნატროშვილისათვის, რომელიც მაშინ „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორი იყო, გადამეცა ნიკო ცხვედაძეზე მოგონება. თედომ რედაქციაში წასაღებად მოგონება გადმომცა და გიორგი ნატროშვილს ასეთი წერილი მისწერა:

„ჩემო დიდად პატივცემულო გიორგი,  
გიგზავნით ჩემს მოგონებას ძვირფას ქართველისა და ქართველთა მოამბავის ნ. ცხვედაძეზე.

თუ მოგეწონებათ, გთხოვთ დაბეჭდოთ. კარგად დააკვირდით, რამე საშარო არ გამოერიოს.

მარად თქვენი პატივისმცემელი და მადლიერი

თედო სახოკია. 1950“.

მეტად დიდად თედო სახოკიას ღვაწლი ქართული ლიტერატურის წინაშე. ის იყო შესანიშნავი მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი-შემკრები ანდაზებისა, იგავეებისა და ხალხური ლექსებისა. მისი ეთნოგრაფიული ნარკვევები იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე. თედო სახოკიამ თავის ეთნოგრაფიულ წერილებში გამოამზეურა ამბები, რომლებიც მანამდე ჩვენს ლიტერატურაში ცნობილი არ იყო. ეს ნაშრომ. თედო სახოკიასადმი მიძღვნილი კრებული

მები უძვირფასესი მასალაა ქართული ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის. აქვე უნდა მოვიხსენიოთ თედო სახოკიას ვრცელი სამტომიანი ნაშრომი „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ — ეს არაა ავტორის ოცდაათი წლის გამუდმებული შრომის ნაყოფი. ამ წიგნის შესახებ პროფ. გ. ჩიტაია აღნიშნავს: „განმარტებითი მასალის ხაზით უნდა აღინიშნოს, რომ საყურადღებოა არა მარტო ხალხში დამოწმებული განმარტებანი, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ისინიც, რომლებიც ავტორს ეკუთვნის: ისინი იმითაც იმსახურებენ ყურადღებას, რომ თვით შეიცავენ ხატოვან სიტყვათქმებს“. საინტერესოა თედო სახოკიას შრომები: „მოგზაურობანი“ („გურია, აჭარა, სამურზაყანო და აფხაზეთი“) „როგორ ვიზრდებოდით ძველად“, „ეთნოგრაფიული ჩანაწერები“ და სხვ.

თედოს „მოგზაურობანი“ („გურია, აჭარა, სამურზაყანო და აფხაზეთი“) წარმოადგენს იშვიათ ნიმუშს დოკუმენტალური პროზისა, სადაც ავტორი მხატვრული და ლაკონიური დიალოგებით გადმოგვცემს ძველი გურიის, აჭარის, სამურზაყანოსი და აფხაზეთის გლებთა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას და მათ ადათ-წესებს. თედო იყო დიდი ძეგლდნე ქართული ადათ-წესებისა, ისტორიული ძეგლებისა და სიგელ გუჯრებისა. ბრწყინვალედ ფლობდა ქართულ ენას, ის ზომ აღზრდილი იყო დიდი ილიას „ივერიისა“ და „ოთარაანთ ქვრივის“ ენაზე. ჩუმი და უწყინარი, თავდადებული მოამაგე ეროვნული კულტურის წინსვლისა და აყვავებისა, ის ჩუმად იჭდა თავის საწერ მაგიდასთან და ერისათვის დიდ საქმეებს აკეთებდა. მან გაამდიდრა ქართული ენის ლექსიკა მეგრული, აფხაზური და ქანური ენის ცოდნის მოშველიებით.

თედო სახოკია, ამავე დროს, შესანიშნავი მთარგმნელი იყო. მან იტალიურიდან თარგმნა ბოკაჩიოს „დეკამერონი“ და გარიბალდის „კლელია“, ფრანგულიდან ვოლტერის, მოპასანის, ოქტავ მირბოს, ემილ ზოლას, ბარბიუსის ნაწარმოებები, ბულგარულიდან ივანე ვაზოვის „დამონებულნი“, რუსულიდან ბოროზდინის „სამეგრელო“ და მისივე „ბატონყმობა საქართველოში“.

თედო სახოკია მეფის ხელისუფლების მიერ დევნილი იყო, როგორც რევოლუციონერი; მრავალი წელი გაატარა მან ციმბირის გადასახლებაში, აქედან ის გაიქცა საზღვარგარეთ და იქ სორონის უნივერსიტეტში ჩაირიცხა.

თედო სახოკია იყო მეტად გულისხმიერი ადამიანი, ამ ქვეყნად ის იმისთვის იყო დაბადებული, რომ ყველასათვის კარგი და კეთილი საქმე გაეკეთებინა.

ახლახან ასი წელი შეუსრულდა თედო სახოკიას დაბადებიდან. ჩვენმა საზოგადოებრიობამ სიყვარულით აღნიშნა ამ უანგარო მწერ-

ლისა და მოღვაწის, შესანიშნავი მოქალაქისა და პატრიოტის ხსოვნის თარიღი (თედო სახოკია გარდაიცვალა 1956 წელს).

აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და ვბეჭდავთ მის ერთ გამოუქვეყნებელ შენიშვნას, რომელიც ავტორმა 1938 წელს გადასცა დასაბეჭდად ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციას. მოგვყავს ეს შენიშვნა მთლიანად.

„ნოქალაქევეში (სამეგრელოში) მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირას, იქ, სადაც ცნობილი ნოქალაქევის ციხე თავდება, დღემდე დარჩენილია ქვითკირის ეკლესია, გაშენებული XI საუკუნეში. ამბობენ, მარტვილისა, ნოქალაქევის და ხობის ტაძრები ერთსა და იმავე დროს არის გაშენებულიო. დღევანდელი მდგომარეობა ამ ჩვენის ხუროთმოძღვრების საინტერესო ნიმუშისა მეტად სავალალოა: იატაკს ქვები აყრილი აქვს, სახურავი სრულებით არ შერჩენია და თაღის ქვითკირზე ამოსულია ხეები, რომლის ძირები თაღს ქვემოთაა ჩასული და ჰაერშია დაკიდებული. წვიმის დროს წყალი რუეებში ჩამოდის, მოსალოდნელია მალე თაღი სულაც ჩამოიქცეს. საჭიროა დაუყოვნებლივი გადახურვა. ჭერჯერობით ესეცა კმარა. ამას კი, სულ ბევრი, ოთხას-ხუთასი თუმანი დასჭირდება“.

ეს პატარა შენიშვნაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, თუ რაოდენ ძლიერად შესტკიოდა თავისი კეთილი გული ჩვენ დაუვიწყარ თედოს, როცა საქმე ეხებოდა ქართული კულტურის ძეგლების დაცვასა და მოვლას.

---

## 6. რიხვინაშვილი

### ჯარობა სამებრელოში<sup>1</sup>

სამეგრელოს ძველი ყოფისა და წეს-ჩვეულების ერთ-ერთ საყურადღებო მხარეს წარმოადგენს „ჯარობა“, რომელსაც აქ „ჯარალუა“ ეწოდება. იგი საზოგადოებრივი ურთიერთობის თავისებური სახეა და დაკავშირებულია რომელიმე დიდ ღღეობასთან — გორისჯვრობა, კოხინჯრობა, კალაკრობა, „გიორგობა“, „ელიობა“, „მარიობა“ (მეგრ. „მარაშინა“), „გოლგოთობა“ (გორგონთობა), „ბარბალობა“, „აღდგომა“, „ახალკვირე“ და სხვა. ასეთ ღღეობას („ღდახუს“), ერთ „განსაზღვრულ ადგილას, უფრო რომელიმე ხატის (სალოცავის) კარზე იმართებოდა ჯარობა, სადაც თავს იყრიდნენ აღნიშნულ სალოცავთან ტრადიციით, წეს-ჩვეულებითა და „რწმენა-შეხედულებით დაკავშირებული ერთი, ან რამოდენიმე „გვარის“ კაცები, მათი მიმდგამი ნათესავები, მოკეთენი, სტუმრები და ყველა მოსურნენი.

ღღეობა მიძღვნილი იყო გარკვეული სალოცავისადმი. მას ძირითადად ასრულებდა „გვარი“, რომელიც თავის წარმომავლობას და გამრავლებას უკავშირებდა ამ სალოცავს და მიაჩნდა იგი თავის მცველ-მფარველად. ამ მიმართებით ჯარობა იყო „გვარის“ თემობა — „ჯიჯიხატობა“ (ძირიხატობა), რომლის დროსაც „ძირი სალოცავის“ კარზე მოსვლა და გამოლოცვა უკლებლივ ევალებოდა „გვარის“ ყველა წევრს, ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას, ძეთ და ასულთ („სკი“ დო „მოხის“), სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი!. ამიტომ

---

<sup>1</sup> თითოეულ გვარს ჰქონდა თავისი ძირი სალოცავი — „ჯიჯიხატი“. მაგალითად, ჩიქოვანების გვარის საჯიჯიხატო იყო გორდში; ვეკუების გვარისა — ს. ახუთში; შენგელიებისა — ქოლას; ლუკაეებისა — „წენდიხას“ და ა. შ. ამასთან დაკავშირებით თითოეულ გვარს ემართა „საძირიხატო“ და მისადმი განწესებული სალოცავი ღღე. ამ დროს იმართებოდა ჯარობა. მაგალითად, ჩიქოვანების გვარისათვის საჯიჯიხატო ღღედ ითვლებოდა აღდგომებშუა ხუთშაბათი, ს. გორდში, მაგრამ სიშორის გამო, რაკი იქ წასვლა ძნელი იყო სოფ. მუხურთან (წალენჯიხის რ. ნი), აქვე მართავდნენ მის მაგივრად „თიში საგამათ“ ღღეობას. ამას ჩიქოვანების ჯარობას უწოდებდნენ. ამ ღღეს მოდიოდა ყველა „გუმოკყუდური“ (გვარის გათხოვილი ქალები) და სტუმარი. „გუმოკყუდურს“ ევალებოდა, რომ სალო-

ამ ხასიათის ჯარობას წინ უძღოდა საგანგებო მზადება და დიდი წვეულება, „გვარის“ ყველა ოჯახი მოელოდა თავის სახლიშვილებს — „გუმოქყუდურენს“, რომლებიც თავის მხრივ საჭირო მოსაკითხებთან და გამოსალოცავად დაწესებული ნამზადით მოდიოდნენ თავთავიანთ ოჯახებში — „თავის სახლობაზე“.

ამ დღისათვის, გარდა ნათესაურად დაკავშირებული პირებისა, ოჯახის წვეული იყვნენ კერძ-მოკეთე (კერძ-მოჭვირე) და სხვა ახლობელი. ოჯახი მათ ღია გულით და დიდი სიხარულით ეგებებოდა. ყოველმხრივ ცდილობდა მათ პატივისცემას და ნასიამოვნებად გასტუმრებებს. საერთოდ, „საჯიჯიხატო“ დღეობისას მოწყენა და „უგემური“ მოქცევა არ შეიძლებოდა („ვაშინერა“). ვინაიდან შორს გათხოვილი ქალებისათვის ძნელი იყო დროულად მოსვლა და საჭირო თადარიგის დაქვრა, ისინი წინა დღით მოდიოდნენ. წესით დადებულ „საჯიჯიხატო ხვამა-ს“ ჯერ სახლში გადიხდინდნენ და შემდეგ თვით ხატის კარზე. ამ მხრივ ყველა პირობა დაცული უნდა ყოფილიყო და დღეობას საზეიმო ხასიათი უნდა ჰქონოდა.

გვარის გათხოვილ ქალებს — „გუმოქყუდურენს“, როგორც ითქვა, სალოცავად და ხატის სამსახურებლად მოყავდათ „ზისხირიშოწმადუ (საწირავი ზვარაკი, — „სისხლდასანთხევი“), მოჰქონდათ პურ-ღვინო, ხილი და სხვა მოსაკითხი; სანთელ-საქმელი, სელის პატარა კონა, „ხატის სარტყელი“, „საბურავი“ და სხვა. ნასადილეებს, როდესაც „შენალოცვა“ დასრულდებოდა, სტუმარ-მასპინძელი მიდიოდა ხატის კარზე „საჯიჯიხატო“ ლოცვის შესასრულებლად.

მეხატური, ანუ მნათე მისულ „გუმოქყუდურს“ ხატის წინ დააჩოქებდა და დაამწყალობებდა: „...ქუმორთ სკანი კარს „გუმოქყუდურქ“, მუში ჯიჯი ხატიშა დო სქანი „ტიბინი“ ქიმეჩი, სკანი სახელი ხვამილი“. შემდეგ საწირავ საგნებს გამოართმევდა და თავთავის ადგილას მათათვისებდა. მათ შორის სელის „შელოს“ თითოეულად ათავსებდა იქვე მდებარე ერთ დიდ და ღრუგულიან ქვაში, რომელიც ბუხარივით იყო გამოყვანილი და აღმა გაჭრილი ხერელი ჰქონდა. როდესაც ყველა გამომლოცველის მოსვლა დასრულდებოდა შენაწირ სელის ბულულებს ცეცხლს წაუქიდებდნენ და ქვის ხერელში მისგან ავარდნილი ცეცხლის (ალის) „ენის“ გადახრა-გადმოხრის მიხედვით იწყებდნენ მისნობას („მენცარუა“-ს) იმის შესახებ, თუ როგორი მოსავალი მოკო-

---

ცავისადმი განუთენილი საკლავი — „ზისხირიში ოწიმუ“ მოეყვანა (თიჯანი ან კრავი). უფროსი კაცი — „ჯიმალი“ ქახვამანდ. პირველი იყო მამა, და მერმე მის შემდეგ ბიძას „ჯიმალის ხვადუდუ, თეში ხვამა, თეში უჯული ჯიმადსკუას დო ბოლოს ნამითინი „გვმანარყის“ (ჩამომავალს).

დოდა იმ წელიწადს<sup>2</sup>, ან კაცის და საქონლის „გავალი“ (ზარალი) და სიმთელე იქნება თუ არა; მოარული ავადმყოფობა და სახადი ხომ არ შეაწუხებდა ხალხს და სხვა.

წესით საჯიჯიხატო „ხემა“ ჯერ სახლში სრულდებოდა და მერმე სალოცავის კარზე. აქ, ფარკვეული რიტუალის შესრულების შემდეგ უფლება ჰქონდათ გარეოდნენ ჯარში და ენახათ საერო გართობები. როგორც ითქვა, ეს იყო გართობა — საერთო მხიარულება. მოლხენა განსაკუთრებით მართებდათ დღეობის მოსახელე გვარებს, რომელნიც დიდი მონღოლებით უძლოდნენ და შეთაურობდნენ ჯარობის მსვლელობას, გვარის სასახელოდ და სასიქადულოდ. ამ დროს იცოდნენ ყოველგვარი ტრადიციული წეს-ჩვეულებისათვის „თავის მოხსნა“: ცეკვა-თამაში, სიმღერები, სპორტული ვარჯიში და შეჯიბრება, სხვადასხვა სანახაობათა წარმოდგენა, მუსიკალური გართობა და რიგი სხვა სახისა და ხასიათის სათამაშო. განსაკუთრებით უყვარდათ ბურთაობა და მარულა, „კურალუა“, ჯირითი, თარჩია, ჭიდაობა, „ნირზება“ ლექსობაში და სხვა<sup>3</sup>. ეს უკანასკნელი სახე სახალხო გართობისა ერთობ დიდი მოწონებით სარგებლობდა. იგი არსებითად წარმოადგენდა შესხმა-გაკილვის პოეტურ დუელს ორ მოპირდაპირე ჯგუფთა (გვართა) შორის. თითოეულს ამ დღისათვის გამოყავდა საგანგებოდ გაწვრთნილი მთქმელი, რომელსაც უნდა დაეჯახნა მოპირდაპირე მხარის წარმომადგენელი მოსწრებული და აზრმახვილი მიმართვა-პასუხებით. ამ სახის პოეტური კამათი (მეგ. „ნირზი“, იცოდნენ ღამისთვის დროსაც და სხვა შემთხვევაშიც. ასევე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იცოდნენ მსგავსი ხასიათის კამათი და შეჯიბრება. ამას საერთოდ უმცროსე-

---

<sup>2</sup> ამ მიმართებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხალხი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა კერძოდ, წლიური მოსავლის ბედის მიმართ. ცდილობდნენ წინასწარ განეჭვრიტათ და ამოეცნოთ მომავალი წლის მოსავლის რაობა და ხასიათი და ისე მოქცეულყვენენ, როგორც ამას მოითხოვდა დრო და ჰავა, ანუ ამინდი. ამისათვის მიმართავდნენ სხვადასხვა „სამზნელ“ საშუალებას: მკითხავს, ციურ მნათობთ, ტყის ფოთოლთა დაცვენას და ნაყოფთა მსხმოიარობას, ფრინველთა მიმოსვლას და სხვა. მაგალითად, სამურზაყანოს სამეგრელოში იმის მიხედვით, თუ ახალწლის საღამოს 12 საათისათვის მთვარე საით დარჩებოდა მდ. ენგურის გაღმა, თუ გამოღმა ამის მიხედვით მარჩიელობდნენ მოსავლის შესახებ. მთვარე საითაც დარჩებოდა, იმ წელიწადს იქით იქნება მოსავლის სიუხვეო. თუ მთვარე ძველია და გვიან ჩადის, მაშინ სამეგრელოში იქნება კარგი მოსავალი, თუ ახალია და ადრე ჩადის, მაშინ კი აფხაზეთში (ვლენტინა ჩიქოვანი, 35 წლისა, გამოთხოვილია სამურზაყანოდან).

<sup>3</sup> ჯარობის დროს სხვა გართობასთან ერთად იცოდნენ ზოგიერთი სახეობის წარმოდგენა — ისტორიულ, სოციალურ, დიდაქტიურ-საწესო და სხვა თემაზე. ამგვარ წარმოდგენებს ასრულებდნენ: სიმღერით, ცეკვით, დიალოგით, რისთვისაც იყენებდნენ ხალხურ საკრავებს და სასიერო მორთულობას.



ბიკ ბაძეაძენ, რაც საბავშვო სალალობო თამაშობათა სახით ყალიბდებოდა (შდრ. ფშავეური სახალხო მთქმელთა კაფიობა, აგრეთვე მათი და ზევსურების „აღექსება“ კამათი)<sup>4</sup>.

ყოველივე ამის კვალობაზე თითოეული ჯარობა თავისებურ ხასიათს ატარებდა, როგორც საწესო ჩვეულებათა, ისე გართობათა. ბაზრობის სახისა და აქ წარმოდგენილი აღებ-მიცემის საგნების მიხედვით.

წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა გვარს, რომელიც ცდილობდა თითოეული საანაძლოს მოგებას და თავის სასარგებლოდ დაშთავერებას. საერთოდ, მოკამათენი გვარის სახელით გამოდიოდნენ. მათი მხარდამკერი და ქომავი იყო მთელი გვარი<sup>5</sup>. ამიტომ, ძლიერი გვარის წარმომადგენელი უფრო ადვილად იმარჯვებდა, თუმცა არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მოკამათის პირად ნიჭსა და მის „გამქრელ“-„გამოკაფულ“ სიტყვას.

როგორც ითქვა, ეს უკანასკნელი სახის „ნირზი“ ნაძლეობა-კამათი, ეწყობოდა გვართა, ასევე თემთა, ინდივიდთა და ახალგაზრდა ქალვებითა შორის. საყურადღებოა, რომ გვართა მიერ შერჩეულ მოკამათეს „ფალანდი“ (ფალანანი) ეწოდებოდა. მოკამათე პირები რომ ყველას დაენახა და მათი „ნირზი“ (ნიძლავი) მკაფიოდ მოესმინათ აკეთებდნენ საგანგებო ბოგირებს ორ მოპირდაპირე მხარეზე. ის წარმომადგენდა ერთნაირ ბაქანს ოთხ ბოძზე გაწყობილ ქერულს — ხიდურ კურტამს, რომელსაც უკანა მხრით მიდგმული ჰქონდა კიბე — (1,5 მ სიმაღლის). მოპირდაპირე ბოგირები ერთიმეორეს დაშორებული იყო მხოლოდ 2—3 მეტრით. კამათის დროს, თითოეულ მათგანზე მადლა დგებოდა ამა თუ იმ გვარის „ფალანანი“, მოკამათე. ხოლო ძირს, მის გარშემო, მიჯრით იდგა გვარის მექომავე — „მებანი“ ხალხი. ამ წესით განლაგებულ ორ მოპირდაპირე გვარის მოკამათეთა შორის წილისყრით იწყებოდა კამათი ანუ „ნირზი“. კამათი მიმდინარეობდა პოეტური დუელის სახით. ერთი რომ იტყოდა, მეორე უპასუზებდა. პასუხის პასუხით იწყებოდა ხელახალი „ნირზი“ და ასე გრძელდებოდა ბოლომდე. მოკამათეთა მიერ ლექსად თქმული თითოეული აზრის „ბოლომოსაქცივი მუხლი“ ითქმოდა „ამღერებით“. ასევე, დასასრულ-

<sup>4</sup> ზევსურნი და ფშაველები „გაღექსნენ“, თურმე, ერთმანეთს, ფშაველთა აზობეს ზევსურებს. მათმა ფალანანმა ყველა ზევსური ქალი ავინა, გარდა ერთისა, რომელიც მისი ძმადნაფიცის ცოლი იყო. მოიხატრა ძმობილი, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ მოისურვა გამოკლებოდა თავისიანებს და მაშინ ისიც მიაყოლა სხვებს.

<sup>5</sup> გვარს, ერთი საერთო ძირის, ანუ ფუძის ხატი ჰყავდა გუდამაყარში, რომლის წინაშეც სრულდებოდა საერთო წესით „ხატობა“. არამკუთ დიდებს, იქ, პატარებსაც ცალკე ყავდა საგვარო სალოცავი — „ფუძის, ადგილის დედა“, კოკობის ქედზე.

ლის ყოველი ბოლო სიტყვა მთავრდებოდა მთელი მისი მექომავე ხალხის შებანებით, რისთვისაც ისინი ერთობით დააგუგუნებდნენ მისაძღერს: „ჰაჰა-ჰა“-ს, ისე რომ ხალხი ერთპირად მონაწილეობდა კამათში და თავისი მხარდაჭერითა და სიცილ-ხარხარით ამხნევებდა და თან აქეზებდა თავის ფალავანს მოკამათის „დასაჩაფანებლად“ (დასაჯანდალ). მოკამათენი ერთიმეორეს ჯერ თავაზიანად, მორიდებულად შეეცილებოდნენ — კილავდნენ გვარის სახელით ერთიმეორის გარეგნობას, ხასიათს, ყოფაქცევას, ზრდილობას, სოციალ-ეკონომიური და კულტურულ მზარეს; აუგათ იხსენიებდნენ და დასცინოდნენ კაცის სილაჩრეს, გარყვნილებას, დალატს, უსამართლობას, გაუტანლობას, მსუნაგობას, ქურდობას, ცბიერებას და ათას სხვა რამეს. როდესაც კარგად შეხუბრდებოდნენ, მერე უშვერი და საგინებელი სიტყვებითაც მიმართავდნენ ერთმანეთს. მოკამათეთა მოსწრებულნი და ენაშაზილი ცილობა, მწარე აუშორი, გაზვიადებული დამცინავი კილო და ძლიერ მახვილგონიერი კათიობა დამსწრე ხალხს ერთობ დიდ სიამოვნებას გვრიდა. მათი სიცილ-ხარხარი და ყიჟინა აყრუებდა იქაურობას.

განსაკუთრებული ჟრიაშული და ყიჟინა ატყდებოდა მაშინ ხალხში, როდესაც მოკამათე ფალავანი მოხერხებულად მოუჭრიდა მოწინააღმდეგეს უკანდასახვე გზას და გადუჟეტავდა „სათქმელ ენას“. ამ სახით აჯობა და დაჯანბნა ბურღლუ კეარაცხელიამ (ჩიქოვანების ფალავანმა) შელიების ფალავანი — იაკო გულუა.

ჩვეულებრივად, ტრადიციული დღეობების დროს, ჯარობა იმართებოდა თითქმის ყველა ძირითად თემში. დღეობა ერთდროულად რამდენიმე ადგილას, ან სწვადასხვა დროსა და სალოცავის კარზე ტარდებოდა გარკვეული თემებისა და მათი მიმდგამი მრევლისათვის. რიცხვმრავალი, ფართო ხასიათის ჯარობა იცოდნენ განსაკუთრებით „ძლიერი“ და საქვეყნოდ განთქმული სალოცავების კარზე. ასეთი იყო „ალერტობა“ (გიორგობა) 23/IV-ს სოფ. ალერტში<sup>6</sup> (ძირი გვარები — ჩაჩიბაია, ბოქუჩავა); „ყულიკარობა“ (გიორგობა) 23/IV-ს სოფ. ყული-

---

<sup>6</sup> „ალერტი“ (ალავერდი, საქართველოს სხვა უთხებებში) სოფელი ამჟამად შედის ცხაქაიას რაიონში. აქ არსებული სალოცავი წმ. გიორგის სახელობისა ცნობილია მთელ სამეგრელოში. 1860 წლის ერთ ხელნაწერ საბუთში — ბლალოჩინ სამსონ ბერიძის უწყებებში აღნიშნულია: „ალავერტის წ-ის გიორგის ეკლესია, გუმბათიანი, ძლიერ პატარა, რიცხვისამებრ მრევლთა, კანკელი აქვს ქვაზე, ძველის ჩვეულებისამებრ აქვს მხოლოდ სამეუფო კარები. ეკლესიას ამასა სასოებენ გარეშე მცხოვრებნიცა და შემოუდის დიდძალი შემოსავალი, გარნა სამღვდელო მსახურნი ხმარობენ თვისთა სასარგებლოდ. ამ სამრევლოს ეკუთვნის ს. ალავერდი, მასშინა

კარს (ძირი გვარი — როგავა; „ქიაჩობა“ (გიორგობა) 16/VIII-ს სოფ. ჰოლაში (ძირი გვარები — შენგელაია, სონგულია); „გიორგობა“ 23/IV სოფ. სუჯუნაში (ძირი გვარები — გუგუშვილები); „ჭუმათობა“ (გიორგობა) სოფ. ჭუმათს 23 აპრელს (ძირი გვარები — გულუა); „პეტრობა“ ს. მარტვილში 29 ივნისს; „ქვენნიერობა // წვენიერობა“ სოფ. ბანძასა და სოფ. ლეხინდრაოში, ახალკვირის ორშაბათს; „ღვთიშობლობა“ ს. ცაისში; „მაცხოვრობა“ -- ზუგდიდსა და დიდნემში; სოფიობა — ნაჭიხაოში; „ალერტობა“ სოფ. ნაგიბეროვოში, 13 ივლისს; რაც შეეხება გიორგობას ს. ილორში (ყოფილი საპურზაყანო, ოჩამჩირის რ-ნი) იგი ხომ მთელ სამეგრელოს დღეობად ითვლებოდა.

სამეგრელოში, XVII საუკუნეში, გიორგობის დღეობის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან რუსი ელჩები დიაკ ელიჩინი და მღვდელი ზახარევი.

ისინი, რომელნიც პირადად დაესწრნენ და ნახეს იგი, შემდეგნაირად აგვიწერენ ამ დღეობას: „21 აპრილს ჰყონდიდში (მარტვილში) დიდი ხალხი შეიკრიბა გიორგობის დღეობაზე. საღამოეჟამს ორი სპილენძის საყვირით და ზარების რეკვით იწყეს მოწოდება. დაკრეს ხის

---

მცხ. კნიზნი 7, აზნაური—49, ყმა საბატონო—152 და სრულად 228“ (იხ. საქ. მუზ. ეთნ. გან. არქივი).

ხალხის რწმენით, „ალერტის“ წმ. გიორგი, „ყულის“ წმ. გიორგი და „ქიაჩის“ წმ. გიორგი ძმები არიან. პირველი ითვლებოდა ჩაჩიბაიებისა და ბოკუჩაეების გვარის „ჭიჭიხატად“ (ძირი ხატად) სოფ. ალერტში; მეორე—როგაეების „ჭიჭიხატად ს. ყულში; მესამე — შენგელიებისა და სონგულიების „ჭიჭიხატად ს. ობუჯში.

საყურადღებოა, რომ ანალოგიური გადმოცემა „სამძმადი“ წმ. გიორგის შესახებ რაჭაშიაც გვხვდება: „საში ძმა“ არიან „მრავალძალის“, „სხიერისა“ და „ზემრავალძალის“ წმ. გიორგი“. აქ იმართებოდა უდიდესი დღეობა — ჭარობა. კერძოდ, სხიერის სალოცავს, რაქის მთიანეთის მცხოვრებნი: ღების, კიორის, გლოლის და უწყრის ქალ-ვაენი დღეობის დროს ფერხულით უვლიდნენ „გარგურგელი“ და მღეროდნენ „სადიდებულს“.

„ალერტი“ სახელი, როგორც ჩანს ძველი წარმომავლობისაა. იგი ფონეტიკური სახესხვაობით წარმოდგენილია სხვაგანაც: საჩეჩნოში — „ალადი“ (სოფ. სახელი), ოსეთში — „ალარდი“ (სალოცავის სახელი) იხ. მ. ჭანაშვილი, СМОМПК-22, 26), ურარტუში — „შელარდი“ (მთვარის ხვთაება, იხ. გ. მელიქიშვილი, როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები, თბ., 1961, გვ. 110).

ამავე მიმართებით საინტერესოა, რომ დღეობა და მასთან დაკავშირებული ჭარობა სამეგრელოს ყოფაში იმართებოდა ისეთ ადგილებშიაც, სადაც საშლოცველი ნაგებობა ფაქტიურად არ იყო. მაგ. სოფ. თაიაში დღეობა ტარდებოდა მიწდვრად, სადაც მხოლოდ ერთი ნაძვი იდგა. დღეობა — „ჭარალუა“ იცოდნენ „დიდი ნემის“ (დიდი კაკალი, ხე), დიდი ქუონისა და დიდი ცაცხვის წინაშე ზოგიერთ თემებში, რაც განსაზღვრული გვარებისა და მიმდგამი გვარებისათვის „საჭიჭიხატო“ დღეობასთან იყო დაკავშირებული.

ზარეკელიც<sup>7</sup>. ამ დროს იქ მოსული ხალხი გალობით მიუახლოვდა ეკლესიას (ორი დღე-ღამის განმავლობაში იყვნენ ეკლესიასთან და განუწყვეტლად გოდებდნენ და დაღალებდნენ). თითოეული მლოცველი მოსვლისას ჯერ კარს მიაღებოდა, შემდეგ კი წაღმა სამჯერ შემოუყვლიდა ლიტანიას. 22/X საღამოს აქ მოვიდნენ: პატრიარქი მატეოსი, მიტროპოლიტი მიტროფანე, ტრაპეზუნტის მიტროპოლიტი — კირალე, გურიის მთავარი — ვახტანგი, ლევან მეფის ნათესავი დიდებულთაგანი როსტომი, აზნაურნი და დიდებულთა ოჯახის წევრები. საღამოს მწირველი იყო მღვდელი და დიაკონი, ხოლო პატრიარქი და მიტროპოლიტი არ შემოსილან. გიორგობას — მეორე დღეს ე. ი. 23-ს საუზმის შემდეგ, კვლავ ჩაბერეს საყვირით, დარეკეს ზარები და გამოაბრძანეს დიდი ბაირაზი ეკლესიიდან. ამ დროს კათალიკოსმა და მიტროპოლიტმა ეკლესიიდან გამოასვენეს წმ. გიორგის ხატი. იგი დაასვენეს ეკლესიის გვერდზე.

ამ დროს ეკლესიაში შევიდა ერთი ვინმე, მას თან შეყვნენ რამდენიმე პირნი. ამ ხანად, ეკლესიასთან და ხატის გარშემო გართხმულნი იყვნენ მრავალნი და იყო ერთი ხმამაღლა დაღადი. შემდეგ ეკლესიიდან ისევ გამოჩნდა ის კაცი. მან კარიბჭესთან ჯერ იგალობა (ღალადყო) და შემდეგ წინა კედელთან ჩამოჯდა. მორწმუნენი გარს ეხვივნენ და სასოებით მოელოდნენ მის ამეტყველებას. შემდეგ აძრახდა იგი და იწყო ქადაგი. თითქმის 3 საათს ილაპარაკა ქვეყნის მომავალ ბედზე. მას კათალიკოსი თუ მიტროპოლიტი, დიდებულნი თუ მდაბიონი ყურადღებით უსმენდნენ და ერთმანეთს უბრალო დახველებასაც უშლიდნენ. ვიდრე ეს კაცი დაღადითა და გალობით განაგრძობდა ქადაგებას ეკლესიის გარშემო მდგომი და ყველა დამსწრე გმინვითა და გაუტეხარი სიტყვებით (ყველა თავისთვის) რაღაცას წართქვამდა.

ამ დროს, ერთბაშად გაისმა რახა-რუხი. ზოგი მათგანი კომბლებსა და კვერს ურტყამდა ეკლესიის კედლებზე, ხის მანებს მკვალავდა; ზოგიერთი შუბებს და ისრებს, მეორენი ცხენის აბჯარსა და უნაგირს. იყო ხმაურა და განგაში. რიგი კენესოდა, გმინავდა, რიგი ყვიროდა, რიგი იცინოდა, რიგი როკავდა-ცეკვავდა, მაგრამ არ გვესმოდა რას ქადაგებდა ის კაცი, ენის უცოდინარობის გამო. მხოლოდ შემდეგ გავიგეთ, თარჯიმანის საშუალებით, რომ იგი (იგულისხმება ქადაგი, ნ. რ.) იყო ქადაგი, რომელსაც წინა ღამეს გამოეცხადა წმ. გიორგი და აუწყა ყოველივე რასაც ამბობდა ხალხის წინაშე: ე. ი. რანაირი წელი იქნე-

<sup>7</sup> „სარეკელი“ — ხის ფიცარი, თავისუფლად დაკიდებული ბაწრებით, რომელზედაც სცემდნენ ხის კომბალს — საგვემელს, რითაც მოუწოდებდნენ ხალხს რაიმე საპირო საქმეზე, უფრო კი წირვისადმი „მოსაყურებლად“.

ზოდა, როგორი მოსავალი მოვიდოდა, ომიანობა ხომ არ იქნებოდა. მასთან ვინ დარჩებოდა იმ წელს გამარჯვებული ან ცოცხალი და ვის შოელოდა ცუდი საქმე. წმ. გიორგიმ მას ამცნო აგრეთვე, რომ მეფე ლევანი მესამედ არ ამხედრებულიყო იმერეთის წინააღმდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში დამარცხება მოელოდა: „მგელმა ორგზის წარიტაცოს ცხვარი იგი, ხოლო მესამედ თვით მგელი წარიტაცოს“-ო. ამასთან აგვიხსნეს, რომ ხალხი, რომელიც ეკლესიის თავზე და კედლებზე ურტყამდნენ კომბლებსა და უროებს, შეთხოვდნენ და გადაკემდნენ წმინდა გიორგის ასევე დაელახვა და გაემჰველა ყველა ის ქურდი და გამცემი, ვინც მათ მოპარა საქონელი თუ სხვა და უღალატეს ხალხის წესს.

შემდეგ, პატრიარქი, მიტროპოლიტი და სხვა სამღვდლო პირნი, დიდებულნი და მღაბიონი წმ. გიორგის ხატით, გალობით წავიდნენ ეკლესიის ახლო. ისინი გალობდნენ ღვთის სადიდებელს, ხოლო მღაბიონი, ვინც წიგნი არ იცოდა ხმაურით მიყვებოდნენ. მათი აზრის გაგება და მოსმენა შეუძლებელი იყო. თან თარჯიმანმა დაუმატა, რომ რაც ქადაგმა იწინასწარმეტყველა ყველაფერი ასრულდება. მაგალითად დაასახელა გასული წლის შემთხვევა, როდესაც იწინასწარმეტყველა დედოფლის სიკვდილი და მართლა შეუსრულდაო<sup>8</sup>.

საქიოხთან დაკავშირებით, არქანჯელო ლამბერტის (17 ს.) ცნობით სამეგრელოში ჩვეულება იყო, რომლის მიხედვითაც გიორგობას ზღვიდან მოდიოდა ხარი, წმ. გიორგის ნებით და ამ ხარს სწირავდნენ იმ დღეს. დაკვლამდე, ხარის ქცევათა მიხედვით მისნობდნენ: თუ ხარი ირჩოლებოდა, წიხლებს ისროდა და არ ნებდებოდათ იტყოდნენ: წელს ომი იქნებაო. თუ ხარი ზურგზე იწვა და მტვერში იყო ამოსვრილი, ან დანამული, ინიშნავდა იმ წელს მოსავლის სიუხვეს. ფერით, თუ ქერა ხარი იყო იმ წელს სიკვდილიანობა იქნებოდა, კაცის და საქონლის. სამაგიეროდ, თეთრი და ჭრელი ფერის ხარი კარგი ნიშანი იყო (არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგ. ჭყონიასი, თბ. 1907). ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ წმ. გიორგის მონება მუდამ თეთრით მოსილი მიდიოდნენ მის კარზე და სხვა ფერის ტანისამოსს არ იცვამდნენ. ასევე; ის პირნი ვინც წმ. გიორგის „ნაბრალით“ იყო ავად და მის კარად მიდიოდა გამოსალოცავად საქირო იყო თეთრებში გამოწყობილი ყოფილიყო. საწირავადაც უფრო თეთრი და ვერცხლით რქამოჭვდილი ხარი მიყავდათ ხოლმე.

---

<sup>8</sup> С. Б е л о к у р о в, Посольство дьяка Феодота Елничина и священника Павла Захарьевича в Даднанскую землю (1639—1640), стр. 370—372.

რუსი ელჩების სიტყვით მათ აქ არწმუნებდნენ, რომ გიორგობის დღეობისადმი ყოველწლიურად წინა საღამოს საიდანდაც მოდის ხარი და იგი ღვთის ჭაგებით მეორე დილას ტაძრის კარების წინ დგას. საკვირველია, რომ ეკლესიას ქვის მაღალი გალავანი არტყია და მხოლოდ ერთგან აქვს კიშკარი, რომელსაც მეფე ლევანი წინასწარ, 3 ნოემბერს დააკეტივნებს და ბეჭედს ასვაძს. იგი გიორგობის დილას მიდის თავისი დიდებულებათ, გასინჯავს ხოლმე ბეჭედს და შემდეგ ბრძანებს შიგნით შესვლას. როდესაც მივლენ სალოცავის კართან, ხარი იქ დახვდებათ ხოლმე. მეფე გასცემს განკარგულებას, რათა იგი შესწირონ წმ. გიორგს მსხვერპლად. შემდეგ ამ საწირავი ხარის ერთ ბექს გურაელს უგზავნის, მეორეს — იმერეთის მეფეს. ამასთან, ამ საწირავი ხარის ხორცის მცირე ნაწილი იქ დამსწრე ყველა მამაკაცს უნდა რეგებოდა წესით, ქალებისათვის მისი ქამა წესად არ იყო მიღებული. ამის მიზეზად ასახელებდნენ იმ ამბავს, რომ უწინ თურმე, წმ. გიორგი ხარის ნაცვლად ირემს აყენებდა, მაგრამ ვილაცამ მისი ხორცი შეცდომით თავის ცოლს აჭამა და ამის შემდეგ ირემი არ მოსულა. მის მაგივრად წმინდა გიორგიმ ხარი დააყენაო. ამ მიმართულებით საყურადღებო ცნობები იქნა დამოწმებული იმერეთს, 1939 წელს, ბაღდადის რაიონში, სოფ. ზვალასკურს. მთხრობელთა ჩვენებით, გიორგობას აქაც, ზვალასკურის ეკლესიაში, ირემი მოდიოდა. იგი მოიცოხნიდა და შემდეგ წირვის წინ ეკლესიის კარებთან იდგა. ერთხელ დააგვიანდა, თურმე, მოსვლა და განრისხებულმა ეკლესიის მნათემ მას, დაგვიანებით მოსულს, წიხლი ჩაჰკრა. ამის შემდეგ იქ ირემი აღარ მოსულა. როგორც ცნობილია, გიორგობის დღეობა მთელ საქართველოში ყველგან სრულდებოდა, გარკვეულ ხასიათს ატარებდა და კოლორიტული თავისებურებით გამოირჩეოდა. მაგ. რაჭაში გიორგობის დღეობაათან იყო დაკავშირებული სხიერის „მირიანუძრავის“ სახელობის სალოცავის დღეობა, რომელიც 23 ნოემბერს სრულდებოდა; მლოცველები მას მიმართავენ შემდეგი სიტყვებით: „მირიანისეული სხიერისაო, მაცხოვარო ღებისაო, წმ. გიორგი ხირხონისისაო, მთავარანგელოზო კვაშხიეთისაო, შეგვეწიე და გაუმარჯვე საქრისტიანოსო“.

ამავე სალოცავის კარზე იმართებოდა აღდგომის ორშაბათსა და სამშაბათს დღეობა — „გორგონთობა“, რომელიც არსებითად წარმოადგენდა საგვარეულო-სათემო ხასიათის ჯარობას. ორშაბათს, დღეობას აწყობდა ხირხონისის თემი, ხოლო სამშაბათს დღეობდა მეორე გვარი — სხიერელნი. სხიერის ეკლესიის ეზოში დაფლული იყო ქუჩები. მკაში ღვინოს ასხამდნენ გლეხები და იგი საზიაროდ იხარჯებოდა დღეობისას.

შირიანეული უძრავის უქმე დადებული იყო 12 აგვისტოს (ბვ. სტილით). ამ დღეს გაუტყველად უქმობდნენ აქვე მოსახლე ორი გვარი: სხიერელნი და გუგუშვილები, რომელნიც ამ სალოცავის საყმოდ ითვლებოდნენ (ეს უკანასკნელნი მოსულად თელიან თავს და ეკლესიის მსახურად არიან ცნობილნი. აღსანიშნავია, რომ გუგუშვილების გვარი ითვლებოდა სუჯუნის წმ. გიორგის სალოცავის ძირეულ მსახურად და ქადაგიც მათი გვარიდან იყო წარმოდგენილი, — ნ. რ.). სხიერას ეკლესიაში მიყავდათ შეშლილები, „ნაბრალით“ დაავადებული პირები და 12 დღის განმავლობაში ღამის თევით ევედრებოდნენ განკურნებას. სალოცავის ნაგებობას უვლიდნენ „ჩოქითავით“ (მუხლჩოქით), ირტყამდნენ ბამბის ძაფის სარტყელს, წირავდნენ ზვარაკს—კრავს. ხბოს, მიჰქონდათ საურავი“ (ერთი არშინი მიტკალი, 10 კაპ. ფული და მძივები). ტყავი შეწირული ზვარაკისა ადგილზე რჩებოდა (ისინი ეკიდა იქვე მდგომ წმინდა ხეებზე). სახლში შენაწირი საგნების წამოღება სასტიკად იყო აკრძალული. წამოღება მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ ამისათვის გაღებული იქნებოდა „სახსარი“ — ფულად. ან ნიუთის სახით ღირებულების კვალობაზე (შდრ. აფხაზთა ძველი წეს-ჩვეულების წესები).

როგორც ითქვა, გარკვეული ჯგუფის დღეობებს და მასთან დაკავშირებულ ჯარობას თან ახლდა აგრეთვე სახალხო ბაზრობა. ამ ხასიათის ბაზრობის საჭიროება უკანასკნელ ხანებში ალბათ იმითაც იყო გამოწვეული, რომ დღეობის დროს სალოცავის კარზე თავს იყრიდა მრავალი მლოცველი, როგორც ახლობელი ისე შორი თემებიდან მოსული. აღთქმა-დაპირების მიხედვით ბევრ მათგანს რამდენიმე დღე-ღამე უხდებოდა აქ დარჩენა, რაც ბუნებრივად მოითხოვდა ბინით და საზრდოთი უზრუნველყოფის წყაროს გაჩენას. ჯარობა-ხატობისას საკულტო ადგილებთან ბაზრობის დაწესება, საფიქრებელია, ამ ნიადაგზე წარმოიშვა. მართლაც, რომ ეს ინსტიტუტი საყმოდ ძველია ეს იქედანაც ჩანს, რომ XVII საუკუნისათვის ამის შესახებ მკაფიოდაა მითითებული როგორც რუსი ელჩების ისე არქანჯელი ლამპერტის მიერ<sup>9</sup>.

წესით, გარდა „ნაბრალი და შერისხული“ პირებისა, რომელთა მისვლა დღეობის დროს, სალოცავის კარზე მიზნად ისახავდა „აღების“<sup>10</sup> დახსნის გამოთხოვას — „პატიების“, „შებრალეების“ მოღებას.

<sup>9</sup> ა. ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი ა. კუონიასი, თბ., 1907 წ.

<sup>10</sup> შდრ. „გიალნოს ჩემი თავი“ (მასალები საქ-ს ისტორიისათვის, ვ. 43?, საბუთი № 604).

ჩვეულებრივი მახვეწურისა და გამომლოცველისათვის დასაშვები იყო ყიდვა-გაყიდვა და საერთოდ ვაჭრობა. მხოლოდ მოიბოდიშებდა სალოცავის წინაშე ზოგი რამისათვის — „ლორონთ ვამიკანონა“ (ღმერთო არ გამიკანონო-ო) და შეუდგებოდა მისთვის საჭირო საგნების აღებ-მიცემის საქმეს.

საერთოდ, მოსახლეობისათვის კერძოდ, ბაზრებს დაშორებული თემებისათვის ასეთი აღებ-მიცემის საშუალება ერთობ ხელსაყრელი და მოსახერხებელი იყო. ამიტომ მთელი წლის მანძილზე ემზადებოდნენ ამ ურთიერთობისათვის, რათა ზოგი რამ მოემარაგებინათ ამ გზით, ან კიდევ რაც რამე შესაღვეი და გასასხვისებელი ჰქონდათ როგორც გაესაღებინათ. ამ მიზნით აქ შემოდისოდა ყოველგვარი საქონელი, როგორც ქალაქის ნაწარმი, ისე სოფლური ნახელავი, რაც კი საჭირო იყო მოსახლეობის სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად: სურსათ-სანოვაგე, ტანსაცმელი, სამუშაო და სახელოსნო იარაღი, შინამოხმარების საგნები, პირუტყვი და სხვა.

ყველა ამ ხასიათის ბაზრობა ძირითადად ერთფეროვანი იყო, მაგრამ ისინი ერთიმეორისაგან მაინც გამოირჩეოდა ამა თუ იმ საგნის სიუხვითა და ხარისხით. მაგალითად ჯვარული ნაბღებით და „სევანური“ ნაბღის ქუდებით ყველაზე განთქმული იყო სოფ. თაია, სადაც გიორგობას, 23 ნოემბერს, იმართებოდა დიდი ბაზრობა. ცხენის აკაზმულობით ნაქები იყო წალენჯიხა, უნაგირებით და აზიური ფეხსაცმელებით — ზუგდიდი, სელისა და კანაფის ქსოვილით — ხაბუძე, კეცეულით — ნამკოლუ. მეწველი და მუშა საქონლით ძველი სენაკი, შალეულობით — ჯვარი, ფართლეულითა და საწვრიმალთით — ბანძა, ცხენებით — ზუგდიდი და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული თემის ბაზრობა უფრო „დასამხრისი“ იყო გარშემო მცხოვრებთათვის, რადგან ისინი უფრო ადვილად ახერხებდნენ მანძილის გადალახვას და აღებ-მიცემის საქმეს.

ამ დროს აქ მოდიოდნენ წვრილი ვაჭრები, „მოჰქონდათ გასასაღებლად ფართალი — ჩითი, მიტკალი, „ამერიკა“, ფანელი, ტილო, შალი, აბრეშუმი, სატინა; საწვრილმალთ: საღებავები, ძაფები, ქსავარცხლები, მაკრატლები, სათითურები, ნემსები, სადაფები, შაბი, ფერუშარული, თავსაკონები, თავშლები, წინდები და სხვა...

დიდი რაოდენობით შემოდისოდა აგრეთვე შინახელოსნობის ნაწარმი; შინაური შალები — ჩოხა-ნაბადი<sup>11</sup>, ბამბის ქსოვილი — ხამი,

<sup>11</sup> ნაბადი ორი სახისა შემოდისოდა ქვეშასაგები (შდრ. გირჯაკი, შუშანიკის წამება) და „მოსასხამი“, ანუ მოსახური, გვაბანა, ქეჩა, პატივი და სხვა.



„ლანი“ (შედებილი ლურჯად, „ლენი“), სელის ქსოვილი — ქათანა, „კოროხი“; აბრეშუმისა — დარაია; სელ-აბრეშუმისა — „მორიცხული“, „ჯაფეზი“. ასევე, მამაკაცის ტანსაცმელი მზა სახის — ჩოხა (დართი) ახალუხი, ჩაბალახი, ძიქვა, ბაიჭი, წინდა, სელის საცვლები, ხელსახოცები. საწყლეები, „ცახოცები“ (თავსაკონი); აგრეთვე, ქისები, „კურთალარები“, სათევზაო ბადეები („ხესკერი“, „მოსა“, „სარსოლი“, „ოთურ-მოსა“). ქალის ტანსაცმლის მზა სახით შემოტანა წესად არ იყო.

ამ ხასიათის ბაზრობისას დიდი გამოსავალი ჰქონდა აგრეთვე, რკინის მკედლების ნახელავს — სხვადსხვა სახისა და დანიშნულების ხელადს: ცული, თოხი, წალდი, სასხლავი, სავაზე, ბარი, წერაქვი, ყირო, წყეპარი, ხოწი, სატეხე, ბურღი, ხერხი, ჩენგი, სახნისი, საკვეთელი, ნაშგალი, ცული, დანა, სახარაზო „ჯეშტი“ (ვიწრო პირიანი დანა), მუშტა (ტყავის სატყეცი), „ოწარწალი“, შინამომხარების ნივთები — საკიდელი („ლანჭა“), ასტამი, საკეცური, ზესადგარი, „კონკარი“ (ხორცის ჩანგალი), შამფური, ჯაჭვი, ხაჯალური, ბორკილი, საწისქვილე რკინეული, ჯიბუკი ანუ ზასკის ლურსმები და სხვა.

მერვლე-მეჭვების ნაკეთებს — ქვაბი (ჭანერი, „წუკალი“, კაიალა), ტაშტი, ტაფა, თუნგი, წურწუმა, ბაკანი, კფიალა, ბარქაში, ზანდუკი, ჭვამ-ქოთანა, ხელ-ქოთანა, ხრიკა, ზარფუში და სხვა.

ზეინკლების ნახელავს — თოფი, ფილთა, დამბაჩა ანუ „ზეკალი“, გასადები, ბოქლომი; ნალბანდთ ნახელავს — ნალ-ლუსმანს, ხარის ცხენის, სახედრის, საჭედურად. ასევე, „ბასკისა“ და „ჩიკატურას“ ლურსმანს.

ბლომად შემოყავდათ საკლავი თუ მუშა პირუტყვი: ხარი, ძროხა, ცხვარი, თხა, ღორი<sup>12</sup>; ფრინველი-ქათამი, ინდაური, ბევრი შემოდიოდა

---

<sup>12</sup> დიდი ბაზრობა იმართებოდა აგრეთვე ცაგერში „ენკენობას“, სადაც 13 სექტემბრიდან 28-მდე წარმოებდა ბაზრობა და აგრეთვე აღებ-მიცემობა. ვაჭრები მოდიოდნენ დიგორიდან, დვალეთიდან. მათ ჩამოქონდათ ნაბდები, შალეები, მატყლი, ყველი, მოყავდათ საქონელი, ხარეში, ოსური ცხვარი, ასევე, სვანებს შემოყავდათ თხის ჯოგები, შემოქონდათ ყველი, კანაფი, ქუდები და სხვა. როგორც სჩანს, დასაწყისში სახელდახელო ვაჭრობას, რომელიც უფრო მოსული ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ისახავდა მიზნად, თანდათან ფართო ხასიათი მიეცა და რევულარულ აღებ-მიცემის ჩამოყალიბებული სახე მიიღო. ამას მოწმობს კერძო პირების მიერ კარავების მოწყობა და ბინებდ გაქირავება. მაგ., იმავე ცაგერში, ქალაქის ბოლოს, სადაც გრძელ მინდორზე ბაზრობა მიმდინარეობდა, აღექსანდრე მდივანი, რომელსაც ეს მიწა ეკუთვნოდა, აკეთებდა კარავებს გასაქირავებლად და ვაჭრებს ახდევინებდა ბაჟს, რომლის ნაწილი ქალაქისა იყო.

ყველი (სულგუნი, კაზილა, გუდის ყველი), დაწნული კალათები და გიღლები: „ორთაშე“. „ხუჯიში“, „ცხეკუ“, „ოწილარი“, „ხეში“, „კარანჩხა“ და სხვა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი „მეკოტუე“ მოხელეების ნამზადი კეცეული: ლაგვანი, დერგი, ქოცო, ლახუტი სამარნე კოკა, ხარა (7-ბოთლიანი დოქი), ჩოალაქია (ლიტრა — 3-ბოთლიანი დოქი), ყარყალია, ყუჯელი, კოტო წყაროსა და ჭის გვიმები და სხვა. არჩევდნენ „ჭოროხით“ (წერნაქით) შედეზილს და ერიდებოდნენ „უნდილი უჩას“ (შავს).

თიხის ნახელავით და ხელობით განთქმული იყო განსაკუთრებით სოფ. ნამკოლუ (გეგეჭკორის რაიონი), სადაც ხელოსნობის ეს დარგი ბევრ გვარს მეკვიდრეობით მოდგამდა. საყურადღებოა, რომ ნამკოლუს ძველი მოსახლეების გოროზიების გვარს, რომელიც XIX ს-ის ბოლოს აფხაზეთში, გუდაუთის რაიონში გადასახლებულა, მამა-პაპური ხელობა იქაც გაუგრძელებია და მთელ მხარეს ამარაგებენ საუკეთესო კეცეული ხელადით. ამ მიმართებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის გუდაუთის მცხოვრები კირილე გოროზია: „ჩინჯო ნამკოლუ-შე ვორეთ, ხელუა თენა რდ, მეკოტუეს მიძახდეს“ (ძირად ნამკოლუ-დან ვართ, ჩვენი ხელობა ეს იყო, მექოთნეს გვიწოდებდნენ-ო), ვიცოდით ჭურჭლის მოკალვა. მოსაკალავს თავად ვამზადებდით. ამისათვის ვიღებდით დამწვარ ტყვიას და ნაცარს. ტყვიას ვათავსებდით თუჯის ქვაბში, მაგარ ცეცხლს შეუწებდით, ავადულებდით, შიგ ურევდით რკინის კოვზით. მოვაფრქვევდით ანტიმონს. ამის შედეგად ტყვიის ზედაპირი მთლიანად ნაცრად იქცეოდა. ამ პროცესს 10-ჯერ გავიძეობრებდით და ტყვია სულ ნაცრად გადიქცეოდა. ტყვიის ამ ნაცარს „დოხტი“ ერქვა (Держать дёготь). თუ იგი ძალიან სქელი იყო ნავთს ურევდით და ამას შალის ნაჭრით წაცვებდით გამომშრალ, მაგრამ გამოუწვავ თიხის ჭურჭელს და რასაც აიტანდა მიიღებდა, სხვა ზედმეტი ძირს სცივოდა მისგან. ერთი კაცი რომ ამას წასცვებდა, მეორე კაცი სწრაფად დაატრიალებდა ხელ-ბორობლით ამ ჭურჭელს და იგი მოწითალო ფერს იღებდა გამოწვის შემდგომ, რასაც მოკალვას ეძახდნენ. ასევე, საყურადღებოა გამოსაწვავი ჭურების ასამენებლად სახმარი მასალა — „ლემუშელო ქუა“, რომელიც 100 გამოწვას უძლებდა, მათი თქმით. იგი შავი ფერისა იყო და ნამკოლუშივე იწოვებოდა<sup>13</sup>.

<sup>13</sup> ნამკოლუ-ს ნაკეთობანი გამოირჩეოდა, არა მარტო ფორმით, არამედ კეცის შინაგანი თავისებურებითაც: იგი საერთოდ წყალ გაუფონავი იყო და წყლით გაჭერებას (გოჭოროფუას, მეგრ.) არ საკიროებდა. როგორც ცნობილია, ჩვენი ახალი, უხმარი ჭურჭელი სითხეს ხარბად შეიწოვს, პირველ ხანებში მაინც. ამიტომ მას ჯერ კარგად ვააჭერებდნენ სითხით (წყალი, ღვინო, არაყი და სხვა) და შემდეგ მოათავსებდნენ მასში გასაჩერებელ, შესანახ, სასმელ-საქმელს. ამ წესით ახალი ჭურჭლის სახმარად შემზადებას „გამოსახვარუა“ ეწოდებოდა სამეგრელოში.

მეუნაგირე ხელოსნების ნახელავი — ცხენის აკაზმულობა: უნაგირი<sup>14</sup> და რამდენიმე „თავი“ — ყუმი (ფეხქვეშ საფენი ტყავი), მოსართავეები, ლაგამი, ალვირი, სამკერდული, საძუე, ავშარა<sup>15</sup>, ყუმი, მათრახი, სა-მუხლე; მათივე ნახელავი — წულა, წალა, ლეკვერთხი, პაიჭი, სარტყე-ლი და სხვა. ხარაზების ნაკერი — ჩაფულა, „კაკამი ჩაფულა“ (კაცის), „სამოგვეს“ ნაჭრები, თასმა და ზოგიერთი სხვა წვრილმანი<sup>16</sup>. ამას გარ-და შემოპქონდათ კვამლში გამოყვანილი ტყავი, შოლტებად დაჭრილი, ან ქალამნად შეკერილი.

ეკონომიურ ურთიერთობასთან ერთად, ჯარობა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ზოგიერთი სოციალური ხასიათის კავშირ-დამოკიდებუ-ლების დასამყარებლად. ამ მიმართებით აღსანიშნავია შეუღლებისა-თვის სასძლო-ასიძოს „გინოძირაფა“ (გადანახვა), რასაც ამ დროს ჩვე-ულებრივად მიმართავდნენ ხოლმე. ეს „გადანახვა“ ბუნებრივ ვითა-რებაში მიმდინარეობდა ისე, რომ ქალ-ვაჟი რაიმე უხერხულობას და ზედმეტ მორცხვობას არ გრძნობდნენ. ამას ხელს უწყობდა საყოველ-თაო ასპარეზობა და მასობრივი გართობების მსვლელობა.

<sup>14</sup> უნაგირის სიკვარვე ბევრად იყო დამოკიდებული ხის კვხზე, რომელსაც ანჩახი ეწოდებოდა. იგი ორგვარი იყო: „ქართული“ და „კავკასიური“ (აწინდელი ძაუჭიკაუ). პირველი მაღალი და დაქანებული იყო, მეორე დაბალი და „გადაბანა“. ცხენს უფრო პირველი აშავებდა, ოღონდ საჭლომად მეორეს სჯობდა. კვხების დამზადებას ცალკე მოხელეები აწარმოებდნენ და მეუნაგირენი იძენდნენ მათ. ასევე უნაგირის „ყუმისა“ (ფეხქვეშ საღები) და ბალიშებისათვის საჭირო ბეწვეუ-ლით — (სვეერისა (შველი) და ირმის თმა) მონადირე პირების საშუალებით მარაგ-დებოდა მეუნაგირე.

<sup>15</sup> ავშარა ძალზე მაგარი და მოქნილი ტყავისა მზადდებოდა. მას სათადარიგოდ იყენებდნენ ლაგამთან ერთად, ცხენის ასაშვებად, გასახედნად და დასაბმელად. ავშარის ხასიათის შესახებ ერთი ხალხური ლექსიც მიუთითებს: „აბეზარო ჭან-დიერო, ნუ ხარ სოფლის მასხარაო, არ მიტაკო ცხენი-ცხენსა, არ გაწყვიტო ავშა-რაო. გადმოვარდა ჭანდიერი, თავი ქვაზე ახალაო; მაინც გლახა კაცი იყო, ახია, რომ მომკვდარაო“.

ავშარა იგივე ლაგამია, ოღონდ არ გააჩნია პირსადები ლითონის „სალაგვა-ვი“ (სალქვი). საბას მიხედვით „ავშარა“, ისევე როგორც ალვირი არის „უგრგო-ლო“ ლაგამი; ისე, რომ ალვირი და ავშარა ამ ნიშნის მიხედვით სინონიმური მნიშ-ვნელობის სახელებია.

<sup>16</sup> ტყავეული ჩასაცმელი იცოდნენ, უფრო მწყემსებმა. ასეთი იყო ლაგუ-კი, თხის ტყავის უსახელოებო ჩასაცმელი. ასევე იცოდნენ ტყავის ქვეშსაგები — „კვანჩა“ ბალიში, სუფრა, გულა-საზურგე ქეჩხო, ხათა, ანუ „ციში“, ხაფრა (მწყემს-თა სახმარი — ასანთის, კვესაბელის, ფულის, ქაღალდის და სხვათა შესანახად), ქუნჩი—გადაბრუნებული ხბოს ტყავი, ზურგზე მოსასხამი. ქეჩხო ანუ სასრაფო-საზურგულე გულა სურსათისათვის.

წ. თედო სახოკიასადმი მიძღვნილი კრებული

მოედანზე საერთო მხიარულებისა და ცეკვა-თამაშის დროს ყველას ჰქონდა საშუალება თავისი მოქმედებით და საქციელით შედარებით ახლო გაეცნო ესა თუ ის პიროვნება და მის შესახებ თავისი შეხედულება გამოეთქვა. ფასათხოვარი ქალის თუ საცოლე ვაჟის ჭირისუფალი ჩუმად „წკვრელაუდა“ შერჩეულ, „თვალდაკრულ“ ადამიანს და ამოწმებდა მას საქმით. ხალხის დაკვირვებით, როგორც სმაქამაში გამოჩნდება ადამიანის წესიერი თუ უმსგავსო ჩახიათი: „სულწასულობა“, სიხარბე, „უაშიობა“, უწესო ქცევა, ასევე ჯარში გამოქვადენდება კაცის კაცური თვისებები: „სიმძიმე“, პატიოსნება, ჰკუაგონება, სიღარბისლე, ბეჯითობა, შრომა და გარჯა. ჯარობა, რომელიც არსებითად სახალხო ასპარეზობის, საყოველთაო ღვართობის საშუალება იყო, იმავე როლს ასრულებდა საზოგადოების ცხოვრებაში, რასაც დღეს მასობრივი სპორტული შეჯიბრებანი, გართობები, ოლიმპიადები და სხვა.

ბანძაში, რომელსაც მეორე სახელად „ურიაკარსაც“ უწოდებენ, აღდგომის მეორე დღეს იმართებოდა ჯარობა. ჯარის წევრები ორად იყოფოდა: ერთს უფროსობდნენ ფაღავები, მეორეს — გაბუნები. იცოდნენ ბურთაობა, „ლელო“. თამაში იყო ღონეზე, მოხერხებაზე და სისწრაფეზე.

გამარჯვებული მხარე მოთხრიდა მთელ ხეს და მას მხარზე გადებულად, სიმღერით და ყიჟინით შემოიტანდნენ ჯარის ცენტრში.

ასევე, საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა ჯარობა ახალ კვირის ორშაბათს, რომელსაც „ჰვენეირობას“ უწოდებდნენ. ამ დროს იცოდნენ სხვათა შორის, სხვა სახის ბურთაობა. ერთი იყო „ტანტრა-ცილიკი“, მეორე — „ქერაგამარჯვება“. ტანტრა ეწოდებოდა. ხის ჩოგანს, რომლითაც აწარმოებდნენ ბურთის — ცილიკის გაკვრას. თამაში წარმოებდა ოთხ წყვილთა შორის. ოთხი „გაკრული“ მოპირდაპირის (დათქმული ჰქონდათ) ბურთი ოთხ დამჭერს უნდა დაეჭირა. გატყორცნა ხდებოდა საკმაო მანძილზე და ხშირად უვარდებოდათ ბურთი, რაც პოზიციების დათმობით მთავრდებოდა.

კიდევ უფრო საყურადღებო იყო ბურთით „ქერა-გამარჯვების“ თამაში. ეს უკანასკნელი წესი გულსხმობდა ბურთაობას მხარზე შემდგარს, მეორე სართულების მოთამაშეთა შორის, როგორც ქორბელა, ზემყური ცეკვა იციან ხოლმე.

4 კაცი ძირს იდგა, ოთხი კი მათ ბეჭებზე მალდა. ქვედანი ამაგრებდნენ, ზედანი თამაშობდნენ. თუ რომელიმე მხარეს დაუვარდებოდა ბურთი ორივენი სწრაფად ჩამოიშლებოდნენ.

ლელოსკენ გაიქცეოდნენ „გამკრავნი“, ხოლო „დამჭერნი“ გამოუდგებოდნენ მათ და უნდა დაეჭირათ რომელიმე ზემდგომი. წინა-

აღმდეგ შემთხვევაში ზედანი ქვეით ექცეოდნენ და ქვედანი ზევით.

ასე გრძელდებოდა თამაში, რაც ცხოველ ინტერესს იწვევდა მაყურებელში და დიდ სპორტულ სანახაობად აქცევდა ამ ეროვნული თავისებურების შემცველ თამაშს. საერთოდ, ბურთის თამაში, კერძოდ „ლელო“, საყოველთაოდ იყო მიღებული. შეჯიბრების დროს, ჩვეულებრივ, გარკვეული ნიშნის მიხედვით, გაიყოფოდნენ ორად. ერთ მხარეს წარმოადგენდნენ ცოლიანები, მეორეს—უცოლონი. ზოგჯერ ეს ბრძოლა ფვართა, თემთა, ან კიდევ კუთხეთა შორის მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდა დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

ჯარობის ინსტიტუტის ახლო გაცნობა და შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეს არსებითად „გვარის“ თემობაა — „ჯიჩხატობა“ (ძირიხატობა). თითოეული „გვარი („სახლიკაცი“) თავის ჩამოშავლობას და გამრავლებას უკავშირდება ღვთაების რომელიმე კონკრეტულ საწყისს, „ძირს“ და თვლიდა მას თავის მცველ მფარველად და შემწედ. ამიტომ „ძირი ხატის კარზე“ მისვლა და გამოლოცვა უკლებრივ ევალებოდა „გვარის“ როგორც ვაჟიშვილთ, ისე ქალიშვილებს (სკი და „მოხი“ მეგრ.). ამ მიმართებით „ჯარობა“ იყო დღეობა, მიძღვნილი გვარის „ძირი ხატისადმი“.

სამეგრელოში განვითარებული იყო მინახელოსნობის სხვადასხვა დარგი. მათ შორის ერთი მთავარი ადგილი ეკუთრა ქსოვილების დამზადებას. ამისათვის საჭირო მასალა აქვე იშოვებოდა. სამეგრელოში საყოველთაოდ იყო გავრცელებული სელის, კანაფის, აბრეშუმისა და ბამბის მოყვანა. ასევე, საკმაო რაოდენობით აშენებდნენ, განსაკუთრებით ლაკადა ადგილებში, თხა-ცხვარს, რომლის ნაპარსიც გამოიყენებოდა „თხისურისა“<sup>17</sup> და „სამოსელის“ — შალის ქსოვილების დასამზადებლად. სელისა და კანაფისას ქსოვდნენ ტილოს — „ქათანა“, „კოროხი“, „ძანძა“ და სხვა; აბრეშუმისას — დარაიას; სელაბრეშუმისას — „მორიცხულს“, „ჯაფეზს“, „შილას“<sup>18</sup>; ბამბისას — „ჩეშის“, „ხაშს“, „ლაინს“; მატყლისას — „ჩოხას“, ნაბადს<sup>19</sup>. ოთხივე სახის მა-

<sup>17</sup> „თხისური“ — თხის ბალნისაგან მოქსოვილ შალს ეწოდებოდა. ასეთი თხისური შალის ჩაბალახები და ჩოხები „სადიდებულო“ სამოსელად ითვლებოდა და მაღალი წოდების პირნი უპირატესად მას არჩევდნენ.

<sup>18</sup> „ჯაფეზი“ და „შილა“ უფრო ფერის მიხედვით ეწოდებოდა აბრეშუმის ქსოვილებს. პირველი ლურჯ ფერს გადიკრავდა, მეორე — წითელს (შდრ. „აგერ, აგერ გორაზედა, წითელი შილა ფენია“, ხალხური).

<sup>19</sup> სახელი ნაბადი ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: ნაბადი ეწოდებოდა ზოგადი მნიშვნელობით დაურთველი მატყლისაგან მოთელვით ფთილების ერთმანეთზე დატეხვის (ანუ „დაწყურვის“) წესით შექმნილ შალს, ხოლო კერძოდ

სალა გამოიყენებოდა, როგორც თავთავისად, წმინდად, ისე ერთიმეორეში შერევა-შერწყმის სახით. ამ შემთხვევაში ერთი სახის მასალა შეიძლებოდა ეხმარათ დასაქსელად, მეორე — „მისასხამად“. ან კიდევ, თავიდანვე ერთად დაერთოდ იგი ძაფად და ისე მოექსოვათ. გარდა სამოსელისა, ამ მასალისაგან იქსოვებოდა სხვადასხვა სახის ხალიჩები, ფარდაები, ნოხები, აბგა-ხურჩინები, ძაძა და სხვა.

ქსოვილების დასამზადებლად იყენებდნენ ორი სახის საქსოვს („ოშულა“—ს). ერთი წარმოადგენდა ოთხკუთხი მოყვანილობის ყდას, მეორე სამკუთხი ფორმის ყდას. პირველი იდგმოდა „სერად“, ოდნავ დაბრილი სახით, „საყუნე“ მიყრდნობით, მეორე იდგმოდა „გამწედა“, „ნერჩით“ მიწას „დანდობილი“. თითოეული მათგანი ქსელის გამართვის თავისებურ წესს მოითხოვდა, ასევე განსხვავებულ ხელსაწყოებს, სერად მდგარ საქსოვზე ქსელი გაიდგმოდა (გდგემულუ, მეგრ.) საძაბავების შემწობით. მისასხამის (მიოშულა) ჩაქსოვას ბეჭის საშულაობით აწარმოებდნენ. განის საქსოვზე<sup>20</sup> ქსელის გადგმა სავსებით სხვა

---

მნიშვნელობით—საწვიმარ ნაბადს, ღარბს. ასეთი ნაბდის იყო: გირჩაი, ქვეშაგები ნაბაი (შუშანიკის წამება), ანუ გობანი (ჩაქა), გვაბანი (მწყემსთა უსახლოებო საძმელი), ცხენის აჯაზულობისათვის „საოფლე“ (პატი, მეგრ.), ქული და სხვა. დახელოვნებული იყვნენ ქსოვილების შეღებავიცი. საღებავად იყენებდნენ ლეფონის (იფნის, ბროწეულის და ნიგეზის ფოთლებს, რომელთაც ერთად გამოხარშავდნენ). პირველად ამ ნახარში ღებავდნენ (რასაც „ჩაკუა“ ერქვა), ხოლო შემდეგ ნამდვილ საღებავში. ქსოვილების ღებვის საქმეში განთქმული იყო სოფ. ახუთის ცენტრი, რომელსაც ამ ნიადაგზე „საღებოს“ უწოდებენ ახლაც. განსვენებულ მებატონის გიორგი ღვებიას ცნობით „საღებო“ ძველად დადიანს ეკუთვნოდა და აქ მას გამართული ჰქონდა სამღებროები. იღებებოდა შალები და ბამბის ქსოვილები — ლაინი. დადიანის სასახლის ნაშთები დღემდე ჩანს აქ. ამასვე ადასტურებს სახელწოდება იმ ადგილას არსებული კარის ეკლესიისა — „დობორეში ოხვამე“, სადაც ყოველ ახალ კვირას (უფალთანაფა, მეგრ.) დიდი ჭარობა იმართებოდა ხოლმე და მას „დობორეშ ქარუა“-ს ეძახდნენ.

<sup>20</sup> იგი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: „ღედო“, საყე, „ზინგიდოაფხა“ (დგიმ — სავარცხელი). აფხა შედგება „ორცხონდი“-სა და „დაფი“-საგან. „ლირე“ (რვილი), მარკვი“ (მაქო). მასრა (მასრა), „სარსიელი“, „კიტოლი“ (ქსელის ასაწე-დასაწევი თოკის სატერფე). აღნიშნული ელემენტები ქსოვის პროცესში ასრულებდნენ ერთსა და იმავე ფუნქციას, მაგრამ მათგან სავარცხლის როლი მაინც განსხვავებულია იმ მხრივ, რომ მისი კბილების წყობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქსოვილის დასამზადებლად ამა თუ იმ მასალისაგან. მაგალითად აბრეშუმის ქსოვილის — დასაზადებლად იმის საჭიროა „შეკედა“ (შვიდრო) კბილებიანი სავარცხელი; ბამბის ქსოვილისათვის — „საშულა“ (საშულა), შალეულისათვის „ბრქე კიბირიში“ (მაჩხა კბილის). თვით აფხა კბილის მიხედვით შეიძლება იყოს 60—200 თვლიანი, „სათვლიანი“. თითოეულ თვალში გაეგება 4 ცალი („კაკალი“) ძაფი. როდესაც სურდათ შტკიცე და გამძლე ქსოვილი, მას 4 დგომში ქსოვდნენ, რასაც მეგრულად „რომაგული ნაშუა“ ეწოდებოდა.

პრინციპით წარმოებდა. საქსელს ჯერ ცალკე დაქსელადენენ („დაარ-  
შუნდეს“) მიწაზე დასმულ ხის „მანებზე“, შემდეგ აბეჭდავენ („დოხ-  
ვიცანდეს“) და ახლა ქსელს გადგამდნენ. ამ შემთხვევაში „მიოშუალი“  
(ქისაქსოვი) დგიმ-სავარცხლის საშუალებით ჩაექსოვება „ორშეალს“. ტექნიკური შესრულების წესის მიხედვით პირველში წარმოდგენილია ქსოვა-წვნა, მეორეში — ქსოვა-წმასნა. ამჟამად პირველი სახით იქსო-  
ვება ხალიჩა-ფარდაგები, ორხაო-ნოხები, ხურჯინები და სხვა. მეორე სახით შალეულობა, დარაიები, ტილოები და სხვა.

ქსოვილის დასამზადებლად სელის ნართის „გამოწყობა“ შემდეგი სახით წარმოებდა: მომწიფებულ და მოსაწეად შემოსულ სელს ხელით გლეჯდნენ. შემდეგ შეკონავენდნენ და აწყობდნენ მას ჩრდილში. ჩრდილ-  
ში დალაგებას ის მიზანი ჰქონდა, რომ სელის ღერები თანაბარ სითბო-  
ში „ნება-ნებად“ შემქქნარიყო და მისი ქერელი „მოსუელიყო“. და-  
ქვნობის ეს პროცესი 3 დღეს გრძელდებოდა. მეოთხე დღეს შეიძლე-  
ბოდა მათი აკრეფა და შემდგომი ზემოქმედების ჩატარება. როგორც  
ითქვა, სელის კონები გაშლილი იყო პირდაპირ მდელოზე და მასზე გავ-  
ლენას ახდენდა არა მარტო ჰაერი და ტემპერატურა, არამედ ღამის  
ნამი („სუნჯი“, მეგრ.), მეორე მხრით, მიწაზე განლაგებული სელის კო-  
ნების ზომაზე მეტ ხანს გაჩერება იწვევდა მის „დოხინაფას“ (დაწმო-  
რებას). შემქქნარ სელის კონებს ჯერ მარცვალს გამოფშენდნენ. ამის-  
თვის გაშლიდნენ ჭილოფს, მასზე სელის გაუხსნელ კონას „საკვემე-  
ლათ“ ბეგვავდნენ და დააყრევიებდნენ მარცვალს. სელის ამ ნაყოფს  
ეწოდებოდა „ქუმუ“. მარცვალ გაცილლ სელის კონებს შემდეგ გა-  
ხსნიდნენ და სამ დღეს ახლა მზეზე გაფენდნენ. ამას „სუში გოყინა-  
ფა“ (გამზეება) ერქვა. მზეზე გაშრობის შემდეგ კვლავ შეკონავენდნენ  
და ისევ სამ ღამეს ღია ცის ქვეშ აწყობდნენ „დაალამებერო“ (დასა-  
ნამებლად). „სუს“ ღეროების ამ სახით შემზადების ხანგრძლიობა  
სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულ ვადებში მიჰდინარეობდა. მაგ.  
ლეჩხუმში „გოყინაფა“, რასაც აქ „დაჩთობა“ ეწოდებოდა 15 დღე  
გრძელდებოდა. შემდეგ ამისა, სელის კონებს სამშრალეობ ადგილას  
ინახავდნენ, საჭიროების მიხედვით გამოჰქონდათ იქიდან და ძენძავ-  
დნენ („დოსველანდეს“) ღერ-ღერად. ამ ნაფუცქვენს ანუ ქერელს ცალ-  
კე „ლანდებად“ ამოახვევდნენ („ელაართანდეს“), კონა-კონად დაწნავ-  
დნენ, თითო ამგვარ ნაწნავს „ართი ხე“ ეწოდებოდა. დასართავად იყე-  
ნებდნენ, „სამუხველს“. ქერელ გაცილლ სელის ღეროებს — „კვირ-  
ცხი“-ს ან ინახავდნენ, ან გადაყრიდნენ.

დაწულ სელის ქერელს ინახავდნენ დრომდე, შემდეგ გამოხსნიდ-  
ნენ ცალკეულ თითო „ხე“ „ნასველა“-ს და დაართავდნენ მას ძაფად.

დართულ სელის ძაფს „თხვირი“ ეწოდებოდა<sup>21</sup>. როგორც ითქვა, დართვა ჯერ ცალმაგად წარმოებდა, შემდეგ „თუსილი“ (დართული) სელის ძაფი ორმაგად, ორფად აიძახებოდა და მიიღებოდა ნართი. აძახება, რომელსაც მეგრულად „წკონდუა“ ეწოდებოდა, წარმოებდა ხის „ტარიით“. ცალმაგი დართვისათვის იხმარებოდა თითისტარი და კვირისტავი, ხოლო ასაძახად — დიდი „ტარი“ (ჩერია), რომელსაც თავისი ენ ჰქონდა „კილუ“ (ქართ. კილო), დართვის დროს დამრთველის თითზე (ნეკზე) წამოცმული ჰქონდა „კალამი“<sup>22</sup> სათითურად, რომლის საშუალებითაც აწარმოებდა ძაფის დახვეწას. სელის თხვირის დართვა „ტარიით“ თავდალმა იცოდნენ მამინ, როდესაც აბრეშუმსა და მატყლბამბას თავაღმა ართავდნენ.

აძახულ სელის თხვირს (ნართს) „ელართაშე“-თი ამოახვევდნენ და მას ისევ „ლანდებად“ გააკეთებდნენ. ახლა ლანდებს რამდენიმე ცალს ერთიმეორეს გადააბამდნენ და მთელ „ახვეულს“ ცივ და წმინდა წყალში დააღობდნენ ერთი დღე-ღამე. ამ პროცესს ეწოდებოდა თხვირის „წწალუა“ („გაჭარვა“). ამ სახით დამუშავებული ძაფი მაინც „ურცხელი“ იყო ე. ი. ზამი, ამიტომ თუ სურდათ მისი დარბილება, ხმარობდნენ ნაცარწმენდილს, „ანკარას“. ამისათვის სელისა თუ აბრეშუმის ძაფს მდულარე „ანკარაში“ მოათავსებდნენ რამდენიმე ზანს. ამ საბით გამოხარულ და დარბილებულ ძაფს „გიბილი“ ეწოდებოდა. ხოლო თვით პროცესს — „გიბუა“. გიბუა-ს სატყვისი ქართული ტერმინია „დაბუბვა“. გიბვის დროს ძაფს მალ-მალე ამოწმებდნენ, ძეტი რომ არ მოსვლოდა. თუ ძაფი შეიწმენებისას კარგად „იწლწებოდა“ და ფერიც სპეტაკი თეთრი ჰქონდა, კარგი ნიშანი იყო და „გიბუა“ მოთავებულად ითვლებოდა. შემდეგ ამოიღებდნენ და ცივ წყალში ამოვლებდნენ. მიუხედავად ამისა „გიბილ“ ძაფს კიდევ ჰირდებოდა მოქნა და „ოკუჩხეში“ გეშქუმალა“. ამ მიზნით მას ათავსებდნენ სელის მარცვლის ნახარშიში, წვენიში ზოგიერთგან კიდევ — პურის ფქვილის „ამონაკილში“ (ხსნარში). ამისათვის ძირს სუფთა ფიცარს დაეგებდნენ. მასზე ამ ძაფს დადებდნენ და ხის კუთხედი უროთი — სატყვევლით თანაზომიერად და ფრთხილად სცემდნენ. არსებითად ამ პროცესის ჩატარებას ის მიზანი ჰქონდა, რომ „გიბილი“ (მოქნილი) ძაფი, თუ მას კიდევ ახლდა მცირე სიხამე, სავსებით დაერბილებინათ. ამ ზეგავლენის მოხდენას ძაფის მიმართ ეწოდებოდა „დაჰამება“ (პირდაპირი მნიშვნელობით დატყობობა, საამურქმნა).

<sup>21</sup> თხვირი, აღებ-მიცემის მიზნით დიდი რაოდენობით მზადდებოდა და იგი საექსპორტო საგანს წარმოადგენდა.

<sup>22</sup> სახვეწად, გარდა კალამისა იხმარებოდა საქონლის წიბოს ძვალი.



ზემო აღნიშნული პროცედურის შემდეგ სელის თხვირს ახლა მრგვალად ამოახვევდნენ, რასაც „კვირკუა“ ეწოდებოდა, ხოლო ამონახვევს — „კვირკვი“ (შდრ. გერიჭა, რაქა). ამ სახით ამოხვევა საჭირო იყო ხელახლა დასახვევად და დასაქსელავად მომზადებისათვის. დახვეწა წარმოებდა „კიტოლის“ (ლერწმის მასრა) საშუალებით. კიტოლს ორივე ბოლოში თითო ნახვრეტი ჰქონოდა, მასში გაგებული იყო ორთა ძაფის თავები, ისე, რომ მათი ტოტები ისევე ერთდებოდა ერთი მხრით. ამოხვევისას, კიტოლით ხვეწდნენ და თან აბურდულ-გაკვანძული ძაფის გაძაბვა-გამართვას აწარმოებდნენ, რასაც „სვანჭუა“ ეწოდებოდა. კიტოლი, როგორც ითქვა, ერთდროულად და თანაბრად უსვამდა ძაფის ტოტს და „დოკუმოხელ“ ნართს (დაკრუნჩხულ ნართს) სავსებით გამართავდა ლარივით. ყოველივე ამის შემდეგ წარმოებდა დაქსელვა ჯერ მინდვრად და მერე ქსელზე. პირველს დაქსელვა ეწოდებოდა, მეორეს — ქსელის გადაგმა. შეარჩევდნენ „ბანე“ ადგილს; შემდეგ ამისა, გადაზომავდნენ მანძილს და ნაბიჯით გამოაჯვლიდნენ მანძილს. ცალ მხარეზე მიწაში დაარკობდნენ „მანუ“-ს (ხის პალო) ორ ცალს. ამ ხის პალოებზე გადაჯვარიდინებული სახით შემოქსელავდნენ საქსლეს, რასაც „დორშუაფა“ ერქვა. როდესაც დაქსელვას მოათავებდნენ, მას წესიერად „გეხვიცანდეს“ (აცანდავდნენ, აბეჭავდნენ). ზვიცელი საქსელე მზად იყო ქსელზე გასადგმელად და ქსოვისათვის. ქსოვას უმთავრესად ქალები მისდევდნენ. სელ-კანათისას ქსოვდნენ — „ქათანას“ და ტილოს, ხოლო აბრეშუმ-ბამბა-მატყლისას დარაიას, ხაქს და „ჩოხას“.

ქსოვილს საერთოდ სამოსელს უწოდებდნენ და წოდებათა მიხედვით თითოეულ მათგანს თავისი დაფასება და ღირსება ჰქონდა.

სხვადასხვა ფერის ქსოვილის მისაღებად ძაფსა ღებავდნენ პირველ რიგში და ისე ქსოვდნენ. მიღებული და უფრო გავრცელებული ფერი იყო: „ქუფრი“ (ღვინისფერი), „ლენი“ (ლურჯი) და „შკირუ“ (რუხი), თუმცა თეთრიც ძალიან უყვარდათ. იცოდნენ შავად და წერისფერადაც<sup>23</sup> შეღებვა. ქსოვდნენ „კურთხეულ“ („კუბოკრულ“) სახეებიან ქსოვილს. უსახოს ეწოდებოდა „სადა“, სახიანს — „სახიაი“<sup>24</sup>.

<sup>23</sup> „წერი“ (შდრ. სვანური „ქვერი“ და მეგრ. ნოქვერი, შავის მნიშვნ.) მზადდებოდა ნიგვზის ქერქისა, რკინაწილისა და „ლუბისაგან“. „წერუა“, არსებითად ნიშნავს გაშავებას (შდრ. ხალხური ნათქვამი: „... ჩემო ქალო, თვალი იოლე, წარბი იწერე-ო“...).

<sup>24</sup> კოლხური ტილოს ქსოვილი, რომელსაც სარდონული ეწოდებოდა, ძველ დროში სახელმწიფოევილი იო და მეტოქეობას უწევდა ცნობილ ეკვიპტურ სელის ტილოებს.

ამგვარად, სელისაგან სხვა ქსოვილების დამზადება სამეგრელოში საყოველთაოდ გავრცელებული ხელოსნობის დარგი იყო. ამ საქმეში მოსახლეობა განსაკუთრებით ქალები, საკმაოდ იყვნენ გაწაფულნი და კარგი გემოვნების ქსოვილებს ამზადებდნენ; კოლხიდის მოსახლეობის ყოფაში წარმოდგენილი ქსოვილების დამზადების მაღალი ტრადიციები უკანასკნელ დრომდე შემოინახა სამეგრელოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. როგორც ცნობილია, ძველი წეს-ჩვეულებისა და ყოფა-ცხოვრების გადმონაშთები შედარებით სრულად, დიდხანს და უფრო წმინდა სახით შემოინახა ჩრდ. სამეგრელოს ლაკადა ადგილების მოსახლეობაში, ვინაიდან ეს ზოლი წარმოდგენდა სამხრეთიდან მომდინარე, ბარი სამეგრელოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების უკუ მიმოქცევის ბოლო საზღვარს, წარსულის ნარიყალათა სავანეს. ალბათ ამის გამო დიდხანს შემორჩა აქ სელის კულტურა და მასთან დაკავშირებული ძველი წეს-ჩვეულება.

როგორც ცნობილია, სელის კულტურას საერთოდ მთელ საქართველოში ძველიდანვე საპატიო ადგილი ეჭირა. იგი დიდ როლს თამაშობდა ქართველი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში, რასაც მრავალი ფაქტი მოწმობს. სელი იხმარებოდა არა მარტო ქსოვილებს დასამზადებლად, არამედ საკვებად, სამკურნალო და სარიტუალო დანიშნულებით. უკანასკნელ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ზოგიერთი წეს-ჩვეულება, სადაც სელი აუცილებელ საგანს წარმოადგენდა. ამგვარი იყო კერძოდ დღეობა — „კეენობა“, ანუ „კიანობა“<sup>25</sup>, რომელიც დავამოწმეთ ჩქვალონში (წალენჯიხის რაიონი) ამ ოციოდე წლის წინ, 80 წლის კოლმეურნე ტაია ქვაშტის ძე ფიფიას ჩვენებით — „კიანობა“ იცოდნენ დიდმარხვის 15 რიცხვში. კიანობის სალოცავი იყო ს. ჩქვალონში, სადაც ამ დღეს, საღამოჟამს, მრავალი მლოცველი მოდიოდა სხვადასხვა გვარის წარმომადგენელი, როგორც კაცი, ისე ქალი: შეროზია, ქუხილა, ჭანტურია, ლომია, ფიფია, ქანთარია და სხვა. ამასთან, შეროზია და ქუხილა ხატის ძირი გვარებად ითვლებოდა. დანარჩენი გვარის კაცებს ამ ორი გვარის წარმომადგენელი ამწყალობებდა ხატის წინაშე. საყურადღებოა, რომ აღნიშნულ საგვარეულო სალოცავის „კალთა ქვეშ“ („ქართვეთუღო“ მეგრ.) თითოეული გვარის კაცს უნდა შეესრულებინა „გითოხვამა“ („გამოლოცვა“, ქართ.). „გითოხვამის“ წესის შესრულებას აწარმოებდნენ ძირი გვარების უხუცესი თავკაცები. ისინი ააბძანებდნენ ამ დროს გვარ-ხატს და საგანგებო, წმინდა, საწირავი ღვინით განბანდნენ დიდი საპოებით.

<sup>25</sup> კეენობა, ანუ კიანობა შეიძლება იყოს ქართული „ყეენობის“ მეგრული სახელი, ვინაიდან, გარდა ფონეტიკური სახესხვაობისა მათ შორის მსგავსებას ამქვეყნებს აგრეთვე თარიღის სიახლოვე.

გამბანელი იყო — შეროზიას გვარის წარმომადგენელი, ხოლო შემკ-  
შრალეზლად ითვლებოდა ქუხელას გვარისკაცი, რომელიც უხმარი,  
სუფთა მიტკლით აწარმოებდა ხატის შემშრალეზას. ამ ცერემონიალის  
შესრულების შემდეგ იწყებოდა გამოლოცვის რიტუალი. ისინი ამწყა-  
ლოებდნენ ხატის წინაშე თითოეულ გამოლოცველს („გითმახვა-  
მალს“, მეგრ.), რომელსაც მიჰქონდა სანთელ-საკმელი, აგრეთვე, სე-  
ლის ძაფი „ლანდად“ ამოხვეული<sup>26</sup> (დაპირებისდა მიხედვით), „შელე-  
ბური“ (განატეხი), ზედაშე (დოქით ღვინო) და სხვა. ყოველივე ამას,  
ვითარცა ხატისათვის მირთმეულ საწირავს, „გითმახვაშალი“ პირი  
ჩამოართმევდა შემწირველს და იქვე ხატის წინაშე დალაგებდა. შემ-  
დეგ, ჩვეულებრივად აანთებდა სანთელს, საკმელს აიღებდა, შემო-  
ავლებდა მახვეწურს თავზე და მისი სახელით წართქვამდა სადი-  
ლებელს, შესაწყალოებელსა და დასალოცს.

შემდეგ ამისა, საწირავი სელის ლანდს იქვე მახლობლად მოიაჯ-  
სებულ ერთ დიდ ღრუ ქვის ქვეშ („ლოლო ქუას თუდო“) მოათავსებ-  
და. ქალთაგანს, განსაკუთრებით გათხოვილთ, ხატის წინაშე აუცილებ-  
ლად უნდა მიეტანათ სელის „თხვირი“ დაართული, ან დაურთველი სა-  
ხით. საწირავი სელის კონა (ლანდი, შულო), როგორც ითქვა, გამო-  
ლოცვისთანავე ბარდებოდა ამისათვის საგანგებოდ გამოყოფილ პირს.  
ეს უკანასკნელი, შესაწირავი სელის ყველა კონას ათავსებდა ბუხრის  
ძსგავს ერთ დიდ ღრუ ქვის ხერელში. ამ კაცს ეწოდებოდა „სუში  
გიშმალარი“ (ქართ. სელის გამომრთმევი).

ამ ქვას ჰქონდა როგორც დასანთები, ისე ზეადმავალი ერდო-  
სებური ღრუ, კვამლის სადინარი. განთიადისას ამ დაზვიინულ სელის  
„ბულულს“ ცეცხლს მოუკიდებდნენ. საწირავი სელის ალი აღმა ამო-  
დიოდა და ცეცხლის ენები აქეთ-იქით იხრებოდა. ამის მიხედვით, ხა-  
ტისძსსახურნი იქვე დამსწრე მრევლის თვალწინ აწარმოებდნენ მისნო-  
ბას მომავალი წლის (იგულისხმება გაზაფხულიდან) აკვარგზე და ხალ-  
ხის ბედ-იღბალზე. თუ ცეცხლის ალი აღმა ცერად ადიოდა, ეს კარგი  
იყო, ხოლო იქით-აქეთ მის გადახრა-გადაწოლას სხვადასხვა მნიშვნე-  
ლობას მიაწერდნენ<sup>27</sup>.

<sup>26</sup> საერთოდ, სალოცავთა კარზე ბამბის ძაფის (თითისტარით, ან ისე) მიტანა-  
საყოველთაოდ გავრცელებული წესი იყო უწინ, საქართველოს ეთნოგრაფიულ  
სინამდვილეში. იგი იყო „სარტყელი“ და დაუსრულებლობის სიმბოლო ხატის  
მიმართ.

<sup>27</sup> უნდა შევნიშნოთ, რომ სამეგრელოში მკითხაობა იცოდნენ აგრეთვე კვამ-  
ლის მიმართულების მიხედვითაც. 23 აპრილს და 10 ნოემბერს გარეთ გამოიტანდ-  
ნენ „მოკიდებულ მუგუზას“ და კვამლის მიხედვით ადარებდნენ „ზღვაური“  
აჯობებს თუ „გოლური“ (გვალვა იქნება თუ ჭოროფა). საერთოდ აინტერესებდათ  
ამინდი და ამით მოსავალი.

## მეტრივეობა მტკვარზე

თითქმის ჩვენ დრომდე მოაღწია ქართველი გლეხის შრომა-საქმიანობის ერთ-ერთმა საყურადღებო სახემ — მეტივეობამ.


ტივეების დაცურება, საჭაპანო ტრანსპორტის ეს იაფი და მოხერხებული საშუალება, როგორც ჩანს, საქართველოში უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი, რასაც ხელს უწყობდა ტყეთა მდიდარი მასივებისა და მთის ჩქარი მდინარეების არსებობა ჩვენში.

სიტყვა ტივის სიძველეს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მისგან ფუძის გაორკეცებით მიღებულია საკმაოდ გავრცელებული კომპოზიტი ტივტივი, რაც წყლის ზედაპირზე მოგდებული მსუბუქი საგნის ტორტმანს (მოძრაობას) აღნიშნავს. ს. ს. ორბელიანის განმარტებით ტივი არის „ძელნი შეწყობილნი წყალთა სავალად“.

მტკვარზე განვითარებული მეტივეობის წყაროს მესხეთის, კერძოდ, ბორჯომ-ახალციხისა და ასპინძა-ადიგენის განთქმული წიწვიანი ტყეები წარმოადგენდა, ამიტომ მეტივეობაც უმთავრესად, ამ კუთხის მცხოვრებთა ხელობა იყო. თუმცა ერთ ხალხურ ლექსში მეტივეთა ადგილად შიდა ქართლის სოფლებიც არის დასახელებული, როცა ნათქვამია:

გორიჯვრის წმინდა გიორგი, გაღმომკქრელი ტყვისისაო.  
მეტივე ბევრი ჩამოდის, ქარელია და სკრისაო.

მაგრამ შიდა ქართლელი გლეხისათვის ეს საქმიანობა მაინც შემთხვევითი უნდა ყოფილიყო. ნამდვილი, დახელოვნებული მეტივეები კი ძირითადად ხაშურისა და ბორჯომის რაიონების იმ სოფლებიდან გამოდიოდნენ, რომლებიც მიწის სიმცირეს განიცდიდნენ და დამატებით სამუშაოს ეტანებოდნენ. ეს სოფლები — ახალდაბა, ზანავი, ტეზერი, ცხრამუხა, სატიო, ლიკანი, დვირი, ქვაბისხევი და სხვანი, უმთავრესად განლაგებულია მტკვრის ხეობის იმ ვიწრო ზოლში (ტაშისკარიდან აწყურამდე), რომელსაც ხალხი უბრალოდ ხეობას უწოდებს. სწორედ ამ მცირე გეოგრაფიულ გარემოში მისდევდნენ პროყუასიულ მეტივეობას და აქვე ჩამოყალიბდა ქართველი მეტივის ის კოლორი-



ტივის სქემური სახე.

ტული ტიპი. რომელსაც სხვა მდინარეებზე (რიონზე, ცხენისწყალზე, კოროხზე და სხვ.) მამუშავე მეტივეებისაგან განსხვავებით შეიძლება ხეობელი მეტივე ეწოდოს.

ხსენებულ სოფლებში კიდევ ვხვდებით საშუალო ასაკის, ან უფრო ხანდაზმულ გლეხებს, რომელთაც თავიანთი ახალგაზრდობა ტივზე მუშაობაში გაუტარებიათ. ისინი ხალისით გვაწვდიან ცნობებს ამ გარდასული პროფესიის შესახებ. მათთან პირადი შეხვედრების დროს ჩვენ ჩავიწერეთ ტივის აღწერილობა, მისი დამზადება-დაცურების პროცესები და მეტივეთა ამხანაგობათა ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი წესები (ჩაცმელობა, ზნე-ჩვეულებანი, ხასიათი, სიტყვა-პასუხი. ეართობა და მისთ).

### სატივე ხეობის დამზადება და გამოყენება

ყველაზე დიდ საქსპლოატაციო უბანს მეფის დროს ბორჯომის ტყეების მასივი წარმოადგენდა, რომელიც ქვიშხეთ-ახალდაბიდან იწყებოდა და მტკვრის ხეობის აღმა ქვაბისხევამდე აღწევდა. აღრე იგი სააჯალიანოდ იწოდებოდა, ხოლო შემდეგ დიდი მთავრის მამულებს შეადგენდა. რის გამო ადგილობრივი გლეხები „საველიკოკნია-ზო“ ტყეებს უწოდებდნენ<sup>1</sup>. სატივე ხეებს აქ ან ადგილობრივ გლეხები ამზადებდნენ და მტკვრის პირებთან მოზიდულს, მეტივეებზე ყიდდნენ, ანდა. ხშირ შემთხვევაში, თვითონ მეტივეები კისრულობდნენ როგორც მოჭრას, ისე მოზიდვასაც. მეტივეე მოხელეებისაგან შექმნილი ბართებით დამამზადებელნი ხარებით გაემართებოდნენ ტყისაკენ, სადაც მოსაქრელად განკუთვნილი ხეები წინასწარ იყო დანომრილი, ანუ „დაბაჟული“.

მოჭრილი ხეები იზომებოდა საყენობით ან ვერმოკობით. კვადრატული საყენის დამზადებაში ორ, ან ორმანეთნახევარს იხდიდნენ, კვადრატული ვერშოკი კი დაახლოებით 30—50 კაპიკი ღირდა.

გლეხებს მოჭრილი ხეები, ნაძვი, ფიჭვი ანუ კატარი ტყეშივე უნდა გაესხიბათ. ქერქი გაეცალათ და ნაყართან (ე. ი. ნასხებ ტოტებთან, ნაფოტ-ნაქერქთან) ერთად ყველაფერი ისე გამოეზიდათ, რომ ხის ნაალაგარი სუფთად დარჩენილიყო.

ყოველ მოჭრილ ხეს, მართალია მეტივეეებისაგან ნომრები ჰქონდა და დასმული, მაგრამ რაკი გლეხები ციფრებს ვერ ცნობდნენ, თავიანთ

<sup>1</sup> ბორჯომის ხეობის მცირე ნაწილს მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის კიდევ ფლობდნენ ავალიშვილები და თაქთაქიშვილები.

ნიშნებსაც აჭლობდნენ ცულით. ეს ნაქდევეები, ანუ ქდეულები მორის ზედ შუა წელზე კეთდებოდა, რომ მისი მოშლა-ამოჭრა ადვილად შესამჩნევი ყოფილიყო. ვინც ამას ჩაიდენდა დიდ ბოროტმოქმედებად და სახალხო დანაშაულად ეთვლებოდა. ნაქდევეები სწორხაზობრივი ანაბეჭდები იყო და რომაულ ციფრებს ჩამოგავდა. ზოგი ნაქდობი ჯვრისებური იყო, რის გამო მას ჯვარანკდობს უწოდებდნენ. იყო ორკაპი ნაქდობიც, რასაც ჩათლნაქდობი ერქვა. ყველა მეტივე თავთავის ნიშანს ადვილად ცნობდა. ამის შემდეგ ხეებს გამოცხვირავდნენ. ე. ი. თავში წნელის თუ თოკის ჩასაბმელად საკმაო ნახვრეტს ანუ ნაცხვირს ამოუჭრიდნენ ცულით. ნაცხვირები ყველა ხეს ერთი და იმავე ადგილზე უსლა ქქოსოდა, რომ ტივის შეკვრის დროს სატივე ხეები ერთმანეთთან ტოლმეტი არ მოსულიყო. ნაცხვირი გაყიდვის დროს ზომაში არ ითვლებოდა. ხეების სიგრძეს ნაცხვირის დაბოლოებიდან ზომავდნენ, ასე, რომ თითქმის ნახევარ მეტრამდე მყიდველის სასარგებლოდ მიდიოდა. ამოცხვირულ ხეებს თავებს მოუკეთებდნენ (მოუმრგვალებდნენ) და ტივებად შექცავდნენ.

ტყიდან ხეების გამოსაზიდად ხარებს იყენებდნენ, მაგრამ თუ ხეები მთის მწვერვალზე იჭრებოდა, მაშინ ე. წ. „სვანებში“, ანუ მთის დაქანებულ ფერდზე გავლებულ სპეციალურ ღარებში ყრიდნენ (სოფ. მუსხში სვანის ნაცვლად სათარი ჩავიწერეთ), რითაც ხეები მთის ძირამდე ეშვებოდა. აქედან კი ადვილი მისადგომი გზებით ეზიდებოდნენ მდინარესთან.

სვანებთან ხეების მისაახლოებლად და შიგ ჩასაყრელად სალიპს (საგორავს) იყენებდნენ. ეს არის ტყიან ფერდობზე სვანის პირამდე გარდიგარდმოდ დაგებული ნედლი და ქერქგაცილილი ძელებისაგან გაკეთებული გზა. მიწაზე დაყრილ სატივე ხეებს კეტების მომარჯვებით სალიპზე შეაგდებდნენ. ხეები დაცურდებოდა და სვანში გადავარდებოდა. სალიპს იყენებდნენ ხოლმე „ამოლმართშიც“, თუ კი სათრევი ხეების ან მარხილის ათრევა გაუჭირდებოდათ. სვანის ბოლოს, მთის ძირში გაშლილ ადგილს ამოარჩევდნენ, სადაც ჩამოყრილ მორებს აგროვებდნენ. ამ ადგილს ხერგილი ეწოდებოდა. როდესაც ხეები მტკვრის ხეობიდან დაშორებულ პუნქტებში იჭრებოდა, მათ გამოსაზიდად მახლობელი წყლების დინებას იყენებდნენ. მტკვრის შენაკად მდინარეებში, კერძოდ, ქობლიანსა და ფოცხოვში, აბასთუმნის და ადიგენის ტყიანი ფერდობებიდან, შეუქრავად ყრიდნენ ცალკეულ მორებს და სატივებამდე მოაცილებდნენ. ამას ხე-ტყის ჯოღად, ანუ ჯელგად დაცურებას ეძახდნენ. მაგრამ გაზაფხულზე და შემოდგომაზე, როდესაც ეს მცირეწელიანი მდინარეები მოდიდდებოდა, მათზე შესაძლებელი ხდებოდა ჩვეულებრივი ტივების დაცურებაც.

ხერგილიდან სატივე ხეები თრევით მოჰქონდათ ხარ-კამეჩით სატიოებამდე, ე. ი. მტკვრის ნაპირებზე შერჩეულ საგანგებო ადგილებამდე, სადაც ტივები იკვრებოდა. სატიოს უწოდებდნენ აგრეთვე ტივების გასაჩერებელ და მისაბმელ ადგილებს გზაზე და დაცურების უკანასკნელ პუნქტებზე, სადაც ტივები იშლებოდა და იყიდებოდა. ხეობაში რამდენიმე სატიო იყო: დვირთან კვირიკაშვილების სატიო (ადგილი ამ გვარეულების საკუთრება იყო), ქვაბისხევთან — კურტანიძეებისა (ამას კურტანიძეების მორევსაც ეძახდნენ), ლიკანთან გომნის სატიო. ცნობილი იყო აგრეთვე ჭობისხევთან ჩითახევისა და მწვანე მონასტრის სატიოები და სხვ.

სატიო ადგილები შერჩეული იყო მტკვრის დინების ხასიათის მიხედვით. ამ ადგილებში წყალი მდორე უნდა ყოფილიყო. ეს აუცილებელი იყო ტივების ჩასაშვებად.

ყოველი ტივი 10 ხისაგან, ანუ მორისაგან იყო შედგენილი. მორები უღლით იყო გაერთიანებული, უღელი სიგანეზე გადებული ძელია, რომელზედაც ამობმულია სატივე მორები. ამობმა რიკით ხდებოდა. რიკზე (მაგარი ჩიშის ხისაგან გამოთლილ ჯოხზე) წყნელს დაამაგრებდნენ (ზოგან კოქსაც ეძახდნენ), მორების ნაცხვირებში ამოატარებდნენ და უღელზე გადასჭიმავდნენ, ანუ მოქაჩავდნენ, იმდენჯერ მოატრიალებდნენ, სანამ მორი უღელს მჭიდროდ არ ამოებმებოდა. უღელი რცხილისა ან უხზავის ხისაგან ითლებოდა, წნელად კი ჩვეულებრივ კურატის (ნორჩი ნაძვის) ნედლ ლეროს ხმარობდნენ. ეს იწვევდა. რასაკვირველია, მოზარდი ხეების გაჩანაგებას და ტყის მოსპობას. ამიტომ საბჭოთა პერიოდში კურატის წყნელის გამოყენება აკრძალეს და მის მაგივრად ბამბის თოკის ხმარება დაიწყო (ბამბის თოკს ძველადაც ხმარობდნენ წყნელთან ერთად). ტივის ორ კიდურ მორს მარქაფებს უწოდებდნენ; ისინი თავისი დანიშნულებით განსხვავდებიან ტივის ძირითადი მორებისაგან. მარქაფები უღელში არაა ჩაბმული, არამედ მარტო ერთი თავით მომიჯნავე ხეებთანაა მიბმული, ბოლოები კი თავისუფლად აქვთ გაშვებული თოკ-ჩაბმით, რომ საჭირო შემთხვევაში წყალში გაიშალონ ფარფლებივით და ტივი წონასწორობაში მოიყვანონ. დაიკვან გადაბრუნებისა და დაჯახებისაგან. მარქაფები სწრაფი ცურვის დროს მჭიდროდ ეკვროდა ტივის მთავარ ხეებს, მაგრამ როდესაც ტივი თხელ წყალში გაირიყებოდა, ან ლოდზე შევარდებოდა, მაშინ კი მეტივეები მარქაფებს მოუშვებდნენ, განზე გასწევდნენ, წყალი ქვეშ შეუღებოდა, ამოაწვებოდა და ტივს დასძრავდა ადგილიდან. მარქაფა ხეების ნაცხვირებში ამოტარებულ თოკებს ჯვარედინად გადაატარებდნენ ტივზე სიმაგრისთვის.



უღლის შუა ადგილზე, ცენტრალური მორის თავზე დასმულია ხის პალო ორთაყვირის ჩამოსაცმელად. ეს არის ჭოლოკინი. ხეს, რომლის თავთანაც ჭოლოკინია დასმული, ანუ დაბურავებული, დედა ხე ეწოდება. ჭოლოკინი ორია, ისევე როგორც უღელი — ტივის თავსა და ბოლოში.

ტივის მნიშვნელოვანი ნაწილებია ორთაყვირები (ორი ცალი) რომელთა მოხმარებაზეც დამყარებულია ტივის მოძრაობისა და მიმართულების რეგულაცია. ორთაყვირებს ტივზე ისეთივე დანიშნულება აქვთ, როგორც ნიჩბებს ნავზე, ორთაყვირი ნაძვისაგან გამოთლილი ჭოლოკია, რომელიც შუა ნაწილში ამოღარული ხერელით ჩამოცმულია ჭოლოკინზე, მას აქვს ტარმუქი, ანუ ორივე ხელის ჩასაჭიდად ამოთლილი სახელური და წყალში მოსასმელი ბოლო. ამ ნაწილში ორთაყვირს წყლის პერპენდიკულარულად მცირე ზომის თხელი ფიცარი აქვს დაგებული, რომელსაც ყავარი ჰქვია. ყავარი ჩამსმულია შუაზე გაბობილ პალოებში — ლაშხებში, რომლებიც კოწახურის ან ნეკერჩხლისაგან არის გამოთლილი. აქვეა ჩორჩოტები, ანუ ლაშხებზე გადახვეული წვრილი წკნელი, რომ ყავარი არ ამოძვრეს.

მტკვარზე უფრო ხშირად ერთმანეთზე გადაბმულ წყვილ ტივს აცურებდნენ.

### ტივის მართვა

ტივი ორ კაცს მიყავდა — მეწინავესა და მებოლოვეს. თუ ტივი მსხვილი ხეებისაგან შედგებოდა ანდა მდინარე „ონავრობდა“, მაშინ მესამე ან მეოთხე მეტივეც დამატებოდა, ისინი ენაცვლებოდნენ ძირითად მეტივეებს, მათ „ხელისმკვრელსაც“ ეძახდნენ.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ტივის ტარებაში მეწინავეს ჰქონდა, ის გამოცდილი, მარჯვე და კუნთმაგარი ვაჟკაცი უნდა ყოფილიყო, რადგან იგი აძლევდა ტივს მიმართულებას, იმორჩილებდა ძნელად გასასვლელ ადგილებში და აცდენდა ყოველგვარ ხიფათს. „თუ მტკვარი ონავრობდა, აი მაშინ უნდა გამოეჩინა ბიჭობა მეწინავესა, — თქვა 80 წელს მიღწეულმა დვირელმა მეტივემ ტატე ბიბილურმა, — ისე უნდა ჩაეგდო ტივი საჩქარში (სწრაფ მდინარებაში. ი. მ.) და ისე მიაჰყოლოდა ჩქერებს, როგორც მიზანში ამოღებული ტყვია, ლოდებს, ქვებს არ უნდა დასჯახებოდა, რომ არ დაეშალა ტივი“. მებოლოე კი წინ არ იხედებოდა, ის ორთაყვირს იმ მიზნით უსვამდა, რათა მეწინავეისათვის შეეთანხმებინა ტივის ბოლო ნაწილის მოძრაობა.

იყო შემთხვევები, როდესაც დაჯახებისაგან ტივი დაზიანდებოდა ან დაიშლებოდა, მაშინ მეტივეები მას მღორე წყალში ნაპირთან მია-

ცურებდნენ, ისევ შეპკრავდნენ, გამართავდნენ და გზას განაგრძობდნენ. თუ შუა წყალი თხელი იყო ან ლოდებით ჩახერგილი, შეიძლება ტივი გასჩერებოდათ. თუ მას მეტივეები მარქაფების გაშლითავე ვერ დასძრავდნენ, მაშინ დასხდებოდნენ და ელოდებოდნენ სხვა ტივის ჩამოვლას. გამოჩენისთანავე თოქს გადაუგდებდნენ გვერდიდან და მოცურავე ტივი გაჩერებულს დასძრავდა და გაიყოლიებდა. ტივების გაჩერების თავიდან ასაცილებლად ბოლო ხანებში შუაწყალში გაჩხირობულ კლდოვან ლოდებს აფეთქებდნენ ხოლმე მტკვრის კალაპოტის გასაწმენდად.

ზოგჯერ ონავარი წყალი სატიოზე დაბმულ ტივებს მოგლეჯდა და წაიღებდა, მაშინ მეტივეები ფეხით დაუყვებოდნენ ნაპირებს კეტებით ხელში, გარიყულ ხეებს იჭერდნენ, ერთ ადგილზე აგროვებდნენ და ხელახლად კრავდნენ ტივებად. წაღებული ხეების მოსაყრებად ზოგჯერ ახალციხიდან მცხეთამდისაც კი უხდებოდათ ჩასვლა მეტივეებსო, განაცხადა მეტივეობის საქმის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ახალციხელმა კოსტა ქეშიშევმა.

კარგმა მეტივემ ზედმიწევნით იცოდა მტკვრის ხასიათი, მისი დინების ყოველი თავისებურება, ცდილობდა ყოველთვის თავწყალს, წყლის დინების მთავარ ძარღვს, მიჰყოლოდა, რადგან მასში ტივი დაუბრკოლებლად მიცურავდა. თავწყალისაგან განსხვავებით არჩევდნენ მტკვრის ბეჭს, ანუ თხელ წყალს შუა დინებაში. როდესაც წყალი ამღვრეული იყო, ცხადია, მეტივე თვალთ ვერ ამჩნევდა მდინარის სიღრმეს, და თუ ადგილმდებარეობა კარგად არ იცოდა, შეიძლებოდა თხელ წყალში მოხვედრილიყო და ტივი გასჩერებოდა, მაშინ იტყოდნენ ტივი „ბეჭზე გაირიყაო“.

მეტივემ იცოდა აგრეთვე თუ სად შეხვდებოდა მორვეი, ისეთი ადგილი, სადაც წყალი დაგუბებულისავით არის, მდორედ მიედინება და ტრიალებს, რის გამო ასეთ ადგილს „ტრიალასა“ და „კრუტიელასაც“ უწოდებდნენ. მას უნდა სცოდნოდა აგრეთვე სად შეხვდებოდა „საჩქარი“, ანუ „საჩქეფი“, სადაც წყალი სწრაფად მიექანება და ჩქერებად გადადის.

მდინარის მკვეთრი მოსახვევები ანუ მოსაქცევები ტივის მართვატარებისათვის მეტად სახიფათო ადგილებად ითვლებოდა. სწორედ აქ შეიძლებოდა თავწყალს ასცდენოდა ტივი და ნაპირზე გარიყულიყო. საშიში იყო აგრეთვე ქვაყრილითა და ლოდებით მოფენილი, ან კლდოვანი ნაპირებით შეზღუდული კალაპოტი. ამგვარი ძნელგასასვლელი სახიფათო ადგილების სახელები მეტივეებს დღემდე კარგად ახსოვთ. ესენია: „ბალისთავი“ — წნისის ქვემოთ მკვეთრი მოსაბრუნე მტკვრისა, მოქცევი აწყურის მახლობლად, სადაც მტკვარი აღმოსავლეთიდან

ხრდილოეთისაკენ „ქცევს“, „ზანგელია“ ამავე მიდამოებში, „საფაცრე“ ჭობისხევთან, „სალარლანი“ ჩარხისწყალთან, „ბარგიყარია“ გრაკლის ქვემოთ, „ძალლისკბილაი“ ქსანსა და ძეგვის შუა, „ნაკარალი“, „კაციჭამია“ ძეგვის გასწვრივ და სხვა მრავალი.

ლიქნელმა მეტივემ კოლა დათუნისშიღმა ცალკ-ცალკე დაგვიხასიათა ეს ადგილები. მისი თქმით: „სალარლანთან“ მტკვარი დაკრეფილი მიდის, შემეჭიდროებულად, ისე, თითქოს ღარში მიედინებაო, ნაკარალი ისეთი ადგილია, რომ ტივი უნდა აგვეცდინა, თუ კი შუაში მოხვდებოდა, უკან ველარ გამოგვყავდა, ისევე იქვე ბრუნდებოდაო. როცა ამ ძნელ ალაგიდან გამოვიდოდით, მეტივეები იტყოდნენ, გადავიკარეთო (როგორც წვიმის შემდეგ ცა გადაიკარებს), ე. ი. გადავრჩითო. ძალისკბილასთან ნაპირებიდან კლდეები ისეა გამოშვებული, როგორც კბილები, საჩქარი ადგილია და ტივის თუ ფრთხილად არ ჩავატარებდით, კლდეებს დაეჭახებოდა, მარქაფებს მოგლიჯამდა ხოლმე, ან სულ დაგვიშლიდა. კაციჭამიასთან ისეთი კლდე იყო, რომ ტივი ქვეშ უძვრებოდა, ამ დროს მეტივეები წყალში უნდა გადამხტარიყვნენ, ან გაწოლილიყვნენ, თორემ გასრესამდა. ბარგიყარია იმიტომ ერქვა, რომ ესეც ვიწრო გასასვლელი იყო, კლდიანი და თუ მარჯვედ არ ვიქნებოდით, ტივიდან ბარგს გადაგვიყრიდა“.

ამგვარად, ტივის დაცურება-მართვა საგანგებო ოსტატობა-სიმარჯვეს მოითხოვდა, იგი ბევრ სირთულესთან, ხიფათთან და მოულოდნელობასთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებული სიფრთხილე მეტივეს ხეობის ვიწროებში უნდა გამოეჩინა, სადაც მთელი არსებით დაძაბულს, ორთაყვირების რიტმული მოსმით და მასთან შეთანხმებული ტანის მოქნილი მოძრაობით ტივის სვლა ტალღების სრბოლისათვის უნდა შეეწყო, ისე, რომ არ ასცდენოდა „თავწყალის“ მძლავრ დინებას. ეს კი დიდად იყო დამოკიდებული მოწინავესა და მებოლოვის ურთიერთ შეთანხმებულ მოქმედებაზე, რომლის დარღვევისთანავე ტივი მთავარ გეზს კარგავდა, იწყებდა ტორტმანს და ნაპირთან დაჯახების, თუ გარიყვის საშიშროებაში ექცეოდა, ამას მეტივეურად ტივის „წახდენა“ ეწოდებოდა.

შედარებით ადვილი იყო ტივის დაცურება იმ ადგილებში, სადაც მტკვარი ველ-მინდვრებს შორის გაშლილად მიედინებოდა. მოუსვენრობითა და მომქანცველი მოძრაობით დაღლილი მეტივე აქ მშვიდდებოდა, თუმცა აქაც არ შეიძლებოდა მდორე დინებაზე სრული დანდობა და სიფხიზლის მოდუნება. სწორედ ამ გარემოებაზე კარგად მიგვიითითებს ერთი ხალხური ლექსი. იგი გამოთქმულია ზედმეტად გულდადინჩებულ მეწინავეზე, რომელსაც „მყუდრო ჭალაში“ გასულს, უღარ-

დელად ჩიბუხი გაუბოლებია, ყურადღება მოუდუნებია, ამის გამო ტივი „წაუხდენია“ და მებოლოვისათვის კი გადაუბრალეზია:

მეტივე და მყუდრო ჰალა,  
ჩიბუხს დაატანა ძალა,  
თითონ ტივი წაახდინა,  
მებოლოვს დააბრალა.

მაგრამ ტივის გაჩერება საჭიროებისამებრ და მისი დაბმა კიდევ უფრო მეტ მოხერხებასა და სიმარჯვეს მოითხოვდა. ამ მიზნით მოწინავე წინასწარ ნაპირზე უნდა გადამხტარიყო, თან უნდა გადაეტანა თოკი და სანამ ტივი ჩაივლიდა, დიდი სისწრაფით უნდა შემოეხვია საბმურ პალოზე ან ლოდზე. თუ ამას ზუსტად ვერ შეასრულებდა, ტივი ჩაივლიდა და მას კი ფეხით უნდა ერბინა, სანამ დაეწეოდა. ყველას არ შეეძლო ტივის დაბმა. საამისოდ გამოცდილი და გაწვრთნილი მეტივეები იყვნენ შერჩეული.

მარჯვე მეტივეები წნისიდან, სადაც იკვრებოდა ტივების უდიდესი ნაწილი, თბილისამდე ჩასვლას ორ დღეს ანდომებდნენ (ლამით არ ცურავდნენ და ტივები სატივოებზე ებათ). თუ წყალი ონავრობდა, მაშინ ბორჯომში აშვებული ტივი თბილისამდე ერთ დღეშიც აღწევდა, — გადმოგვცემენ მეტივეები.

#### მეტივეთა ყოფა-ცხოვრება

მეტივეები ჯანმრთელი, დარდიმანი, გულდია და მხიარული ვაჟკაცები იყვნენ. ტანზე ეცვათ წინდებში ჩატანებული ფართო ყარამანდული შალვარი და ძველებური ჩოხა-ახალუხი (ბოლო ხანებში ოფიცრის ლურჯი, ან ჩვეულებრივი ჯარისკაცის ფარაჯა). ფეხზე ხარაზული ჩუსტები, წვივებზე პაიჭები ლეკვერთხებითურთ, თავზე ეხურათ ნაბდის ან კრაველის მრგვალი ქუდი, წელზე ერთყათ გობაკებიანი ვერცხლის ქამარი, ან აბრეშუმის სარტყელი, ჯიბეში კი ჰრელ ხელსახოცს ატარებდნენ. მეტივის პორტრეტს ამთავრებდა მხარზე გადადებული მეტივეური გრძელპირიანი და ფართონილრიანი ცული და ბამბის გრეხილი თოკის ანახვევი, რომელსაც თითქმის ყოველთვის მხარიდლივ გადადებულს ატარებდნენ.

მუშაობის დროს მეტივე ფეხშიშველი და წვივებამდე შალვარაკეცილი იყო, წელს ზემოთ კი შილიფად ეცვა.

ძველად მეტივეები ამხანაგურ ჯგუფებად იყვნენ შეკავშირებულნი. ამხანაგობაში 10—12 კაცი იყო გაერთიანებული, ყველაზე გამოცდილი და ხანდაზმული წევრი უფროსად ჰყავდათ არჩეული. უფროსი მეტივე აწარმოებდა ხეების ყიდვა-გაყიდვას, ეწეოდა ანგარიშსწორე-

ბას. ჭრიდა სადავო საკითხებს, თუმცა დავა მეტივეებს იშვიათად მოსდი-  
ოდათ, რადგან ერთმანეთის გატანა და მხარდაჭერა იცოდნენ, მტკიცედ  
იცავდნენ ძმობა-მეგობრობას, სიტყვას არ გატეხდნენ, იტყოდნენ:  
წყალმა წაიღოს იმისი ქონება, ვინც ვის უღალატოსო. როდესაც თბი-  
ლისში ხეებს გაჰყიდდნენ (თითო ტივში საშუალოდ 10—15 თუმანს  
იღებდნენ), იქიდან ეტლით წამოვიდოდნენ, მასლობელ მტკვრისპირა  
სოფლებსა და ქალაქებში, მცხეთას, ძეგვს, კასპს, გორს, ქარელს და  
გომში შეჩერდებოდნენ, ჩამოვლის დროს დატოვებული ხეების საფა-  
სურს მიიღებდნენ, ამფოსნებს ნახულობდნენ, გზადაგზა ქეიფობდნენ.  
ყველგან ეშხი და ლაზათი შეჰქონდათ, მათი პირველი სადღეგრძელო  
„წყლის ანგელოზს“ ეკუთვნოდა. დათქმულ ადგილებში, უმთავრესად,  
ღვირსა და ცხრა მუხაში წელიწადში ერთხელ მაინც იკრიბებოდნენ,  
რაზედაც საქმიან საკითხებს იხილავდნენ. აქვე ხდებოდა გაკიცხვა იმ  
მეტივეებისა, რომლებიც უღალატებდნენ ამხანაგობას, დაარღვევდნენ  
კანონად მიღებულ საერთო წესრიგს. ამგვარი შეკრებები ყოველთვის  
დარბაისლური სიტყვა-პასუხით დამშვენებული ქეიფითა და დროსტა-  
რებით მთავრდებოდა.

როგორც გადმოგვცემენ, მეტივეებს სახლიდან იშვიათად მოჰქონ-  
დათ საგზალი, ყველაფერს გზაში ყიდულობდნენ, ხოლო თბილისში  
კინტო-ყარაჩოღელებთან უყვარდათ პურის ჭამა. მათვე ჰხაძავდნენ  
ყოფა-ქცევასა და ჩაცმა-დახურვაში.

ხეობაში ძველი დროიდანვე ფეხმოკიდებული ყოფილა მექორწი-  
ლეების ტივით მოგზაურობა. გადმოგვცემენ, რომ ძველად, როდესაც  
მეტივე ქალს ზემო სოფლიდან ითხოვდა, პატარძალი ტივით უნდა წა-  
მოეყვანათ. ზედიზედ გადაბმულ ტივებზე მთელი მაყრიონი თავსღე-  
ბოდა, სიმღერითა და ქეიფით ეს გრძლად გადაშლილი მოძრავე სუფრა  
ჭობისხევიდან, ღვირიდან, ყვიბისიდან თუ ქვაბისხევიდან ქვემოთ მი-  
ცურავდა, სიძის სოფლისაკენ. ამ ჩვეულების მანიშნებელია ერთი მე-  
ტიური სიმღერის დასაწყისიც:

ხეობას ქალი ვითხოვე,  
წამოვიყვანე ტივითა...

ეს ეშხისმომგვრელი ძველებური გართობის წესი — ქეიფისა და სა-  
ქორწილო ცერემონიალის გამართვა ტივზე, როგორც ცნობილია, თბი-  
ლისშიც კარგად იცოდნენ. თბილისელ ყარაჩოხელებს და მათ ამფსო-  
ნებს, ვფიქრობთ, იგი ხეობელი მეტივეებისაგან უნდა ჰქონდეთ გად-  
მოღებული. თბილისელთა ამგვარ გართობას ძველი თბილისური ცხოვ-  
რების მკვლევარი, სახალხო პოეტი ი. გრიშაშვილი შემდეგნაირად  
აგვიწერს: „არ ვიცი, რომელი სანახაობა აჯობებდა იმ სურათს, როცა

მთვარიან ღამეს ექვს ტივს ერთმანეთზე გადააბამდნენ და მტკვარზე ქორწილს იხდიდნენ: აქეთ ნეფე-დედოფალი იყო მღვდლით, ეჭიბით და მდადეებით: იქით ნაკვთიერი ბიჭები ოშტაყვირს ატრიალებენ მტკვარის ტალღებში: ერთ მხარეს ქეიფი და ცეკვა იყო ღუღუქზე, მეორე მხარეს ცეცხლი ჩახჩახებდა, რომელზედაც წყლით სავსე კოჭობი იდგა ცოცხალი თევზისათვის და სხვ.<sup>2</sup>

საერთოდ, თბილისელებს დიდად ყვარებიათ ტივზე ჯდომა, სიარ-  
ნობა და მოგზაურობაც კი. „ტიბილია ტივზე ჯდომა, და სიარული  
მტკვარის გზითა, — გვაუწყებს პლატონ იოსელიანი, რომელიც 1851 წ.  
მხატვარ გაგარინთან ერთად გორიდან ტივით თბილისს ჩამოსულა, —  
გიორგი გაგარინმან მოინდომა წამოსვლა გორიდან თბილისს და ვი-  
არეთ ამ გზით მე და მან 1851 წელსა სექტემბრის თვეში. დილით წა-  
მოსული მოვედით მეორესა დღესა 8 რიცხვსა ქალაქსა თბილისსა“<sup>3</sup>.

დრამატურგ ზ. ანტონოვს ამ თემაზე კომედიაც კი შეუქმნია „ტი-  
ვით მოგზაურობა ლიტერატორთა“, რომელიც 1852 წელს თბილისის  
სცენაზე დადგმულა.

მტკვარის პირებზე დაბმულ-ჩარჩებულნი, ან მის ტალღებში  
მსრბოლი ტივები ძველი თბილისის განუყრელი ატრიბუტი იყო. აქ  
რამდენიმე ადგილზე გამართული იყო სატიო — ტივების საბმური.  
ერთი მათგანი უფრო ძველად, ვერის უბანში (დღევანდელი კიროვის  
ბაღის მახლობლად) იყო, მეორე — მუხრანის (დღევანდელ ბარათაშვი-  
ლის) ხიდან. სატიოზე დღე და ღამ გაცხოველებული მოძრაობა და  
ფუსფუსი იყო. აქ ირეოდნენ სატივე მორების აღებ-მიცემობაში  
ჩაბმული მეტივეები, ვაჭრები, მექარხნეები და მათი ავან-ჩაიანნი.

\* \* \*

ხეობელი მეტივეების უმრავლესობა, როგორც ითქვა, გლეხთა იმ  
წრიდან იყო გამოსული, რომელსაც უმიწობა განსაკუთრებით ტანჯავდა  
და დამატებითი შემოსავალი სჭირდებოდა. გაჭირვება აიძულებდა  
მკლავმგარ ახალგაზრდებს მეტივეობის სახით ისეთი ძნელი და სახი-  
ფათო საქმისათვის მოეკიდათ ხელი, რასაც ზოგჯერ მსხვერპლადაც  
ეწირებოდნენ. მაგრამ მათი თავგანწირული შრომა და მამაცობა არა  
თუ დაფასებული იყო რევოლუციამდელ პერიოდში, არამედ ძლიერთა  
გამდიდრებისა და გამოძალვის წყაროდ იყო ქცეული.

მეტივეთა შრომით ხელს ითბობდნენ ერთი მხრით სახაზინო ტყე-  
ების მცველ-მოხელეები, მეზაყეები და მოიჯარადრეები და, მეორე

<sup>2</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, საიათნოვა, თბილისი, 1918, გვ. 33.

<sup>3</sup> პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1935, გვ. 83.

მხრით, ხე-ტყის უმთავრესი მყიდველები. ქალაქის გაქნილი ვაჭრები და მექარხნეები, რომლებიც სარგებლობდნენ რა გამყიდველთა ალალ-მართლობით მათ ფასებსა და ანგარიშში ატყუებდნენ.

მიუხედავად ასეთი მოტყუება-ყვლეფისა, თუ მეტივეები მაინც ახერხებდნენ თავიანთი საქმიდან იმდენი სარგებლობა მიეღოთ, რომ ოჯახსაც დახმარებოდნენ და დროც ეტარებინათ, ეს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ მეტივეობის უაღრესად დიდი სარფიანობით, იმ დიდი მოგებით, რასაც იძლეოდა წიწვიანი ტყეების ხელალებით განადგურება და ძვირფასიშინიანი ხეების წყლის იაფი ტრანსპორტით გადაზიდვა. ამ მოგებიდან მეტივეებს ნამცეცები თუ-ღა რჩებოდათ.

აქედან გასაგებია, რომ მეტივეებს, როგორც ყოველ პატიოსან მშრომელებს, სძულდათ არსებული რეჟიმი და მტრულად იყვნენ განწყობილი მეფის ხელისუფლებისა და მისი მოხელეებისადმი. ისინი თანაუგრძობდნენ ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლთ და ყოველნაირად ეხმარებოდნენ კიდევ. მეტივე კ. დათუნიშვილის გადმოცემით, რეაქციის წლებში, ბევრი დენილი რევოლუციონერი, რომლებსაც ტყეში ვერ მოუსწრიათ გაქცევა, მეტივეებს შეუფარებიათ, ტივზე დაუსვამთ როგორც თანამოსაქმე და ხიფათისაგან გადაურჩენიათ. მეტივეების მეგობრები ყოფილან რევოლუციონერები გვიმრაძე ალექსანდრე, ტალახაძე კოტე, ხმალაძე ვანო, მიქაბერიძე კოსტა, ვინმე დგებუაძე და სხვ., რომლებსაც უსარგებლიათ მეტივეთა დახმარებით და არა ერთხელ მჯდარან ტივებზე, რათა არალეგალურად ჩასულიყვნენ თბილისში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა ტყეები სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა, მეტივეობამ დაკარგა კერძო მესაკუთრული სახე და კოლექტიურ-ორგანიზაციული ხასიათი მიიღო. მეტივეები გაერთიანდნენ ერთ დიდ საწარმოო კავშირად, მთელი მათი საქმიანობა, მათი შრომის ანაზღაურება და დაცვა სახელმწიფოებრივ სამეურნეო ღონისძიებებს დაექვემდებარა და საბჭოთა კანონმდებლობით განმტკიცდა. მოისპო მეტივეთა ექსპლოატაცია. ისინი ხალხის სამსახურში ჩაებნენ და 30-იან წლებამდე განაგრძობდნენ თავის საყვარელ საქმეს, ოღონდ ზაჰესის აშენების შემდეგ თბილისის ნაცვლად მცხეთაში ასრულებდნენ თავიანთ მარშრუტს.

სამამულო ომის მღელვარე პერიოდში, როდესაც ფრონტის საჭიროებისათვის დროებით განაზღდა ხე-ტყის დაცურება, ხეობელმა მეტივეებმა ერთხელ კიდევ უჩვენეს სამშობლოს თავისი შრომითი მამაცობა. მტკვრის ტალღებში ორთაყვირების მძლავრი მოძრაობით, სხვა მშრომელებთან ერთად, ისინიც ჰედდნენ ჩვენი ქვეყნის მტერზე გამარჯვებას.

ამირანის ლეგენდის სკანდრი ვარიანტი

„ამირანიანი“ ძალზე პოპულარული თქმულებაა სვანეთში. წინამდებარე წერილში მინდა ყურადღება გავამახვილო მის ერთ-ერთ ვარიანტზე, რომელიც ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული თქმულების გენეზისისათვის.

იგი ჩაეიწერე 1956 წელს სოფ. ქახუნდერში 98 წლის შოხუც ალექსი ჯაბას ძე ონიანისაგან, მისი შინაარსი ასეთია:

„იყო მონადირე, ცალთვალა იამანი; სანადიროდ წასულს, უდაბური ტყის ახლოს უზარმაზარი კლდის თავიდან მოესმა საშინელი კივილი. ქალის კივილად შეიცნო, მაგრამ ვერ ავიდა კლდეზე. იამანი მიდის მჭედელთან, აჭედვინებს რკინის პალოებს და მეორე დღეს თანმიმდევრობით ასობს პალოს კლდეში და ადის მის თავზე. ნახა პატარა გამოქვაბულში ულამაზესი ქალი. ეს იყო დალი. დალმა შესჩივლა იამანს, რომ რამდენიმე წუთის სიცოცხლე დარჩა მას, რადგან ვიღაც კუდიანი დედაბერი მიეპარა და მოკრა ოქროს ნაწნავეები ძილში, რის შემდეგაც მის სიცოცხლეზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგანაც სული ამ ოქროს ნაწნავეებით ედგა. თან უთხრა იამანს, რომ აი ოქროს ჯაყვა (დანა) და გამიჭერი მუცელი, ორსულად ვარ, ამოიყვანე ბავშვი. თუ ბიჭი იყოს ამირანი დაარქვიო და თუ ქალიშვილი — მაშინ რაც გინდოდეს ის შეარქვიო.

მშობიარობის დრო ჯერ არ მქონდა და ამიტომ ბავშვს ზრდის დასრულება დასჭირდება. ან უშობლის, ან კუროს ფაშვში უნდა ჩასვა, სანამ დედის მუცელში რაც ზრდა დააკლდა, იმას არ დაასრულებსო.

იამანს უმძიმდა უმშვენიერესი დალის მუცლის გაჭრა, მაგრამ რას იზამდა. მოიქცა ისე, როგორც დალმა უთხრა. დალმა განუტევა სული. ბავშვი ჩასვა უშობლის ფაშვში იამანმა, სახელად დაარქვა ამირანი, რომელიც მის ორ ვაჟთან — ბადრისთან და უსიბთან იზრდებოდა. იამანმა ამირანი მონათვლინა იესო ქრისტეს. იგი დღით ერთ წყრთას, ხოლო ღამე ერთ მტკაველს იზრდებოდა. რომ გაიზარდა, მიწას უმძიმდა მისი ტარება. ერთხელ წყალზე მოსულ ქალიშვილს წყლით სავსე კოკა დაუმტვრია ამირანმა და ქალიშვილმა მიადანა: „შენ



თუ ასეთი ვაჟკაცი ხარ, მამაშენს რომ ცალი თვალი აკლია, ის მოძებნეო“. გაგულისებული ამირანი ბრუნდება შინ და დედას (დედობილს) ეტყვის, ცხელი ხაჭაპური გამომიცხვეო. დედამ შეუსრულა წადილი ცხელი ხაჭაპური ამირანმა მკერდზე დაადო დედას და თან უთხრა: ან მითხარი იამანის თვალი ვის აქვს, ან ამით დაგიწვავ მკერდსო. ქალმა უთხრა: აბა ამა და ამ ადგილას კაჟიანი დევი ცხოვრობს და იმას აქვსო. დევს ერთ-ერთი შვილი მოუთხოვია იამანისათვის და ამ უკანასკნელს ვერ გაუშეტებია ვაჟი; სამაგიეროდ დევი თვალს დასჯერებია. მოსალოდნელი იყო, ამირანი რომ არა, მეორე თვალიც ამოეღო დევს იამანისთვის.

ამირანი, ბადრი და უსიბი გაემგზავრნენ კაჟიანი დევის წინააღმდეგ საბრძოლველად. თან წაიღო მჭედლისაგან საგანგებოდ გაკეთებული მშვილდ-ისარი. დევის სასახლეს რომ მიუახლოვდნენ, შეხვდათ მოხუცი ქალი, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობდა კარავში. იმან უთხრა, რომ იმ დევის მოკვლა ხორციელს არავის ძალუძს სანამ სახლში რომ ტახი ჰყავს, იმას არ მოკლავთო. იმ ტახს არაფერი კლავს, გარდა კაჟიანი დევის შარდში ამოვლებული ხმლისაო. თქვენ ხმალი უნდა მიაყუდოთ იქ, სადაც დევი შარდავს, რამდენიმე ხნის შემდეგ აიღებთ ხმალს და იმით მოკლავთ დევის ტახსო. ამირანი, ბადრი და უსიბი ასე მოიქცნენ. დევი შინ არ იყო მოსული, ქერი დაჰყარეს ეზოში და გამოვიდა უზარმაზარი ეშვებიანი ტახი ქერის საქმელად, ამ დროს მივარდა ამირანი ხმლით ტახს თავი გაუჩხა. დევი სანადიროდ ყოფილიყო წასული და ტანმა უგრძნო: მიწა ინძრეოდა, რადგან მან ტორტმანი დაიწყო. მოაწია თავის სასახლეში კაჟიანმა დევმა (სვანურ მითოლოგიაში კაჟიანი დევი იარაღით არ მარცხდება; ვინაიდან კაჟის ტანი აქვს, იარაღი ვერ ატანს მის სხეულში). ტახის თავში კოლოფი იყო, ამ კოლოფში სამი მერცხალი, თურმე ამ დევს ამ მერცხლებში ედგა სული. ერთ მერცხალს თავი მოუგრიხა ამირანმა და დევს ღონე მთლიანად წაერთვა. ამირანმა დევს უთხრა, რომ იამანის თვალი დაებრუნებინა. დევმა ასწავლა მათ, რომ სასახლის დარბაზის დედაბოძს აქვს სამკაულად და გამოუღეთო.

ამირანმა ორ დანარჩენ მერცხალსაც მოუგრიხა თავები. დევს ჯერ თვალთ დაუბნელდა და შემდეგ სულიც ამოხდა.

თვალი გამოუღეს სვეტს, მოვიდნენ შინ და ჩაუდგეს იამანის თვალი. ამირანმა ბევრი ავსული — დევები, ეშმაკები დაამარცხა. შემდეგ ბადრსა და უსიბს განუცხადა, რომ მარტო სწადია მოგზაურობა და ბრძოლები; ბევრი საგმირო საქმეების ჩადენის შემდეგ იგი მოხვდა უზარმაზარი როკაბი დევის ქალთან, რომელსაც თითისტარი ექირა ხელში და მატყლის მაგიერ ტყე-ველს ახვევდა ზედ. მიუხედავად თავისი ძლიერებისა, ამირანი მოიტნია დევის თითისტარმა (ამ ქალს

თითისტარად უზარმაზარი ნაძვის ხე ჰქონდა, ხოლო კვირისთავად წისკელის დოლაბი). ამირანი წინასწარ ცდილობდა ამ დევის ქალის (გრძნეული ქალი) დამარცხებას, მაგრამ ვერ მოასწრო. თითისტარი, რომ გაშალა როკაჰმა ამირანი ხელში აიყვანა და ცხვრების დიდ ფარეხში, (რომელიც კლდეში იყო მოთავსებული დიდი გამოქვაბულას სახით) შეაგდო. დამე ამ გამოქვაბულ ფარეხში ცხვრებთან გაათია. ალიონზე ესმის ხმადაბალი ძახილი: ამირანა, ამირანა, (სევანურად ამირანულ ე. ი. პატარა ამირანი). ამირანი გაოცდა, როცა ადამიანის ხმა შეიქნო. რამდენიმეჯერ მოესმა კიდევ დაძახება და მივიდა იმ ადგილას, საიდანაც ძახილი ესმოდა. ნახა გოლიათი კაცი კედელთან დაბმული ჯაჭვით. ამ მშვენიერი და გოლიათური შესახედაობის კაცმა გაუცინა ამირანს და უთხრა: შენ იცი ვინა ვარ? მე ვარ მამაშენი — ამირანი. შენ ჩემი შვილი ხარ და ამირანიც იმიტომ გქვია, დალი ჩემგან იყო შენზე ორსულად. დედამიწა შემოვიარე, ყველგან მოვსპე ბოროტი არსება, მხოლოდ ეს ალქაჯი დევის დედაბერი მომერია და აქ შემამწყვდია. როცა დამძინებია, თითისტარზე დაუხვევივარ და ამ გამოქვაბულში დაუბივარ. იქ კედელზე ჩემი ხმალი ჰკიდია, რამენაირად ხელი მომაწვიინე და ამ ჯაჭვსაც გაფწყვეტ და იმ ალქაჯსაც მოვკლავო. უფროსი ამირანის („ხოშა ამირან“) ხმალი ძლივს მოზიდა უმცროსმა ამირანმა, უფროსმა ამირანმა გაწყვიტა ჯაჭვი, პატარა ამირანს უთხრა, რომ იმ ალქაჯს რომ თავს მოვჭრი, საშიშია, მოჭრილმა თავმა არ დაგამარცხო-სო; იგი კარებთან გაჩერდება, შიგნითაც დაგძებნისო, შენ გაატყავე ცხვარი, ტყავი ჩამოიცივი და ვერ გიცნობსო. უფროსმა ამირანმა, გავიდა თუ არა გამოქვაბულიდან, მოჭრა დევის ალქაჯ ქალს თავი. ტანი კლდეზე დაგორდა და მიანგრ-მოანგრია ტყე და ველი, ხოლო თავი გამოქვაბულში შევარდა, გასინჯა ყველაფერი, მაგრამ პატარა ამირანს ვერ მიაგნო, შემდეგ იგიც დაგორდა კლდეზე. გამარჯვებული დარჩენ მამა-შვილი ამირანები. მამა-შვილი სიხარულით ერთმანეთს თვალბეჭდებში უყურებდნენ, მამის გმირობით გაცოცხლებული შვილი ეკითხება: თუ არის ქვეყნად ისეთი არსება, რომ მას მოერიოს. მამა — ამირანი უპასუხებს, რომ ასეთი არსება არ არისო ამ ქვეყნად, მხოლოდ ჩემი ხმლით ნეკიც რომ გამეკაწროს მოვკვდებიო. შვილმა ეს არ დაიჭერა გულუბრყვილოდ ჩაპკირკიტებდა, რომ ეს ტყუილი იქნებაო. მაშინ უფროსმა ამირანმა გაიკაწრა ნეკი ხმლით და განუტევა სული. მორთო ტირილი უმცროსმა ამირანმა, მაგრამ რას უშველიდა. მამა დაასაფლავა და თვითონ გაემართა გაურკვეველი მიმართულებით. გზაზე შეხვდა მოხუცი კაცი (იესო ქრისტე), გვერდი არ აუქცია ამირანმა. გაგულისებული და დაჯავრებულ მამის სიკვდილის გამო, სტაცებს ხელს ამირანი მოხუც კაცს (ასე მოეჩვენა ამირანს) ჩააგდებს გზის ქვემოთ;

ამობრუნდება, ისევე ჩააგდებს. მაშინ წაიყვანა ამ კაცმა ე. ი. იესო ქრისტემ ამირანი კავკასიის ქედზე, დაასო დიდი ბალო და ჯაჭვით მიაბა. ამ უზარმაზარი ჯაჭვის კეთებაში იესო ქრისტე ღმერთმა ყველა მჭედელს მიაღებინა მონაწილეობა. ამირანი სვანების წარმოდგენით ახლაც დაბმულია, საცაა აიშვებს და მოსპობს ბოროტებასთან ერთად ყველა მჭედელს“.

ლაშხეთში უჩვენებენ უზარმაზარ კლდეს -- ჭითხაროს, რომელიც ამბროლაურსა და ლაშხეთს შორის მდებარეობს. ამბობენ თითქოს ამ კლდეში იყოს ამირანი დაბმული.

ლაშხეთში ყველაზე მაღალი მწვერვალი ჭითხაროა. ამ მწვერვალთან არის ერთი ლეგენდა დაკავშირებული. მისი მოკლე შინაარსი ასეთია: გაგნიძეების წინაპარი ყოფილა ცნობილი მონადირე ლაშხეთში. იგი ისე გაუტაცია ნადირობას, რომ დაღამება ვერ გაუგია. სახლში ვერ დაბრუნებულა მიყრდნობია ჭითხაროს კლდეს, და იქ გათენება განუზრახავს. არ გასულა დიდი ხანი, გახსნილა კლდე იმ ადგილას, სადაც მიყრდნობილი იყო და იგი შიგნით წაქცეულა. ხედავს უზარმაზარი გამოქვაბულია ძვირფასად, ოქროთი მოჭედილი კედლებით. ამ გამოქვაბულში ყოფილა მოწყობილი ქანდაკები, რომლებზედაც ესვენა ხატები (ოქროსი), აქვე ყოფილან ღმერთები. სათითაოდ ვერ უტყვია გაგნიძეს ისინი, მაგრამ გასაუბრებია და გაუგია რომ ღმერთები არიან. იმ ღამეს ისე შემოთენებია გამოქვაბულში, რომ ძილი არც გახსენებია. დილას უჩუქებიათ ღმერთებს ოქროს ხატი ოქროსავე ჯაჭვით, გაუხსნიათ კლდის კარები და წამოსულა შინ. ეს ძვირფასი ხატი დიდი მოკრძალებით დაუსვენებია მის სოფელთან (ღები) ახლო მდებარე სოფლის მარგვიშის ეკლესიაში. დაუბია ოქროს ჯაჭვით ხატი და დაუტოვებია. მეორე დღეს რომ უნახავთ ეკლესია, ხატები ყველა ძირს ყოფილა დაყრილი. ჯაჭვი კი გაეწყვიტა ხატს და თავის ადგილსამყოფელში დაბრუნებულყო. მონადირე გაგნიძე მისულა ჭითხაროს კლდესთან, მაგრამ ვერაფრით ვერ მიუგნია შესასვლელი კარებისათვის და დაღონებული დაბრუნებულა შინ. ასე მთავრდება ეს თქმულება.

ამირანის ზემომოყვანილ ვარიანტში აშკარად ვლინდება ისეთი ელემენტები, რომელიც სხვა ჩანაწერებში არ გვხვდება. მასში მოჩანს, როგორც ძველი, ისე შემდეგში შეტანილი მოტივები. განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა ამირანის მამის შესახებ; ასევე მოთხრობა, რომელიც ჰომეროსის „ოდისეის“ ციკლოპების ამბის ანალოგიურია.

საყურადღებოა გადმოცემა ჭითხაროს კლდიდან ოქროს ჯაჭვიანი ხატის გამოსვენებაზე, სადაც თითქოს ამირანია დაბმული.

ფიქრობთ, ამ ვარიანტის გათვალისწინება სარგებლობას მოუტანს ამირანის ეპოსის კვლევის საქმეს.

## ბ. ზედეინიქი

### ამირანის ლებენდის ჯამახური მარინატი<sup>1</sup>

ამინარი ქრისტეს მერე არი დაბადებული. ამინარის მამა არ ვიცი, დედა ნესტან-დარეჯანი იყო, რო დაიბადა, ბარკალზე დაჰყვა ხმალი. დედამისმა თქვა: ეს გმირი გაიზრდებაო, საქართველოს დაიცვამსო. ერთი ოქროს კბილი დაჰყვა.

ერთი ამბრი იყო, იმის ძალიან ინტერესი ქონდა ამინარს, ერთ დღეს მიდიოდა ამინარი, ნახა რო ამბრი მოუკლამთ თუ მამკვდარა, ურემზე დაუღიათ და დედამისი ურემზე ზის, ამბრის ფეხი უპატიურათ მიწაზე მისთრამდა. დედამისმა უთხრა ამინარს:

— ეს ამბრი არისო. ხო ხედამო, ფეხი უპატიურათ მიაქო. შეუტოვე ურემზეო.

ძალიან ეწყინა ეს ამინარს:

— ოპ, მე ამას ცოცხალ ვეძებდი და კვდარი ვნახეო.

დაებლაუქა, მარა ფეხი ვერ ასწია. მაშინ იმი დედამ უთხრა:

— შენ ამის ბრძოლა გინდოდაო და ფეხი ვერ აგიწვევიაო!

ვერც დედამისმა შეუღლო ფეხი. ამინარს უთხრა:

— აჰა, ქეები შეიწყე ფეხებში, მაშინ იქნებ ასწიოო.

ამინარმა ქვა შეიწყო ფეხებში, მარა მაინც ვერ ასწია.

წამოვიდა გაბრაზებული, მერე ესიზმრა ამირანს:

— შენ ნა მოგეცეს ღონე სამი აღელებული წყლისაო, სამი აღელებული ქარისაო.

მიეცა მერე მაგითანა ღონე, მარა საცა დევი ნახა, ან სხუა ფალავანი, არ გაუშვა. დედამ უთხრა:

— ეგ მეტი-მეტი მოგდისო, უკელიო.

ამინარმა უთხრა:

— არაო, მე სამი აღელებული წყლისა და სამი აღელებული ქარის ღონე მამეცაო. მეც იმათი ხასიათისა ვარო.

დედამ უთხრა:

— მაშინ წადიო, როგორც გინდა, ისე ქენიო, ნება გაქო.

ამინარის საომარი ალაგები იყო თავფავანის ტბაზე და აბულის მთაზე.

<sup>1</sup> გ. ზედეინიქი ეს ლეგენდა ჩაწერა 15 აპრილის 1958 წ.

ერთხელ ციდან გველაშაპი ჩამოვიდა. ამინარი ეომა და კუდი მოაჭრა. მარა გველეშაპმა აჯობა და ამინარი ჩაყლაპა. გველეშაპი წავიდა დედამისთან, უთხრა, რო:

— მუცელ მგვრემსო, — ერთი ცხოველი ჩავეყლაპეო და იმიტივინაო. დედამისმა უთხრა:

— როგორი იყოო?

— ერთი ოქროს კბილი ქონდაო.

— ჰო, ეგ ამინარი იქნებაო, შენ მაგას ვერ მოინელამო. ამინარს ჯიბეში ოქროს დანა ექნებაო, უყვარსო ოქროს დანის დებაო. გამოსჭრის და გამოვაო.

ეს გაიგონა ამინარმა. გამოშჭრა და გამოვიდა. წავიდა. დალაქები შეხვდნენ:

— წვერი გამიკეთეო! — უთხრა.

თურმე გველეშაპ რო გამოჭრა მუცელი და გამოვიდა. თმა, წვერი, ბანალი — აღარაფერი ქონდა. სულ გასცვივროდა. ხოლოთ კბილი ისევ ქონდა.

პარიკმახერებმა ისევ გაუკეთეს წვერი, რამე: ისევ შექმაზეს.

გამოვიდა იქიდან, ხმალი, ქამარი ვეშაბთან დაეკარგა, მივიდა მჭედლებთან:

— ისეთი ხმალი ნა გამოკეთოთ, რო ძლივს ვწემდეო.

შეუქმაზეს ხმალი და ისევ გაიმართა ამინარი. თავის ხასიათისავეით, იქცეოდა ამინარი (სამი აღელებული წყლისა და სამი აღელებული ქარის ხასიათი რო მიეცა, ისრე).

ერთხელ მივიდა გორასთან:

— გორაო, შენ გორა ხარო. მე ვერ დაგებაძებო, მარაო ეს ღონე საიდან მამეციო?

გამოიქვება გორა, შევიდა ამირანი, იარა და ნახა, რო შიგი ერთი გამოქვებაულია და მჭედლები იარალს ჭედებენ.

იქ შევიდა იმ მჭედლებთან და უთხრა:

— რას აკეთამთო, აქ რა გინდათო?

— ჩვენ ღონისთვინა, მონდომებისთვინა ყველაფერ იარალს ვაკეთამთო. ასრე გვაქო ღვისგან დაწესებულიო.

მჭედლები გორის შუაში იყვნენ. ამინარმა უთხრა:

— აჰა, ისეთი ჯაჭვი გააკეთეთო, ისეთი პალოო, რო ვერც პალო წამოგვლიჯოო და ვერც ჯაჭვი გავწყვიტოო.

ეს გააკეთეს: პალო დაარჭეს. ზე.უ ჯაჭვი გამოაბეს,, ეს რო სულ გამართეს:

— აბა, შენი ღონე ახლა სინჯეო.

წამოსწია ამირანმა — ვერც პალო წამოგვლიჯა, ვერც ჯაჭვი გავწყვიტა უთხრა იმათ:

— ეს პალო, ეს ჯაჭვი რითი გააკეთეთო, რო ვერც გავწყვიტე და ვერც წამოვგლიჯეო.

იმათ უთხრეს:

— რომელმაც შენ ეგ ძალა მოგცაო, ჩვენც იმან მოგვცა ეს ნებაო, ეს გორა გვადგია და კიდე უძღვემთო.

მერე უთხრეს ამირანს:

— აჰა, ახლა ფეხებზე გაიკეთეთო, იქნებ ფეხებით შესძლო წამო-ძრობაო.

გაუკეთეს ამირანს და წამოწვა, შეხსნეს თავის ხმალი, ცოტა შორს დატოვეს, ხელებში წაავლეს ხელები და გაიწიეს.

— არ იქნა გავწყდიო! — დაუძახა ამინარმა.

გაუშვეს. ამინარმა კითხა:

— ეხლა როგორ იქნებაო?

იმათ უთხრეს:

— როგორ იქნება და ჩვენ ამ გორაში ვცხოვრობთო, შენც აქ იქნებიო.

— გამიშვითო, — უთხრა ამირანმა, — ქვეყნად ვიცხოვროო!

— არაო, — უთხრეს ლონის მჭედლებმა, — შენ რო გაგიშვათ, რაც მჭედლებია გაწყვიტამო, მოსპომო, ჩვენ ნება არა გვაქო, შენ რო წამო-გეგლიჯა, მაშინ ნება გქონდაო.

— აქ რით ვიცხოვროო?

ვინც ჩვენ გვაცხოვრამს, ის შენც გაცხოვრამსო.

ის მჭედლები თავისთვინ ცალკე დარჩნენ და ამინარი თავისთვინ. ერთი მონადირე ნადირომს. იარა, იარა და მივიდა იმ გორასთან, ნახა კარები მიდის, შევიდა შიგნით, ნახა, რო ერთი ვეშაპივით კაცი წემს, იქით მჭედლების კაკა-კუკი ისმის (მჭედლები იქით არიან), ხმალი და სხუა იარაღი შორ ეგდო. ამინარ მაღალი ლეკვი ყამდა. იმ ჯაჭვ ლოკებდა, ლოკებდა, აწვრილებდა, ჰა, რო ნა გაწყდეა, მჭედლები დაარტყამდნენ გრდემლს, ჩაქუჩ და ისევე ამსხვილებდნენ.

მონადირე რო შევიდა, ამინარმა პური თხვია, გამოართვა. ხელი მოუჭირა და სისხლი გამოადინა. მერე თითონ რო ღვთი პურ ჭამდა, იმას მოუჭირა ხელი და რძე გამოადინა:

— თქვენაო სისხლი პურ ჭამთო. რანაირ ქვეყანაში ცხოვრომთო. კარგი წუთისოფლის ქვეყანა არ გაქთო. ჩვენი პური ასეთი იყო და თქვენი პური სისხლისაო.

შეეკითხა მონადირე:

— ვინ ხარ, აქ რათ წემხარო.

ამინარმა უთხრა:

— ასე იყო, ასეო მე ამინარი ვარო:

ამ კაცმა უთხრა:

— რა გიშველო, რით მოგეხმარო?

ამინარმა უთხრა მონადირეს:

— შენი ფეხები მომეცი ხელში მეო, შენ ხმალ მოჰკიდე ხელები, მე გამოგითრემო. იქნებ ხმალი ჩემთან მოვიტანო, გავჭრამ ამ ჯაჭვს და გავნთავისუფლდებიო.

ეხლა მონადირე დაწვა, ფეხები მიცა ამინარს, თითონ ხმალ მოკიდა ხელები. ძალიან ეწვალა, ძალიან, მარა, კაცმა უთხრა:

— ლამის გავწყდეთ, აღარ შემიძლიაო.

მერე უთხრა მონადირეს:

— შენ წახვალ, ღვედსაო, თორმეტ უღელ ხარის ღვედსაო უხმოდ მამიტანო, ისე, რო ხმას არავის არ გასცემო.

მონადირე გამოვიდა, მოვიდა სახში. რაც შეეძლო, ეს ღვედები დაამზადა, აიღო და წაიღო ერთ დილა ღამიან. ცოლი გამოუდგა ამ კაც მიაქ ღვედები. ეს ქალი გამოუდგა, რო:

— შენ ნა გაყიღო, ოჯახი ნა გააოხროო.

აღარ მოეშვა.

ეს კაცი მობრუნდა, ეს ქალი კარგათ დაჩეჩქვა.

წავიდა. მივიდა იმ გორასთან. ნახა, რო კარები დაკეტილია — ვეღარ ნახა კარები. ამინარიც დარჩა გორაში. ამინარმა მამინ გაიგო და თქვა რო:

— მე რო აქედან გამოვიღე, ქალი ნა ვწყვიტო და მჭედელიო. და დარჩა იმ გორაში.

პტენაში ერთი კაცი იყო, ძველი ამბები ბევრი იცოდა და ის ამბობდა: — ლეკვი რო ლოკემდაო, მჭედლევი, რო არ ყოფილიყვნენ, არ დაერთყათ, ჯაჭვი ხო გაწყდებოდაო.

ღღესაც, ამომენ, რო ამინარ გორა ადგიაო. ახალქალაქში რო გორა არი, იმ გორაშიო და რა ვიცი.

ზოგი ამომენ, ქრისტემ კვერთხი დაარქო და ზედ დააბაო. იქ რომჭედლევი არ ყოფილიყვნენ, ხო გაწყვეტდა ამინარი ჯაჭვსაო.

#### ამბარის საფლავზე

ერთი კაცი აღმოსავლეთში ცხოვრობდა. მიდიოდა დასავლეთში. ჩხუბომდა, მტრებ ხოცემდა. დიდ ხან, ოცდაათ წელიწად, ქვაყრილზე დევებს ეჩხუბებოდა, საღამოს ისევე აღმოსავლეთში ბრუნდებოდა.

ერთხელ მივიდა ერთგან. ცხენმა უთხრა:

— გამიშვი ცოტა ხან ბალახზე, მოვძომ, გამიჭირდა ამდენი ხანია არ დამისვენიაო.

გაუშვა ცხენი. თითონ მივიდა და ერთ საფლავზე ჩამოჯდა.

საფლავი შეინძრა, წამოდგა კვდარი და უთხრა:

— რა კაცი ხარ, ვინ ხარ, რო აქ ჩამოჯექიო?

იმ კაცმა უთხრა:

— მე აღმოსავლეთელი ვარო, დასავლეთში ვჩხუბომო, ქვაყრილზე დევებთანაო.

— მერე, რა გაქ მაგითანა საჩხუბარი, რა ხარ მაგითანა კაციო?

— ვარო ამითანა კაციო, ამითანა გმირობა მაქ და მეხალისებაო.

ჰოდა, მერე უთხრა ამ კვდარმა:

— აჰა, მაჩვენე შენი პურიო. რანაირი გაქო?

გამოართვა, მოუჭირა ხელი და სისხლი გამოუვიდა. მერე თავის პური ამოიღო კუბოდანა, მოუჭირა ხელი და რძე გამოუვიდა.

— ეო, რა გლახა დროში ცხოვრობო.

— შენ ვინა ხარო? — დაეკითხა ის მეომარი კაცი; — აქ რათ წემ- ხარო?

— ვინ ვარო და მე ამბრი ვარო, თუ გაგიგონიაო. მე რომ მოვკვ- დი, ფეხი რო ჩამამივარდა ურმიდანაო და ამინარმა ფეხი ვერ ასწიაო, ურემზე ვერ შედო, ისა ვარო..

იმ მოჩხუბარს გაეგონა ამბრი:

— ჰოო! — გაიგო.

ამბრიმ, კვდარმა, გაიხედა, დაინახა რო სასუქი დაუყრიათ მიწისთ- ვინ:

— რა არიო ეგო? — იკითხა.

— ეგაო სასუქიაო, მიწას აყრიანო.

— ჰაი, ჰაიო, ისეთ დროებაში მოხვდითო, რომ დედამიწაც ქრთამ დებულობსო!

მერე უთხრა ამბრმა:

— წადიო, ის დევები იმ ქვაყრილს ვერ მოშორდებიანო, ნება არ აქვთო. წადიო, მე აი აქ ვწევარო, ამინარმა ფეხი ვერ ამიწიაო, მე მტრის ხელით არ ვარ მკვდარიო, ჩემი დლით მოვკვდიო, დედის ალერსი თან წამამყვაო. ჰოდა, ამინარმა ფეხი ვერ ამიწიაო და ახლა აქ ვწევარო, შენ რას ჩხუბომ რო ჩხუბომო. მაგ ცხენმა ენა ამოიდგაო და ჩემთან მოგიყვანაო, ეს იმიტომაო, რო მე გენახეთ.

წადიო, მე არ შემრჩაო და შენ რა შეგრჩებაო, ხო ხედამო, ისეთ დროში ცხოვრობო, რო დედამიწაც ქრთამ დებულობსო. შენი თავიც დაასვენე და ცხენიცაო.

მთხრობელი: გარსევან სოლოს ძე ბერიძე, 77 წლის, სოფელი ჩუნ- ჩხა (ამჟამად ცხოვრობს ახალციხის რაიონის სოფელ საყუნეთში), წე- რა-კითხვის სუსტად მკოდნე, (იციის ხელის მოწერა) ამირანის ამბავი, მისი თქმით, მოსმენილი აქვს სოფელ კოთელიაში.



С. БЕДУКАДЗЕ

## ОСНОВНЫЕ ИТОГИ ХЕВСКОЙ ЭТНОГРАФИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ 1957—1958 гг.<sup>1</sup>

Хевская этнографическая экспедиция Государственного Музея Грузии в 1957—1958 гг. работала в Казбекском районе два месяца, по одному месяцу каждый год: в 1957 г. в составе 15 научных сотрудников под руководством проф. Г. С. Чистая, в 1958 г. 10 научных сотрудников, руков. канд. ист. наук С. Я. Бедукадзе.

За указанный период работы сотрудники экспедиции изучали старые и новые формы хозяйственного быта и культуры населения исследуемого района (Хеви и Труссо) и связанные с ними домашние промысла: ткацкое дело (Г. Чачашвили) и народные способы обработки кожи (И. Нанобашвили), камня (С. Бедукадзе), орудия земледельческого труда (Г. Джалабадзе), жилые и хозяйственные постройки (В. Итоншвили) и т. д.

Казбекский район включает в себя грузин-мохевцев ущелья р. Терек и живущих у истоков этой реки трусойцев, ныне говорящих на осетинском языке. Ранние исторические источники часто упоминают население Труссо и Хеви, вместе с другими грузинскими горскими племенами, под именем двалов и мохевцев. Преобладание здесь собственно осетинского этнического слоя прослеживается с XV века. Начиная с XIII века часть населения Северной Осетии, сильно стесненная непрекращавшимися набегами монгольских орд, через двалетские перевалы проникает на юг и оседает на южных склонах центрального Кавказа (Д. Гвритишвили, В. Гамрекели, Г. Тогошвили). Приютившиеся в Двалети осетины, еще на своей родине окончательно обращенные в христианство при активном содействии грузинских религиозных центров, не могли, разумеется,

<sup>1</sup> Краткое изложение доклада, читанного на сессии Института этнографии Миклухо-Маклая АН СССР, весной 1959 г.

внести диссонанс в область религиозных верований. Наоборот, сбежавшие от монгольского насилия христиане-осетины в Два-лети нашли совершенно подходящую среду.

По этнографическим пережиткам современного трусойского населения устанавливаются почти одинаковые религиозные представления с характерной для грузинского горского населения особенностью, выразившейся в приспособлении или даже в слиянии языческого пантеона с христианской религией. Это явление (ближайшее родство духовного мира горских племен центрального Кавказа) своими корнями, по всей вероятности, восходит к близким взаимоотношениям, да, пожалуй, родству так называемой Кобанской культуры с культурой широко расселившихся по западному Кавказу колхских племен со времен еще поздней бронзы и раннего железа.

По мнению ряда ученых, весь западный Кавказ от левого берега р. Терек до побережья Черного моря в это отдаленное время представлял из себя одну большую культурную область, включавшую в себя несколько более мелких локальных культур (С. Джанашиа, М. Иващенко, В. Абаев, А. Каландадзе, В. Гамрекели, Г. Тогошвили).

Для правильного осмысления этнографических пережитков Трусой и Хеви, помимо того, необходимо учесть данные исторических источников о значительном распространении иберомесхожких элементов культуры в данном районе высокогорного Кавказа, с одной стороны и высказанное недавно в грузинской исторической науке предположение о возможном родстве этнических терминов «туали» — «дуали» — «тубали» (В. Гамрекели), с другой.

При этнографическом изучении Хеви и Трусой следует учесть также и другой немаловажный момент, а именно историческую роль и значение Дарьяльского и Двалетского проходов (среди других проходов и перевалов Кавказа) для связей и взаимоотношений народов Северного и Южного Кавказа как в торгово-экономическом, так и военно-стратегическом отношениях. Особо важное значение имел Дарьяльский проход, который, являясь главной артерией и средством сношения для иберо-кавказских племен еще с эпохи бронзы, выполнял роль большого исторического пути, в силу чего неоднократно бывал свидетелем крупных исторических смещений и столкновений с

участием многочисленных и разноплеменных масс людей. Такая картина единогласно подтверждается древнегреческими и латинскими, персидскими, армянскими и особенно грузинскими историческими источниками, в которых отражены неоднократные попытки центральной власти Грузии или ее чужеземных завоевателей к проведению различных военно-политических мероприятий с целью укрепления указанного прохода или же безраздельного господства над ним.

Засвидетельствованные экспедицией на месте некоторые легенды и предания с поразительной правдивостью повторяют, а подчас и интереснейшими материалами пополняют данные исторических источников.

С целью упрочения передачи грядущему поколению многих и многих традиций предков, а также памяти о важных исторических событиях, здесь веками выработаны целые системы обрядовости и поведений (выполняемых мужчинами) в виде обычаев: оглашения на ежегодных празднествах служителями культа о заслугах того или иного рода или же отдельного лица перед народом и святыней; создания гимнов культового характера, повествования старцев на сходке (эроба) и т. д. Существует целая плеяда женщин, выполняющих на похоронах, передаваемый от поколения к поколению обряд оплакивания умерших героев.

Об исключительном значении Дарьяльского ущелья для безопасности центральной монархической власти феодальной Грузии и об ее заботе по устройству этого края свидетельствуют христианские храмы IX — X и последующих веков, воздвигнутые в древнегрузинском архитектурном стиле: Гарбани, Сиони, Самеба и др., крепости и замки царицы Тамары, царя Давида, Сно, Сиони, Аршисцихе и др. Связанные с этим строительством большие материальные затраты местные жители приписывают усилиям централизованной власти.

По этнографическим данным в Хеви и Трусо почитается одно племенное божество — святая Троица. С одной стороны она тесно связана со Мцхетским Светицховели (с храмом животворящего столба), а с другой стороны, она очень влиятельная картлийская златовратая Троица (на горе Алеви), Гергетская Троица и Трусойская Троица образуют тесно сомкнутый круг христианских храмов, кульново-языческая природа кото-

рых в прошлом хорошо удостоверяется многими историческими и этнографическими источниками.

В отличие от святилищ Лашарис-джвари пшавов, Гуданис джвари хевсуров, Ломисас джвари мтиулов-гудамарцев, почитание мохевцами и трусойцами картлийской Троицы в качестве главного племенного божества явно свидетельствует о стародавних теснейших связях между упомянутыми этническими единствами. На эту связь указывает точное повторение в быту у мохевцев некоторых старых картлийско-кахетских языческих обрядов, связанных с культом плодородия («берикаоба» — «кееноба», «чона» и др.), которые вновь всплывают в Хеви, минуя промежуточный (между Картли и Хеви) этно-культурный район мтиулов-гудамарцев.

Как этнографические, так и исторические источники подтверждают постоянную заботу централизованной власти Грузии и мцхетского высшего духовенства об усилении влияния храма св. Троицы, что нашло, между прочим, отражение в предоставлении особых прав и привилегий не одним только храмовым служителям, но и целой пастве гергетцев. Взамен этого царская власть заручается большой, самоотверженной поддержкой гергетского прихода в проведении тех или иных военно-политических мероприятий и, в первую очередь, в защите от врагов северного форпоста грузинского государства.

Население Хеви и Трусо издревле переняло от Картли обычай обнесения почитаемого образа (креста со знаменем) по своим ежегодно посещаемым местам. Причем обнесение образа по присутственным местам совершается ежегодно по всей территории Хеви и Трусо по определенному традиционному маршруту. Следует сказать, что изучение совершаемых при этом некоторых обрядов, раскрывает истинный смысл многих неясных до сих пор мест гергетской летописи — этого важного исторического источника Хеви.

\* \* \*

По этнографическим и историческим данным, одним из основных занятий жителей Казбекского района издавна являлось овцеводство Вахушти Багратиони в своей географии отмечает, что «водится здесь скот (овцы без курдюка и др.) во

множестве, сколько есть простору; и полно здесь стада тур и серны» (Географическое описание Грузии, Тбилиси. 1941, стр. 68).

Этнографические материалы указывают, что овцеводы этого района не всегда довольствовались местными летними пастбищами. Отмечены неоднократные случаи отгона овец на летние пастбища имеретинско-рачинских гор, даже на склоны Эльбруса. В качестве зимних же пастбищ, кроме северо-кавказских степей, используются соответствующие угодья кахетских долин (Самгори, Шираки и др.). Что касается использования прикаспийских угодий, чему дается широкий простор после присоединения Грузии к России, то оно до этого, надо полагать, менялось в зависимости от политической обстановки, складывавшейся между Грузией и народами Северного Кавказа.

Широкое употребление каспийских ракушек в этом районе в качестве украшений и в ритуальных целях, может служить одним из ярких показателей частого посещения, задолго до присоединения Грузии к России, пастухов этого района прикаспийских степей. И нам не представляется возможным, что такие простые ракушки могли являться объектом торгового обмена, в противовес прибалтийскому янтарю, который также применялся в ритуальных целях и как украшение; ему с древних времен приписывалось целебное свойство против специфического горного заболевания зоба. По поводу янтаря следует вспомнить, что его проникновение в Закавказье через Кавказские проходы относится еще к середине I-го тысячелетия до н. э., что подтверждается частыми находками в погребениях Самтавского и др. могильников Грузии.

Наименования кормовых трав зимних пастбищ Сев. Кавказа «бумбла» и «капиота» (при теплой погоде), «кутимлаше» и «цителцвара» (при холодной), повсеместно употреблявшиеся пастухами горной Грузии, чисто грузинские названия и не могли появляться за короткий отрезок времени после присоединения Грузии к России. Здешние пастухи отличаются глубоким знанием окружающей их физико-географической среды. Они быстро ориентируются во времени и пространстве безбрежных просторов зимних пастбищ, легко предугадывают погоду и характер поведения наступающих сезонов по наблюдению не только за положением небесных светил, состоянием и рас-

цветкой их нимба, но и за поведением животных, птиц, насекомых, состоянием и ростом растений и т. д. и т. д. Пастухи легко определяют на небосводе появление «звезды травы» (балахис варсклави), восход которой ими связывается с первым появлением кормовой травы на горных пастбищах родного края. Весьма показательны, что ежегодно возвращавшихся с зимних пастбищ пастухов почти всегда сопровождали лезгины-лудильщики и мастера по изготовлению медных изделий, привозившие с собой для обмена медную посуду, серебряные и оловянные украшения и др. Надо полагать, что эти связи населения горной Грузии и Дагестана своими корнями уходят в глубокое прошлое.

Об овцеводстве, как об основной отрасли хозяйства, говорят как бронзовые статуэтки из Казбекского клада, так и каменные изваяния баранов, сохранившиеся на современных культовых местах, и много специфических ритуалов, засвидетельствованных в этнографическом быту. Древнейшим языческим божеством и покровителем овцеводства является Тутри. Оно, кроме Грузии, засвидетельствовано на Сев. Кавказе, в частности среди осетин (В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, 1958, З. Гаглоева, О пережитках аграрного культа в Джавском районе, «Вопросы этн. Кавказа», 1952). Из-за того, что Тутри прислуживают божественные собаки в виде волков, З. Гаглоева считает его тотемическим божеством. Однако по мнению В. Бардавелидзе, это признак первой триады пантеона богов. Общеизвестно, что терминами «тута» и «туте» в древней Грузии обозначали божество луны (обозначение понедельника — дня луны по-грузински «Мтвари-са», по-мегрельски, «тута-ша, по-чански «тута-ча», по-свански «дошдиш» или «тев»), которое впоследствии было замещено св. Георгием (И. Джавахишвили, История груз. народа, I, Тб., 1928, стр. 124, на груз. яз.). Примечательно, что божество луны и египтяне называли Тот-ом. Надо думать, что божество «Тутри» можно вывести из сферы иберо-кавказских верований, а непосредственно оно могло быть связанным с мегрело-чанским «Тута» — «Туте». О большом влиянии и широком распространении Колхской культуры (вплоть до берегов р. Терек) писали многие авторы. То же показывают этнографические данные Хеви и Трусо.

Отметим некоторые общие черты материнской и духовной культуры мохевцев-трусойцев и жителей западной Грузии. Общее название безрогой козы «дола»; широкое распространение культа свиньи; при закваске молока для получения сыра, применение закваски из желудка поросенка, помимо закваски яглычых и тельячих; ношение башлыка; одинаковый тип и название лаптей; перенесение западногрузинского названия полотна («тило») на шерстяную ткань в форме «толн», и мн. др. Кроме того, ряд ученых считает, что в старину на западном Кавказе (следовательно и в Хеви и Трусо) распространена была безкурдючная тонкошерстная овца колхидской породы (М. Рчеулишвили, Г. Чачашвили и др.). И наконец, устанавливается, что здешний тип горизонтального ткацкого станка через Колхидский станок восходит к древне-переднеазиатскому типу.

Вообще следует отметить, что кроме культурно-экономических связей изучаемого района и восточной Грузии, осуществляемых посредством четырех перевальных путей, устанавливается наличие более тесных связей, особенно трусойцев, с зап. Грузией (Рача, Имерети, Мегрелия), с которой сообщались как через Картли, так и через Алагири-Мамисонский перевал.

Этнографические материалы указывают, что рынки сбыта продуктов животноводства этих местностей были распределены по географическому принципу. Если трусойцы предпочитали общаться с Ксанским ущельем, Рача, Имерети и Мегрелией, откуда происходило подавляющее большинство изделий из дерева, глины, меди и произведений златокузнечества, то мохевцы большей частью придерживаются связи с Арагвским ущельем, Тбилиси и Сев. Кавказом, где им закупается большинство необходимых вещей.

Хеви и Трусо со своей стороны вывозили: шерсть, фланель шерстяную, другие шерстяные ткани художественного рукоделия, армяки, башлыки, сыромятину, точильные и огнеупорные камни, жернова для мельниц, сыр, масло и др. Среди пастухов Сев. Кавказа большим спросом пользовались пастушеские сторожевые псы, разводимые мохевцами. Один пес часто оценивался наравне с 10 головами овец, а иной раз обменивался прямо на коня, один на один. Это обстоятельство, думается,шний раз подчеркивает высокий уровень овцеводства в Хеви. И в самом деле, поражают познания местных пастухов из этой об-

ласти. Например, они отлично знают анатомию мелкого рогатого скота, наименования отдельных частей которого зафиксированы в соответствующей терминологии с древнегрузинскими корнесловами. Одновременно здесь мы сталкиваемся с узаконенными порядками разделки туши заколотого скота и распределения ее частей между присутствующими в зависимости от возраста, заслуг, положения и занимаемого в семье и роде места. Здесь же следует отметить, что часть туши барана промеж головы и тела под названием «волчьей кости», не реализовалась, а выбрасывалась на «волчью долю». Нам кажется, что здесь мы имеем дело с удовлетворением священных собак — волков бога Тутри. Зафиксированы различные домашние приемы лечения пастухом заболевшей овцы, среди которых привлекают внимание выправка костей и перевязка перелома, выпускание крови, «раздувание легких» (наподобие современного пневмоторакса), лечение селитрой, оказание помощи при ягнении и мн. др.

Большой интерес вызывает наличие среди пастухов профессионалов-знатоков под именем «мцнобари» (буквально «опознаватель»), который у пастухов пользуется большим уважением и всеобщим признанием. Он мигом узнает и тотчас же может выделить из огромной отары любую овцу-матку и ее ягненка. Такое умение мцнобари зиждется на прочно укоренившихся традициях пастухов опознать любого барана по самым различным признакам (по форме рогов, ушей, курдюка, шерсти, по цвету глаз и шерсти, по зубам, копытам и мн. др.). Подробно зафиксированы разные виды меток на ушах, широко распространенные в Хеви и Трусю и указывающие на принадлежность меченого скота тем или иным семьям и родам. Счет стада ведут путем нанесения на палку небольших черточек, из которых каждая тонкая черта обозначает 20, а более жирная черта 5×20 (т. е. 100).

Из домашних производств, перерабатывающих продукты животноводства, в исследуемом районе особо развита обработка кожи и шерсти, а изготовлением высококачественного сыра славятся трусойцы.

Мохевцы и трусойцы среди других грузинских племен отличаются умением изготовить из меха тура особо тонкие флане-



лёвые изделия тивтики (мужские башлыки и платки для женщин).

В обработке сыромятной кожи, наряду с солью, широко используется и селитра местного происхождения. Кожа у мохевцев и трусойцев почти универсальное средство для приготовления разнообразных вещей. Из кожи делают головные уборы, пояса, одежду, обувь, изготавливают посуду, подстилки, одеяла, скатерти и др. Она входит как обязательный компонент в комплексе предметов вооружения (портупей, ножны, мешочки для пороха и др.) и труда (постромки, принадлежности конской сбруи, плети и т. д.).

В обработке шерсти засвидетельствованы орудия труда различных видов: для мойки, взбивки, трёпки, чёски, вязаний, валяния, тканья шерсти. Бытовавший до недавнего времени ткацкий станок горизонтального типа «сапенкро шками» широко был распространен преимущественно в равнинной части Грузии и во многих областях Кавказа. Своими начальными формами он, по-видимому, восходит к аналогичному типу ткацкого станка, известного во многих частях Древнего Востока (в частности, Двуречья).

Примечательно, что в домашнем текстильном производстве единицы мер выражаются названием отдельных частей человеческой руки: плечо, локоть, пядень, пядь и др. Например, на изготовление одного накидного женского платка требуется 16 локтей ткани, одного башлыка 8 локтей, а одного армяка или кафтана достаточно 23—25 локтей ткани.

Подробно изучены мужские и женские костюмы и связанная с этим терминология. Среди костюмов отчетливо выделяется разновидность пастушеской одежды. Традиция подбора шерстяного и кожаного материала для изготовления верхней одежды и нижнего белья вполне оправдана условиями жизни и быта пастуха.

Мохевцы и трусойцы богато отделяют овою одежду шелком, жанителью, сучеными и золотошвейными нитками; отмечается богатство орнаментальных мотивов и их народная терминология; грехили, хардга, кумбила, нашура, алхинца, тархвеула, гилшати и др. представляют собой разновидности материала для выведения орнаментальных узоров животного, птичьего, растительного и геометрического характера.

В результате изучения народных приемов обработки камня, строительной техники и типа жилищ устанавливается, что мохевцы считались лучшими мастерами — каменотесами и строителями зданий на сухой кладке и эту работу они выполняли не только у себя, но и в других районах Грузии. В Хевси отмечается наличие весьма богатых и издавна обрабатываемых месторождений камней различного свойства. Так, например, в сс. Коби и Сно действуют карьеры точильных жамней, у Аршисклде и на горе Сакецети месторождения огнеупорных камней, в местности Хде месторождения мельничных камней и т. д. В этнографическом быту засвидетельствовано для отточки железных орудий труда употребление пары точильных камней различных пород: Ка с у р и крупнозернистой, и С а л е с а в и — мелкозернистой. Для их опарения в случае надобности то мохевские каменщики спускались в центр добычи и обработки Касури — с. К а и с х е в и (ниже по Арагве) для доставки Касури, то сами каисхевские мастера поднимались в сс. Коби и Сно (выше к истокам Терека) для получения мягкого Салесаши. И спаренные таким образом точильные камни находили широкий обит почти по всей Грузии.

Аналогичные мохевским черным мягким камням точилки часто встречаются в мужских погребениях Мцхетского могильника эпохи бронзы и железа. Источником же происхождения этих точилок вполне могли служить месторождения сс. Коби и Сно, откуда эти камни вывозились в Картли, Кахети, Месхети и др. Прекрасный огнеупорный камень (известный сегодня под именем андезита), успешно применяемый в качестве очажных камней, при выкладке печей, каминов и др. в большом количестве вывозился за пределы нашей страны с незапамятных времен.

Жерновые камни хорошего качества из Хде, помимо местного употребления, вывозились в Ингушети и Хевсурети. Здесь же добывали, между прочим, свинцовую руду и селитру.

В связи с обработкой камня следует упомянуть о многочисленных, хорошо отесанных крупных каменных крестах. Эти кресты, разумеется, носят культовый характер и воздвижение некоторых из них возможно относится еще к дохристианскому времени. А таких до и раннехристианских мемориальных памятников по Грузии и Закавказью распространено очень много

(о них см. А. Джавახишвили, Раннехристианские мемориальные памятники Грузии. Тб. 1948 г.).

При постройке жилых помещений, как было указано выше, в изучаемом районе применяли сухую кладку. Устанавливается несколько приемов закрепления камней в стенной кладке. Стена воздвигалась в виде очень мощной и широкой кладки, постепенно и незаметно суживающейся кверху с наружной стороны. Стены на определенных промежутках иногда снабжались своего рода арматурой — горизонтально заложеными плетенками из деревянных прутьев, что, видимо, перекликалось с приемом заложения в стену деревянных бревен, чем население равнинной Грузии достигало антисейсмической стойкости сооружения.

Старинный тип жилого дома мохевцев двухэтажный: верхний для летнего пребывания членов семьи «зент-сахли», нижний — для зимовки членом семьи «коит-сахли» и «коитаи» для скота.

В старину здесь большей частью строили дома-крепости, «цихе-сахли» с бойницами, тайниками, подземными ходами для общения с главной защитной башней<sup>2</sup> и отдельными соседями и др. Этот же тип в точности повторяется и в Трусо<sup>3</sup>. Ныне же здесь господствуют прочно сложенные на извести каменные двухэтажные дома городского типа. Давно миновали дни опасности вражеских набегов, что в корне изменило жизнь и быт местного населения. Древние башни теперь приобретают только лишь исторический интерес. Широкая и благоустроенная военно-грузинокая дорога дает возможность мохевцам и трусойцам поддерживать тесные связи со столицей Грузии — Тбилиси и с Северным Кавказом.

Вообще в этнографической среде Хеви и Трусо наблюдаются существенные изменения со времен присоединения Грузии к России. Ввиду прекращения вражеских набегов и создания нормальных условий для общения с Северным Кавказом, широкой

---

<sup>2</sup> Возле таких башен часто встречаются специальные округлые, заполненные внутри каменные башни, назначенные которых состоят в защите от горных завалов.

<sup>3</sup> Здесь следует констатировать в скобках, что название полпорных столбов из камня насухо в центре постройки «кула» созвучно с названием албанского жилого дома.

простор для своего развития получило овцеводство. Пахотные земли, расположенные по горным склонам и обрабатываемые с большим трудом при помощи мотыг колхидского типа и хевсурского плуга, стали уступать место пастбищным угодиям.

Коренные изменения произошли в материальной и духовной культуре местного населения за Советский период. Развитие социалистической промышленности и сельского хозяйства преобразили старый быт и культуру местного населения.

#### ЛИТЕРАТУРА

1. Г в р и т и ш в и л и Д. В., К вопросу об этнической принадлежности «Двалов» по переселении осетин в Картли, (на груз. яз. с русск. резюме) «Мимомхилвели» (обозреватель) Института истории им. И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР, 1, Тб., 1949, стр. 109—121.
2. Г а м р е к е л и В. Н., Двалы и Двалетия в I—XV вв. н. э., Тбилиси, 1961.
3. Т о г о ш в и л и Г. Д., Из истории Грузино-Осетинских взаимоотношений, Тб., 1958, (на груз. яз.).
4. Б а р д а в е л и д з е В. В., Древнейшие религиозные верования и графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957.
5. Д ж а н а ш и а С. Н., История Грузии с древнейших времен до XIII в. (на груз. языке), Труды II, стр. 412—433, Тбилиси, 1952. Его же, Общественные науки в Советской Грузии к 20 годовщине Великой Октябрьской Социалистической Революции, Известия ИЯИМК 1, Тбилиси, 1937, стр. XXXIII.
6. И в а щ е н к о М. М., Материалы к изучению культуры колхов, в кн. «Материалы по истории Грузии и Кавказа», II, Тб., 1941.
7. А б а е в В. И., Историко-этимологический словарь осетинского языка, 1958 г.
8. К а л а н д а д з е А. Н., Археологические памятники Сухумской горы (на груз. яз. с русск. рез.), Сухуми, 1953, стр. II—III.
9. Г а м р е к е л и В. Н., Указ. соч., стр. 135.
10. Б а г р а т и о н и В а х у ш т и, География Грузии (на груз. яз.), Тб., 1941, стр. 68.
11. Г а г л о е в а З. Д., О пережитках аграрного культа в Джавском районе Юго-Осетинской АО. «Вопросы этнографии Кавказа», Тбилиси, 1952, стр. 319—325.
12. Д ж а в а х и ш в и л и И. А., История грузинского народа, I, Тбилиси, 1928, (на груз. яз.), стр. 124.
13. Р ч е у л и ш в и л и М. Д., К истории овцеводства Грузии, Тб., 1953, стр. 64—70.
14. Д ж а в а х и ш в и л и А. И., Раннехристианские мемориальные памятники Грузии, Тб., 1948.

ბამწვევი ძალის გამოყენება, მისაბმელი მოწყობილობა  
(აპაზმულობა) და მისი დამზადება საქართველოში\*

საქართველო მთავორიანი ქვეყანაა, რომელსაც 6.548.600 ჰექტარი უჭირავს. ეს ფართობი ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით შემდეგნაირად არის განაწილებული: 0—200 მ შორის ფართობის 12,8%, 201—500 მ შორის ფართობის 10,7%, 501—1000 მ შორის ფართობის 22,7%, 1001—1500 მ შორის ფართობის 16,6%, 1501—2000 მ შორის ფართობის 17,4%, 2001 მ ზევით ფართობის 19,8%.

იგი წარმოგვიდგება კავკასიონის მაღალმთიან ოლქად, დაბლობის რაიონად და სამხრეთ მთიანეთის ოლქად. ამ გეოგრაფიულ გარემოში შესაძლებელია სოფლის მეურნეობის ყველა სახის სამუშაოს გაშლა დაწყებული ბრინჯ-ბამბის მოყვანით და გათავებული მაღალმთიანი მეხილეობით. სამეურნეო საქმიანობა ვერტიკალური ზონალობის შესაბამისად არის განლაგებული.

მთას საქართველოს ტერიტორიის 53%-ზე მეტი უჭირავს. ამ ფართობზე ვარგისი ტერიტორიის სახით ძირითადად საძოვრები და ტყეებია წარმოდგენილი, რამაც თავიდანვე ხელი შეუწყო მეურნეობის ისეთი დარგების ჩამოყალიბებას, როგორც არის მესაქონლეობა, მეცხვარეობა და მეთხეობა; საქართველოს ბარში კი მიწათმოქმედების ისეთი დარგები, როგორცაა მეზინდვრეობა, მევენახეობა, მეხილეობა და მებოსტნეობა, რომელიც განვითარებას განიცდიდა მრავალ საუკუნეთა მანძილზე.

მეურნეობის ამ დარგებში გამოყენებული იყო როგორც ხელით სამუშაო, ასევე გამწვევი ძალით მოქმედი იარაღები. გამწვევ ძალად კი გამოყენებული იყო ხარი, ხარ-კამეჩი, იშვიათად ცხენი, ფურკამეჩი და სახედარი.

ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით აშკარა ხდება ჩვენში მსხვილი რქოსანი საქონლის გამწვევ ძალად გამოყენების დიდი სიძველე. ამ მონაცემებით გამწვევ ძალად ძირითადად ხარი ითვლება. მის გვერდით კამეჩიც არის წარმოდგენილი, მაგრამ არა ყველგან და არც გამოყენების თანაბარი მასშტაბით. გამწვევ ძალად ნაწილობრივ

\* დაწერილია პასუხად იმ ანკეტასა, რომლის შევსება ითხოვა გერმანიის მეცნიერებთა აკადემიის (ბერლინი) ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა.

ცხენიც გამოიყენება, იშვიათად სახედარი. ხარი შეიბმის ხალხურ საზიდ საშუალებათა ყველა სახეობაში, რომელშიც კი გამწევი ძალა გამოიყენება. კამეჩისა და ცხენის გამოყენების ფარგლები კი შეზღუდულია. გავრცელების თვალსაზრისით საქართველოს პირობებში ხარსა და ცხენს ერთი და იგივე არე ახასიათებს. ისინი საქართველოს ყველა კუთხეში არიან უკლებლივ გავრცელებულნი, მაგრამ გამოყენების თვალსაზრისით მათ შორის საგრძნობი განსხვავება არსებობს. თუ ხარი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზიდის ყველა სახეობაში გამოიყენება, ცხენი შეიბმის მხოლოდ ცხენის ურემში, რომლის კონსტრუქცია და ფართოდ გავრცელებული სახელწოდება ტაჩკა//კაჩკა, როგორც ზემოთაც ითქვა, ამკარად მიუთითებს მის არა ქართულ წარმოშობაზე. ის გარემოება, რომ ცხენი მარხილში სულ არ გამოიყენება და რომ, საერთოდ, როგორც გამწევი ძალა, საზიდში ის ნაკლებ გამოყენებას ჰპოვებს, უნდა მიუთითებდეს მის უმთავრესად შესაჯდომ და სატვირთო დანიშნულებაზე.

რაც შეეხება კამეჩს, მისი გავრცელების ტერიტორიული ფარგლებიც და გამოყენებაც შედარებით შეზღუდულია, კამეჩს ვხვდებით ქართლში, კახეთშიც, მესხეთ-ჯავახეთში, გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში, ე. ი. იმ კუთხეებში, სადაც ბარის გეოგრაფიული და კლიმატური პირობები ხელს უწყობს მის არსებობას. კამეჩი, როგორც გამწევი ძალა საზიდ საშუალებათაგან გამოყენებულია ორბორბლიან ურემსა და ბოლოთრიაში. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოში კამეჩის გავრცელება ემთხვევა ორბორბლიანი ურემის გავრცელების არეებს. რაც შეეხება საქართველოში კამეჩის არსებობის სიძველეს, ამის გასარკვევად სხვა მონაცემებთან ერთად ეთნოგრაფიული მასალითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ. მაგალითად, ქართლში მიაჩნიათ, რომ „კამეჩი მოგონილია და ხარი კი ხეთისაგან არი გაჩენილი“, ე. ი. აქ ხაზი აქვს გასმული ჩვენში ხარის არსებობას უხსოვარი დროიდან, ხოლო კამეჩის შედარებით სიახლეს. უნდა აღინიშნოს, რომ კამეჩი არსად არ არის დამოუკიდებლად გავრცელებული, იგი ყოველთვის ხართან ერთად გვხვდება და განკუთვნილია „ს ა მ ძ ი მ ო ს ა ქ მ ი ს ა თ ვ ი ს“<sup>1</sup>.

ასე იყო 1900 წლამდე; 1900 წლიდან 1921 წლამდეც ანალოგიური მდგომარეობაა. 1928 წლიდან გამწევ ძალად გამოყენებაში შედის ფურ<sup>1</sup> კამეჩებიც. ასე დარჩა 1962 წლამდე.

ხარი, ხარკამეჩი, ცხენი იბმოდა ურემში, სახენელში, მარხილში, თუშში, ნალოში, ბოლოთრიაში, ფარცხში, კევრში; ათრევედნენ ხეებს.

<sup>1</sup> მ. გ ე გ ე შ ი ძ ე. ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956 წ., გვ. 99.

ძროხა, როგორც გამწევი ძალა საერთოდ არ გამოიყენებოდა არც წინათ და არც ახლა.

ბარის რაიონებში სახვნელში აღარ აბამენ ხარს, მაწა ტრაქტორით იხვნის. ხარს და კამეჩს უკანასკნელ წლებში იყენებენ ურემში შესაბამე-  
ლად და ტყიდან ხეების გამოსათრევად.

მრავალი მკვლევარი (ალ. კალანტარი, ა. თამამშევი, ე. ლისკუნი) გვთავაზობს კავკასიური ძროხის ორ დიდ ჯიშად დაყოფას: ა) მთავარ კავკასიურ ჯიშად, რომელიც გავრცელებულია მთავარი კავკასიონის ქედის კალთებზე და დაბლობებში, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ჩათვლით და ბ) მცირეკავკასიურ ჯიშად, რომელიც გავრცელებულია მცირე კავკასიონის მთების კალთებზე და დაბლობში — მტკვრის მარჯვენა სანაპირომდე.

საქართველოში გავრცელებული იყო ქართული მთის საქონელი (ხარი და ძროხა), რომელსაც ქართული მთის ძროხაც ეწოდება; ის ქართველი ტომების მიერ ძველი დროიდანვე მოშენებული ძირითადი ჯიშია, რომელიც გავრცელებულია მთელ დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს მეტ ნაწილში. მსგავსი ძროხის პოპულაციები მოშენებულია მთავარი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე. იქ მათ გავრცელების ადგილის მიხედვით უწოდებენ დაღესტნურ მთის საქონელს, ჩერქეზულ მთის საქონელს და სხვა. საქართველოში აღინიშნება ძროხის ხევისურული, ფშაური, თუშური, მეგრული, რაჭული ჯიშის არსებობა.

შეიძლება დავასახელოთ მცირე კავკასიონის ზონაში გავრცელებული საქონელი, რომელსაც ა. თამამშევი სექტანტურს უწოდებს. ის ჩამოყალიბდა გადმოსახლებული ღუნობორების მიერ გასულ საუკუნის ორმოციან წლებში შემოყვანილი ნაცარა უკრაინული პირუტყვის ადგილობრივთან შეჯვარებით და ადგილობრივი პირუტყვის გავლენით. ამავე ზონაში აშენებდნენ ჩალდირულ (თურქულ) საქონელს. ყურადღებას იქცევს აგრეთვე კაზახური საქონელი (თარაქამა), რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში აზერბაიჯანიდან იყო შემოყვანილი, მაგრამ ამ პირუტყვის რაოდენობა დღემდე მეტად მცირე რაოდენობით არის შენარჩუნებული.

წითელი მეგრული საქონელი საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთ საქართველოს რაიონებში. XIX საუკუნემდე აოსად არ გვხვდება მითითება ახლანდელი წითელი მეგრული საქონლის არსებობის შესახებ<sup>2</sup>.

<sup>2</sup> ნ. გ. ო. რ. ი. ძე, სანაშენე მუშაობა საქართველოს მესაქონლეობაში, თბ., 1962, გვ. 201, 202, 227.

აღმოსავლეთ საქართველოში აზერბაიჯანიდან შემოყვანილი თარაქამა და თათრული ხარები გამოყენებული იყო გამწევი ძალის დანიშნულებით და არა მოსაშენებლად.

ქართული ცხენი ძირითადად საჯდომი ტრანსპორტი იყო, თუმცა მას იყენებდნენ როგორც სახენელში, ისე პურეულის ლეწვისას და ცხენის ურემში გასაბმელად. ცხენი 1900 წლამდე საქართველოს ბარის სოფლებში 10%—20% შეადგენდა. 1900-იან წლებიდან შემცირდა. 1923 წლიდან უფრო მეტად, ხოლო 1928 წლიდან კატასტროფულად.

საქართველოს მთის მოსახლეობაში ყოველ მოსახლეზე მოდიოდა 1 და მეტი ცხენი 1928 წლამდე. 1928 წლიდან 1941 წლამდე მთაში ორ ოჯახზე ერთი ცხენი მოდიოდა, 1941 წლიდან 4 ოჯახზე ერთი ცხენი.

ცხენი საქართველოში ადგილობრივი ჯიშისაა. ყველაზე მეტად მთის თუშური ცხენია გავრცელებული, რომელსაც ბარში მეტოქეობას უწევს კახური ცხენი. ცხენების დიდი რაოდენობით მოშენებას მისდევდნენ საქართველოს მთასა და დასავლეთ საქართველოში. მთის ცხენი ამტანია, მცირე საკვები სჭირდება და შეგუებულია საპალნის ტარებას მთის ვიწრო გზებზე. ძველად მთის ცხენს დიდი რაოდენობით აშენებდნენ და იყენებდნენ, ძირითადად საბრძოლო დანიშნულებით. მისი ჭენება შეიძლებოდა დაურახბტავადაც. ახასიათებს სწრაფი მანევრირების უნარი, რასაც სამხედრო საქმისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

შუა საუკუნეებში კახურ ცხენზე იმდენად დიდი იყო მოთხოვნა რომ მას სამეფო საჩუქრის საუკეთესო წილად მიიჩნევდნენ.

სოციალისტური მიწათმოქმედება საფუძველს უსპობს კერძო მესაკუთრულ მიწათმოქმედებას და გამწევე სამუშაო ძალად ხარის, კამეჩის და ცხენის ნაცვლად იყენებს მანქანა-იარაღებს. ეს შეეხება საქართველოს ბარის სოფლის მეურნეობას, მთაში კი კვლავინდებურად ხარი გამოიყენება გამწევე ძალად (მთაში კამეჩი საერთოდ არ გამოიყენება არც სამუშაო დანიშნულებით და არც სარძევე მნიშვნელობით).

გამწევი პირუტყვი, ხარი და კამეჩი იბმოდა ურემში, გუთანში და სხვა. კამეჩს თუ ურემში შეაბამდნენ საძირის ე. ი. I უღელში აბამდნენ; გუთანში შებმისას კამეჩის პირველ უღელში შებმა არ შეიძლებოდა. გუთნის საძირის ე. ი. პირველ უღელზე მეხრე უნდა მკდარიყო, კამეჩი კი უღელზე ჯდომას ვერ იტანს და ცდილობს უღლიდან გაქცევას. ამის გამო მუშაობის რიტმს არღვევს და ვერ იმორჩილებენ. გუთანში კამეჩს II, IV და VI უღელში აბამდნენ. ფიქრო-



ბენ, რომ კამეჩის დამორჩილება უკანა უღლიდან უფრო კარგად შეიძლება, ვიდრე წინა უღლიდან, ხარი კი პირიქით.

„ორბორბლიან ურემში ჩვეულებრივ, ორი ან მეტი წყვილი საქონელი შეიბმის, ეს დამოკიდებულია, პირველ რიგში, ტვირთის სიმძიმესა და გზაზე, გარდა ამისა თვით საქონლის ღონეზედაც. თუ ურემში იყო წყვილი საქონელი ანუ ყვეარი აბია პირველ წყვილს ურმის ოავის ხარებში (ან კამეჩები) ეწოდება, მეორე წყვილს — საყვერის ხარები, როცა კამეჩები ყავდათ, მათ აუცილებლად ურმის-თავში აბამდნენ. საყვეარში კი ხარები უნდა მოხვდნენ, რადგან ხარს კამეჩზე უკეთესად ეყურება, მიბრუნ-მობრუნებაში კარგია. სამი წყვილის შებმის დროს პირველ წყვილს იგივე სახელი ეწოდება, მეორეს — შუა ხარები, მესამეს — წინა ხარები (აღსანიშნავია, რომ იმერეთში მეორე წყვილსა და შემდეგსაც საყვეარი ეწოდება)“<sup>3</sup>.

ხარს როცა ქართლ-კახურ ორთვალა ბარულ ურემში აბამენ, მას წინ არ უძღვიან; ურემზე სხედან და იქიდან ერეკებიან და მიმართულებასაც კოფოდან აძლევენ. თუ ხიდზე გადიან, ან ვიწრო გზა, ან კედევ შემხვედრ ტრანსპორტთან უხდებათ გავლა, ამ შემთხვევაში წინ ჩაუდგებიან და ისე მიყავთ.

ხარი საქართველოში, საერთოდ. უღელში იბმოდა. უღელს ტაბიკები აქვს და ტაბიკები აპეურებით გაეხმის ყელქვეშ. აპეური შიგნითა ტაბიკზე მუდმივად არის დამაგრებული, გარეთა ტაბიკზე კი გამწვევი ძალის შებმის დროს „გამოყურთმაჯებით“ მაგრდება.

დასავლეთ საქართველოში, ბარიდან მთისკენ გარდამავალ ზოლში, გამოიყენებოდა ე. წ. ჩოჩილა ურემი, რომელიც ადგილობრივ პირობებთან იყო შეხამებული. ამ ურემში უღლით შებმულ ხარებს რქებზე თოკი ჰქონდა დამატებით გამობმული, ხარის პატრონი ურემს წინ უძღოდა თოკზე ხელმოკიდებული და ხარებს მიმართულებას თოკის საშუალებით აძლევდა. ხარებს სახენელსა თუ ურემში ერეკებიან მხოლოდ წვრილი, მოქნილი ჯოხით, რომელსაც სახრე ანუ სახარე ეწოდება. „ზანტ საქონელს მეტი ცემა და ჯავრობა უნდა; ფიცხი უფრო სიტყვაზე დადის. მუშაობაში გემრიელ საქონელს ნაკლებ უჯავრდებიან. საქონლის ცემაში გარკვეული მორიდება და წესი არსებობს. დაუშვებლად მიაჩნიათ თავში, წელსა და ფეხებში ცემა. თავში ცემამ თავრეტი იცის, ფეხებში ცემამ შეიძლება საქონელს ძვლები დაუშინოს, წელში ცემა ზურგის ტვინის შესაძლო დაზიანების გამო არის მოსარიდებელი, გარდა ამისა ამ ადგილზე ცემა გატყავებას და ბალნის დაცვენას იწვევს. უფრო დასაშვებია საქონლისა-

<sup>3</sup> მ. გ. გეგუშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956 წ. გვ. 103.

თვის გვერდებში შემოკვრა. სახრე მსუბუქი ხისა უნდა იყოს (ტირიფი და იფანი).<sup>4</sup> (მ. გეგეშიძე, დას. ნაშრ. გვ. 100):

ხენის დროს გამწევი ძალა დღეში ორჯერ ისვენებდა, დაახლოებით 2—2,5 საათში ერთხელ. ფარცხვაში არ ისვენებდნენ. ფარცხვა დაახლოებით დღის 4 საათზე იწყებოდა დღის ბოლომდე. მოხნულს რწავე დღეს ფარცხავდნენ. კევრით ლეწვის დროს ხარი დღის 3 საათზე შებმული შუადღემდე, ე. ი. 12 13 საათამდე, სამ-ოთხჯერ ისვენებდა. შუადღისას კი ეწყობოდა დიდი შესვენება 1—1,5 საათით. პატარა შესვენება 15—25 წუთს არ აღემატებოდა. შესვენებისას ხარს უღლიდან მხოლოდ ერთხელ, ისიც შუადღისას, უშვებდნენ. ამ დროს ეძლეოდა საკმელი და წყალი. სხვა პატარ-პატარა შესვენებების დროს არ ეძლეოდა საკმელი და წყალი. კახეთის ზოგ რაიონში იცოდნენ ანეულის ხვნა ღამით. დღისით კი ხარი ისვენებდა.

გუთნით ხენის დროს იცოდნენ ხარების ადგილების შეცვლა, მაგრამ იშვიათად. ლეწვისას ხარებს უცვლიდნენ მიმართულებას, რის გამოც შიდა ხარი გარეთ ექცეოდა და გარე ხარი შიგნით. ლეწვის დროს ხშირი იყო „ხარისპირისბრუნება“.

გამწევი ხარი 8—10 წლამდე შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებაში, შემდეგ მას სახორცედ გამოიყენებდნენ. თუმცა „გაძლების თვალსაზრისითაც“, კარგი მეხრის ხელში კამეჩმა 20 წელი უნდა იმუშაოს, ხარმა 15. ხარი ძალ-ღონით კამეჩს ბევრად ჩამოუვარდება; რის გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს ხალხური ლექსი: „წითელო ხარო, ვერ შესძლებ შავი კამეჩის ბრძოლასაო“, მაგრამ მოვლა-შენახვის თვალსაზრისით ხარი გაცილებით ნაკლებ ყურადღებას მოითხოვდა, ვიდრე კამეჩი. აი რას ამბობს ამის შესახებ ხალხური დაკვირვება: „სიარულში ხარი მეტსა სძლებს დაუსვენებლად, ოღონდ რასაც ერევა ის ატაროს. კამეჩი კი ძალიანია, მაგრამ სუსტი, მოსიცხარი და თანაც სიცივის ძნელად ამტანი. ზამთარში ხარისა არ გვეშინიან, კამეჩს კი უნდა გადავაფაროთ ან ფარდაგი, ან მეშოკი. კამეჩი ხართან შედარებით სხვა მხრივაც ძნელი მოსავლელია. მაგალითად, იმასთან ერთად, რომ მას ზამთრობით აუცილებლად ესაჭიროება თბილი ბოსელი, საკვებად მუდმივად თივა და როში უნდა ჰქონდეს, მაშინ როცა „ხარების წაყვანა ნეკერზედაც შეიძლება“. გარდა ამისა, კამეჩს სისტემატური ვარცხნა და ცხიმის, ქონის წასმა უნდა (ლორის ქონი, მანქანის ზეთი), რომ მკბენარი არ გაუჩნდეს“.<sup>4</sup>

<sup>4</sup> მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956, გვ. 100.

გამწევი ძალით მუშაობასთან დაკავშირებით ხალხში შემონახულია მრავალი ლექსი და სიმღერა, რომელთაც გლეხები მუშაობის პროცესშიც ასრულებდნენ.

- ა) „წითელო ხარო, ვერ შესძლებ შავი კამეჩის ბრძოლასა“,
- ბ) „გუთნიდედ მეხრე შეყრილან  
დადიან უბან-უბანა  
არ გვინდა თქვენი კამეჩი  
მოსიცხარია მუღამა.  
გუთნიდედა მესროლეო,  
თითო ბელტი გვესროლეო  
წინასა და უკანასა,  
შუას მეტი ესროლეო“.
- გ) შავი კამეჩი ჩიოდა  
მალა შემიდგეს ჩალო,  
ამტელი მალა წოდებით  
კისრის ძარღვები დამწყდაო“.

ხვნის დროს მღეროდნენ:

„გასწიე ხარო, გასწიე საცაა გათენდებო,  
შენი ნაძოვნი ბალახი, საცაა აყვავდებო,  
შავსა კამეჩსაც უყვარდა საძირე დამოკლებული,  
თვსა და ბოლოს გაჰქონდა გუთანი დაველებული.  
გუთნიდედას რა აცხონებს, რა შეიყვანს საყდარშიო  
შავი კამეჩის ცოლო უხვევია კალთაშიო...“<sup>5</sup>

„ღედაკაცმა თუ გაიწია თორმეტი უღელი ხარ-კამეჩი ვერ დაიკერსო“.

გამწევი ხარის ირგვლივ კიდევ მრავალი ხალხური სიმღერა, ლექსი და ანდაზაა შექმნილი, სადაც ლაპარაკია ხარის სიკეთესა და შრომაზე:

„ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი მთაზედა,  
გარს გალავანი არტყია, ცა ახურია თავზედა,  
სამშაფათს ყრილობა იყო დიდი მეუფის კარზედა,  
ადამიანის შენახვა ვერავინ იღო თავზედა,  
ხარმა თქვა პირნათელამა — მე დამწერეთ რქაზედა,  
ჩამოვიდნენ ანგელოზნი აკოცეს ორთავ თვალზედა,  
ჩამოქნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორსავ რქაზედა,  
წალი ხარო იმუშავე, ერთგულად მთა და ბარზედა,  
ექვსი ღღე ები უღელში, მეშვიდე დაწეე მხარზედა,  
ვინც კვირაობით შეგაბას, მკლავი შეახმეს მხარზედა“.

---

<sup>5</sup> აქ მოტანილი ხალხური ლექსები ჩაწერილია გორის რაიონში თ. გელაძის მიერ.

ხარი კვირა დღეს ადამიანთან ერთად ისვენებდა. გუთანში მომუშავე ხარს კვირა დღეს ურემში არ შეაბამდნენ. თუ კვირას ბაზრობაზე ქალაქში მიდიოდნენ, ურემში გუთნის ხარს კი არ შეაბამდნენ, არამედ სხვა ხარს ან კამეჩს. ძველი ქართული თქმულება ხარს ქვეყნის აშენების ამბავს მიაწერს. ხარის ერთგულებაზეა ლაპარაკი ქართულ ხალხურ ზღაპარში, რომელსაც „წიქარა“ ეწოდება.

ხარი იბმოდა ყველა სახის ტრანსპორტში, რასაც კი უღელი მიეზმოდა და მისი ტარება შეიძლებოდა. ძველად ხარებით ზარბაზნებსაც ატარებდნენ ხარს აბამდნენ საქორწინო ურემში, მარხილში, კევრში, ფარცხში, გუთანში კავში, ხის მორების გადათრევისას. სელში: თუშში (ქვების გადატანისას), ბოლოთრია და ჩოჩილა ურემში და სხვა. ხარებზე კიდებდნენ ხურჯინსაც და ერთი რაიონიდან მეორეში გადაჰქონდათ მარილი.

ცხენთან ერთად რქოსანი პირუტყვის შებმის შემთხვევა საქართველოს ყოფაში არ ყოფილა. კამეჩი და ხარი კი იბმოდა ერთად, მაგრამ კამეჩს უღელს უმოკლებდნენ, რადგან კამეჩი ხართან შედარებით ძლიერია და ხარს დაჩაგრავდა. თუ ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო და ოჯახის წევრთა ფუნქციები განაწილებული იყო, გამწვევ ძალაზე ზრუნვა ერთს ევალებოდა. ეს ის წევრია, რომელმაც არჩია ხვნა-თესვის მიყოლა. ოჯახში ზოგი მეცხვარეობდა ან ქარავნობდა (სარავნობდა). ასეთ კაცს ოჯახის შიგნით მიწის მუშა ეწოდებოდა.

საერთოდ ხარს და ცხენს ძირითადად მამაკაცები უვლიდნენ. საქართველოს გარკვეულ რაიონებში (ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი და სხვა) მეწველი საქონელი მთლიანად ქალების მეთვალყურეობის ქვეშ იყო. ხშირად კი გამწვევსა და მეწველ საქონელს მამაკაცი უვლიდა (ქართლ-კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი და სხვა).

„საქონლის ნორმალური ექსპლოატაციის პირობას წარმოადგენს საკვების შერჩევა და ხმარება. დაკვირვების ნიადაგზე ხალხში შემუშავებულია საკვების თვისებების ცოდნა მისი სარგებლიანობის თვალსაზრისით. ზამთრობით გზაში მყოფი საქონლის საუკეთესო საკვებად თივა და ბზე არის მიჩნეული, გამოიყენებოდა სიმინდის ფუჩეჩიცი. კარგ საკვებად ითვლება, განსაკუთრებით კამეჩისა-ცივის, რომელი — მსხვილად დაფქული სიმინდი, ქერი ან მათი ნარევი. ქართლში (ქიზიყშიაც) ასახელებენ საქონლის საზამთრო საკვებად აკრეთვე უგრეხელს, თუმცა მას ნაკლები გამოიყენება აქვს. ზაფხულობით საქონლის ძირითადი საკვებია ბალახი (ყველას ჯობია იონჯა ბალახი, შემდეგ დვარძლა ბალახი, ძურწა და სხვა). თივას წვენი არა აქვს, რის გამო „საქონელს მალე უსუყდება გული“ და გაძლომითაც ვერა ძლება — როგორც ნიგოზმა დაუქიროს ადამიანს

გული, ისე თივა საქონელს უჭერს, საქონელი კი თუ არა გაძღა, ისე რა უნდა იმუშაოს“ (ბაზალეთი, დუშეთის რაიონი)..., უღელში შებ-ძულ საქონელს მოშიებას ატყობენ გაწევის ნაკლები უნარიანობით, როცა საქონელს მეტი ჯავრობა და ცემა უნდა; აგრეთვე გარეგნული ნიშნებითაც: „მოშივებულ საქონელს ფერდები შეწეული აქვს“.

არასამუშაო დროს გამწევი საქონელი საზაფხულო საძოვრებზე მიყავდათ მთაში.

საქონლის შებმას უღელში, ე. ი. მის ქვევას გამწევ მუშა-ძალად, წინ უძღვის გარკვეული სახის მომზადება, რასაც აღამოსავლეთ საქართველოში გამოქნას უწოდებენ, დასავლეთ საქართველოში გახედნას. ეს მომზადება იმაში გამოიხატება, რომ მოზვერი ან ზაქი თანდათან უნდა მიეჩვიოს კისერზე სიმძიმის დაწოლას და კისრით სიმძიმის გაწევას, რადგან შეჩვევის გარეშე უღელს ვერ იგუებს და დაუმორჩილებელი დარჩება... მუშა-საქონელს უღელი კისერზე — ქედზე ადევს და ისე ეწევა. კისერი მუშაობაში თანდათან მაგრდება. ჩვენი აზრით, ხალხის შეხედულება (აღ. საქართველო) იმის შესახებ, რომ საქონელს კისერი უნდა გამოექნას ||გამოეჭეო|| გამოექელიტოს, განსაზღვრავს თვით ამ მოსამზადებელ საქმიანობის შინაარსსაც, ე. ი. გამოქნა ამ შემთხვევაში თავისი ვიწრო მნიშვნელობიდან უნდა გამომდინარეობდეს. მოქნილი კისერი — ქედი ადვილად ეგუება უღლის სიმძიმეს (მოქნილი შეიძლება იყო, მაგალითად, სახრე, რომელიც არ გატყდება, ტყავი, რომელიც კარგად დამუშავდება და სხვა). იგი ადვილად არ ზიანდება, არ განიცდის გადაყვლეფას, გადატყავებას. გამოქნის პროცედურა თვით გამოსაქნელი საქონლის თვისებებზეა დამოკიდებული; ეს თვისებები კი ზრდის პროცესში შეისწავლება. აი, როგორი აზრი არსებობს ამის შესახებ ხალხში: „გამოსაქნელ საქონელს შაგნებული გამოქნელი უნდა. როგორი საქონელიც არი, ისე უნდა მოექცეს, გიყს გიჟურად, ჭკვიანს ჭკვიანურად“. ჭკვიანი საქონლის გამოქნა, ჩვეულებრივ, ცარიელი უღლით იწყება. მოზვერი უნდა იყოს არანაკლებ სამი წლისა, ზაქი ოთხი-ხუთი წლისა. მეუღლედ შეუბამენ ღონიერსა და ზანტ საქონელს... მას შემდეგ, როცა უკვე შეატყობენ, რომ ცარიელი უღლით ტარება საკმარისია (ეს შეიძლება 2—3 საათი და მეტი, ხშირად მთელი დღე გაგრძელდეს), უღელს მოუბამენ პატარა სიმძიმეს, ჩვეულებრივ, ისეთ ტვირთს, რომლის გადაგდება და დამტკრევა გაქცევის შემთხვევაში არ არის საშიში (როგორცაა ფიჩხი. შეშა და სხვა). მეორე დღეს ამ ტვირთს სიმძიმეს უმატებენ, მაგ-

<sup>9</sup> მ. გ. გ. გ. შ. ი. ძ. ე. ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956.

რამ ზომიერად, რომ ზედმეტად არ დამძიმდეს, თორემ ასეთ შემთხვევაში გამოქნილი საქონელი გაოჩნდება, აღარ გაივლის, ჩაწვება. ამის შემდეგ უკეთესად მიიჩნევენ მის გადაყვანას და ჩაბმას ბევრ საქონელში, ჩვეულებრივ ფარცხში (როგორც სასუმუქო) ან გუთანში. ამ შემთხვევაში გამოსაქნელი საქონელი უნდა მოხვდეს თავისუფალ უღელში, რომელზედაც მეხრეს არ უხდება დაჯდომა — ე. წ. წასაკრავში. შუაში მოქცეული მორჩილად მისდევს სხვებს. ამის შემდეგ იგი შედარებით დამოუკიდებელ საქმეზე გადაჰყავთ, როგორცაა კვერი. ხალხის აზრით კვერი ნალოსა გავს და, გარდა ამისა, იმითაც არის კარგი, რომ პირდაპირ ურემში გადაყვანა ახლად გამოსაქნელისა შეუძლებელია, რადგან ურმის ხრიალი მას მეტისმეტად აშინებს. კვერში არ შეიძლება მხოლოდ ზაქის შებმა, რადგან სიცხეს ვერ იტანს და არც სირბილი შეუძლია. კვერში მუშაობის შემდეგ საქონელი უკვე გამოდგება ურემში შესაბამელად. მაგრამ არის საქონელი, როპელიც პირველადვე, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გიჟოპას დაიწყებს ან არ გაივლის, დაწვება. ასეთ დროს ქართლში, მაგალითად, მიმართავენ საგანგებო უღლის გამოყენებას, რომელსაც კონტულელა II კვანტულელა ეწოდება. კვანტულელა დაახლოებით 30 სმ სიგრძის ხეა (იფანი ან თელა), რომელიც ორ ადგილზეა ჩახვრეტილი და ტაბიკები უკეთდება. ტაბიკები სამალდით იკვრება. კონტულელას დაადგამენ გამოსაქნელ მოზვერს ან ზაქს, რომელიც მას რამდენიმე დღე მოუხსნელად ატარებს, ხშირად თვეობითაც ასე დადის, ასე ძოვს.

დასავლეთ საქართველოში (იმერეთი) ხარს რომ კისერი ჩაუტყდეს, უღელზე 5—6 კილო სიმძიმის ქვას ჩამოჰკიდებენ. ამ დროს ხარი თავის მალა აწევას ცდილობს, რაც მას დროთა განმავლობაში კისერს უმაგრებს. მაგრამ აქვე ერთი საინტერესო ხერხი არსებობს გახედნისა, რისთვისაც გამოყენებულია საგანგებო მოწყობილობა ოკივარას სახელწოდებით. მიწაში ჩასმულია 15—20 დიამეტრის ბოძი, რომელსაც თავი შემოწვრილებული აქვს. უღლის ერთ-ერთ ნაპირს ფართოდ ამობურღავენ და ჩამოაგებენ ამ ბოძზე. უღლის შგორე თავში შეაბამენ გასახედნ ხარს, რომელიც უღლიანად იბრუნებს რამდენიმე დღის განმავლობაში და გაიხედნება.

გურიაში, იმერეთსა და სხვაგან წესადაა მიღებული, გასახედნი ხარისათვის რქების ძირში ბაწრის გამობმა და ასე ტარება რამდენიმე დღე, ვიდრე უღელს შეადგამენ. უღლის შედგმის შემდეგაც, რაც თავისთავად სიფრთხილეს საჭიროებს, ბაწარმობმული უნდა ატაროხ კარგა ხანს. ბაწარი ორ კაცს უჭირავს უკან, წინ კი ერთი მიუძღვის, რომ საქონლის გაქცევა თავიდან იქნეს აცილებული.

უღელში შებმის დროს საქონელს მოფერება სჭირდება ხელის გადასმით, სიტყვიერად. უღლამდის იგი ყურით მიჰყავთ.

მუშა საქონელი, როგორც ცოცხალი გამწვევი ძალა, ნორმალურ ექსპლოატაციას მოითხოვს. საამისო გამოცდილება და ცოდნა ხალხში კარგადაა შემუშავებული. მუშა-საქონლის გამოყენებაში მთავარია ტვირთის წესიერი განაწილება. განსაკუთრებით ეს ითქმის ქართულ ურემზე, რომლის კონსტრუქცია წონასწორობის პრინციპს ემყარება. როგორც უკვე ვნახეთ, ურემი მუშაობაში წინა ნაწილით უშუალოდ ეყრდნობა საქონელს, და თუ ურემი ისეა დატვირთული, რომ მის წინა ნაწილში მოთავსებული ტვირთი ბევრად ჭარბობს უკანა ნაწილის ტვირთს, მაშინ ურემის თავი გადაძიმებულია, ანუ, როგორც ანბობენ, ურემი თავმძიმედ არის მოსული, რის გამო უღელში შემბმულ საქონელს კისერი სტკივა და წვალობს. მაგრამ, თუ პირიქით ტვირთის გამო ურემის ბოლო ნაწილი სძლევს, ე. ი. ურემი თავსუ (მ)ბუქია, ურემის თავი მაღლა იწევს და აპეურები საქონელს ეღელში უჭერს. ურემის თავმძიმედ და თავმსუბუქი მდგომარეობა არაწესიერად ითვლება, რაც ტვირთის დამდებმა უნდა გაითვალისწინოს.

ტვირთის დადების დროს ურემის წინა ნაწილში, ჩვეულებრივ 3—4 ფუთით მეტი ტვირთი უნდა მოთავსდეს, რადგან საქონელს გასაწვევად მეტი საშუალება აქვს; ამაზე მძიმე თუ იქნება, ე. ი. ურემი თავმძიმედ მოვიდა, საქონელს, განსაკუთრებით კამეჩს, კისერი უსივდება, ძარღვები ეყეყება, უჩნდება იარა, რაც მკურნალობას საჭიროებს (იარიდან ჩირქს გამოუშვებენ და ღორის ქონს წაუსვამენ). თუ ტვირთი უკანა ნაწილში ჭარბობს და ამის გამო თავი მსუბუქია, საქონელი უღელს მაღლა იგდებს, უღელი ქედს სცდება, მხრებს ხვდება და უჟეჟავს. გარდა ამისა, აპეური ყელში უჭერს, ათრობს და ზოგჯერ ახრჩობს კიდევ. ასეთ დროს საქონელი აუცილებლივ წაიქცევა. არის საქონელი, რომელსაც განსხვავებულად უნდა სიმძიმის შერჩევა, ან ცოტა თავმძიმედ უნდა დაედოს (რომელსაც „მაგარი კისერი აქვს“), ან, პირიქით, თავმსუბუქად. ამ შემთხვევაში სრულიად მართებულია ხალხური აზრისა, რომ „როგორც ხარი და კამეჩი მოიხდენს ისე უნდა დაულაგონ საპალნე“, ეს კი გამოცდილების საქმეა... განსაკუთრებით სწყინს საქონელს ურემის ჭაყჭაყი. ტვირთის არაწესიერი მოთავსებისა, ან უსწორმასწორო გზაზე ურემის ჩქარი სვლით გატარების გამო. ამ დროს საქონელს კისერი დაეძვლება-დაეხვევა და დაეწვება. ხალხური შედარება, რომ ვიხმაროთ, „საქონელს კისერი ისე უცხელდება, როგორც ნაკვერჩხალი“. ამ დროს საქონელი თავს იქნევს, ცდილობს უღელი წინ წამოიგდოს<sup>7</sup>.

<sup>7</sup> მ. გეგეშვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 101, 102.

დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო) უღელში პირველად შებმულ კისერ დასიებულ მოზვერს უსვამდნენ ე. წ. „უშქურის წინდა“-ს (ვაშლის ხის ფულუროში ჩამდგარი წყალი ხავსთან ერთად „უშქურის წინდა“-დ იწოდება) და დაეყვილობა გაუვლიდა.

დაქედვას ხარისას, ცხენისას, სახედრისას, კამეჩისას ახდენდა ნალბანდი, ძროხა არ იჭედებოდა და არც ფურკამეჩი. ფურკამეჩების დაქედვა დაიწყეს საქართველოში მას მერე, რაც იგი უღელში იქნა გამოყენებული გამწვევ ძალად. ეს დაახლოებით 30 წლის წინათ დაიწყეს. ნალბანდობა ყველამ არ იცოდა, იყვნენ ამისი სპეციალისტი მოხელენი. ისინი უმთავრესად ქალაქებში, დაბებში და დიდ სოფლებში იხსდნენ. მათი მუშაობის ცენტრები ემთხვევა ბარისა და მთის საძვინდო ზოლში განლაგებულ სოფლებს. დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ზღვისპირა რაიონებში ხარს არ კვდავდნენ.

ხარის ჩლაქის დაავადებიდან ყველაზე უფრო გავრცელებული იყო უნალობით გამოწვევილი დაეყვილობის ნიადავზე ჩლაქის ტყვიელი, რასაც ჩუყაყი ეწოდებოდა. ჩუყაყის მოსარჩენად მიმართავდნენ ოპერაციას ამას ჩვეულებრივ ნალბანდი აკეთებდა. ავადმყოფ ჩლაქს ჯერ ჩათალით გადათლიდა, შემდეგ სუფთა მჭრელი დანით ჩლაქის შუაში კონუსურად ამოთლიდა და დაეყვილ სისხლს უშვებდა. ნაოპერაციებ ადგილას ერბოში მოშუშულ ძაფს (თოკის ძენძილს) ჩაუდებდნენ და შემდეგ დანალავდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ხარს ფეხი უჩანმრთელდებოდა.

ხარის დანალვა მის მუშაობაზე იყო დამოკიდებული. რაც უფრო მალე ცვდებოდა ნალი, მით უფრო მალე იყო ნალის დაკვრა საჭირო. ზაფხულის და ზამთრის ნალი განსხვავდებოდა ერთი მეორისაგან, ზამთრის ნალი „კიდებ დაქნილი“ იყო. მიწისკენ დახრილი, ზაფხულისა კი არა. განსხვავებული იყო ლურსმანიც. ზაფხულის ლურსმანს თავი გლუვი ჰქონდა. ზამთრისას კი წახნაგოვანი, პირამიდის ფორმის.

საქართველოში უღლების მრავალსახეობას აქვს ადგილი. განვიხილოთ ურმებში გამოყენებული უღლები.

უღელი („ქართ ქედთ საღები ხე შესაბმელად“, საბა). იგი წარმოადგენს დაახლოებით 8 მტკაველი სიგრძის, ერთი ციდა სიგანისა და ნახევარი გოჯის სისქის ოთხკუთხედ ხეს, რომელსაც 5 ნახვრეტი — სატაბიკე აქვს გაკეთებული: ორ-ორი აქეთ-იქით ნაპირში, ერთი — შუაში. ნაპირის სატაბიკეებში თავსდება მრგვალი ჯოხები ტაბიკებში.



რომლებშიაც გამწევ საქონელს გაყოფილი აქვს კისერი. ტაბიკს მსხვილი თავი უკეთდება, რომ უღელს არ ჩასძვრეს, ბოლოებში კი ნაჭდევი აქვს გაკეთებული. ტაბიკთა ამ წყვილიდან შიგნითას აღნიშნულ ნაჭდევზე მობმული აქვს ბაწარი აპე უ რ ი ს ან სამალდეს სახელწოდებით, რომელიც მეორე ტაბიკზე იკვრება. სამალდე თხის ბალნის ბაწარია, აპეური კი ბამბის ან სხვა. ეს ბაწარი სიგრძით „ორი-ვე ხელის გაშლა“, ერთი თითის სისქე აქვს. შუა სატაბიკეს დანიშნულებაა თავტაბიკის (თავთხის — კახ.) მოთავსება, რომელიც უღელსა და ხელნებს აერთებს. ნაპირა ტაბიკებს შორის მოთავსებული ადგილი საქედური, ჩვეულებრივ, ნახევარმთვარისებურად არის ამობურცული, რომ საქონლის კისერს კარგად მიებჯინოს. ურმის საყევრის (ე. ი. მეორე წყვილის საქონლის) უღელს გუთნეულის თავთუღელის მსგავსად ნაპირები დახრილი აქვს. ამას ხალხში რამდენიმე ახსნა ეძლევა: ასე დახრილი უღელი უფრო „მოყვანილი და ლამაზია“; რომ საქონლის წაქცევის, დამუხლისთავების შემთხვევაში პირველად უღელი შეეხება მიწას და საქონელს კბილები აღარ ჩაემტვრევა და აგრეთვე ის, რომ საქონელი გაწევის დროს ადვილად არ მოიქედურებოს, ე. ი. უკან მოხედვა გაუძნელდება, და ამდენად არც უღელი ჯიღმოუვარდება კისრიდან.

უღელი ხელნების თავს უკავშირდება, იგი მოთავსებულია ხელნების ერთმანეთში დადგმულ ნახევარ რკალებს შუა, რასაც თავთუღელი ეწოდება, ხელნის ზემოთ მოქცეული თავი უღელს ეყრდნობა, ქვემოთა ხელნას კი დასაყრდენი არა აქვს, რის გამო ადვილია ტვირთის დაწოლისაგან ამ ხელნის ჩაწევა-ჩაგლეჯა. ამის თავიდან ასაცილებლად იმ ადგილას სადაც თავტაბიკია ჩაყრილი, ურმის ხელნები და უღელი წნელით ამოიკვრება. ამ წნელს თავწნელი ეწოდება (კახეთში — ცხვირის წნელი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როცა ურემზე ისეთი ტვირთი დევს, რომელსაც საბლის გადაჭერა უნდა, ამ უკანასკნელს მხოლოდ ქვემოთა ხელნას ამოაკრავენ ხოლმე სწორედ ამ ზემოთ მოხსენებული მიზეზის გამო.

მართალია, ურემი საქართველოს ბარშია გავრცელებული, მაგრამ ეს ბარი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ აბსოლუტურ სისწორედ. ჩვენი ქვეყნის ბარის რელიეფში გვაქვს ვაკე და ფერდობი ადგილების მონაცვლეობა. თუმცა ამ შემთხვევაში სწორი ადგილმდებარეობა უარბობს, მაგრამ ფერდობებსა და გორაკ-ბორცვებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიულად ორბორბლიანი საზიდის დამკვიდრებისა. ორბორბლიან საზიდს, მექანიკის თვალსაზრისით რომ ვიმსჯელოთ, საყრდენი სამი წერტილი აქვს, ორი —

ბორბლებთან და ერთი ც უღელზე. ამის გამო იგი საჭიროების შემთხვევაში თითქმის ყოველთვის ინარჩუნებს საყრდენების მიმართ ვერტიკალურ მდგომარეობას და არც გადაბრუნება მოელის ისე ხშირად. ოთხბორბლიან საზიდს კი ოთხ წერტილში აქვს საყრდენი და ვერტიკალური მდგომარეობისათვის მას სავესებით სწორი ადგილმდებარეობა ესაჭიროება<sup>8</sup>.

უღელი უმთავრესად თელისა და იფნისაგან კეთდება. ამ მასალის შერჩევას აქ ის გამართლება აქვს, რომ საქონლის კისერზე დადებული ხე ფიცხი და მხურვალე არ უნდა იყოს, რომ არ დასწვას და დაუზიანოს კისერი. მაგრამ არც ძალიან რბილი ხე ვარგა რადგან ურმის გაწევა უშუალოდ ამ ნაწილით ხდება და ამდენად მას დიდი ძალა აღება. ამასთან ერთად, უღელი მსუბუქიც უნდა იყოს. უღელი ოთქუთხად ითლება (ნაპირები ზოგს დახრილი გამოხდის). გათლილი უღელი უნდა გაიტუსოს და შემდეგ ხდება თვით ტაბიკების გაკეთება. ტაბიკი შვინდის ხისა კეთდება, რადგან მაგარი, ელასტიური და გამძლე ხეა, არც საქონელს აწუხებს<sup>9</sup>. ზოგიერთ შემთხვევაში უღლის აქეთ-იქით ნაპირში გასაკეთებელი ტაბიკი ოდნავ მოღუნული კეთდება, რომ საქონელს მოხედვა შეეძლოს, ტაბიკებს ძირზე მობმულ აქვს აპეური — თითის სისხო ბაწარი. ტაბიკს ჩვეულებრივ ორ ნაჭლევს უკეთებენ, რომ ადგილმდებარეობის მიხედვით შესაძლებელი იყოს აპეურის გადანაცვლება. უღლის გამართვის შემდეგ მას ურმის თათები გაუყრიან და ამ უქანასკნელს დანიშნავენ თავტაბიკისათვის გასახვრეტად<sup>10</sup>.

„აჩაჩა ურემში ხმარებული უღელი მოყვანილობით შესამჩნევად განსხვავდება საქართველოს სხვა კუთხეების უღლებისაგან. იგი ქართული საყვრის უღელივით ოდნავ თავებდახრილია, და ამასთანავე, რაც მისთვის არის მხოლოდ დამახასიათებელი შუაშია ჩალუნული (ტაბ. 11, 7). უღელი კუთხოვანი არ არის, არამედ მრგვალია. უღლის ასეთი მოყვანილობა დამახასიათებელია მხოლოდ აჩაჩა ურმისათვის, ხენასა, კალოზე და სხვა საქმეებში კი ჩვეულებრივი, სწორი უღელი იხმარება. ამ გარემოებას თავისი ახსნა აქვს. ურმის ფრჩხილები სამატიით ან დვედით ერთგვარ ჩამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფება უღლის ჩალუნულ ნაწილზე. დიდ დაღმართში, როცა ფრჩხილები წინ წამოიწევენ, უღლის გადაღუნულ ნაწილი წინ იწევს, რის გამოც

<sup>8</sup> მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55, 56.

<sup>9</sup> საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სატაბიკე ხედი მიჩნეული იყო: ტყემალი და ურქენი, უზანი, თურსა (ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, მთიულეთი, გუდამაყარი და სხვა).

<sup>10</sup> იქვე, გვ. 66.

უღელი ერთგვარ ბრუნს აკეთებს. აბრუნებული უღელი ტაბიკებს სწევს წინ და მალდა, რაც აიძულებს საქონელს თავი მალდა ასწიოს, ურემი შეაჩეროს და უღელიც არ წასძვრეს. ამით უნდა აიხსნას ის, რომ ფრჩხილები ურემზე დაკიდებულია და არა მიკრული. მიკრული რომ იყოს, უსწორო ადგილებში ბორბლის ჩახტომის დროს ადგილი ექნებოდა უღლის ჩაძრომას კისრიდან. უღელს ოაზის ტაბიკი აქვს. თავტაბიკი ხმარებაში არ არის...

გურიაში ორი სახის უღელი არსებობს: „ურამის უღელი და სათრიელა უღელი. ურამის უღელი იმავე მოყვანილობისაა, როგორც ორბორბლიანი ურამის გამოყენების სხვა არეებშია დამოწმებული — სწორი და კუთხედად გამოყვანილი ხე ბოლოებში არის დახრილი, სათრიელა უღელს კი იგივე მოყვანილობა აქვს როგორც აჩაჩა ურამის უღელს — მრგვალია და 3 ადგილას მოღუნული. ეს უკანასკნელი გამოყენებულია ურამის გარეშე სიმძიმეების თრევის დროს, ჩვეულებრივ დიდი ხეების სათრევადა. ამ უღლის ასეთი მოყვანილობის საჭიროების შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, ამას უნდა დავსძინოთ ის, რომ საქონლის საგანგებო შერჩევა და მომზადება საჭირო ყოფილა სათრიელა უღელში შესაბამელად. თუ ურამის უღელში საქონელს თავი დახრილი უნდა ჰქონდეს ისე, რომ ცისერი სწორად მდგომარეობაში იმყოფებოდეს, სამაგიეროდ, სათრიელა უღელში საქონელს თავი მალდა უნდა ეჭიროს, რომლის დროსაც ცისერი ერთგვარად ჩაწეული იქნება. შეიძლება ამით აიხსნას ღებულობდეს ხარის გახედნის იმერული წესიც, რომელიც კისრის ჩასატყდომად ახლად შებმული საქონლისათვის უღელზე მძიმე ქვების ჩამოკიდებას გულისხმობს“<sup>11</sup>.

„საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული უღლები გამწვევი ძალისა და გამოყენების თვალსაზრისით რამდენიმე სახისანი არიან: „კამეჩის უღელი“, „მოზერის უღელი“, „მარტულელა“, „ტყის უღელი“, „ურამის უღელი“, „საძირის უღელი“ და სხვა. მაგალითად: „ტყის უღელი“ საშუალო სიგრძისაა (2 მეტრამდე); „წვრილი“ და „მჩატეა“, „საყვერის ხარების“ უღელი „თათებ“, „ტოტებ“ დახრილია და გრძელი“<sup>12</sup>. როგორც ზემოთაც გვქონდა მოტანილი „ორბორბლიან ურემში, ჩვეულებრივ, ორი ან მეტი წყვილი საქონელი შეიბმის, ეს დამოკიდებულია პირველ რიგში ტვირთის სიმძიმესა და გზაზე, გარდა ამისა, თვით საქონლის ღონეზეც. თუ ურემში ორი წყვილი საქონ-

<sup>11</sup> მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 80, 81.

<sup>12</sup> გ. გასიტაშვილი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან—ხით ხურობა აღმოსავლეთ საქართველოში (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი საღისერტაციო ნაშრომი), გვ. 172.

ნელი ანუ ყვეარი აბია, პირველ წყვილს ურმის თავის ხარები (ან კამეჩები) ეწოდება, მეორე წყვილს — საყვერის ხარები. როცა კამეჩები ყავთ, მათ აუცილებლივ ურმის თავში აბამენ. საყვევარში კი ხარები უნდა მოხვდნენ, რადგან ხარს კამეჩზე უკეთესად ეყურება, მიბრუნ-მობრუნებაში კარგია. სამი წყვილის შებმის დროს პირველ წყვილს იგივე სახელი ეწოდება, მეორეს — შუა ხარები, მესამეს წინა ხარები (ალსანიშნავია, რომ იმერეთში მეორე წყვილსა და შემდეგსაც საყვევარი ეწოდება).

ერთ უღელში შესაბმელ საქონელს — მეუღლეებს ღონის მიხედვით არჩევენ. მათ დაახლოებით თანაბარი ღონე უნდა ქონდეთ, მაგრამ არის ხოლმე, როცა მეუღლეებად არათანაბარი შემძლეობის საქონელი ხვდება. ასეთ შემთხვევაში ხშირად მიმართავენ უღლის წონასწორობის შეცვლას სუსტი საქონლის სასარგებლოდ, რასაც აღმოსავლეთ საქართველოში ტოლის დადება ეწოდება (შდრ ქიზიყ. ტოლის მოდება), დასავლეთ საქართველოში ტოლის მიცემა (გუჩიაში გადაცანდვა). ეს წესი შემდეგში მდგომარეობს: უღელს ზელახლა გახვრეტენ ისე, რომ თავტაბიკის ჩაყრის დროს უღლის ცალი მხარი გრძელი მოვიდეს, ცალი — მოკლე. მეტი მხარი განკუთვნილია უღონო საქონლისათვის, რომ გაწევაში იღარ ჩამორჩეს. ქიზიყში ტოლის მოდება ჯამბარის ან ჭაპანის გადაწევით ხდება. მოგვყავს ამ წესის აღწერა სტ. მენთეშაშვილის მიხედვით: „როცა ერთ უღელში არათანაბარი ღონის ხარები აბია, მაშინ სუსტი ხარი ზომაზე მეტად იჩაგრება, რადგან ძლიერი წინ ეწევა და ერთგვარი შეღავათი ეძლევა, სუსტი კი უკან რჩება და ირიბად, მახვილი კუთხით უხდება უღლის წევა. რომ ძალ-ღონის კვალობაზე გააწევინონ, უღელი და ტვირთიც ასე აზიდვინონ, ღონიერ ხარს ტოლს მოსდებენ ხოლმე, ჯამბარას ან ჭაპანს უღლის ცენტრიდან გადასწევენ ღონიერი ხარისაკენ და მის მხარეს უღელს დაამოკლებენ, ხოლო სუსტი ხარის მხარეს უღელს დააგრძელებენ: ამით იმას აღწევენ, რომ რამდენადაც ჭაპანიდან ღონიერი ხარის ტაბიკამდე მანძილი ნაკლებია, იმდენად ღონიერ ხარს მეტი ძალის ხარჯვა მოუხდება უღლის გაწევისას და, მაშასადამე, ტვირთის ზიდვასაც, ვიდრე სუსტ ხარს, გრძელი მხრიდან უფრო ადვილია უღლის წევა, ჭაპანის ჭიმვა. ამ წესით უსწორებენ მეტ-ნაკლები ღონის მქონე ხარებს უღელს“ (სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი).

ქართლში ტოლის დადება დამოწმდა უღელში თავტაბიკის გადაადგილების გარდა უღლის ირიბად შეკვრითაც: უღელი ურმის თავზე დამაგრების დროს ღვედით ან თავწნელით ისე შეიკვრებოდა, რომ ცალ მხარეზე სულ არ ექნებოდა გადახვეული, რის გამო

უღლის ერთი მხარის წინ წაწევა ძნელდება. ეს მხარი ღონიერი საქონლისაკენ იყო მოქცეული და უღლის სწორი, ერთგვარი მდგომარეობა ათანაბრებდა საქონლის ძალას (საინტერესოა ხალხური ლექსი: „ხარი ვარ, ხართან დამაბი, ხარულებ გამაწევი, ტოლი შუაში ჩამიდე, სიმართლით გამაწევი“). ზოგჯერ ძალთა გათანაბრება ხდება ხარისა და კამეჩის ერთ უღელში შებმის გზითაც. როცა ხარი ისე ძლიერია, რომ სხვა ხარები ვერ უწევენ, მას კამეჩებთან აბამენ, ანდა პირიქით, როცა კამეჩი სუსტია მეუღლედ ხარს შეუტრევენ<sup>13</sup>.

### სახვნილი იარაღების უღლები

„სახვნილ იარაღებში გამწევი ძალის შესაბამელად გამოყენებული იყო უღელი ტაბიკებითა და აპურებით. ისე როგორც საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღებში, კერძოდ სახვნილთა შორის შეიმჩნევა განსხვავება, ასევე განსხვავდებოდა ერთი მეორისაგან უღლებიც. მეურნე გლეხი უღლის დამზადებას უფარდებდა როგორც გამწევ ძალას, ისე ადგილმდებარეობასა და უღლის დანიშნულებას, კერძოდ, სამუშაო იარაღს და ამ იარაღში გამწევი ძალის განლაგებას. ასე, მაგ., კალში სახმარებელი უღელი მოკლე და მსუბუქი იყო, საყვერის უღელი მძიმე და მხრებდაქნილი, ბარის უღელი დაკუთხულია და საქედური გამოყვანილი, ფრჩხილებიანი ურმის უღელი მრგვალია და უქედური და სხვა. გ. ჩიტაიამ ქართლის ეთნოგრაფიულ მასალებზე დაკვირვების შედეგად შემდეგი სახის უღლები დაადგინა: საყვერის, საძირის, საგორაის და კალოს უღლები“<sup>14</sup>.

საუღლე მასალად მაგარი ძარღვიანი ხე იყო გამოყენებული, მაგრამ იგი ძალზე მძიმე არ უნდა ყოფილიყო. ძირითადად მას იფნის, ლელის და ვაშლის ხისაგან ამზადებდნენ. გაკოპიტებულ საუღლე ხეს გათლის შემდეგ ან ბოლოში გამოიყვანდნენ დარბაზის აყრებზე, ან ცეცხლზე მოატარებდნენ. ზოგჯერ ცეცხლზე მოტარებულ უღელს საქონლის პატივით გაგოზავდნენ და ღროებით ისე დატოვებდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ მას ვაასუფთავებდნენ, საქედურებსა და შუაში დატოვებულ რიკებს გამოიყვანდნენ, სატაბიკე ნაჩვრეტებს შალაფით ამოიღებდნენ და უღელი მზად იყო.

გუთნეულისათვის საჭირო უღლების რაოდენობა დამოკიდებული იყო მოდგამის გამწევი ძალის რაოდენობაზე. გუთნეულის უღლებში

<sup>13</sup> მ. გეგეშიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 103, 104.

<sup>14</sup> გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, გვ. 369. მისივე, Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, ВЭЖ, Тб. 1951, стр. 101.

ს:მი ტიპის უღელი იყო წარმოდგენილი: 1. საჯდომის ანუ ბალიშიანი, 2. წასაკრავის და 3. საყევრის უღელი.

საჯდომის — ბალიშიანი უღელი ბარის მიწათმოქმედებაში დასტურდება და ისიც დიდი გუთნის კომპლექსში. ამ უღლის ჩვეულებრივი უღლისაგან განსხვავებული ნიშანი იყო მარცხენა მხარეზე (ველისაკენ) მეტი სიფართოე. ეს განსხვავებული სიგანე იწოდებოდა ბალიშად. ასეთ „ბალიშზე“ მეხრე მოხერხებულად ჯდებოდა. უფრო გვიან ბალიშიანი უღელი მხოლოდ შაძირის უღელს დარჩა. გუთნის უღლის მეორე ტიპია წასაკრავის უღელი. ეს უღელი სწორი ხე იყო, საქედურ-სატაბიკე ნაჩვრეტებით მოწყობილი.

უღლის მესამე ტიპი საყევრის უღელია, რომელიც გუთნეულში წინა ხარს ედგა. აღნიშნულ უღელს სპეციალურად ან მძიმეს აკეთებდნენ, ან ჩვეულებრივ საუღლე ხეს საქედურების შემდეგ მხრებს დაბლა დაუქნიდნენ—დაუკავებდნენ. ქართველი მიწისმოქმედნი უღლის ასეთ ფორმას სხვადასხვა მიზეზით ხსნიან, ერთნი აღნიშნავენ თითქოს წინა ხარს ასეთი უღელი დადგმული აქვს სილამაზისათვის. მეორეთა აზრით, წინა ხარმა რომ წაიფორთხილოს უღლის დაკავებული მხრები მას მიწაზე ყბას არ დაარტყმევინებს. მესამეთა აზრით წინა ხარი, რადგან მეხრე არ უზის უღელზე და არც გამწვევი ძალაა იმის წინ ჩაბმული, ან დებრობს, რადგან ღვედი უღელს უკან ეწევა და ხარს აპეურები ყელში ებჯინება. სიმძიმე კი უღელს სწორ მდგომარეობაში აყენებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ როცა ასეთი ფორმის და სიმძიმის უღელი არა ჰქონიათ, წინა უღელზე ქვაც დაუკიდიათ, რომ ხარს უღელი არ აეჭედურებინა. როგორც ჩანს, „მხარდაკაულ“ უღელს პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონია.

უღლებს სატოლმეტო ნაჩვრეტებიც გააჩნდა, რაც გამიზნული იყო სუსტი ხარის დასაცავად, რომ ძლიერ ხართან დაბმის დროს არ დაჩაგრულიყო. სატოლმეტო ნაჩვრეტის საშუალებით ძლიერ ხარს უღლის ცენტრთან ახლო აბამდნენ, სუსტი კი თავის ადგილზე რჩებოდა.

გარდა იმისა, რომ უღელი პირდაპირი მნიშვნელობით ხარებისათვის კამეჩების შესაბამელად გამოთლილ გარკვეული ზომის და მოყვანილობის ხეს ნიშნავდა, მეორე მხრივ უღელი ხარი წყვილ ხარსაც გამოხატავდა, აქედან მეუღლე, ე. ი. უღლის გამწვევი.

ძველ ქართულ მწერლობაშიც უღელი, უღლეული წყვილის მნიშვნელობით იხმარებოდა; მაგალითად „აბუსერიძე ტბელში“ ვკითხულობთ: „იწყო მუშაობად საკვირველისა ამისა ტაძრისა, კერძო კარაულისავე თანა უღლეულითა მით კართა თვსთაჟთა, რომელთა სახელითაც უწოდდის: ერთსა „ქურდაობით“ და მეორესა „პირქუშობით“

(აბუსერიძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში, 1941  
გვ. 58).

სამაგიეროდ ყუვარი ორ უღელს, ე. ი. ოთხ ხარს ვარაუდობდა. ამის გარდა არსებობდა ერთი ხარის შესაბამელი უღელიც, რომელსაც საქართველოს მთის რაიონებში ნაკელის გამოსატანი მარხილისათვის იყენებდნენ. ამგვარ უღელს „ცალუღელას“ უწოდებდნენ (ქართლი). ეს ტერმინი ცალუღელა ერთობ გაფართოვდა და ცალუღელას ქვეშ ტრანსპორტის ის სახეობაც მოექცა, რომელშიც ერთი ხარი ან ერთი კამეჩი იზმოდა (ქართლი). ასეთი ტრანსპორტი გვიანდელ ქართლში პატარა ორთვალა მსუბუქი ურემია, რომელსაც ქართლელი კოლმეურნეები (პატარა ლიახვის ხეობა), იყენებენ და მასში ფურკამჩები უბი-ათ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ცალუღელა გამოიყუ-შავდა სულ რაღაც სამი ათეული წლის წინ.

უღელს ესაჭიროებოდა ოთხი ან ხუთი ტაბიკი და წყვილი აპეუ-რი. ტაბიკები ძირითადად ორი სახის მასალით მზადდებოდა: ხისა (ხა-რებისათვის) და რკინისა (კამეჩებისათვის). ტაბიკი შედგება თავის, ტანის და სააპეურე ჭდისაგან. შიგნითა ტაბიკი სწორი უნდა ყოფილი-ყო. გარეთა ოდნავ გახრილი.

აპეურები მზადდებოდა ღორის ჯაგრისა და თხის ბალნისაგან. ერთ უღელს ორი აპეური სჭირდებოდა. აპეური შიგნითა ტაბიკის ჭდეებ-ზე ჩაინასკვებოდა და გარეთა ტაბიკზე გამოყურთმაჯდებოდა. ისე რომ გამოსხნა იოლი ყოფილიყო. აპეურის დასამზადებლად ქართლის ეთ-ნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულია სპეციალური იარა-ღი, როსელსაც „აპეურის საგრეხი. მორგვი ეწოდება“. აპეურის საგ-რეხი შედგება ორი ჯვარედინად გადაბმული ფიცრისაგან, რომელ-ზედაც დადგმულია სამი ან ოთხი პატარა მორგვი. მორგვები საკუთა-რი ღერძებით არის ფიცარში შედგმული და მასზე ბრუნდებიან. თითო-ეულ მორგვს თავზე პატარა ყულფი აქვს. მუშაობის პროცესში მორ-გვები ერთიმეორეს საერთო თასმით უკავშირდებიან. ისე, რომ ერთი მორგვის მოქმედებაში მოყვანა დანარჩენებსაც ამოძრავებდა. ასე-თი ხელსაწყოს საშუალებით აპეურის გრეხას ორი კაცი ესაჭიროება. ერთი მორგვებს ამოძრავებს, ხოლო მეორე აპეურის ჩამგრეხია. აპე-ურის ჩამგრეხის წინსაფარში ჩაყრილი აქვს ჯაგარი და თხის ბალა-ნი. ერთ-ერთი მორგვის ყულფს გამოაბამს ჩვარს ან თხის ბალანს. რო-ცა მორგვი ამოძრავდება, გრეხვად მდგომარეობაში მოსული ჩვარი მარცხენა ხელის მუჭაში აქვს, რომელსაც გარკვეული რაოდენობით უმატებს. და აგრეხავს წინსაფრიდან ამოღებულ ბალანს. ასე თანდა-თანობით შეგრეხილ ბაწარს გარკვეული სიგრძის მიღების შემდეგ ბოლო წვერით მეორე მორგვის ყულფზე მიაბამენ, შუაზე გადაკეცა-

ვენ და ახლა უკვე ორწევრად დაგრეხავენ. წვერთა რაოდენობა იმაზეა დამოკიდებული, თუ საამისოდ რა რაოდენობის მასალა გააჩნდათ, ან რისთვის ამზადებდნენ — კამეჩის თუ ხარისათვის. კამეჩისათვის უფრო მრავალწვერი იგრიხებოდა ვიდრე ხარისათვის.

დიდი გუთნით მუშაობის დროს მოდგამში აპეურები ზოგჯერ ერთ-ერთ მოდგამს შეჰქონდა, რაშიც მას ნახევარ ალოს უხნავდნენ. უმეტეს შემთხვევაში კი მოდგამის ყველა წვევს საკუთარი აპეურები გააჩნდა<sup>15</sup>.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ფშაური სახენელის კომპლექსში მნიშვნელოვან გარემოებას აქვს ადგილი, რაც ხარის შესაბამელი უღლების ტოლ-მეტობაში გამოიხატება. ცნობილია, რომ ფრთიანი გუთნით მუშაობის დროს გუთნის საძირში არჩევდნენ ღონიერ და ღინჯ ხარებს. ამას იმით ხსნიდნენ, რომ ხარს საძირში მეტი ჯაფა ჰქონდა. ანალოგიური ფაქტი მოწმდება ფშაურ სახენელშიც. საძირის ხარს მეტი ძალა ადგებოდა, ვიდრე გუთნის სიმძიმის წვევის ძალიდან რამდენიმე მეტრით დაშორებულ წინა ხარს. იმისათვის, რომ ეს წინააღმდეგობა გათანაბრებულყო, საძირის უღელი გრძელი კეთდებოდა, წინა უღელი კი მოკლე. ჩვეულებრივ მათ ზომებს მტკავლებში გამოხატავდნენ და ამბობდნენ „წინა უღელი 10 მტკაველი, უკანა 12 მტკაველი უნდა ყოფილიყო“. ჩვენ მიერ ველზე წარმოებული ანაზომებით, საძირის უღლის სიგრძე 3 მეტრია, წინა ხარის უღლისა კი 230 სმ<sup>16</sup>.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ხმარებაში შემოვიდა (XIX ს-დან) დროები, ოთხთვალა ფორნები, რომელშიც ქართველები ხარებს აბამდნენ. ფორნის უღელი უფრო სხვანაირად იყო მოწყობილი. ხარს ამ უღელში შებმისას ხარს თავის აქეთ-იქით გაწვევის საშუალებას შეკრული ჩარჩო არ აძლევდა. ქართულ ურემში ტაბიკ-აპეურით შებმულ ხარს უფრო მეტი თავისუფალი მოძრაობის უნარი რჩებოდა.

იყო სპეციალური დანიშნულების უღლები. მაგ., ტყიდან ხის გამოსათრევი ურემი მცირე ზომისა იყო, რომ ხეებს არ გამოდებოდა. ასევე მცირე ზომისა და მსუბუქი იყო მოზვრის გამოსაქნელი უღელი, რომელშიც შეაბამდნენ ორ-სამ მოწვევს და ატარებდნენ კალოში პურის გასალეწად<sup>17</sup>.

<sup>15</sup> გ. ქალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 65.

<sup>16</sup> გ. ქალაბაძე, მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1963, გვ. 23.

<sup>17</sup> მითითებული ამონაწერების გარდა ძირითადი ტექსტი შედგენილია ეთნოგრაფ გ. ქალაბაძის და მ. შაკალათიას მიერ.



საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიღებული იყო უღლის მო-  
ჩუქურთმება და შეღებვა.

1. სვანეთში ხშირად ის უღელი იყო შემკული ჩუქურთმით, რომელიც გამოიყენებოდა ტყიდან ხეების გამოსათრეველად, თუ მარხილით ქვის გადატანისას. ეს უღელი ხენის დროს გამოიყენებულ უღელთან შედარებით მოკლე იყო. უღელი უმთავრესად შემკული იყო გეომეტრიული ორნამენტით, რომლის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს მზის გამოსახულება, ე. წ. ბ ა რ ბ ო ლ დ ი, შეადგენდა. ერთ-ერთი ასეთი უღელი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში (№ 50 — 10/48) (ცნობა მოგვაწოდა ეთნოგრაფმა მ. ჩართოლანმა).

2) გამოხარატებული თავტაბიკი გამოიყენებოდა ქართლში (ს. ქორდი): ქარავნობისას, ხენის დროს, როცა პირველად გადიოდნენ ველზე და საქორწინო ურემში.

თავტაბიკი კეთდებოდა ტყემლის, შვინდის ან ურძენის ხისაგან. ასეთი ხისაგან გაკეთებული თავტაბიკი ავი თვალის საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა.

სოფ. ქორდში საქორწინო ურმისათვის სანდრო ხაჩიურის ოჯახისაგან თხოულობდნენ ხოლმე გამოხარატებულ შვინდის თავტაბიკს. გადმოცემით მთელ უბანს ეს თავტაბიკი დაჰქონდა ქორწილის დროს.

საქართველოში უღელი თუ უღლის ფორმის რიტუალური პურები გამოიყენებოდა ზოგიერთი წეს-ჩვეულების თუ ცერემონიალის შესრულების დროს. მაგ., ახალწელს აცხობდნენ სხვა რიტუალურ პურებთან ერთად უღელს თავისი ტაბიკებითურთ.

უღელთან დაკავშირებული საინტერესო ჩვეულება აქვს ფშავში დაფიქსირებული ეთნოგრაფ გ. გასიტაშვილს: „ვინც სიცოცხლეში ხარებს აწვალებდა, ის უღიერი კაცი წვალებით კვდებოდა. ასეთი იყო ხარების მტანჯველი ხთისო საბას მამა ბუკუჯიშვილი ბუჭყიტა. ბუჭყიტა რამდენჯერმე ჩაქანდა (მოკვდა), მერე ისევ მაინცდავდა, ასე წვალობდა დიდხანს; ბოლოს თითონ მოითხოვა უღელი „ხარებისათვის ცუდი ვიყავიო და უღელი დამადევითო“, მოუტანეს უღელი და „დაადირეს“ ყელთან და ბუჭყიტა მალე გათავდა“. საყურადღებოა აგრეთვე მამაკაცის გარდაცვალების დროს „უღელზე დატირება“ (ფშავი) და პროფ. ს. მაკალათიას მიერ ხევსურეთში დადასტურებული ჩვეულება „უღელზე გოდება“: ჩვეულებრივ, უღელს ხევსურეთში სახლის კარებში გადებენ (მიცვალებული დერეფანშია დასვენებული) რადგან ის ამის მსახური იყო და იტყვიან: „ამ უღლის მადლო, შენ მიეც მაგის სულს შეღავათაო“ (ს. მაკალათია, ხევსურეთი, ტფ., 1934,

გვ. 150). საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს 1957 წელს თრიალეთში (ტაბაწყუჩური) გათხრილი № 5 ყორღანის თავის არქეოლოგიური მასალით. პროფ. ო. ჯაფარიძის ცნობით, ყორღანის ცენტრალურ ნაწილში, 2 მ სიღრმეზე, აღმოჩნდა კარგად შემონახული ოთხთვალა ეტლი, რომლის წინა თვალთან იდო უღელი (ოთ. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1960, გვ. 12).

უღლის „ცალი მხარე იყო გადარჩენილი. შუისაკენ უღელი თანდათანობით სქელდებოდა (სისქე 0,12 სმ). ცენტრში მას 0,04 მ დიამეტრის ოთხკუთხა ნახვრეტი ჰქონდა, რომელშიც ჩხირი იყო შერჩენილი. მანძილი ცენტრიდან უღლის ბოლომდე 1,36 მ უდრიდა, ე. ი. მთელი უღლის სიგრძე 2,72 უნდა ყოფილიყო. უღლის ბოლო S-ებრი მოყვანილობისა იყო და კიდეზე ორი სწორკუთხა სატაბიკე ნაჩვრეტი ჰქონდა“ (ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 14). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ურმის ხელნები ერთმანეთის პარალელურად არიან განლაგებულნი „როგორ უმაგრდებოდა მას უღელი გაურკვეველია“ (იქვე, გვ. 16). სწორად შეუნიშნავს თვით აღმომჩენ ოთ. ჯაფარიძეს, რომ „ამ ტიპის ხელნაზე, რომელიც ჩვენს ეტლზე აღმოჩნდა, უღლის გამოყენება შეუძლებელი ჩანს (იქვე, გვ. 16), ამიტომ შესაძლებელია იგი აღრევე იყო დაზიანებული და შემდეგ ჩაუტანებიათ სამარხში (გვ. 17). იგი დამზადებულია (აქ. ლ. კალანდაძის მიერ გარკვეულია) მთის მუხისაგან. ამ მონაცემების საფუძველზე იმ აზრისა ვართ, რომ იქნებ უღლის ჩატანება მიცვალებულის კულტთან იყოს დაკავშირებული და იგი გარკვეულ მეურნეობის მიმდევართა დასაფლავების რიტუალში დამახასიათებელი ატრიბუტი იყო“<sup>18</sup>.

„ილორში იცოდნენ ხარის ქურდების გადაცემა. დაზარალებული ილორში მიიტანდა ხარის უღელს, მივიდოდა ილორის დიდ ცაცხვთან, რომელიც დღესაც დგას ილორის ეკლესიის გალავნის მახლობლად, უღელს ცაცხვზე მიაკრავდა და დაიწყევლებოდა: „ამ უღლის ხარები ვინც მოიპარა, წმ. გიორგი ილორისაო, მისი ოჯახი დაამხე, ვაჟი გაუგოყე და აყვირე ჩემი სახელი, ვიდრე ხარს არ მოიყვანს, ეს უღელი არ მოხსნას და უღელში შებმული ხარი ჩემს ოჯახში არ მოიყვანოსო“<sup>19</sup>.

სვანეთში მუშა საქონლისა და სამუშაო იარაღების გამოსახულების რიტუალურ კვერებს აცხობდნენ ერთ-ერთ გაზაფხულის დღეო-

<sup>18</sup> გ. გასიტაშვილი, ქართული ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან — „ხით ხურობა აღმოსავლეთ საქართველოში“. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, 1964, გვ. 172—173.

<sup>19</sup> ს. მაკალათიძე, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 354.

ბაში, რომელსაც ლილაშუნე (ლილაშუნე) ეწოდებოდა და რომელიც დიდმარხვის მეორე შვიდეულის შაბათ დღეს ემთხვეოდა. ლილაშუნე დღიდან იწყებდნენ სვანები თესვისთვის მზადებას და ამიტომ მთელ მომდევნო კვირას ლილაშუნე მიშ ეწოდებოდა... ძველად აქ ამ დღეობა დღეს ყოველ ოჯახში ცხვებოდა შემდეგი სახისა და სახელწოდების რიტუალური კვერები: კუეცენმ შდა—პურის თავთავი, ჭკ მნიშ შდა—ქერის თავთავი, ფეტჭიშ შდა—ფეტვის თავთავი (ნახ. 51), ცხვრილ—ცხრილი (ნახ. 52) ჯარ—გობი (ნახ. 53), რომელშიც მოთავსებული იყო კუეცენმ კიც—პურის ცომი (ნახ. ა). და ფეტუაშ კიც—ფეტვის ცომი (ნახ. ბ), ლაქანი კანარ—მხენელი ხარები (ნახ. 54) და ლაქალი კანარ—მფარცხავი ხარები (ნახ. 55).

უქანასკნელი ორი ტერმინი ფართო გაგებით იხმარებოდა. ტერმინის ქვეშ ლაქნი კანარ თავმოყრილი იყო მრავალი კვერი: საკუთრივ ლაქნი კანარ — მხენელი ხარები, 2 ცალი (ნახ. 54ა), ფურალ — ძროხები (2 ცალი), რომლებსაც დიდი ჭიქანი უკეთდებოდა (ნახ. 54 ბ), სახენელი იარაღი, რომელიც შემდგარი იყო შემდეგი ცალკეული ნაწილის გამოსახულების კვერებისაგან: უღუა — უღელი (ნახ. 54 გ), ზუჰე — მხარი (ნახ. 54 დ), ბერ—ქუსლი (ნახ. 54ე) და ქუაჯხელნა (ნახ. 54ვ): ასევე ტერმინის ქვეშ ლაქალი კანარ იგულისხმებოდა შემდეგი სახისა და სახელწოდების კვერები: საკუთრივ ლაქალი კანარ—მფარცხავი ხარები ანუ უბრალოდ, კანარ—ხარები 2 ცალი (ნახ. 55ა), ფურალ—ძროხები სავსე ჭიქნიანია, 2 ცალი (ნახ. 55 ბ), უღუა — უღელი (ნახ. 55 გ), ნემაშუ — ჯამბარა (ნახ. 55 დ) და ლაქალი — ფარცხი (ნახ. 55 ე)<sup>20</sup>.

რაჭაში „განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს „საბოსლობო განატეხებზე“ აღბეჭდილი სიმბოლური ნიშნები: უღელგამომბული სახენელი და ძროხის ჭიქანი, ყოველ „განატეხზე“, გარდა ეაზის „განატეხისა“, მხოლოდ ერთი სიმბოლური ნიშანი იყო აღბეჭდილი, რომლის როგორობას განსაზღვრავდა თვით „განატეხის დანიშნულება“<sup>21</sup>.

„ხარების (ხარის) განატეხზე“ გამოსახული იყო უღელგამომბული სახენელი. როცა ამ „განატეხის“ სახელწოდება, ისე მისი დანიშნულება (ხარების გამრავლება და კეთილდღეობა) გვაფიქრებინებს. რომ მასზე მოცემული გამოსახულება მუშა ხარის სიმბოლოს წარმოდგენდა, ეს მით უფრო ცხადი გახდება თუ მხედველობაში მივი-

<sup>20</sup> ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 121—122.

<sup>21</sup> ა. ს ო ხ ა ძ ე, ქართველთა სამეურნეო ყოფისა და უძველესი რელიგიიდან (დღეობა ბოსლობა) (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი) გვ. 247.

ღებთ, რომ „საბოსლობო განატეხზე“ სახენელის გამოსახულება მოცემული იყო უღლის გამოსახულებასთან ერთად, რომელიც (უღლის გამოსახულება) რაქველი მიწათმოქმედის ცნობიერებაში მუდამ ასოცირებული იყო მუშა ხართან ანუ საუღლე საქონელთან“<sup>22</sup>.

საგულისხმია. რომ იმერეთში ღიდმარხვის პირველი კვირის შაბათს აცხობდნენ ორ განატეხს. რომელთაგან ერთს უღლის ფორმა ჰქონდა და „ხარ-უღელას“ უწოდებდნენ: ამ განატეხს ხარის უღელზე ორად გადაატეხდნენ ხოლმე და შემდეგ შეჭამდნენ“<sup>23</sup>.

---

<sup>22</sup> ა. ს ო ხ ა ძ ე, ქართველთა სამეურნეო ყოფისა და უძველესი რელიგიიდან (დღეობა ბოსლობა) (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი) გვ. 247.

<sup>23</sup> ა. ს ო ხ ა ძ ე, ქართველთა სამეურნეო ყოფისა და უძველესი რელიგიიდან. С а г а р ა დ з е, Обычай и верования в Имеретии СМОМПК, вып. 26, отд. I, стр. 23.

ქართული ენის ფონეტიკა\*

ფონოგრაფიული მუზეუმის დაარსებაზე მუშაობისას მე მხვდა წილად ბედნიერი შემთხვევა, გასულ წელს გაცენობოდი ბ-ნ სახოკიას. ეს პატარა ნაშრომი ჩემი ბ-ნ სახოკიასთან თანამშრომლობის შედეგია.

ბ-ნი სახოკია ქართველია, იგი დაიბადა სოხუმში, შავი ზღვის ნაპირზე, საქართველოს იმ ნაწილში, რომელსაც სამეგრელოს უწოდებენ. მართალია, სამეგრელოში არ ლაპარაკობენ სუფთა ქართულ ენაზე, მაგრამ ბ-ნ სახოკიას აქვს წმინდა ქართველის გამოთქმები. ვეყრდნობი რა მისი ქართული ენის ღრმა ცოდნას, ქვემო მოცემულ სურათზე გადმოგცემთ ქართულ ასოებს თავისი ტრანსკრიპციით, ყველაზე უფრო მეტად ხმარებული დიაკრიტიკული ნიშნების გამოყენებით\*\*.

ხმოვნები: ა = a მარტივი

ო = o ღია

ა = y (ნახევარხმოვანი) მოკლე, (იოტაცია). ი = i მკაფიო

ჟ  $\begin{cases} = \acute{e} \text{ დაწყებითი და შუა} \\ = \acute{e} \text{ ბოლო} \end{cases}$

უ = u (ou ფრანგული)

თანხმოვნები

ბაგისმიერნი

ენისმიერნი და კბილისმიერნი

ვრცელი  $\begin{cases} \text{მკვეთრი} \\ \text{რბილი} \end{cases}$

ს = s

h = tch J = tch'

ვ = v (w იშვიათი) შ = ch (ფრანგ) ზ = z ე = j (ფრანგ.)

ხორხისმიერნი

ხ = h' (r არაბული ან ch გერმ.)

ჰ = h' ძალიან მსუბუქი (v არაბული)

\* ფრანგულიდან თარგმნა ნ. მაისურაძემ. Extrait des Bulletins et Mémoires de la Société d'Anthropologie de Paris. 3 avril, 1902. Communication faite à la Seance du 6 février 1902.

\*\* ქართულისა და არაბულისათვის გამოყენებულია ნაციონალურ გამოცემლობის შრიფტები.

მსკდომი	მარტივი	მკვეთრი	პ = p,	ტ = t	ც = ts	წ = ts,	კ = q
		რბილი	ბ = b	ღ = d	ძ = dz		გ = g (მკვეთრი)
ასპირე-ბული	მარტივი	მკვეთრი	ფ = p'	თ = t'			ქ = q'
		რბილი					ყ = h' (ch გერმანული a, o, u-ს შემდეგ, რომელსაც მოსდევს მსუბუქი k).
		ვიბრანტები	ლ = l	რ = z			ღ = r' (გრასირებული ჰ არაბული)
		ცხვირისმიერნი	მ = m	ნ = n (სრული)			

ეს ტრანსკრიპცია აცნობს ქართული ენის არმცოდნეს, ქართული ასოების ბგერების გამოთქმებს.

დიდ სიძნელეს წარმოადგენს, განსაკუთრებით, ხორხისმიერი ბგერების გამოთქმა, რომლებიც საერთოდ ემსგავსებიან არაბულ ხორხისმიერ ბგერებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ქართული ხორხისმიერი ბგერები უფრო მკვეთრნი არიან.

მიუაქციოთ ყურადღება იმ ასოებს, რომლებიც აღნიშნული არიან ქვემო აპოსტროფით ან მძიმით. ეს ასოები თავისებურად წარმოითქმებიან, როგორც კი ასო წარმოითქმება, სანამ სიმების ნაპრალი იხურება და გამოიქვამა მეტად რბილი და მოკლე k (კ)-ს მაგვარი ბგერა, ამგვარი ბგერა თანსმოვნის წინაც შეიძლება წარმოითქვას. ლექსიუსმა აღნიშნა, რომ ამგვარი ხორხისმიერი ბგერა შესაძლებელია არსებობდეს სწვა ენებშიც, განსაკუთრებით არაბულში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ეს ბგერები კავშირში არ იმყოფებიან თანსმოვნებთან. და მე ფიქრობ, რომ ეს p (პ), t [ტ], ts, [ც], tch, [ჩ], h' [ხ], რომლებსაც მოსდევს მოკლე ხორხისმიერი ბგერა, შეადგენს ქართული ენის დამახასიათებელ თვისებას.

ავტორები, რომლებიც სწავლობდნენ ქართულ ენას, არავითარ დაკვირვებას არ აწარმოებდნენ ამ ბგერებზე და არც უცდიათ დაეწერათ მათი ტრანსკრიპცია.

ბროსე, რომელმაც საქართველოში შეისწავლა ქართული ენა, იძლევა ამ ბგერების შემდეგ ტრანსკრიპციას: p (პ) მარტივი t—მარტივი, tsh (ც); tch (წ); ძლიერი ასპირებული, q (ქ) ძლიერი, მკვეთრი არაბული. როგორც ხედავთ აქ მომდევნო მოკლე ხორხისმიერი ბგერა არ არის ხსენებული. ლექსიუსი, რომელმაც შესაძლოა ისარგებლა ბრო-

სეს მასალით, ქართული ენის მოსმენის შემდეგ წარმოგვიდგენს ამ ბგერების შემდეგ ტრანსკრიპციას: p (პ), t (ტ), ts' (ც), tch' (ჩ), q' (ქ). აპოსტროფები აღნიშნავენ ასპირაციას, ხოლო ხორხისმიერი ბგერები კი ლექსიუსთანაც არ არის მკაფიოდ გამოსახული.

ბარონი უსდარი ამ ხორხისმიერ ბგერებს შემდეგი ასოებით წარმოგვიდგენს. p (პ), t (ტ), ts (ც), tch (ჩ), q (ქ). აქაც, როგორც ვხედავთ, არავითარი კვალი არა ჩანს მომდევნო ხორხისმიერი ბგერისა.

ბ-ნი გარნიე ხელმეორედ წარმოგვიდგენს აგრეთვე ლექსიუსის მიერ დაწერილი ასოების ტრანსკრიპციას, მაგრამ იგი გვერდს უხვევს ფონეტიკურ ტრანსკრიპციას. შესაძლებელია აგრეთვე, რომ იმ ხორხისმიერ ბგერებს, რომლებიც მოსდევენ ასოებს p, t, ts, tch, h'-ს, აქვთ განსაკუთრებული დანიშნულება ბ-ნ სახოკიასათვის ან მისი დიალექტიკისათვის. ბ-ნი სახოკია კი ამტკიცებს, რომ მას აქვს წმინდა ქართველის გამოთქმები და მეც მჯერა ეს.

მე არ ვიცი თუ რამდენად დამახასიათებელია ეს თავისებურება კავკასიის სხვა ენებისათვის. ვიცი მხოლოდ ის, რომ ავარიული ენა, რომელიც მე შევისწავლე, არ შეიცავს ამ თავისებურებას.

ჩვენამდე არსებული ავტორების მიერ დაწერილი ტრანსკრიპციები ანბანის სხვა ბგერებისათვის, ემთხვევიან ზუსტად იმათ, რომლებიც ბ-ნმა სახოკიამ მე მომასმენინა.

თავის ქართულ ანბანში ლექსიუსი მიგვითითებს ასოების ზოგიერთ ასეთზე რომლებიც დღეს აღარ არიან ხმარებაში. მაგ: z vi, რომელიც შეიცვალა ორი ასოთი ვ-და ი-თ, კ h' მკვეთრი, რომელიც ორგვარად იხმარებოდა ხ h'-თან ერთად, v h რბილი, რომელიც ასევე ორგვარად იხმარება ჰ h-თან ერთად. დავაკვირდეთ ამ უკანასკნელ ასოს, რომელიც გამოითქმის მხოლოდ არქაიზმების ხმარების დროს. ხმოვანი ყ უ გრძელი შეედრება ვ v-ს.

ბგერა F არ არის ქართულში, სამაგიეროდ იგი წარმოდგენილია ვ v სახით და ქართველები მას ადვილად გამოთქვამენ.

მე ახლა ავიღებ ქართულ ანბანს იმ რიგის მიხედვით, როგორც ეს შედგენილი აქვთ ადგილობრივ გრამატიკოსებს და ვეცდები გადმოგცეთ იმ ბგერების ფიზიოლოგიური მექანიზმი, რომელიც ყველაზე უფრო უცხოა ჩვენი მეტყველების ორგანოს პოზიცია თითოეული ამ ბგერის წარმოთქმის დროს.

ა — დახურულია და ოდნავ ცხვირისმიერი მარცვლების ბოლოს,

ბ — ბაგისმიერია სიტყვების დასაწყისში, სიტყვების ბოლოში კი იგი გამოითქმის ტუჩების მეტი შეკუმშვით იმ დროს. როდესაც ჰაერის ძლიერი ნაკადია.

- გ — არის ჩვენი სიტყვა garson-ის გ მკვეთრი. მაგ.: იგი შეიცავს ზოგჯერ ბგერა გ-ს სიტყვების დასაწყისში.
- დ — შეიცავს ბგერა d-ს, იგი არის t მსუბუქი სიტყვების დასაწყისში.
- ე — არის é (ე) ღია, é (ე) დახურული სიტყვების დასაწყისში.
- ვ — შეიცავს ბგერა v-ს, მაგრამ არა ზუსტს: ორი ზედა კბილი ეყრდნობა მძლავრად ქვედა ტუჩს და ეხმარება აგრეთვე უცხო f-ის წარმოქმას.
- ზ — არის ბგერა z.
- თ — არის ასპირებული ბგერა t', ენის წვერი ეყრდნობა ზედა კბილებს, რომლებიც მიახლოებულია ქვედა კბილებთან. პაერი სწრაფად გამოდის პირის ღრუდან.
- ი — შეიცავს ბგერა i-ს, მაგრამ საკმაოდ ემსგავსება é დახურულს, როგორც მოკლე ინგლისური i სიტყვებში bit, fit.
- კ — შეიცავს მეტად მკვეთრ q-ს, ხორხისმიერ ბგერას, რომელსაც უშუალოდ მოსდევს მეტად რბილი, თვით თანხმოვნის წინაც. პირი თითქმის დაკეტილია, ენის ფუძე ეყრდნობა სასას, რომელიც მეტად მიახლოებულია ნაჩის ფუძესთან, შემდეგ უცბად შორდება მას და სახმო ნაპრალის მსგავსი ბგერა წარმოიქმნება. მას მაშინვე მოყვება თითქმის რბილი k. ეს ორი ბგერა თითქოს შერწყმულია ერთმანეთში, როგორ qk.
- ლ — შეიცავს ინგლისურ ბგერა l-ს, ე. ი. ენის წვერი იხრება მაღლა, ეყრდნობა სასის წინა ნაწილს და წარმოიშვება ენის ვიბრაცია.
- მ — ბაგისმიერი m, ამდაგვარადვე წარმოიქმნება.
- ნ — ეს არის ენისმიერი n და არასოდეს არ არის ცხვირისმიერი. ბოლო ხმოვნების ოდნავ ცხვირისმიერი არ არის წარმოდგენილი ერთი ასოთი.
- ო — არის ჩვეულებრივი o ფრანგული, მაგრამ ოდნავ უფრო ღია.
- პ — არის ფეთქებადი ბაგისმიერი ბგერა P, რომელსაც მოყვება თითქმის შეუმჩნეველი ნაპრალოვანი, რბილი k; ეს k წარმოიქმნება თვით თანხმოვნების წინაც, როგორც pk.
- ჟ — ფრანგული j, მაგრამ უფრო მკვეთრია და მყარი.
- რ — ვიბრირებული r.
- ს — მსტვენავი s, ენის წვერი ეყრდნობა ზედა კბილებს.
- ტ — ბგერა t, ენის წვერი ეყრდნობა ზედა კბილებს, რომელსაც მოყვება მაშინვე რბილი ნაპრალისებური k თვით თანხმოვნების წინაც, როგორც tk.
- უ — ou ფრანგული, მაგრამ უფრო ნაკლებად ნათელი.



- ფ — ასპირებული p' მკვეთრი ბგერა, ორივე ტუჩი მძლავრად ესება ერთმანეთს და მძიმე და მოკლე ჰაერის მონაბერი ტუჩების წყალობით გამოდის პირიდან.
- ქ — მეტად მკვეთრი ასპირებული ხორხისმიერი ბგერა q' ენის ფუძე ეყრდნობა სასას ნაქის ახლოს და იმ დროს როდესაც ის სცილდება მას, მაშინ წარმოიქმნება ჰაერის სწრაფი ნაკადი.
- ღ — არის ძლიერად გრასირებული r, არაბული ზ ენის ძირი ფართოდ ეყრდნობა სასას, ნაქის ახლოს და თუ ნაქი არ არის ჩამოწეული, ჰაერის ნაკადის ზეგავლენით იწვევს ხანგრძლივ ვიბრაციას.
- ყ — ამ ბგერის წარმოდგენა შეუძლებელია, ეს არის მეტად მოკლე, მკვეთრი, ხორხისმიერი ვიბრირებული ბგერა, რომელსაც მაშინვე მოსდევს მეტად რბილი ნაპრალოვანი k: ენის ძირი ეყრდნობა სასას ნაქის ახლოს, უფრო ახლოს ვიდრე გრასირებული r-ს წარმოთქმის დროს, იწყებს უცბად ვიბრირებას და ჰაერის ნაკადის ზეგავლენით წარმოითქმის მოკლე ნაპრალოვანი k, წერისას h'k.
- შ — ch ფრანგული, ენის წვერი მიისწრაფვის ზედა კბილებისაკენ და ვიბრირებული ჰაერის ნაკადი გამოედინება ორ ნაწილს შუა.
- ჩ — არის ორმაგი თანხმოვანი tch, ენის წვერი ფართოდ ეყრდნობა ზედა კბილების უკანა ნაწილს და ენის წვერის აწევის დროს უცბად გამოედინება ჰაერის ნაკადი.
- ც — ორმაგი თანხმოვანი ts; ენის წვერი საკმაოდ ფართოდ ეყრდნობა ზედა კბილების მთელ უკანა ნაწილს და ამ დაყრდნობის დროს იკავებს ჰაერის ნაკადს.
- ძ — კომბინირებული d და z; წარმოითქმება როგორც წინა ასო (ც); მხოლოდ ენის წვერი ვიბრირების დროს ეყრდნობა ზედა კბილების ქვემო ნაწილს.
- წ — განსხვავდება ბგერა ts-საგან, ნაპრალოვანი. რბილი და მოკლე-თი, რომელიც მოსდევს მას მაშინვე, წერისას tsk.
- ჭ — განსხვავდება tch (ჩ)-საგან მხოლოდ მოკლე და რბილი მომდევნო ნაპრალოვანი k-თი, თანხმოვნების წინაც, წერისას tchk.
- ხ — შეიცავს გერმანულ ch ბგერას, ძლიერი ხმოვნების შემდეგ; იგი ისევე წარმოითქმის როგორც (ჭ) წინა ასო, მხოლოდ ენის ძირი უფრო ძლიერად და ფართოდ ეყრდნობა სასას ნაქთან და მისი წარმოთქმის დროს გამოედინება უფრო ძლიერი ჰაერის ნაკადი.
- ჯ — შეიცავს ორმაგ თანხმოვანს dj-ს, ენის წვერი ეყრდნობა უკანა სასის მესამედ ნაწილს და წარმოიქმნება ნაწილების ჩარღვევა.

- ჰ — კომბინირებული vi, არ იხმარება უკვე როგორც ასო.
- კ — შეიცავს გერმანულ ch ბგერას, რომელსაც მოსდევს ძლიერი ხმოვნები. ბგერა კ-ც აღარ იხმარება.
- ჟ — შეიცავს ზემო აღნიშნული ბგერა ou ფრანგულს, მხოლოდ იგი ოდნავ გრძელია.
- შ — იმისათვის, რომ მიგველო ბგერა რომელსაც ახლა წარმოთქვამენ როგორც vč-ს, ამ ასოების წერის მიხედვით იგი წინათ შეერწყმოდა მსუბუქ ბგერა hč-ს. მართალია, იგი ატარებს მსუბუქად ამონასუნთქ ბგერა hč-ს. სახელს, მაინც წარმოითქმის როგორც č, რაც ამტკიცებს იმას, რომ მან დაკარგა თავისი წინანდელი ასპირება და ეს ბგერა აღარ იხმარება.
- ჯ — ნახევარხმოვანი y. ეს არის ძალიან რბილი hič, იგი წარმოითქმის ამგვარად: ენის ფუძე უახლოვდება სასას და შორდება ოდნავ, რომელშიც გადის ჰაერის ნაკადი. იგი მოსდევს მხოლოდ ხმოვნებს და ქმნის იოტირებულ დიფთონგს, ამგვარად მას აქვს მოკლე i ბგერა და შეიძლება იყოს ოდნავ უფრო მკაფიო ვიდრე i, ხმოვანი.

რადგან ტრანსკრიპციები ემსახურება მხოლოდ მათ, ვინც იცის ენა, მე ვთხოვ ბ-ნ სახოკიას გადმოგვეცეს ყველაზე უფრო ძნელი ბგერები. მე ვიმედოვნებ, რომ ბ-ნი სახოკია მოისურვებს მოგასმენინოთ ნაწყვეტი ქართულად და თქვენ შენიშნავთ, რომ სიტყვას მახვილი მოუღის ბოლოდან მესამე მარცვალზე, გარდა ორმარცვლოვანი სიტყვებისა, სადაც მახვილი მოუღის ბოლოდან მეორე მარცვალს. ერთმარცვლოვანი სიტყვები ყოველთვის მახვილიანია. თქვენ დაუკვირდებით აგრეთვე, რომ ქართული ენის სიტყვებში ხდება თანხმოვნების დაგროვება, ის რაც მეტყველებას ხდის მძიმეს.

მე დაუვმატებ იმას, რომ ბ-ნ სახოკიას წყალობით, რომელმაც დიდი სამსახური გაგვიწია ამაში, ფონოგრაფიული მუზეუმი შეიცავს უფრო კარგად შესრულებულ ფონეტიკურ და ეთნოგრაფიულ ფონოგრაფების ზოგიერთ რიცხვს.

#### ლი ბ ე ა ბ ჟ რ ა

B r o s s e t: Eléments de la langue géorgienne, Paris, 1837.

L e p s i u s: Standart Alphabet, London, 1863.

Baron Uslar: Ethnographie du Caucase, 1 vol., Tiflis, 1887.

Garnier: Méthode de la transcription rationnelle générale pour les noms géographiques, Paris, 1889.

## თ. სახოკია

### აზტოზიობრაფია

#### I

დავიბადე 1868 წლის მარტის 2 (14) სამეგრელოს სოფელ ხეთაში (ზუგდიდის მაზრა). მამა, ტიმოთე მარკოზის ძე, მღვდელი იყო, დაბადებული 1844 წელს სოფ. შხეფში (ძველსა და ახალ სენაკს შუა), სადაც დღესაცა სახლობს ას კომლამდე ჩვენის გვარის გლეხობა. დედაჩემი ელისაბედი (იგივე ელისა) სოფელ ხეთის დეკანოზ დავით კუკავას ქალი იყო. პაპაჩემი (მამით) მარკოზი ოქრომჭედელი ყოფილა. მისს ხელობას დიდი გასავალი და პატივი ჰქონია, და მისი ოჯახი სხვებთან შედარებით, სულმოდგემულ ოჯახად ითვლებოდა თურმე. ჩემი პაპის ნამა დადიანის კარის მღვდელი ყოფილა, და ბატონს მღვდლის და ისიც სულიერ მოძღვარის ხარისხისათვის სრულებით არ მიაჩნდა თურმე სათაკილოდ და უფერად კვირაობით, ნაწირვევს, ამ მოძღვრისათვის ტყიდან ზურგით შეშა მოეტანინებინა სასახლის საჭიროებისათვის. გარდა ამისა, ჩვენს გვარს ბატონის ვალადა სდებია, სხვათა შორის, დიდმარხვაში, ახალგამოზაფხულზე, ბატონისა და მის სასახლის მომარხულე წევრების საკმელად ჭინჭარი ეკრიფნა. სხვა გვარის მეზობლები სულ ბოლო ხანამდე ჩვენს გვარს მეტსახელად და ჩვენს დასაკინებლად მეჭინჭრე („მეჭუჭელე“) სახოკიებს გვეძახდნენ.

გადმოცემაა დარჩენილი, რომ ჩვენი შორეული წინაპარი რაჰველი გამყრელიძე ყოფილა. თავის სოფელში კაცი შემოკვდომია. სასჯელისა და მოკლულის ნათესაების მხრით შურის ძიებისათვის თავის დასაღწევად გამოქვეულა გორდში (ლენხუმში). აქ ცოლი შეურთავს და მისცემია ოთხი ვაჟი და ერთიც ქალი. ამ ჩვენის წინაპრის შვილებსაც არ ასცდენიათ კაცის კვლა. მათს ლამაზს დას შემოჩვევია დადიანის მოურავი ჩიქოვანი. ძმებს გარეთ სამუშაოდ გასულებს რომ გაიგულებდა, ჩიქოვანი თავის ჭარით მოდიოდა მათს სახლში და სატრფოსთან დროს ატარებდა თურმე. ერთხელ ძმებს ზედ წაუსწვრიათ ჩიქოვანისათვის, არ შეურჩენიათ ოჯახის შერცხვენა, მოუკლავთ და ხრამში გადაუგდიათ.

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ლეჩხუმში არ ედგომებოდათ და გამოქცეულან სამეგრელოში. აქ ჯერ მისულან მარტვილის ტაძართან და ნიშნად ყმობისა და მონობისა კისრით გამობმულან ტაძრის კარების ბოქლომზე. ამას შემდეგ ესენი ითვლებოდნენ მარტვილის ტაძრის ყმებად და არავის შეეძლო, თვით მთავარ დადიანსაც-კი, მათთვის პასუხი მოეთხოვნა და ხელი ეხლო დანაშაულისათვის. გვარებიც გამოუცვლიათ. ორ ძმას სახოკიები დაურქმევიათ თავის თავისთვის და შხეფში დარჩენილან, ხოლო ორს ძმას გახოკია აურჩევიათ თავის გვარად. ერთი ამ გვარით სოფ. ბანძაში დარჩენილა, ხოლო მეორე მდ. ტეხურზე გასულა და დასახლებულა ბარანში (აბაშას ახლო), სადაც დღესაც არიან ამ გვარისანი, მხოლოდ გვარის დაბოლოებისათვის ძე მოუმატებიათ და იწოდებიან გახოკიძეებად.

როგორ და ვის მიერ ვიზრდებოდი?

შეიძლება ვისმე ახლანდელს ეუცხოვოს ასეთი კითხვა და ამის პასუხად გვითხრას: ამას აბა რა კითხვა უნდა?: რა თქმა უნდა, დედა გაზრდიდა შეილსაო. მაგრამ, უკაცრაოდ, ეს ასე არ გახლდათ.

სამეგრელოში იმ დროს ასეთი ჩვეულება ჰქონდათ, ძველისძველთაგან დაკანონებული, მცხოვრებთა მიერ შესისხლბორცებული დასრულებით ბუნებრივად მიჩნეული. სახელდობრ: პრივილეგიურ კლასის (თავადის, აზნაურის, სამღვდელთა) დედა თავისს შეილს თავის ძუძუთი არა ზრდიდა. ბავშვის გაზრდა „კეთილშობილის“ ოჯახის ქალის მიერ ითვლებოდა სააუგო, სამურეხო, საძრახ, ქვეყნის ყბადასადებ, „თავის-მოსაჭრელ“ საქმედ. ასეთის დედის ბავშვის გაზრდისათვის უნდა ეზრუნა სოციალურ საფეხურის ყველაზე დაბლა მდგომს, გლეხის დედაკაცს — ძიძას და მის ქმარს — მამამძუძეს, ან, როგორც სამეგრელოში ეძახიან, მორდუს (გამზრდელს).

მე, როგორც მღვდლის, ე. ი. „კეთილშობილთა“ ოჯახის შვილი, ძიძას უნდა გავეზარდე. ასეთი მოიყვანეს თურმე ჩვენის სახლიდან 14 კილომეტრის მანძილიდან, სოფ. ბიადან (უკეთ — კოტიანოხორიდან, ზობის მონასტრიდან 11/2 კილომეტრის მოშორებით). ძიძას ერქვა ირინე, ლატარიას ქალი იყო. მას მოჰყვებოდა ჩემი მამამძუძე უთუთია იოსავა.

ძიძასთან დავრჩენილვარ სამ წლამდე. იმავე გარემოსა და იმავე პირობებში, როგორც მაშინ იყო მაშინდელი გლეხის შვილი. ერთის წლისა ყოფილვარ, ერთხელ ძიძას სახლს გარეთ რაღაც საქმე ჰქონია, სხვებიც სახლიდან გასულან. მე მარტოდ-მარტო დავრჩენილვარ აკვანში, კერის პირას. შემოსულა დედა ღორი და სხვა რომ ვერაფერი უპოვნია საკბილო, დინგი ამოუკრავს აკვნისათვის იმის გასაგებად, თუ შიგრა სულიერი იწვა. აკვანს არტახები შეჰხსნოდა და თვითონ აკვანი ჩე-

მიანად შიგ ცეცხლში ჩავარდნილა. ჩემს ბედზე ამ დროს გარედან შემოსულან და აკივლებული ყრმა ნაადრევად ცეცხლში დაწვას გადავურჩენივართ. დამწოდა მხოლოდ მარჯვენა ხელის მაჯა, რომელსაც, ამ ინციდენტის მოსაგონებლად და გასათვალისწინებლად, დღესაც ატყვია ძველებურ კოპიტის სიფართე ნაწვის კვალი.

მეორეჯერ მძიმედ ავად გამხდარვარ რალაც კუჭ-ნაწლავის სატკივრით. გადაღებული ავადმყოფი ვყოფილვარ, ჩემის მორჩენის იმედი ყველას დაჰკარგვოდა. რაკი მოუნათლავი ვყოფილვარ. გადაუწყვეტიათ მონათლული მაინც დაეშორებოდი ამ წუთისოფელს, რომელსაც ის ის იყო, დაუწყე ცქერა. ძველად ბავშვის მშობლები მიმრქმელად ან ნათლიად ირჩევდნენ უეჭველად თავიანთის წოდების ადამიანს, მატე-



თელი სახოკია ოჯახის წევრებთან ერთად

რიალურად, შედარებით უზრუნველს, რომ თავის ნათლულისათვის უხვი საჩუქრების მიტანა არ გასჭირებოდა. ალბათ, ჩემი მდგომარეობა იმდენად ყოფილა გართულებული, რომ ასეთი კაცი არავინ აღმოჩენილა და ამიტომ მიმრქმელობა ჩემს მამამძუტეს უთუთიას უკისრნია. ხოლო საიდუმლო ნათლისდება შეუსრულებია ჩემის ბებრის (მამით) ემას, სახელოვან მღვდელს ჩემის მამამძუტის სოფლისას, შიო იოსავას. შიოს თავი ექებოდა, სხვათა შორის, იმითაც, რომ იშვიათი ყოფილა —

მისი მონათლული მომაკვდავი ბავშვი არ გადაჩენილიყო სიკვდილს. სერიოზულად იკვებოდა თურმე: ხელი მაქვს ასეთი ბედნიერი — ვაი არა აქვს შიოს — ვისაც ჩემი ხელი მიეკარება, რაც უნდა მომაკვდავი იყოს, მორჩებაო!... განა ყველა მღვდელსა აქვს ასეთი ხელიო!... მე, როგორც ნათესავი მისი და ისიც მღვდლის შვილი, ხომ უნდა გადავრჩენილიყავ! და აკი გადავრჩი კიდევცა...

სამისა თუ ოთხის წლისა სოხუმში წამიყვანეს, სადაც მამაჩემი, 1867 წელს ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძე) მიერ ნაყურთხი, წმიდა გიორგის (სასაფლაოს) ეკლესიის მღვდლად იყო. 1874 წელს დედა გარდამეცვალა და მამაჩემს, 41 წლისას, 6 შვილში (4 ქალი და 2 ვაჟი) ორი ვაჟი შევრჩით.

სწავლა მამაჩემმა 5 წლისას დამაწყებინა. ჩემი პირველი მასწავლებელი იყო ერთი პოლონელი ქალი, ინდოეთის ტელეგრაფზე მოსამსახურის ცოლი. მასწავლიდა, რა თქმა უნდა, რუსულად. ამ პოლონელ ქალს შემდეგ რუსულ წერა-კითხვის სწავლებას განაგრძობდა ერთი რუსი პოლკოვნიკის, ალექსანდროვიჩის, უქმროდ დარჩენილი და. წერა-კითხვა რო ვისწავლე, შემიყვანეს სოხუმში არსებულ ეგრეთწოდებულ „მთიელთა სკოლაში“ (Горская школа). ეს სკოლა აფხაზთა ბავშვებისათვის გაეხსნა მთავრობას, პანსიონიცა ჰქონდა და შიგ შემოსულ აფხაზთა ბავშვებს სახელმწიფო ხარჯითა ზრდიდენ. სწავლება, რა თქმა უნდა, რუსულად წარმოებდა. ქართულის ხსენებაც-კი არა ყოფილა, და ვერც-კი წარმოედგინათ, თუ არ რუსულით, სხვა ენის საშუალებით წერა-კითხვის სწავლება შესაძლებელი ყოფილიყოს. მეცა ესწავლობდი რუსულად, მით უფრო, რომ მეზობლის ბავშვები, ჩემი ტოლები, სულ რუსები იყვნენ. მახსოვს, სკოლიდან გამოსული, ნასადილევს, ჩვენს სახლს ზემოდან, გორაკზე, სამხედრო ვარჯიშობას ვუმართავდი, ხის თოფელას მხარზე გადავიკიდებდი და ვუფროსობდი, რუსულად...

მამაჩემმა იფიქრა: კარგია, რომ ჩემი შვილი რუსულად სწავლობსო, მაგრამ ცუდი არ იქნება, ქართულიც ისწავლოს, საყველბუროდ, საშინაოდო. მასწავლებლობა მიანდო თავისსავე დიაკვანს. რის გაჭირვებით იშოვნეს ფურცლის მეოთხედზე დაბეჭდილი ქართული ანბანი (რამდენადაც შემიძლია მოვიგონო, უნდა ყოფილიყო განსვენებულ პეტრე უმიკაშვილის მიერ შედგენილი ქართული ანბანი). დიაკვანმა სახლის კიბეზე გვერდით მომისვა და მითხრა: ეს არის ანი, ეს არის ბანი და ესეც განიო. ისწავლე ასე: ან, ბან, გან და რო დავბრუნდები, გკითხავ და თითოეულ ანბანის სახელი უნდა მითხრაო. მე ღიმილით ვუპასუხე.

დიაკვანი რო წავიდა, ცოტა ხანს ვათვალისწინებ ჩართულის ანბანის სამი პირველი ასო, გავუზომე სიგრძე-სიმაღლე, მერე მომბეზრდა მათი ყურება, უსაქმური კაცის მოგონილად ჩავთვალე, რაკი რუსული ვიცოდი, ეს „ან-ბან-გან“ სრულებით მეტ ბარგად მივიჩინე და არც ვაცვივე, არც ვაცხელე, დავხიე და ნაფლეთები ქარს გავატანე. სამს საათს უკან ჩემი მასწავლებელი რომ დაბრუნდა და მკითხა: აბა რა ისწავლეო, მე თამამად ვუთხარი: ანბანი კატამ დამიხია—მეთქი. დიაკვანმა კიდევ მამაჩემს უთხრა, — ასე ყოფილა საქმეო. მამას გავეცინა და ეტყობოდა. ბევრი არ უნადვლია ჩემს უქართულოდ დარჩენაზე. მგონი, „ანბანი“-ც ადვილი საშოვარი არ ყოფილა. გადუქრჩი, გადუქრჩი ქართულის ანბანის სწავლასა...

ერთი გარემოება რომ არა, შეიძლება ისე დავრჩენილიყავ, რომ სულაც არა მცოდნოდა ქართული ანბანი.. ეს გახლდათ რუს-ოსმალის ომი, რომელიც 1876 წლის მაისში გამოცხადდა.

## II

რუს-ოსმალის ომის გამოცხადებასთან ერთად დაიცალა სოხუმში და დაბები ამ მხრისა: ოჩამჩირე და გუდაუთა, რადგან, ამ ადგილებში უნდა მომხდარიყო დესანტი ოსმალეთის ჯარისა. და რადგან იმ დროს სოხუმის მოსახლეობა უმთავრესად მეგრელებისაგან შედგებოდა, ამათაც მოაშურეს თავიანთ პირველ სამშობლოს, რომელთანაც მკვიდრო კავშირი ჰქონდათ შერჩენილი. სამეგრელოში წამომსვლელები სოხუმში ჩავვისვა ორთქმავალმა გემმა „მიხეილმა“ და წამოგვიყვანა ფოთში. აქ ზღვაში შემოგვეგება ორთქმავალი, ბორბლებით მომუშავე პატარა გემი „ბაბუშკა“, რომელმაც მდინარე რიონით ამოგვიყვანა ძველ ქალაქ ფოთში. ძველი ქალაქი ფოთი ძალიან შორს ჩამოუყვარდებოდა აწინდელს ფოთს. მაშინდელი ფოთი შედგებოდა სულ რამდენისამე ხის დუქნებისა და ხისავე სახლებისაგან. ფოთიდან ტფილისამდე მაშინ გაყვანილი იყო რკინის გზის ლიანდაგი, ხოლო მატარებლების მიმოსვლა გაეხსნათ 1873 წელს. მატარებელმა ფოთიდან სენაკში ამოგვიყვანა. ხოლო სენაკიდან ფურგონით ჩავედით დედაჩემის სოფელ ხეთაში, სადაც სახლ-კარი გვექონდა და ამ სახლში ცხოვრობდა ჩემი ბიძა ექვთიმე. სახლი გვედგა უდაბურ ტყეში. სულ 600-700 წლის მუხებით იყო იქაურობა საესე. შიგა ბუდობდა ათასგვარი ნადირი, აუარებდა ფრინველი, ვანსაკუთრებით—ხოხობი. ტყეშივე ჰქონდათ მწყემსებს კარვები და ზამთარ-ზაფხულ შიგა ცხოვრობდნენ და უვლიდნენ ჩროხებს. აქ დასახლებულთა სახლები ერთი-მეორისაგან ნახევარ და

მეტ კილომეტრით იყო დაშორებული. მეგრელის ფანტაზია აქაურობას ავსებდა ყოველგვარ მანენ სულებით და ჩემს ნორჩს ფანტაზიასავე აუარებელი მასალა ეძლეოდა საზრდოდ. აქ ჩაეყარა ჩემს გონებას წარმოდგენა ოჩოკოჩებზე, ტყის მეფეებზე, ჭინჭებზე... როგორც ერთი, ისე მეორე და მესამე შეადგენდა ცეცხლა პირას ყოველდღიურ ბაასის საგანს და იმდენადაც იყო პატარებისა თუ დიდების გონება ამ ზაასით შეპყრობილი, რომ მზის ჩასვლის შემდეგ სამზარეულოდან სახლში 'მე-ნოსელი' მარტოს გვესიკვერლებოდა, მეტადრე ბნელს ლამეში. და დღესაც, უკვე მესამოცდამეთექვსმეტე წელში ფეხგადადგმულს, თითქმის მთელი ქვეყნიერება შემოვლილს და ამდენის ვისიმე და რისიმე მნახველს გულწრფელად არ შემიძლია იმისი თქმა — ბავშვობის შთაბეჭდილებათა გავლენისაგან სრულებით თავისუფალი ვარ-ქეიქი. იმდენად შეეწოვა ჩემს ნორჩს სისხლსა და ხორცს, იმდენად შეჰბოჭა ჩემი დსიქიკა პირველყოფილი ადამიანის ამ შიშმა და ზარმა...

სოხუმიდან მაისში ჩამოვედი. ჩვენის სახლიდან სამის, ოთხის კილომეტრის მანძილზე სასოფლო სკოლა იდგა, სამგანყოფილებიანი. მასწავლებლად ვინმე ზოსიმე ჩაჩუა იყო. მამამ ჩემი თავი ჩააბარა, საზაფხულო არდადეგებამდე გყავდესო ეს ბავშვი, რუსული იცის, მაგრამ იქნება ჩვენებური („ჩქინობურა“), ე. ი. ქართული წერა-კითხვა ასწავლოთ როგორმეო. მასწავლებელიცა და მოწაფეებიც ერთგვარის პატივისცემით და თან შურით მიყურებდნენ როგორც რუსულის წერა-კითხვის მცოდნესა და ამ ენაზე მოლაპარაკეს!... მასწავლებელს ერთგვარი პანსიონი ჰქონდა იმათთვის, ვისაც მშობლები სკოლაზე მოშორებითა ჰყავდა. ამ პანსიონში, ჩემს გარდა ორი სხვა იყო. ერთი მათგანი უკვე მოზრდილი ყმაწვილი იყო, ასე 15 — 16 წლისა. ამას დაკისრებული ჰქონდა ჩვენი მზარეულობა. ისიც კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას: გვიხარშავდა სიმინდის ფქვილის ღომს და გვიცხოვდა მჭადს. ყველი და მისი ჯანი!

მე სხვებს ვასწავლიდი რუსულს, ხოლო ყველას ავიწყდებოდა, რომ ჩემთვის „ჩქინობურა“, ქართული, უნდა ესწავლებინათ. ერთ თვეზე მეტი გავატარე ლარჩვის სკოლაში, მაგრამ ქართული მაინც არაგინ მასწავლა და მე-კი მით უფრო ნაკლებად მედარდებოდა ეს გარემოება.

შემოდგომაზე მომიკვდა ბიბა (დედით), ხეთის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი გიორგი კუკავა. და მის ადგილზე ბუნებრივად განმწესდა სოხუმიდან ლტოლვილი და აქ დროებით შემოხიზნული მამაჩემი. ასე რომ ჩვენი ქონებრივი მდგომარეობა ერთბაშად გამოკეთდა, რადგან



წმ. გიორგის ეკლესია დიდ შემოსავლიან და მღვდელთათვის მეტად სახარბიელო ეკლესიად ითვლებოდა.

ჩქარა მერვე წელში გადავდგებოდი. უნდა შევეყვანეთ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, რომელიც მაშინ ახლად გადმოტანილი იყო ქუთაისიდან ჭყონდიდელის რეზიდენციაში — მარტვილში. იქ პირველ განყოფილებაში შესასვლელად იმ დროს საჭირო იყო ქართული წერაკითხვის ცოდნა მაინც. ამიტომ ჩემი თავი მამაჩემმა ჩააბარა თავის (დედით) ბიძას, სამეგრელოში ფრიალ გავლენიან მღვდელს — შიო იოსავას და მისს შვილებს, რომ იმათთან ახლა მაინც მესწავლა ქართული წერა-კითხვა.

თითქმის ერთი წელიწადი დაეყავი მღვდელ შიო იოსავას სახლში. ჩემმა პაპამ გამოიყენა ჩემი ზეპირად ცოდნა რუსული ელემენტარული ლოცვებისა, რუსულისავე ელემენტარულ გალობისა და გამიხადა პატარა დიაკვნად, იქით-აქეთ დაეყავი გლეხებთან ტაბლების საკურთხებლად, სადილ-ვახშმის დროს სტუმრებთან „მამაოჩვენოს“ რუსულად მათქმევენებდა და თავი ექებოდა, რომ მისს სუფრაზე რუსულადაც იცოდნენ ლოცვების თქმა, შიოს თანამეცხედრე კიდევ მიშველიებდა როგორც მორბედსა მეზობლებთან, საღამოობით ქათმების დაბინავებაში და სხვა წვრილმან საოჯახო საქმეებში. მაგრამ ის, რისთვისაც ვიყავი მოყვანილი — ქართული წერა-კითხვის სწავლება, ყველას დავიწყებული ჰქონდა და მით უფრო მე არა ვცდილობდი აუტკივარი თავი ამეტკივებინა და მომეგონებინა მათთვის — ქართული მასწავლეთ-მეთქი<sup>1</sup>.

### III

ამასობაში მარიამობაც მოახლოვდა. მამამ ზაფხულში ჩემ მამამ-ღუძესთან მამყოფა და მარიამობისთვის გასულს მარტვილში ჩამიყვანა და წარმადგინა სასულიერო სასწავლებელში იმ იმედით, რომ რაკი რუსული ვიცოდი და უშინსკის „Родное Слово“ მესწავლა სოხუმის „მთიელთა სკოლაში“, მეორე მოსამზადებელში ჩემს მიღებას წინ არა დაუდგებოდა რა. წამაკითხეს „Родное Слово“ ჯერ კიდევ არ დამევიწყნოდა. ქართულიცა მკითხეს, მაგრამ შევრცხვი, — არ ვიცი — მეთქი. დამსვეს პირველ მოსამზადებელში. აქვე უნდა მოვიხსენიო, რომ მამაჩემმა, რათა უფრო აეწია „რუსულის მცოდნე“ შვილის ფასი

<sup>1</sup> მღვდელი შიო იოსავა და იმასთან ჩემი ცხოვრება აწერილი მაქვს საგანგებოდ და დაბეჭდილი 1938 წელს, № VII „მნათობში“ სათაურით „შიო მღვდელი“.



თ. სახოკია 16 წლის კაბუჯი

მასწავლებელთა (და აგრეთვე ჩემს გარეშემო მყოფთა) თვალში, სოხუმიდან წამოღებული და ახლა უკვე დაპატარავებული „მთიელთა სკოლაში“ ნახმარი მუნდირი ჩამაცვა და ასე წამომიყვანა სახლიდან. ეს მუნდირი კობიო იყო მაშინდელ სოლდათურ, შავის მაუდის, ყვითელ ლითონის ბრჭყვიალა ღილებით ერთპირად შესაკვრელ და წითელ საყულოიან მუნდირისა. ადვილი წარმოსადგენია, რა სასაცილო უნდა ეყოფილიყავ მოწაფეების თვალში ამ ჩემს ორიგინალურს და აქაურთათვის უნახავ სამოსელში! ხელად მეტი სახელიც შემარქვეს: „მებატე რუსიო!“ და ეს, მათის აზრით, მეტად დამამცირებელი სახელი მანამ მიძახეს, სანამ ხელი არ ამადებინეს მათის დაცივნის მიზეზ მუნდირზე და მათებურად ხალათი არ ჩამაცმევინეს შინ მოქსოვილი შალისა.

ბინა მამამ ერთის გლეხის, ივანე ოდიშარიას, სახლში დამიდო. აქვე იდგნენ ძმები ბესარიონ (ბოლოს სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ამბროსი) და გიორგი ხელაიები, უკვე მე-III კლასის მოწაფენი, და მათი ძმა პორფირე, ჩემი ამხანაგი კლასით. ბესარიონ ხელიამ ხელი მოჰკიდა ჩემს სწავლებას და ორ კვირაზე ქართული კითხვაც შემასწავლა და წერაცა. სრულებით უმტკივნეულოდ, გაუწყრომლად. ჩემი პირველი წერილი, ქართულად დაწერილი, მამაჩემს გიორგობისთვეში გავუგზავნე, ჩემს კარგადყოფნას და სწავლაში წარმატებას ვატყობინებდი და თანაც ვთხოვდი სამი აბაზის გამოგზავნას. მამაჩემს ქართულად დაწერილის წერილის მიღება ისე გაჰხარებოდა, რომ საგანგებოდ გამოგზავნილის კაცის ხელით სამი აბაზიც მომაწოდა და ათიოდ სულგუნიც საგზლად.

პირველ მოსამზადებელში რუსულის ენისათვის სახელმძღვანელო წიგნდა გვქონდა რუს პედაგოგ უშინსკის «Родное Слово» ქართულისათვის სახელმძღვანელო არა გვქონია და არც მოიპოვებოდა რამე ასეთი. უმთავრესად წერაში ვვარჯიშობდით. მასწავლებელი საკლასო დაფაზე დაგვიწერდა და იქიდან ჩვენს, ბზის სავარცხლით დაბაზულ რეეულებში უნდა გადმოგვეწერა ტარასი არქიმანდრიტის წერის დედნის „მრისხანება“. მხოლოდ მეორე მოსამზადებელში რომ გადამიყვანეს მაშინ გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“ და ქართულის მასწავლებლადაც მოგვევლინა პოლიევქტო კვიცარიძე, ეს უებრო პედაგოგი, ბოლოს „სწორმეტყველების“ ავტორი, რომელმაც დაუვიწყრად შეგვაყვარა როგორც თავისი თავი, ისე ის საგანი, რომელსაც გვასწავლიდა. მე-III კლასში ვიყავ, როცა ჩვენს სასწავლებელში უკვე მარტვილიდან დაბა ახალ-სენაკში გადატანილში, სასწავლებლის ზედა-მხედვის თანაშემწედ გაამწესეს ვასილ ბარნოვი, გვიანრეულ ჩვენი სწორუპოვარი ბელეტრისტი. სასწავლებელში შეიღის წლის განმავლობაში, სწავლის მიმზიდველობისა და გემოსი თუ რამ განვიცადეთ მო-  
14. თედო სახოკიასაძე მიძღვნილი კრებული

წაფეებმა, ეს იყო სამი მასწავლებლის — პ. კვიციანიძისა, ვასილ ბარნოვისა და ამბროსი ხელაშვილის წყალობით. ან თუ მასწავლებლები მგლებად ან საფრთხობელებადა გვყავდა წარმოდგენილი, ეს სამი კაცი ზრულებით გვაიწყლებდა ამ გრძნობას და გვიტკობდა იმ ტანჯვას, რომელსაც მაშინ „სწავლას“ ეძახდნენ და რომელიც გვიზობდა ყოველგვარს ადამიანურს სახიერებასა<sup>2</sup> და გონებას, გვაძულებდა საერთოდ სწავლას, გვაძულებდა სასწავლებელს, საცა ყველა საგანს რუსულის საშუალებით გვასწავლიდნენ, ე. ი. უცნობი უცნობის საშუალებით შეგვეთვისებინა და რადგან რუსული იმდენად არ ვიცოდით (და აღარც შეიძლებოდა გეცოდნოდა), სხვა გზა აღარ გვქონდა, ყველაფერს ვზებობდით და ისე გავდიოდით ფონს.

ასეთი გახლდათ პირობები ცოდნის შეძენისა ანუ გონებრივი განვითარება ამ სასწავლებლის შემყურე მოზარდ თაობისა.

თქვენ ისა ბრძანეთ, როგორი იყო პირობები, ამავე ბავშვების ფიზიკური არსებობისა.

მოწაფეთა უმრავლესობა ტანჩაუტმელები და, თავი და თავი, მშვირები ვიყავით. გვშიოდა დღეში 24 საათის განმავლობაში: გვშიოდა კლასში, გვშიოდა ბინებზე, გვშიოდა ძილში, გვშიოდა ღვიძილში. საკმლით გაძლომა გვეღირსებოდა მხოლოდ მაშინ, როცა საშობაოდ, სააღდგომოდ და საზაფხულო არდადეგებზე შინ წამოგვიყვანდნენ ან და შემოდგომაზე ჩვენ-ჩვენი მამები ქორწილებში მოგროვილ ხორცსა ან ნაკურთხი ტაბლების სანოვაგეს ჩამოგვიტანდნენ მარტვილში. ისიც თითოეულს ჩვენგანს ერთს დღეს თუ გვეღირსებოდა გაძლომა, რადგან ჩამოტანილ სურსათის შექმაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც ჩვენი, შიმშილისაგან დანდალა გამოლოეული, ამხანაგი „ღიაკენები“<sup>3</sup> ისე მასპინძლის<sup>4</sup> ოჯახის წევრები, რომლებიც ჩვენზე ნაკლებ კი არ იყვნენ დამშეულები. ასე რომ გადაჭარბებული სრულებით არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მომავალ სულიერ მამათა ორგანიზმი განიცდიდა ქრონიკულს შიმშილს იმ შეიდი წლის განმავლობაში: რაც სასწავლებელში ვიყავით, გვშიოდა და საკმელს ვეძებდით დღესა და ჟამსა ყოველსა.

<sup>2</sup> სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში ყოფნის და შიგ სწავლების ამბავი ვრცელადაა აღწერილი ჩემს „წარსული ან“-ში, რომელიც ინახება ლიტერატურული მუზეუმის არქივში.

<sup>3</sup> მარტვილის სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთ „ღიაკენებს“ გვეძახდნენ, რადგან სასწავლებლის გათავებისას მღვდლობი, ხარისხის მიღება ყოველს ექვს გარეშე იყო.

<sup>4</sup> გლეხებს, ვის სახლებშიაც „ღიაკენები“ პანსიონერებად ვიდევით, მასპინძელს (მაინძელი) ეძახდით შავირდები.

რაკი ბუნება თავისას თხოულობდა და მუცელი ვალალას გვაყრიდა, მეტი გზა არა გვქონდა, მივმართავდით ქურდობას. ვქურდობდით გაზაფხულზე გლეხების ხილს, შემოდგომაზე — ჭყლინტ სიმინდსა და ყურძენს, ვქურდობდით ქათამს, ინდაურს, გოჭს, ვქურდობდით დიდი, პატარა, ვქურდობდით მასპინძლისას, ვქურდობდით სხვებისას. ქურდობას იმდენი მომხრე და მიმდევარი ჰყავდა, რომ ბოლოსა და ბოლოს სირცხვილად, აუგად არ ითვლებოდა. პირიქით მარჯვე, მოხერხებული ქურდ დიაკვანს, გარდა ამისა, რომ სხვებთან შედარებით, კარგად ცხოვრობდა, მოწაფეთა თვალში ერთგვარი პატივისცემა და რიდი ჰქონდა. თვითონ სიტყვა „დიაკვანი“ ქურდობის სინონიმად იყო გადაქცეული.

1883/4 სამოსწავლო წელს შვილის წლის წვალების შემდეგ მეორე მოწაფედ დავასრულე სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში სწავლა. ვემზადებოდი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შესასვლელად, მაგრამ წლოვანებამ ხელი შემიშალა. ჩემს გიმნაზიაში შესვლაზე მამაჩემს თუმცა უარი არ უთქვამს, მაგრამ რაკი ეს არ მოხერხდა, საიმისოდ არა სწყენია, რადგან გზა ტფილისის სასულიერო სემინარიისკენა მქონდა. სასულიერო მთავრობისაგან იმ წელიწადს გამოსულ ბრძანების თანახმად, სასულიერო სასწავლებელი ვისაც პირველი ხარისხით ექნებოდა გათავებული, სემინარიის პირველ კლასში ღებულობდნენ. ამიტომ ქუთაისიდან, სადაც მამამ გიმნაზიაში შესაყვანად ჩამიყვანა, გამოვესწიეთ ტფილისში.

#### IV

სემინარიაში რექტორად დაგვიხვდა ამ თანამდებობაზე ამ ერთს წელს წინათ დანიშნული დეკანოზი პავლე ჩუდეცი, 1886 წელს სემინარიის ნამოწაფარ იოსებ ლალიაშვილის მიერ სატევრით მოკლული. ყველას აღერსიანად ჩამოგვართვა ატესტატები და თან დასძინა — ახლა სემინარიის მოწაფეებად ითვლებითო. რადგან ტფილისში ხამად ვიყავით, მამამ არჩია სემინარიის ბურსაში ჩემი შეყვანა ჩვენს ხარჯზე. საქმე ის გახლავთ, რომ სასულიერო წოდების (მღვდლებისა და დიაკვნების) შვილები, ვინც ობოლი იყო მამით, სამღვდლოების ხარჯზე ღებულობდნენ სემინარიის შენობაში მოთავსებულ პანსიონში, ანუ საერთო საცხოვრებელში, რომელსაც ბურსას ეძახდნენ. ბურსაში მოწაფეს ეძლეოდა საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი, ბინა, თვეში სამი გირგან-ქა შაქარი და სახელმძღვანელო წიგნები. ამ ბურსადან დაერქვა რუსეთში ძველად სემინარიაში მოსწავლეთ ბურსაკები, ხოლო რუსეთიდან საქართველოს სემინარიაშიაც გადმოვიდა ასეთი სახელწოდება. მერე

ვადატანითად, ხატოვანად უქვიოდათ ყველა უხემ, ტლანქ, ნატიფ ქცევაზე მწყრალად მყოფ მოწაფისათვის. მართლაც, მაშინდელი სემინარიელები ყველანი სოფლელები იყვნენ—გაუთლებლები, მოუხეშავნი როგორც ქცევასა. ისე ლაპარაკში და აშკარად განირჩეოდნენ ამ მხრით გიმნაზიებში მოსწავლეთაგან. თქვენ მაგათი მარტო გრძელი, შავი მაულის საზამთრო გვაბანაკები ბრძანეთ, მოწაფეებს შავს ყორხებს რომ ამსგავსებდა... ასე რომ ყველასაგან ყბადასალები, დასაცინი და საჭირდავნი სემინარიელები იყვნენ.

სასწავლო წლის პირველი ნახევარი ისე გავიდა, რომ თვინიერ გაკვეთილების სწავლისა სხვა საზრუნავი, სხვა საფიქრებელი, ან აზროვნების გამაღვიძებელი ჩვენთვის არ არსებობდა. პროვინციიდან ჩამოსვლისას მქონდა სარწმუნოება, უფროსების, განსაკუთრებით, მასწავლებელთა, პატივისცემა და რიდი, შეგნება მთავრობის მოქმედების წამებისა უკრიტოკოდ. ერთის სიტყვით 14—15 წლის ყმაწვილი ვიყავ ისეთი, როგორც უნდა ყოფილიყო ყველა იმდროინდელი მოქალაქე დიდის რუსეთის იმპერიისა და ამ იმპერიის იმპერატორ ალექსანდრე მე-III-ის ერთგული ქვეშევრდომი...

იმავე წლის მეორე ნახევრიდან კი სემინარიის ზღუდეთა შორის ცხოვრებამ გამომათხოვა და ხელი ამაღებინა ყოველსავე მასზე, რაც შანამდე მწამდა და რაც ურყვევლ ჭეშმარიტებად მიმაჩნდა. ძირიანფესვიანად შემირყია მსოფლმხედველობა, ახალ გზაზე დამაყენა, ზურგი მაქცევინა ყოველსავე ძველებურისათვის.

რა პირობებში და ვისი მეშვეობით მოხდა ყოველივე ესა?

ტფილისში ქუთაისის გუბერნიიდან იმერეთის (ქუთაისიდან), გურიის (ოზურგეთის) და სამეგრელოს (ახალსენაკის) სასულიერო სასწავლებლებიდან ჩამოსულ მოწაფეებთან შედარებით ქართლ-კახეთის (თელავის, გორის, ტფილისის) სასწავლებლებიდან ჩამოსულები შავგვრემანები იყვნენ და საშინელებად გვეჩვენებოდნენ. და კარგმა ხანმა განვლო, სანამ ამხანაგებს ასე თუ ისე თვალს შევაჩვევდით. განსაკუთრებით ირჩეოდა თავის სიშავით შიო დედაბრიშვილი ანუ დედაბეროვი<sup>5</sup>, შებდეგში ჩვენი ბელეტრისტი შიო არაგვისპირელი, ძალზე შავი, ლოყებაკვერილი, ჩემზე, მაგალითად, საფთხურის შთაბეჭდილებასა სტოვებდა... პირველში გაუტრბოდი კიდევცა. წარმოვიდგენდი კია, რომ ეს ადაშინანი — ჩუმი, გულჩათხრობილი, ერთთავად განმარტოებული, სულ მოკლე ხანში ჩემ მეგობრად — და მერე როგორ მეგობრად — გახდებოდა?! მე პირველ კლასში ვიყავ, ის კი—მეორეში. ორივე სემინარიის

<sup>5</sup> ქართლ-კახეთის სასწავლებლებიდან ჩამოსულ შავირდებს შვილი-ზე დაბოლოებულნი გვარები ყველას რუსული დაბოლოება 08-ებად ჰქონდა გადაკეთებული.

ბურსაში ვიმყოფებოდით: მე, როგორც ზევითა ვთქვი, — ჩემის ხარჯითა და შიო კი — სამღვდლოებისათი.

შიო დედაბრიშვილი ამხანაგთა შორის ყველაზე მეტად ჰკერძავდა იოსებ (სოსო) ლალიაშვილსა. შემდეგში, როგორც ვთქვით, სემინარიის რექტორ დეკანოზ პავლე ჩუდეცკის მკვლელს. შიოს საშუალებით გავიცან და დავუახლოვდი სოსოსაც (იოსებ ლალიაშვილს). ამ უკანასკნელთან დამაახლოვა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ჩამოსული ვიყავ სამეგრელოდან, რომლის მკვიდრად სანახევროდ თავის თავსა სთელიდა იოსებ ლალიაშვილი, რადგან მამამისს, რომელიც ახალგაზრდობაში მასწავლებლად ყოფილა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, იქვე ოჯახს მოჰკიდებოდა და ცოლად შეერთო ბანძელ დანელიას ქალიწ. მერე მღვდლადაც კურთხეულა.

შიო დედაბრიშვილიცა და იოსებ ლალიაშვილიცა, როგორც სემინარიისაში ჩემზე ერთი წლით ადრე შესულები და უკვე გაცნობილები „ახალ მიმართულებას“, ჩემს გასაცნობად ამ მიმართულებასთან მძლევდნენ „აკრძალულ წიგნებს“, უმთავრესად იმდროინდელ მოწინავე ჯრების მატარებელ რუსულ ყოველთვიურ ჟურნალებს — „Современник“-სა და „Отечественные записки“-ს და ქართულ ჟურნალებს: ჯრებულს ნიკ. ნიკოლაძისას და მიხ. გურგენიძის „იმედს“. ეს იყო მომზადება ჩემი და ჩემის ამხანაგებისა შემდეგს წელს სემინარიისთან არსებულ თვითგანვითარების წრეებში მონაწილეობის მისაღებად.

აღდგომის კვირაა. ბურსაში მყოფი სემინარიელები მეტწილად თავიანთ სახლებში არიან წასულნი. შიგ დარჩენილან, ვისაც ან სახლი ან დედა-მამა არ გააჩნია, როგორც იყო, მაგალითად, სოსო, ან სამგზავრო ფული არ აბადია. ასე იყო თუ ისე, შიომ, სოსომ და მათთან მეც, აღდგომის „ბედნიერ“ დღეებში ბურსაში დარჩენილებმა, გადავწყვიტეთ სემინარიის ბურსისათვის დილიდან საღამომდის თავი მოგვერიდებინა და ბუნების წიაღზე სუფთა ჰაერი გვესუნთქა. სასეირნო ადგილად არჩეულიყო ის გორაკი, დღევანდელ ღრმა-ღელეს თავს რომ დასცქერის და სადაც მაშინ მეცხვარეებს ფარეხები ჰქონდათ. საგზლად წამოვიღეთ პური და ორ-ორი სააღდგომოდ წითლად შეღებილი კვერცხი. იმედი გვქონდა, წყალს ალაგობრივვე ვიშოვიდით.

რკინიგზის სადგურს გავცდით თუ არა, დაიწყო უხვედრი და უდაბური ადგილები. ახლანდელი ძალისუბანისა (ნაძალადევისა) მაშინ

---

\* იოსებ ლალიაშვილის ბიძა (დედით), მღვდელი კირლე დანელია ამ რამდენსამე წელს წინათ გარდაიცვალა სოფ. ბანძაში.

? სოციალისტობას სემინარიისაში „ახალ მიმართულებას“ ვეძახდით.

(1885 წ.) ნასახიც არ იყო. მივდივართ თავისუფლად, ლაღად, გვიხარის, რომ მერაბას \* მზირი თვალები არა გვზვერავენ. მისი ჯაშუშები კულში არა გვდევნენ. შიოს ლაპარაკი საერთოდ ემძიმებოდა, თითოეული სიტყვა ჭაპანწყვეტით ამოსდიოდა ხოლმე პირიდან. ასე იყო ახალგაზრდობაში, ასევე დარჩა სიკვდილამდე. ასე რომ ჩემი „დამოძღვრა“, ჩემი



თ. სახოკია 1892 წ.

„მქადაგებლობა“ თავთ იდო სოსო ლაღიაშვილმა. ჯერ დამიხატა სემინარიის მთავრობა და საპედაგოგო პერსონალი, ეს ადამიანის სახით მოვლენილი ჯალათები მოწაფეთა სატანჯველად, უსულგულო მასწავლებლები, რომლებიც მოწაფეებს ისე უყურებდნენ, როგორც მგლე-

\* მერაბა — მეტი სახელი იყო სემინარიის ინსპექტორის იაკობ სტეფანეს ძის სტეფანოვისა.



ბი ცხვრებს, დაუსრულებელი ლოცვა-ვედრება სემინარიის ეკლესიაში, გულის გამაწვრილებელი, ყოველისავე სასოების წამრთმევი, მერე დამიხასიათა ამაზე ზემდგომი მთავრობა, რომელიც სემინარიის მთავრობის ხელში ჰყრიდა ამდენ ახალგაზრდობის ბედ-იღბალსა... შიო სოსოს ნათქვამში შიგადაშიგ ჩაურთავდა თითო-ოროლა სიტყვას, კორექტივის ხასიათისა...

გაზაფხულის თბილი მზის სხივები უსაზღვროდ გვეალერსებოდა, ეს ჩემთვის ახალი და ჩემის სიცოცხლის გაზაფხულის სიტყვები ახალსა და ახალს ჰპორიზონტებსა შლიდა ჩემს წინაშე, გულს საამოდ მიტოვებდა... ჩვენის ცხოვრების უსამართლობასთან ბრძოლისათვის მამზადებდა ახალ მებრძოლს, „ახალის მიმართულების“ ჭეშმარიტებითა უღენთავდა ჩემს ნორჩს არსებას. წარმომიდგა, ვითომ ახლა ამეხილა აქამდე დახუჭული თვალები, ყოველისავე ნათელისა და პროგრესულის გასაგონად დახშულ ყურებს ახლა მოშორდა საცო, ფათურით მოსიარულე ახლა გამოვდივარ გაკვერილ, ნათლით გაკვერილ გზაზედამეთქი...

წავადექით წყაროსაც. მის პირას მოვიკალათეთ და მუცელს ბოძი შევეუყენეთ ბურსიდან წამოღებულ მწირის, მაგრამ მაქარზე უტკბილესად მოჩვენებულ სანოვაგითა... ერთს საათს კიდევ ვგორაობდით ხავერდისებურ მწვანეზე და საათის ორზე ისევ უკან დავეშვით.

ამ ექსკურსიამ ჩაუყარა მკვიდრი საძიკველი იოსებ ლალიაშვილთან და, განსაკუთრებით, შიო დედაბრიშვილთან ჩემს დაახლოებას, რომელიც, ბოლოსა და ბოლოს, გადაიქცა მტკიცე, ურყვევლ, სამარის კარამდე გაყოლილ მეგობრობად და ძმურ, დაუვიწყარ სიყვარულად.

## V

სასწავლო წლის გასულისათვის უკვე მომზადებულად ვითვლე--ბოდით „ახალი მიმართულების“ მოძღვრების სხვადასხვა დარგების შესათვისებლად. მასხოვს, ერთ დღეს, როგორ ჩავვიდგა შუაში პირველი კლასის მოწაფეთ მეექვსე კლასის მოწაფე ალექსანდრე ქორდანი და დაგვიწყო „თვალების ახელინება“. სხვადასხვა სარწმუნოებრივი კითხვების შესახებ აზარტში შესულმა მქადაგებელმა ჩვენი წარმოდგენა ქრისტიანთა, ღვთის მშობელსა, სხვადასხვა წმინდანებზე ერთის მოსმით გაგვიბათილა, დაცინეთ, მასხარად აგდებით იმ საგნებისა, რაც აქამომდე შეუხებლად, ჩვენის გონებისათვის მიუწვდომელად მიგვაჩნდა. პირველი შთაბეჭდილება, უნდა აღვიარო, მეტად მძიმე იყო. თუ არადა, ავტორიტეტი მე-VI კლასის მოწაფისა მეტად დიდი იყო, რომ ვინ-

მე ჩვენთაგანი გაკადნიერებულიყო და გაებედნა პირში შებმა, შეკამათება, ექვის შეტანა მისს ნათქვამში. ასე იყო თუ ისე, პირველი ყუმბარა გასკდა, შეანგრია კედლები ჩვენის მსოფლმხედველობის შენობისა და გამოგვიწვია ჩვენის აზროვნების ასამუშავებლად, კრიტიკულად შევხებოდით ყველაფერს, რაც აქამდე ურყეველ ჭეშმარიტებადა გვწამდა, ყოველ კრიტიკის და ექვს გარეშე მდგრად მიგვაჩნდა.

მეორე კლასში რომ გადაველ, ბურსას თავი დავანებე და ამხანაგებთან ერთად კერძო ბინაზე დავიწყე ცხოვრება. უკვე თვითგანვითარების და „ახალ მიმართულების“ უფრო საფუძვლიანად შესათვისებელ წრეში ვარ, რომელსაც ხელმძღვანელობს მეოთხე კლასის მოწაფე ივ. ბარნაბიშვილი. გავიცანი ალ. ჭაბადარი (შემდეგში წიგნების გამომცემის „ქართველთა ამხანაგობის“ გამგე და გამომცემელი ეურნალ „მომამისა“), რომელსაც პეტროვთან ერთად გოლოვინის (აწინდელ რუსთაველის) პროსპექტზე, იქ, სადაც დღეს კავშირგაბმულობის სამმართველოა, კერძო ბიბლიოთეკა ჰქონდა და ქირით იძლეოდნენ სემინარიელთათვის აკრძალულ წიგნებს (პისარევის, დობროლუბოვის, ჩერნიშევსკის და სხვათა ნაწერებს). გავიცანი ზაქარია ჭიჭინაძეც, რომელიც მაშინ, თავის დედასთან ერთად, მთაწმინდაზე ცხოვრობდა, ჭავჭავაძის ქუჩის თავში. ზაქარია „აკრძალული“ წიგნების პატრონად ითვლებოდა და სემინარიელი ვინც მიდიოდა იმასთან, სანათხოვროდ აძლევდა ამ წიგნებს. ერთის სიტყვით, შემეძლო მეთქვა — უკვე ვეზიარე სოციალისტობას, კარგ გზას დავადექი და ახლა ჩემს სიმარჯვეზე იქმნება დამოკიდებული მალე ამოხვლა იმ ჭაობიდან, რომელშიაც ჩაფლულია ჩემ დროს სემინარიელთა უმეტესობა-მეთქი.

სემინარიაში დროდადრო ერთი მოსიარულე ფოტოგრაფი შემოდიოდა, მოჰქონდა სემინარიელთათვის აკრძალულად მიჩნეულ მწერლების სურათები და მოწაფეთა შორის ჩუმადა ჰყიდდა. დიდი გასავალი ჰქონდა დარვინის, ინგლისის ცივილიზაციის ისტორიის ავტორის — ბოკლის, პრუდონის, ლასალის, დობროლუბოვის და სხვათა სურათებს. ეს სურათები შევიძინე და საშობაოდ მამასთან რომ წამოვედი სოხუმში, თან წამოვიღე. მამის ოთახში მთავარი ადგილი ეჭირა ერთ დიდ ღვთიმშობლის ვერცხლის ხატს, ამას იქით-აქეთ გვერდებზე შემორიგებული ჰქონდა სხვადასხვა წმიდანების სურათები, პატარ-პატარა ჩარჩოებში ჩასმულები. მე უფრო საფერად და ბუნებრივად დავსახე ამ ჩარჩოებიდან მამიჩემის შინარყოფნაში წმინდანების სურათები ამომეღო და მათს მაგიერ ტფილისიდან ჩამოტანილი „სოციალისტების“ სურათები ჩამესო. ასეც მოვიქეცი. ჩარჩოები თავთავის ალაგას დავტოვევი, მთავარი ხატის გვერდზე.

ადვილად წარმოსადგენია მამიჩემის განცვიფრება, როცა შინ მოსულმა ხატს იქით-აქეთ ჩარჩობიდან თავისი წმიდანები ამოღებულები დაინახა და მათს ალაგას სხვები დაუხვდა ჩასმულები, რომელთაც წმიდანებთან ძაან ცოტა მსგავსება ჰქონდათ. მკითხა: ეგ ვინ ჩაგისვამსო? — ნასწავლი ხალხის სურათებია-მეთქი. გაჩუმდა. ახლა მიკვირს, თავი როგორ შეიკავა, თავისი გულისწყრომა როგორ არ გამოხატა უფრო ენერგიულის ექსტით! ზევიდან ჩვენის სახლის მდგმურის ცოლი ჩამოიყვანა, რომელსაც რაიმე სერიოზული მდგომარეობის დროს ყოველთვის მიმართავდა რჩევის საკითხავად... ჩამოსულს მეზობელს ელდა ეცა, როცა დაინახა წმიდანების ალაგას — ჯვარი აქაურობას! „ვიღებებიც“ ჩასმული... მერე ამის ჩამდენი ვინ იყო? ვინა და, მღვდლის შვილი, სემინარიის მოსწავლე, მომავალი მღვდელი!.. დაასკვნეს, რომ ჩემს თავს კარგი რაღაც არ იყო, ეს სულ „სიცილისტების“, ხელმწიფის მოღალატეების, სულწაწყმენდილების მანქანებაა, ღმერთო, შენ დაგვიფარე ეშმაკისაგანო!... მირჩიეს, წმიდანების სურათები მევე თავის წინანდელ ალაგას ჩამესვა. ბედი ჩემი, რომ არ დამიხვევია და არა გადამიყრია. გულწრფელად მეგონა, კარგსა ვშვრებოდი, ოთახს ვამშვენებდი დიდებულ ადამიანთა სახეებითა — ისიც ღვთის მშობლის ხატს გვერდით, მღვდლის სამლოცველო ოთახში!... წმინდანები თავ-თავის ალაგს დავაბინავე, ჩემი „სოციალისტები“ კიდენ შევინახე.

შედარებით, ადვილად შემრჩა ეს ჩემი პირველი „სოციალისტური“ გამოსვლა...

ნანათლილებევს შინიდან დაბრუნებული ბინაზე დავდექი მიხაკსაკაიასთან, რომელიც მაშინ მეექვსე კლასში იყო, და, ის იყო, ბურსიდან დაეთხოვნათ დასასაჯელად არა კეთილსამიედობისათვის“. ჩვენი ბინა წარმოადგენდა ერთს ოთახს ეგრეთწოდებულ ნომრებისას, რომელიც ეჭირა ვინმე ვანო ადამიას, საპიორთა ქუჩის დასაწყისის ჩიხში, თითქმის ბარიატინსკის ქუჩის კუთხეში. ოთახსა და ჭამა-სმამში ვანოსათვის უნდა თითოეულს თვეში გვეძლია თითო თუმანი, მე მამა თვეში 12 მანეთს მიგზავნიდა, ხოლო მიხას მამა (მღვდელი), მართალია, ჯერ ისევ ცოცხალი იყო, მაგრამ უკიდურესი ღარიბი, იმდენად ღარიბი და უქონელი, რომ შვილისათვის არასდროს რა გამოუგზავნიდა.

მიხას ბინაზე დაუდიოდა სემინარიელები და ყველას თემებს აძლევდა სხვადასხვა კითხვების შესახებ რეფერატების დასაწერად და მერე ფარულ წრეებში წასაკითხავად. სხვათა შორის, თემები ასეთი იყო: „Влияние Добролюбова на русскую молодежь“, „Писарев — как мыслитель“ და სხვ. ეს რეფერატები რუსულად იწერებოდა. არ

გვეგონა, თუ ქართულადაც შეიძლებოდა მსჯელობა სოციალიზმზე... მაშინ გატაცებული ვიყავით რობერტ ოუენის კოოპერაციით, სმაილის „თვითმოქმედებით“, კომუნიზმით, კომუნიზმური ცხოვრებით... მეც გულწრფელად მიმაჩნდა ჩემი თავი კომუნისტად, განსაკუთრებით, როცა ისეთი უებრო მასწავლებელი და ხელმძღვანელი მყავდა ამ მოძღვრებისა, როგორადაც მიგვაჩნდა ყველას მიხა ცხაკაია.

## VI

სემინარიაში სოციალისტური მოძრაობა თანდათან იზრდება. ამ მოძრაობას აღვივებენ უფრო დაბალი კლასების მოწაფენი. მაღალ კლასების და, განსაკუთრებით, მეექვსის მოწაფენი თითქო განზედა დგანანო, თავს უფრთხილდებოდნენ, სემინარიის გათავებისა და ცხოვრებაში უხიფათოდ გამოსვლის მოლოდინში. იოსებ ლალიაშვილს ინსპექტორმა უბოვნა „დღიური“, რომელშიაც დაგმობილი იყო სემინარიის ბატონ-პატრონნი, მათი მტრული განწყობილება მოწაფეებთან, ზათს მიერ დამყარებული სასტიკი რეჟიმი სემინარიაში ცხოვრებისა. დღიურშივე ჩამოწერილი იყო სია იოსების საყვარელი ამხანაგებისა. აღნიშნული იყო მათი უმწეო მდგომარეობა სემინარიაში გამეფებული წესების წყალობით... ამ დღიურის აღმოჩენას მოჰყვა დღიურის ავტორის ი. ლალიაშვილის გამორიცხვა სასწავლებლიდან, ხოლო მისი ამხანაგების დატოვება სემინარიის პანსიონის გარეშე.

ჯერ ისევ მიხა ცხაკაიას „კომუნაში“ ყოფნის დროს დაათვალიერა სემინარიის ინსპექტორმა ჩემი ბინა, ლეიბქევეშ დამალული პფეიფერის „კოოპერაცია“ აღმოაჩინა. ამაზე ააგო ჩემი „არაკეთილსაიმედობის“ ბრალდება და მირჩია ჩემის ნებით გავსულიყავ სემინარიიდან, თუ მინდოდა მოწმობაში 5 გამომყოლოდა ყოფაქცევაში. თუ არა და, სემინარიის მმართველობა ჩემუნებურად დამითხოვდა და ყოფაქცევაშიაც „4“-ს გამომყოლებდა ნიშნად, რაც საშუალებას წამართმევდა სხვა სასწავლებელში შევსულიყავ სადმე. ჩათრევას ჩაყოლა ვარჩიე და საუკუნოდ გამოვეთხოვე სემინარიის ამხანაგებსა და ამ სემინარიის კედლებსა.

ადვილი წარმოსადგენია მამიჩემის მდგომარეობა, როცა სააღდგომოდ მიუველ, უკვე „თავისუფალი“, სემინარის გარეშე მყოფი, ანაფორის შემოსვაზე სამუდამოდ ხელადებული... მამაჩემი შესრულებული ფაქტის წინაშე დავაყენე და ისიც, ძალაუნებურად, შეურიგდა თავის მდგომარეობას. საქმე ის იყო, სად და რა ხასიათის სასწავ-

ლებელი მეძებნა ცოდნის შესაძენად, რომ ცხოვრებაში გარიყული არ დავრჩენილიყავ და მამის გულიც დამემშვიდებინა.

იმ დროს „ახალი მიმართულების“ მიმდევართა, „მოსოციალისტეთა“ თვალში დიდი მოწონება ჰქონდა აგრონომიას, საკუთარის ოფლით, ფიზიკურის მუშაობით თავის რჩენას, უშუალოდ გლესთან, აჰ ყველასგან გაქეჟილ, ყველას მიერ აბუჩად ავდებულ არსების გვერდით ამოდგომას, მისი შრომის გაზიარებას, მისს ნუგეშისცემას...

ამ გაჭირვების დროს მრჩეველად, გზაზედ დამაყენებლად სოხუმში გამომიჩნდა ანთიმოზ ჯუღელი, ძველი „სოციალისტი“, მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე, ურომლოდ არავითარი პროგრესიული საქმე კეთდებოდა სოხუმში და რომელიც პატრონსა და ინტელიგენციას მოკლებულ ქართველობას სოხუმისას ნამდვილ პატრონობას უწევდა. მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და მისი ნათქვამი მამიჩემისთვის კანონი იყო. ავიღეთ, დავიღეთ და ბოლოს გადაწყდა ჩემი გამგზავრება საზღვარგარეთ და ჩემთვის სააგრონომიო ცოდნის მიღებინება.

## VII

მამამ სამგზავრო ფული მომიგროვა, გზა დამილოცა და მეც გავუდეჟი ევროპის გზას. პირველად თავი ამოვყავ შვეიცარიის ქალაქ ენენევაში, სადაც დამხვდა იჟ ახლად ჩასული ივანე მაჭავარიანი, შემდეგში ჩვენი მწერალი და ცნობილი მთარგმნელი ფრანგ მწერალთა ნაწერებისა. იმის რჩევით ჯერ თავისუფალ ქვეყნის თავისუფალ ქალაქში დავრჩი. მოვემზადე ფრანგულ ენაში და შემოდგომაზე იქაურ უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ნაწილზე შევედი. პროფესორთა შორის ვუსმენდი გამოჩენილ ანტროპოლოგ და ბუნებისმეტყველ კარლ ფოხტის<sup>9</sup> ზოოლოგიის, გეოლოგიისა და შედარებით ანატომიისა და გამოჩენილისავე ქიმიკოს გრებეს ლექციებს.

სამწუხაროდ, ცოტახანს შევრჩი იქაურობას: 1887 წლის მარტში მამის სიკვდილმა იძულებულმყო მანდაურობისათვის თავი დამენებებინა, დავბრუნებულყავ სახლში, გამომეძებნა ნივთიერი საშუალება და ისევ დავბრუნებოდი შვეიცარიას. ეს მოვახერხე, მხოლოდ შვეიცარიიდან პარიზში ჩავედი და სორბონში (უნივერსიტეტში) საისტო-


<sup>9</sup> კარლ ფოხტის სახელი ისევე, როგორც ჰოლანდიელ ბუნებისმეტყველ და მატერიალიზმის მოძღვრების მქადაგებელ მოლემოტისა, ჯერ ისევ სემინარიაში მქონდა გავონილი. მათის ნაწერების კითხვა აკრძალული იყო და სოციალისტობად ითვლებოდა.

რიო ნაწილზე შევედი, რადგან ამ დარგზე სწავლის ფულის გადახდა არა მჭიროდა. სამწუხაროდ და სავალალოდ ჩემდა, ველარც პარიზს შეერჩი დიდხანს და 1889 წლის დასაწყისში დავბრუნდი სამშობლოში.

ერთ წელიწადს სოფლის მასწავლებლად მოვეყევი ქართლის სოფელში. თუმცა ქართულს ენას ძალიან ვეტანებოდი და მეგონა, სხვა ენებთან შედარებით, ეს ენა, ასე თუ ისე, ვიცო-მეთქი, მაგრამ ქართლში ყოფნამ და ქართულების ლაპარაკმა დამარწმუნა, რომ დიდი და დიდი მუშაობა მჭიროდა ამ ენის შესათვისებლად, რომ არ შემრცხვენოდა საზოგადოებაში ჩემის ქართულის ცოდნით თავის გამოჩენა. პირდაპირ აღმაფრთოვანა ჩვენის ხალხის ზეპირსიტყვეობამ, ამ მრავალფეროვანმა და ამოუწურავმა ზღვამ ხალხის სიბრძნისამ... აქვე ჩაეყარა საძირკველი ჩემს მიერ ქართულ ხატოვან თქმების სალექსიკონო მასალათა და ანდაზათა შეკრების საქმეს. ქართულ მეტყველების მასალათა შეკრებისა და ერთად თავის მოყრისათვის ზრუნვა გადამექცა კულტად, ჩემის სიცოცხლის მიზნად. ამ ათის წელს წინათ შეეკუდექი ჩემის ახალგაზრდობის დროის ნაღვაწის დალაგებას წესრიგზე, დასაბეჭდად დამზადებას. და თავის ქებაში არ ჩამომერთმევა, თუ ვიტყოდი, რომ იმედი მაქვს, როცა გამოქვეყნდება, მომავალი თაობა არ დაიშურებს ლოცვა-კურთხევით მომიხსენიოს-მეთქი.

ქართლში მასწავლებლობის შემდეგ, 1890—1894 წლებში, ვმსახურობდი საარსებო პურის მოსაპოვებლად: ბორჯომში დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მამულში მეტყვევის თანაშემწის თანამდებობაზე, „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობაში“, ზესტაფონში ცნობილი შავიქვის მრეწველ ნიკ. ლოლობერიძის მრეწველობაში უცხოეთთან კორისპონტენტად, ბოლოს, 1894 წ. ეგრეთწოდებულ „ფილოქსერის პარტიაში“, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იკვლევდა ვენახებს და, როცა სადმე ვაზებზე საშინელ მავნებელ მწერს — ფილოქსერას აღმოაჩენდა, ასეთს ვენახებს ცეცხლის საშუალებით ძირიან-ფესვიანადა სპობდა.

1891 წელს ქალაქ ვარშავაში იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველებმა შეადგინეს წესდება „საქართველოს განთავისუფლების (რუსთ ხელმწიფის ხელიდან) ლიგისა“. ამ ლიგის დამაარსებელნი ვარშავაში შეიპყრეს 1894 წელს. დაპატიმრებულთა შორის იყო ჩემი მეგობარი შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი), სავეტერინარო ინსტიტუტის მე-IV კურსის სტუდენტი. შიოსთან მიწერ-მოწერა მქონდა. სხვათა შორის, შიო ამ ლიგის შესახებაცა მწერდა და მთხოვდა ნაცნობ-მეგობრებისათვის გამეცნო წესდების მუხლები, საერთოდ, პოპულარული გამეხადა ლიგის იდეა და მეზრუნა მის თანა-



თ. სანოკია თავის შვილიშვილთან შუქრი აფრიდონიძესთან ერთად

მგრძობთა გამრავლებისათვის. შიოს ინსტიტუტის დამთავრებას ორი გამოცდა- და უკლდა, ისე შეიპყრეს, ჟანდარმერიამ წაიღო მთელი ჩემი წერილები და ისინიც, სადაც ხსენებულ ლიგის შესახებ იყო ლაპარაკი. რადგან ლიგის წესდების შემდგენელნი ქართველები იყვნენ და მათის საქმის შესახებ დოკუმენტებიც ქართულად იყო დაწერილი, მთელი საქმე ვარშავიდან ქუთაისში გადმოუგზავნეს წინათ ვარშავაში ნამსახურს და აწ ქუთაისის საგუბერნიო საჟანდარმო მმართველობის უფროსს, პოდპოლკოვნიკ დე-ბილს. როცა ქართული დოკუმენტები რუსულად უთარგმნიათ, ჩემი გვარიც წამოტივტივებულა, და 1894 წლის ენკენისთვის 20 მეც შემოაპყრეს ტფილისში და მეორე დღეს ქუთაისში ჩამიყვანეს. ქუთაისის ციხეში სამი თვე მამყოფეს. აქვე იყვნენ ჩამოყვანილნი: ნიკო მელიქიშვილი, ანტონ გელაზარიშვილი, შიო დედაბრიშვილი. გამოიძიეს საქმე და ბოლოს თავდებით გამოგვიშვეს ყველანი. თვით საქმე მოსასპობად წარადგინეს, რადგან ლიგისა მხოლოდ წესდება იყო შედგენილი და ამ წესდების განხორციელებისათვის საჭირო მუშაობის დაწყება ჯერ ვერ მოესწროთ.

## VIII

1895 წლის დასაწყისიდან საქართველოში მთა-ბარობას თავი დავანებებ და ბინა დავიდევნი ტფილისში. ამა თუ იმ „სამსახურს“ აღარ გამოვდგომივარ და გადავწყვიტე სალიტერატურო მუშაობით თუ წიგნების გამოცემით გავსულიყავი ცხოვრების ფონს. 1896 წ. როცა განსვენებულ ჯალერიან გუნიას „ცნობის ფურცელმა“ იწყო გამოსვლა, მოწვეულ ვიქმენ ამ გაზეთის თანამშრომლად. ამ გაზეთში მუშაობის დროს დამებადა აზრად შემოვლა ჩვენი ქვეყნის განაპირა ადგილებისა და ყოველმხრივი, განსაკუთრებით. ეთნოგრაფიული, აღწერა მათი იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა მოკლე ხნის სტუმრებულისა და სამგზავროდ მეტად მოკრძალებულის თანხის პატრონისათვის. ამ ხანებში მოვასწარი გამგზავრება სამურზაყანოში და ამ მოგზაურობის აღწერა და დაბეჭდვა ჟურნალ „მოამბეში“. სამურზაყანოს მიჰყვა მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ამ ორის მხარის აღწერა ჟურნალში იბეჭდებოდა 1897 წლიდან 1910 წლის დასასრულამდე. 1898 წლის ზაფხულს ვიმგზავრე რაჭაში. დიდძალი მასალა შევკრიბე ამ მხარის ასაწერად. მაგრამ ამ მოგზაურობის აწერის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა, რადგან როცა მოგზაურობა დავასრულე და უკან ვბრუნდებოდი, ნიკორწმინდაში შემოსვლისას აღმოვაჩინე, რომ ჩემი



რვეული, რომელშიაც შემქონდა ყოველგვარი ცნობა თუ შთაბეჭდილება, რომლებიც ჩემს მომავალ წერილებს საფუძვლად უნდა დასდებოდა, საუბედუროდ, როგორაც დამკარგვოდა. ბევრი ვეცადე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩანაწერების აღდგენა ვერ მოვახერხე. მართალი უნდა ვთქვა, რომ ძალიან დამწყდა გული, რადგან მეტად საინტერესო მასალა ჰქონდა დაგროვილი.

აქვე უნდა მოვიხსენიო, რომ 1889 წლის ზაფხულს ხარკოვიდან საექსკურსიოდ ჩამოსულ ბუნებისმეტყველ სტუდენტებთან ერთად ვიმგზავრე აფხაზეთის მთებზე. ამ მოგზაურობის აღწერის რვეული სხვა წიგნებთან ერთად ერთ ნაცნობისათვის მიბარებული, 1906 წელს დაიკარგა. მოგზაურობის რვეულს როგორაც სასწაულებრივ თავი ამოუყვია საქართველოს მუზეუმში და ეს ამბავი 1936 წელს მაცნობა პატივცემულმა გიორგი ნათაძემ, რომელსაც მაშინ მუზეუმის არქივი ებარა. ვერაფერი გამოიკვია, ვისგან, როდის და როგორ შეიძინა მუზეუმმა ეს ხელნაწერი. და დღესაც შიგ ინახება.

ამ ხანებშივე იბეჭდებოდა ჩემი უმთავრესი თარგმანები. ვცდილობდი ქართულად მეთარგმნა ისეთი წიგნები, რომლებიც ქართველ მკითხველს დაანახებდა თავისს პოლიტიკურად დამონებულ მდგომარეობას, მთელს სიმძიმესა და გაუსაძლისობას ამ მდგომარეობისას და დაუბადებდა კირთებისაგან თავის დაღწევის ძეხნისა და კისრიდან მონობის უღლის გადაგდების აზრს. ასეთი წიგნები იყო: ცნობილ პოლონელ მწერალ-პატრიოტის ეჟის (მილკოვსკის) „განთიადი“, ივანოვიჩის „მებრძოლნი და წამებულნი ბულგარეთის თავისუფლებისათვის“. ბულგარეთის ცნობილ რომანისტის ივანე ვაზოვის „დამონებულნი“. ეს წიგნები ჯერ „მოამბეში“ დაიბეჭდა და მერე ცალკეც გამოეუშვი. სამსავეში აწერილია ბულგარეთის ხალხის დამონავება ოსმალეთის მიერ და ამ ქვეყნის შეგნებული და მოწინავე შვილების თავგანწირული და უანგარო ბრძოლა ოსმალ-მტარვალების წინააღმდეგ. ამ წიგნების კითხვას თავის დროზე დიდი აღმზრდელობითი, გამათვითცნობიერებელი და ეროვნული შეგნების გამაღვიძებელი გავლენა ჰქონდა ქართველ მკითხველზე, რასაც, რა თქმა უნდა, დიდ და ზნეობრივად დამაკმაყოფილებელ სასყიდლადა ვთვლიდი ჩემთვის.

1898—1900 წლები სოხუმში გავატარე. ეს წლები ჩემს სიცოცხლეში ითვლება იმ ხანად, როცა მართლაც რომ ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად, თავი სრულებით არ მეზოგებოდა და მთელი ახალგაზრდულის აღფრთოვანებით და თავდავიწყებით ვებრძოდი რუსის იმპერიალიზმის მიერ ჩვენის ქვეყნისა და ქართველ ხალხის გამარჯვებელ პოლიტიკის გატარების საქმეს.

სოხუმში იმ დროს მეგრელობა და საერთოდ ქართველობა შეადგენდა ამ ქალაქის მცხოვრებლების 80%. ქალაქის უძრავი ქონების პატრონები ქართველები იყვნენ. ვაჭრობის ტონის მიმცემნიც მეგრელები იყვნენ. სამაგიეროდ ადმინისტრაციაში, სულმდაბალ მოსამსახურიდან მოკიდებული, ოლქის უფროსამდე სულ უფიც, ტლანქ, მექრთამე რუსის მოხელეებსა (ჩინოვნეიკებსა) ნახავდით. სასულიერო უწყებაც რუსებისაგან შესდგებოდა. ეპისკოპოსი რუსი იყო, გარშემოც რუსის მღვდლები ეხვია. მთლად სოხუმის ოლქში მეგრელობა მცხოვრებთა 80% შეადგენდა.

საუკეთესო და უებარ საშუალებად ამა თუ იმ ერის გადაგვარებისა, ეროვნული სახის წართმევისა ითვლებოდა სკოლა. და აჰა, საქართველოს ამ განაპირას მცხოვრებთა გარუსების მისიონერები როგორც სახორციელო, ისე სასულიერო უწყებისანი ხსნიან სკოლებს მეგრელებისათვის იმ ანგარიშით, რომ ამ სკოლებში მოსწავლეთ არ გაიგონ, რომ ისინი ქართველები არიან, რომ სკოლაში, საცა ძსინი სწავლობენ, საგნების სასწავლო ენა უნდა იყოს ქართული, ხოლო რუსული უნდა ისწავლებოდეს როგორც საგანი, როგორც სახელმწიფო ენა. სასულიერო უწყების მეთაურსაც (ეპისკოპოსს) არამცთუ სკოლებიდან ჰქონდა განდევნილი ქართული ენა, არამედ ცდილობდა ეკლესიებიდანაც განედევნა. ყოველსავე შემთხვევაში, სოხუმის საკრებულო ტაძარში სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოსს სრულებით ბუნებრივად და კანონიერად მიაჩნდა სლავურის უცოდინარ ქართველობისათვის მის გასაგებ სამშობლო ქართულ ენაზე არ მოესმენინებინა წირვა-ლოცვა. ამ უმსგავსო და აღსაშფოთებელი ფაქტის წინააღმდეგ არა ერთისა და ორის წერილის დაბეჭდვა დამჭირდა თავად უხტომსკის გაზეთ „С—Петербургския ведомости—“-ში. ჩემს წერილებს მხარს უჭერდა და სოხუმის ოლქის მორწმუნე ქართველობის სასარგებლოდ ამხელდა სოხუმის ეპისკოპოსის თავხედობას რუსეთში გავლენიანი პირი, ცნობილი ქომაგი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა ნიკ. დურნოვო. მაგრამ ჩვენი ხმა რჩებოდა ხმად მლაღადებლისა უდაბნოს შინა, და დაჩაგრულნი მკვიდრნი გულზე მოწოლილ ბოდმასა და ბრახს, ასეთ უხუმის უსამართლობით გამოწვეულს, გულშივე იკლავდნენ.

მთელს ოლქში მეგრელებს ეძახდნენ „ტუზემეცებს“. მათის აზრით „ტუზემეცი“ ბუნების შეცდომით იყო გაჩენილიო, იძახდნენ: „ტუზემეცს“ არც წარსული აქვს, არც აწმყო და აღარც მომავალი ექნებაო, ტუზემეცი უნიჭოა, გამოთაყვანებული. დაბალი ლობეა. და ყველას შეუძლია ზედ გადაალაჯოს, სუფრაზე არამცთუ ბოლოს მოისვას, არამედ სულაც გააგდოს ამ სუფრიდანაო. ერთხელ ჩემის თვალითა

ვნახე, როგორ ერეკებოდა სოხუმის ბულვარიდან ამ ბულვარში შეცდომით შემოსულ ჩოხიან და ყაბალახიან მეგრელს რუსი დარაჯი ამ ბულვარისა. ეს საქციელი დარაჯისა გარეშე მყოფრებელ მაშინდელ სოხუმელ რუსებს სრულებით კანონიერად და საფერად მიაჩნდათ და დარაჯს აქეზებდნენ — ყოჩაღ! კვლავაც ასე მოიქეციო!...

## IX

1899 წლამდე სოხუმში ქალაქის მეურნეობა და პატრონობა პოლიციმეისტერის ხელში იყო. მთელს ოუსეთის იმპერიაში მარტო სოხუმში იყო დარჩენილი რუს მწერალ გოგოლის დროის სახელი პოლიციმეისტერისა — გოროდნიჩი. მხოლოდ 1899 წ. გაუქმდა გოროდნიჩობა და გაიმეტა კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ სოხუმისთვის თვითმმართველობის შემოღება. შედგენილ იქმნა სია ხმოსნების ამომრჩეველთა. კარგმა ხანმა განვლო, სანამ ეს ამომრჩეველთა სია დაპტკიცდებოდა. ამას მოჰყვა ხმოსნების არჩევნები. ესენიც აირჩიეს. 33 ხმოსანში ქართველი იყო 26 კაცი, დანარჩენი რუსი და ბერძენი. ეს სიაც დაამტკიცა ქუთაისის გუბერნატორმა. ახლა მთავარი საქმე გახლდათ: ქალაქის თავად არჩეულიყო ადამიანი ნასწავლი, საქმის მკოდნე და პატიოსნების მხრივ უყვედრელი. რამდენსამე კაცს, რომელნიც ვხელმძღვანელობდით საქალაქო არჩევნებს, გადაწყვეტილი გვქონდა ასეთი კაცი მოგვეძებნა ქართველთა შორის, და რაკი სოხუმში არა გვყავდა შესაფერი კანდიდატი, საქართველოს სხვა ადგილიდან მოგვეყვანა ღირსეული კაცი. კითხვის-კითხვით და ამ საგნის შესახებ ყველა ჩვენს საზოგადო მოღვაწეებთან (პროფესორი ვ. პეტრიაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, იაკ. გოგებაშვილი, პროფ. ალ. ხახანაშვილი, გრ. ვოლსკი) მიწერ-მოწერის შემდეგ ქართველ ამომრჩეველთა მიერ წამოყენებულ იქმნა ცნობილი საზოგადო მოღვაწის და მწერლის ალექსანდრე სარაჯიშვილის კანდიდატურა. ხოლო რუსებმა წამოაყენეს კანდიდატურა ვინმე ბერენსისა, რუსეთში რომელიღაც ერობის უფროსად ნამყოფისა, როგორც ამბობდნენ, საერობო თანხების გაფლანგვისათვის იქიდან ლტოლვილისა და სოხუმში თავშეფარებულისა. როცა ორმავე კანდიდატმა ყუთი დაიდგეს, რა თქმა უნდა, დიდის ხმის უმეტესობით ქალაქის თავად არჩეულ იქმნა განსვენებული ალექსანდრე სარაჯიშვილი, ხოლო რუს ხმოსნების კანდიდატი ბერენსი დიდის ხმის უმეტესობით გაშავებულ იქმნა. რუს ხმოსნებში ერივნენ მოსკოველი პროფესორი ოსტროუმოვი, სამსახურიდან გამოსული გენერალი ლომაკინი, რომელნიც თავიანთის მდგომარეობით დიდ შთა-

ბეჭდილებასა სტოვებდნენ უმეტეს წილად ვაჭრებისაგან შემდგარ ქართველ ხმოსნებზე და მათ შორის ერთგვარ პანიკასა ჰქმნიდნენ. რუს ხმოსნებმა, ოსტროუმოვისა და გენერალ ლომაკინის მეთაურობით და მათისავე ხელმოწერით, ათასგვარი დაბეზღების ქაღალდები გაუგზავნეს გუბერნატორს, რომელზედაც საქალაქო დებულების ძალით. დამოკიდებული იყო ხმოსნების მიერ არჩეულის კანდიდატის ალ. სარაჯიშვილის დამტკიცება თუ დაუმტკიცებლობა, და თანაც სოხოვდნენ არჩევნები არ დაემტკიცებინა. გუბერნატორს ბევრი ხვეწნა არ დასჭირებია, ეს არჩევნები არ დაემტკიცებინა, მიუხედავად ყოველგვარ უპირატესობისა, როგორცა ჰქონდა ქართველების მიერ ქალაქის თავად არჩეულს ალ. სარაჯიშვილს.

დანიშნულ იქმნა ახალი არჩევნები. ქალაქის თავის ადგილზე წამოყენებულ იქმნა კანდიდატურა განჯის საოლქო სასამართლოს წევრის ვასილ აბულაძისა, განათლებით იურისტისა და რუსის სამსახურში დიდად დაწინაურებულის ადამიანისა. ქართველი ხმოსნები ყველანი შეთანხმდნენ მის ასარჩევად და აირჩიეს კიდეცა. მაგრამ ქუთაისის გუბერნატორს მეორე არჩევნების რეზულტატი რომ წარუდგინეს დასამტკიცებლად, აღარც ვ. აბულაძის დამტკიცება სცნო საჭიროდ.

საქალაქო დებულების თანახმად, როცა ორს არჩევანს არ ამტკიცებდა გუბერნატორი, მესამეჯერ არჩევანი არა ხდებოდა და ქალაქის თავად თვითონა ჰნიშნავდა, ვინც უნდოდა. ხმოსნები ყველაფერს ვიფიქრებდით, მაგრამ იმას-კი ვერ წარმოვიდგენდით, რომ გუბერნატორი ჩაიდენდა ისეთს საქმეს, როგორც არსად მომხდარა მთელს რუსეთში მას აქეთ, რაც მის ქალაქებში საქალაქო დებულება იქმნა შემოღებული: დაგვინიშნავდა ქალაქის თავად ისეთს კაცს, რომელიც პირველ არჩევნებზე ასე დემონსტრატიულად გააშავეს, საჯაროდ უნდობლობა გამოუტყხადეს და ლაფდასხმული გაუშვეს... ბერენსის ალაგას სხვა, ოდნავაც არი, თავმოყვარე ადამიანი არამცთუ არ იყისრებდა სოხუმელების ქალაქის თაობას, არამედ სრულიადაც და სამუდამოდ გაეცლებოდა სოხუმს და გადაიკარგებოდა ისეთ ადგილას, სადაც მისი მცნობი არავინ იქნებოდა. ეს ვაჟბატონი კი თანახმა გახდა ქალაქის თაობისა, ხოლო სოხუმში ქართველობას შერჩა გუბერნატორის მიერ ასე უბოლიშოდ ნათავაზევი წიხლი...

ასეთი უხეში ქცევა ადმინისტრაციისა იმით იყო საყურადღებო, რომ თვალი აეხილა თვით ბრმასაც-კი და დაანახვა რუსის ადმინისტრაციის მთელი საზიზღარი ბუნება და აქამდე თუ ვინმე ერთგული დარჩენოდა, ისიც — კი გაუორგულა. და აბა სწორედ ამასა ვსცდილობდით ამ არჩევნების სათავეში მდგომნი და მისნი ხელმძღვანელ-

ნი! იქ, სადაც მცხოვრებთა 100% რუსთ ხელმწიფის მლოცავთა და მაქებელთაგან შესდგებოდა, იქ, სადაც სწამდათ, რომ. რაც ქონება და სიმდიდრე შეგვიძენია, სულ ხელმწიფის ბრძნული და სამართლიანი კანონების წყალობააო, რუსი და არარუსი ამ კანონების წინაშე სწორია, ერთსაც და მეორესაც მისი წყალობის კალთა ერთნაირად ეფინებაო, — დღეს ასეთებსაც ეჭვი შეუვიდათ ამ რწმენის სისწორეში: არა, ჩვენ, ქართველები, უკანონო შვილები ვართ, კანონიერ შვილებთან, რუსებთან, არადასადარებელნი, კანონს გარეშე მდგარი, სამართალს მოკლებულნიო..

ღიალაც რომ ტყბილი იყო ეს ნაყოფი ჩემის გარჯისა, ღიალაც რომ მეამტკბილებოდა, რომ ჩემიანების გამოდგომისათვის შრომამ და თავგამოდებამ ფუტყად არ ჩამიარა, რომ ჩავავონე, თქვენთვის უანგაროთა, მსურს სიკეთემეთქი..

ამას შემდეგ გადავწყვიტე ცოტა დამესვენებინა, ცოტა ხნით შემიჩერებინა ჩემი მუშაობა ჩვენის სამშობლოს ამ კუთხის რუსიფიკატორთა წინააღმდეგ, მით უფრო, რომ გამოჩნდნენ თორო-ოროლა განმგძობნი ჩემს მიერ დაწყებულ საქმისა. გადავწყვიტე აგრეთვე დაებრუნებოდი საფრანგეთის დედაქალაქს და ათიოდე წელს წინათ დაწყებული საქმე უმაღლეს სწავლის მიღებისსა განმეგრძო და დამემთავრებინა.

## X

და აჰა, 1900 წლის ზაფხულში ჩამოვდივარ ტფილისში, „ცნობის ფურცლისა“ და ჟურნალ „მოამბის“ რედაქციას, მაშინ „ქართველთა ამხანაგობის“ ხელში გადასულს, თვეში სამის თუმნის გამოგზავნის პირობას ვართმევ, სამაგიეროდ ვპირდები უცხოეთიდან თანამშრომლობას; თვეში ამდენისავე თანხის გამოგზავნას მპირდებოდა ეპასკოპოსი, დაბოლოს სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი კირიონი. 1900 წლის მკათათვეში მივდივარ პირდაპირ პარიზში, სადაც მომელოდა მსოფლიო გამოფენის ნახვაცა, რამაც ასეთი წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემში და ასე რელიეფურად წარმომიდგინა თვალწინ ის კოლოსალური სასწაულებრივი და განსაცუფრებელი პროგრესი, რომლისათვის კოლოსალურისავე გარჯის და შეუწყვეტელის რუღუნების წყალობით მიუღწევია ადამიანის გონებას ყველა. დარგში მთელის სამყაროს თანამედროვე კაცობრიობას.

იმავთავითვე ძალიან მაინტერესებდა ყოველ ორგანულ არსის და უმთავრესად, ადამიანის წარმოშობის ისტორია, მისი პირველყოფი-

ლი მდგომარეობა და კულტურა, თანდათან, ტატით მავალი პროგრესი, ვიდრე დღევანდელ მდგომარეობამდე მოაღწევდა. ჩემი გული მიიწვედა კერძოდ ეთნოგრაფიისაკენ, რომელიც, დაბოლოს, ჩემს სალიტერატურო მუშაობაში, ჩემს სპეციალობად უნდა გამეხადნა.

და ამა, 1900 წლის ზაფხულში ჩამოსული პარიზში, მსოფლიო გამოფენის დათვალეირების შემდეგ, შემოდგომაზე შევდივარ პარიზის საანთროპოლოგიო საზოგადოებასთან არსებულ ცნობილ ანთროპოლოგ ბროკას მიერ დაარსებულ საანთროპოლოგიო უმაღლეს სკოლაში, სადაც პროფესორებად იყვნენ მაშინდელი ისეთი მნათობნი საანთროპოლოგიო მეცნიერებათა, როგორებადაც ითვლებოდნენ: შარლ

ლეტურნო, ანდრე ლეფევერო, ლ. მანუფერიე, ლაბორდი და სხვ. ჩემის სიცოცხლის საუკეთესო, უტკბესი დრო იყო ის ოთხი წელიწადი, ამ ადამიანთა მიერ ჩვენთა სულ უძველეს წინაპართა, ნახევრად ადამიანთა და ნახევრად მაიმუნთა, ყოფა-ცხოვრების თვალწინ დაყენების, ცხოვლად წარმოდგენის მოსმენაში, დღეს ყოველს მათს ნათქვამს კაცი პირდაპირ ჰყლაპავ, დაყმენდილ ადამიანივით, ოდეს ხედავ, თუ რამდენს ათასსა და ათიათას წელს გაუვლია ჩვენის წინაპრის ტატით ლიარულში, ტატით ქეშმარიტების ძიებაში ურთიერთ ცხოვრების კანონების, ზნეობის ამა თუ იმ პირველყოფილი სახის პრინციპების შემუშავებაში, სანამ დღევანდელ ადამიანს დაემსგავსებოდა, მისის ცოდნითა და გონებრივის ავლა-დიდებით შეიმოსებოდა...

საანთროპოლოგიო სკოლაში სწავლის დროს მოვახერხე საანთროპოლოგიო საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე 1903 წელს წამეკითხა ჩვენის ხალხის სახალხო მკურნალობის ერთ-ერთი სახის — „ბატონე-ზი“ (ყვავილი) და მისი მოვლა-აღწერა. ადვილი წარმოსადგენია, რა რიგ ველავდი, რომ გავკადნიერდი და ცხრამთას იქიდან მოსული ქართველი გამოვედი და ასეთ მეცნიერთა წინაშე ქართველების შესახებ ჩამოვუგდე ლაპარაკი. მოხსენება დიდის ყურადღებით და ფრანგულის თავაზიანობით მომისმინეს, მერე საზოგადოებამ პატივი მცა და ერთ-ერთ თავის სხდომაზე საზღვარგარეთელ წევრ-კორესპოდენტად ანირჩია. ხოლო ხსენებული მოხსენება ცალკე იქმნა გამოშვებული.

ამ ხანებშივე იქაურ სახალხო საზეპირისიტყვაო ჟურნალში დავბეჭდე ქართული ანდაზები, მერე ცალკე დაბეჭდილი. და ამნაირად ერთგვარი მოკრძალებული წვლილი შევიტანე ფრანგთა მიერ ჩვენის ხალხის გონებრივის მდგომარეობის გაცნობის საქმეში.

„ცნობის ფურცელისა“ და „მოამბეს“ რედაქციები დაპირებულს საგზალს მიგზავნიდნენ, სამგავროდ მეც პირნათლად ვასრულებდი

ჩემს დაპირებას, თვეში ოთხჯერ ვუგზავნიდი თითო ფელეტონს და ვაცნობდი ქართველ მკითხველს საფრანგეთის პოლიტიკურსა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ღირსშესანიშნავ ამბავს. ან საქართველოს შესახებ ვინმე თუ რასმე იტყოდა ევროპაში, ჩემს წმიდა მოვალეობად მიმაჩნდა ქართველ მკითხველისათვის გამეზიარებინა.

ევროპის ქვეყნები თითქმის ყველა მოვიარე. საფრანგეთის გარდა ვყოფილვარ ინგლისსა, შვეიცარიასა, ბელგიასა. იტალიაში. ყველაზე მეტი შთაბეჭდილება ჩემზე იტალიამ დასტოვა თვისის ჩამორჩენილობით, რა თქმა უნდა, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, და, ამასთან, გასაოცარის მსგავსებით ჩვენს ქვეყანასთან როგორც ბუნებით, ისე ეკონომიურის ყოფითა და მკვიდრთა ზნე-ჩვეულებით.

იტალია პირველად ვინახულე 1901 წლის ზაფხულში. ჩვენმა საეკლესიო ისტორიკოსმა, განსვენებულმა კათოლიკე მღვდელმა მამა მიქელ თამარაშვილმა მიმიწვია რომში, რომ მივშველებოდი მისი ნაწერების დასაბეჭდად დამზადებაში. მ. თამარაშვილის საქმეს რომ მოვრჩი, გადავსწყვიტე შემოდგომამდე, ე. ი. პარიზში სწავლის განახლებამდე, ორი თვე გამეტარებინა იტალიის ისეთ მხარეში, სადაც ყველაზე წმინდათ ლაპარაკობდნენ იტალიურსა, აქ ენაც მესწავლა და დროც სოფლის წმინდა პაერზე გამეტარებინა. ასეთ ადგილად ავირჩიე ტოსკანაში, ფლორენციის ახლო, სახელდობრ ძველებურ ქალაქ პისტოიას მეზობელი სოფელი კაპოსტრადა. ისე შემეყვარა აქაურობა და თვით ხალხმაც, ვისთანაც ურთიერთობა მქონდა, ისე შემეყვარა თავი და იმდენი მსგავსება აღმოაჩნდა ჩვენებურ ხალხთან, რომ შემდეგის წლების თვეებსაც აქეთკენ ვატარებდი და თან მათს უებრო მშვენიერების მუსიკალურ ენასაც ვსწავლობდი.

## X I

საქართველოდან პარიზში ჩასულს დამხვდა არჩილ ჯორჯაძე, რომელსაც პირველ გიმნაზიაში მოსწავლეს ვიცნობდი და გიმნაზიის გათავების შემდეგ თვალთაგან დამეკარგა. ყოფილა პეტერბურგში, ყოფილა ვარშავაში, ბოლოს, პარიზში ჩამოსულა. მაშინდელი მისი პოლიტიკური მიმართულება მერყევი იყო, ერთს გარკვეულ რასმე გზაზე ვერ შემდგარიყო. თითქო კოსმოპოლიტობდაო. ყოველსავე შემთხვევაში, ეროვნულს მსოფლმხედველობას გაუტრბოდა, ჩამორჩენილობად მიაჩნია ეროვნული იდეის გაზიარება, მისგან განზე იდგა. შორს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აზრი გაეზიარებინა. ეექვებოდა ქართველს ერს დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება შესძლებოდა. ერთი პირობა ლევ ტოლსტოის მოძღვრებას, იმ დროის

რუს არისტოკრატიის გასატაცებელ და მოღურ მოძღვრებას, ესეც გაეტაცებინა და ტოლსტოველ ჩერტკოვთან, მაშინ რუსეთიდან ლონდონში გაღმობიხნულთან, ურთიერთობა ჰქონდა.

და აჰა. სწორედ ეს არჩილ ჯორჯაძე ერთს დღეს მთხოვდა მის მიერ გაზეთ „ცნობის ფურცლისათვის“ რუსულად დაწერილი (რამდენადაც მახსოვს, ეროვნულ კითხვაზე) ქართულად მეთარგმნა ტფილისში გასაგზავნად. მითხრა: აზრადა მაქვს ამ წერილს მივაყოლო მთელი რიგი წერილებისა და შენ უნდა მიშველო მაგათს გაქართულებაში, რადგან ქართული თითქმის დავიწყებული მაქვსო. საქართველოში დაბრუნება მინდა, მაგრამ სანამ აქედან წავიდოდე, მინდა რამდენიმე წერილი გავგზავნო და დავბეჭდო წინასწარ, რომ ჩემი თავი გავაცნო ქართველ მკითხველსაო... გამეხარდა არჩილ ჯორჯაძის, ქართველთათვის ამ ზურგშექცეულ ადამიანის, როგორადაც ის მაშინ მიგვაჩნდა, მეტამორფოზი. დიდის სიამოვნებით შევესრულე თხოვნა მხოლოდ რუსულად დაწერილი და ქართულად სათარგმნი წერილი ორივე ერთად ვთარგმნეთ. ამნაირად მოვექცეთ მეორე წერილსაც, სანამ თერთონვე არ ვაიძულე პირდაპირ ქართულად დაეწერა რაც დასაწერი ჰქონდა და მერე მის თანდასწრებით მისი ნაწერი მე შემესწორებინა. ქართულად წერის ტექნიკა რამდენჯერმე ასე ვასწავლე და მერე ისე გაიწვრთნა. რომ მის ქართულს შედარებით ნაკლებ შალაშინი სკირდებოდა

არჩ. ჯორჯაძის წერილები „ცნობის ფურცელში“ --- რა თქმა უნდა, სიამოვნებით იბეჭდებოდა და მოკლე ხანში ავტორი ამ წერილებისათვის გამოემგზავრა სამშობლოში და აქტიურად ჩაება მომავალ „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის“ ორგანიზაციის საქმეში.

1902 წელს „საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიის“ ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან ერთად გადაწყდა ამ პარტიის არალეგალურ ორგანოს „საქართველოს“ ბეჭდვა. ამ გადაწყვეტილების შემსრულებლად პარტიამ ტფილისიდან გამოგზავნა გიორგი დეკანოზიშვილი და არჩილ ჯორჯაძე: პირველი როგორც ტექნიკური მომწყობი გაზეთის გამოცემისა, ხოლო მეორე — როგორც რედაქტორი და ხელმძღვანელი სარედაქციო საქმეებისა. ამავე საქმისათვის, სრულიად ბუნებრივად და მექანიკურად, მეც შევეუერთი მესამედ ერთს ცნობილს ასოთჩამომსხმელს შევეუკვეთეთ ჩვენის მომავალ ორგანოსათვის ქართული შრიფტის ჩამოსხმა. იმანაც დაგვიმზადა შრიფტი, რომელიც, გარეგნულ სილამაზეს გარდა, არსებულ შრიფტებისაგან დიდად განირჩეოდა ხვავიანობით და ჩამტეობით. ამ შრიფტს შემდეგში სახელად



დაერქვა „პარიზის“ შრიფტი ისევე როგორც საქართველოს ცნობილ მესტამბე სტეფანე მელიქიშვილის მიერ 1870-იან წლებში ვენაში ჩამოსხმულ შრიფტს ერქვა „ვენური“ და იხმარებოდა ჩვენში სულ უკანასკნელ ხანამდე.

პირველი № „საქართველოსი“ და მის პარალელურად ფრანგული „La Géorgie“ გამოვიდა 1903 წლის აპრილში. იმავე წლის მაისში მე დროებით მომიხდა სამშობლოში დაბრუნება და იმავე გემით, რომლითაც გამოვედი მარსელიდან, მოგვექონდა ერთის ამ გემზე მოსამსახურე მეზღვაურის საშუალებით გაზეთის (ფრანგულ-ქართულის) პირველი № საქართველოში გასაფრცელებლად. მაგრამ ბათომში მეზღვაური შედრკა, ვერ მოახერხა ნაპირად გატანა ჩაბარებული გაზეთი ისევე უკან წაიღო მარსელში. ასე რომ ტფილისში უნდა დასჯერებულყენენ იმ რამდენსამე №-ს, რაც ჯიბით წამოვიღვეით მე და ჩემმა თანამგზავრმა ფრანგებმა.

შემდეგი № „საქართველოსი“ მარსელიდანვე ფრანგული გემით გამოგზავნილი, სრულებით უხიფათოდ და უკლებლივ ჩავიბარე გემზე. ვეახლე ერთ ლამაზ და ახალგაზრდა ქალს ელპიდა მიმინოშვილს და ნავთსადგურში, ნაპირის მახლობლად მდგარ გემზე ავედი. ვითომ და ამ გემის დასათვალისწინებლად, ასვლისთანავე ქალს გარს შემოეხვიენენ კაპიტანი და მისნი თანაშემწენი, მე მეტუფეტეს სასმელი მოვატანინე მათს გასამასპინძლებლად. ფრანგები ისე გაიტაცენ ქალის. სილამაზით, რომ ისიც-კი დაავიწყდათ, რომ ქალს კავალრად მე ვახლდი. ამით ვისარგებლე, რაღაც მოვიმიზეზე, ქალი ხელში ჩავატოვე და წავედი მოსაძებნელად გემის იმ მოსამსახურისა, რომლისათვის გ. დეკანოზიშვილს მარსელიდან გამოეტანებინა „საქართველოს“ №№ და სხვა პარტიული გამოცემანი. ხელად ვიპოვე, ვისაც ვეძებდი. ყველაფერი უბესა და პერანგის ამხანაგში შემოვილაგე სხეულზე და, რამდენადაც შეიძლებოდა, დამშვიდებულის სახით ამოვედი გემის ერდოზე. სადაც ჩემი „დამა“ მუნჯურად (იმან ფრანგული არ იცოდა და ზოლო ფრანგებმა კიდენ რუსული და მით უფრო ქართული) ელაპარაკებოდა სელების საშუალებით თავისს თანამოსაუბრეთ. ფრანგებს მადლობა გადაუხზადე პატივისცემისათვის, გამოვეთხოვე და ნაპირას ზღვაში შეკეთებულ ხილზე ისე გამოვიარე ჩემს „დამასთან“ ხელი-ხელს გაყრილმა, რომ ჩემთვის ზედაც არ შემოუხედნიათ საბაჟოს მოხელეებს, — ისე გაიტაცა ახალგაზრდა ქალის სილამაზემ ყველანი.

ეს პირველი ეშმაკობა იყო ჩემი. მომავალ 1905 წლის რევოლუციასთან დაკავშირებით ჩადენილი, დღისით-მზისით, ყველას თვალწინ. მერე ესდენის კადნიერებით!.. ისე შემრჩა, რომ ბუზიც არ ამფრენია! ეს სახსენებელი არ არის იმასთან შედარებით, რის ჩადენაც შემდეგში.

მარგუნა რევოლუციამ, მაგრამ ამაზე მერე. ახლა კი ვიტყვი, რომ ასეთს სარისკო საქმეში მთავარს როლს თამაშობს თურმე სითამამე, პირდაპირ მიტანა იერიშისა. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩაცმულობასაც არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც პარიზიდან ახლად ჩამოსული, სხვებში ვერჩეოდი სამოსელით, რაც „კეთილსაიმედო“ ადამიანის სახეს მაძლევდა.

ამ ხანებში სოხუმის შავრაზმელმა რუსებმა<sup>10</sup> და საოლქო ადმინისტრაციამ პირდაპირ მოიტანეს იერიში იმ თითო-ოროლა ქართველზე, რომელიც აქა-იქ კივიციებდა სოხუმის ოლქში სხვადასხვა კუთხეს. თვალში ამოდებულთა შორის, რა თქმა უნდა, მეც ვიყავ. სოხუმიდან კავკასიის უმაღლეს მთავრობას წარმოდგინეს მთელი სია იმ პირთა, რომლებიც, „ადგილობრივ ადმინისტრაციას ხელს ვუშლიდით ამ ოლქის მცხოვრებთა გარუსების საქმეში“ და რომლებიც, ოლქის ადმინისტრაციის აზრით, უნდა გადავესახლებინეთ სამშობლოდან რუსეთის შიდა გუბერნიებში ხუთის წლით თითოეული. ჩემს გარდა გადასასახლებლად წარმოდგენილნი იყვნენ: ანთიმოზ ჭულელი, სპირიდონ ნორაკიძე, ივანე გეგია, ფარნა დავითაია, ივანე ბურჭულაძე. ჩვენი გადასახლება უკვე დაედგინათ მეფის ნაცვლის კანცელარიაში, მხოლოდ თვით დადგენილება ჯერ არ მიეღოთ სოხუმში. რა თქმა უნდა, ლოდინი არ შეიძლებოდა და თავისთვის უნდა მეშველნა. პარიზში მაინც უნდა დავბრუნებულყავ. მხოლოდ ახლა უფრო დამეჩქარებინა ჩემი წასვლა. ამისთვის საჭირო იყო საზღვარგარეთის პასპორტის აღება. მისი აღება კიდევ შეიძლებოდა რომელსამე საგუბერნიო ქალაქში. მაგ. ქუთაისში ან ნოვოროსიისკში. ხოლო სოხუმში პოლიციას უნდა მოეცა კეთილსაიმედობის მოწმობა. პოლიცემისტერად მაშინ სოხუმში იყო მიხ. ლაკერბაია, ადამიანი ღვთისპირისაგან შეჩვენებული. რა თქმა უნდა, ასეთი მოწმობის მოცემაზე უარი სთქვა. მაშინ გადავწყვიტე პირველის გემით წავსულიყავ ნოვოროსიისკში, იქ მომეხერხებინა პასპორტის აღება და გავმგზავრებულყავ პარიზში. სოხუმელებმა, რომლებიც გულწრფელად სწუხდნენ ჩემს ამბავს, სურდათ ყოველგვარის საშუალებით დამხმარებოდნენ და სამშვიდობოს გავეყვანეთ, ბათომიდან გემის მოსვლამდე, ერთის საათით აღრე შეაგროვეს ჩემს საგზაოდ ორმოცდაათი თუმანი, დამილოცეს გზა. მეც ჩაჯექი გემში და ჩემს სამშობლო ქალაქს და ჩემთა თანამოქალაქეთა შორიდან სალამი მივეცი, ხოლო გულიგულში ვეუბნებოდი: მომავალ, მოახლოვებულ რევოლუციამდე-მეთქი...

<sup>10</sup> თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაშინ რუსობა სოხუმისა თითქმის უკლებლივ შავრაზმელებისაგან შესდგებოდა.

მეორე დღეს უკვე ნოვოროსიისკს მიგვაყენა გემმა, სადაც საბაჟოს უფროსად მსახურობდა პეტრე ლლონტი, მამა—ჩემის დიდის მეგობრისა, ხარლამპი ლლონტისა. პ. ლლონტს ჯერ ისევ ბათომიდან ვიცნობდი, ნოვოროსიისკში თვისის თანამდებობით გუბერნატორს შემდეგ მეორე პირად ითვლებოდა და ჩემთვის საზღვარგარეთის პასპორტის აღებიანებისათვის ორიოდ სიტყვის დახარჯვის მეტი არაფერი დასჭირდებოდა. მართლაც, რომ აუუხსენი ჩემი მდგომარეობა, სადარბაზო ბარათზე მისწერა გუბერნატორის კანცელარიაში ვისაც პასპორტების გაცემის საქმე ებარა— ამ ჩემს ნათესავს ძალიან ეჩქარება საზღვარგარეთ წასვლა და იმედი მაქვს პასპორტს მალე ააღებიანებთო. ბარათი რო ვაჩვენე მოხელეს, მეტის-მეტის თავაზიანობითა მითხრა: დაბრძანდით და ამ წუთში მოგართმევთო. განგებ საათი დავინიშნე და წუთი კი არა ნახევარი საათიც არ გასულა, რომ საზღვარგარეთის პასპორტი ხელში მეჭირა და შორიდან გულში სოხუმის პოლიცემისტერს მ. ლაქერბაიას ინიშნის ვუგებდი!...

დავბრუნდი ჩემს საყვარელ მასპინძელთან. სუფრა გაეშალათ. ჩემს გარდა ექვსი სხვა უსხდა სტუმარი სადილს, რაიცა ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა პეტრეს სტუმართმოყვარე ოჯახში. მეუღლე მისი მაკრინე თავის ქმარზე უარესად ყოფილა სტუმრებისათვის თავგადადებული. ორ საათს უკან მეორე კლასის თბილ ვაგონში ვიჯექი, რომელიც მიმიყვანდა რუსეთის საზღვრამდე. მშვიდობით გადავლახე რუსეთის და ქვეყნების საზღვრები და ნოვოროსიისკიდან გასვლის მეხუთე დღეზე უკვე საფრანგეთის დედაქალაქში ვიყავ, სადაც ვერ მომწვდებოდა სუსხი ვერც სოხუმის საოლქო ადმინისტრაციისა, ვერც ქუთაისის გუბერნატორისა და ველარც მეფის ნაცვლისა... მე-კი გადავარჩინე თავი რუსეთის შიდა გუბერნიის რომელსამე ქალაქში იძულებით ცხოვრებისაგან, მაგრამ ჩემი ამხანაგები და თანამოსაგრენი სანამ რუსეთში 1905 წ. რევოლუციის ზმა არ გაისმა, მოწყვეტილნი იყვნენ თავინათს ცოლ-შვილსა და სახლ-კარსა.

## XII

საანტროპოლოგიო სკოლაში დროებით შეჩერებული მეცადინეობა ისევ განვაახლე, „საქართველოს“ რედაქციას ახალი მასალები ჩამოვუტანე და ისევ ხალისით შევები სარედაქციო მუშაობის უღელში. ამასობაში რუსეთ-იაპონიის ომი სულ ახალსა და ახალს სანუგეშო პერსპექტივებს გადმოგვიშლის თვალწინ: გვიქადის რევოლუციის მოახლოებას, მეფის მონობის უღლის გადაგდებას კისრიდან, თავი-

სუფალ მოქალაქეებად გახდომას თავისუფალ ქვეყანაში, თავისუფლად ამოსუნთქვას...

1904 წლის მიწურულებია. რუსეთში სხვადასხვა ორგანიზაციები და საზოგადოებანი კრებებსა ჰმართავენ, სხვადასხვა დადგენილებანი და რეზოლუციები გამოაქვთ, მოითხოვენ ცხოვრების გაუმჯობესებას. მოითხოვენ ცხოვრების მახინჯ პირობების შეცვლას ადამიანურ პირობებად. უკვე თამამად და ხმამაღლა ლაპარაკობენ და ჰგმობენ არსებულ რეჟიმსა. ყოველსავე ამას ხელს უწყობს შორეულ აღმოსავლეთში იაპონელთა მიერ ქრისტესმოყვარე მხედრობის დამარცხება. ერთის სიტყვით, რუსეთის ცხოვრების ფონზე ისახება მომავალი რევოლუცია, ძალათი შეცვლა დრომოკმული წესწყობილებისა — პროგრესულ რეჟიმად, მონობისა — თავისუფლებად, იმპერიისა — დემოკრატიულ კანონებზე დამყარებულ სახელმწიფოდ, რომელსაც უნდა მოჰყვეს თავისუფლება, ძმობა, ერთობა და ურთიერთ სიყვარული, რაც სიყრმიდანვე ყველა ჩვენგანის, სოციალისტობასა და რევოლუციონერობას ზიარებულის ოცნებასა და ნატვრის საგანს შეადგენდა.

არჩილ ჯორჯაძეს ქლექმა ძალზე დაჰრია ხელი და იძულებული გახდა შეეცარიდაში გადაბარგებულყო სამკურნალოდ, „საქართველოს“ რედაქციას ჩამოშორებულია, შეიძლება ითქვას, სამუდამოდ. ალექსანდრე გაბუნიას გამოაჩნდა ნიშნები უკურნებელის სენის პარანოიასი. ასე რომ გაზეთის რედაქციაში მარტოდმარტო ვარ დარჩენილი. გ. დეკანოზიშვილი გულს მაინც არ იტეხავს, მომავლის იმედით აღფრთოვანებულია. და ეძიებს ახალ-ახალ გზებს, ახალ-ახალ საშუალებას მომავალ რევოლუციაში მისმა პატარა სამშობლომაც მიიღოს მონაწილეობა, საერთო მოძრაობაში ისიც ჩაებას, დიდს, საშვილიშვილო საქმეში იმანაც შეიტანოს თავისი მოკრძალებული წვლილი. ამ აზრით, ცდილობს კავშირი გააბას რუსეთში შემავალი ქვეყნების სარევოლუციო კომიტეტების წარმომადგენლებთან, ცდილობს დაუკავშირდეს თვით წარმომადგენელს იაპონიისას, რომელიც ხელს უწყობდა რუსეთის რეჟიმით ყველა უკმაყოფილო ელემენტს, ეხმარებოდა მატერიალურად რევოლუციისთვის მოსამზადებლად; გადაწყდა, ჟინლანდიის სარევოლუციო კომიტეტთან ერთად შეძენა იარაღისა მომავალი რევოლუციისათვის.

1905 წლის გაზაფხულზე გიორგი დეკანოზიშვილმა პარიზიდან აითქმის ყველა იქ მყოფი მოსწავლე ქართველი გამოისტუმრა სამშობლოში, ზოგს რა დაავალა და ზოგს რა. ბოლოს ჯერი ჩემზედაც მოდგა. სამშობლოში ჩამოსულს უნდა მეკისრნა საზღვარგარეთიდან წამოსული იარაღის მისაღებად დახვედრება ხალხისა და ამ იარაღის გადმოცლა შავიზღვის პირის სხვადასხვა პუნქტებში. ეს ჩემი გასაკეთებელი საქმე

ჩემთვის უნდა გაეადვილებინა იმ გარემოებასაც, რომ შავიზღვის პირის (სოსუმის) მცხოვრები ვიყავ და ამ ზღვის სანაპირო ადგილები და მკვიდრნი ჩემთვის ნაცნობნი და შინაურნი იყვნენ.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე გემის მოლოდინისა და მის მიერ წამოღებული იარაღის მისაღებად მზადების ამბავი გავუზიარე ჩემს სკოლის ამხანაგს მიხეილ ესაკიას, რომელსაც ფოთის პორტის მუშათა შორის დიდი გავლენა და სახელი ჰქონდა. და აბა სწორედ ამ პორტის მუშებსა და მენავეთ უნდა მიეღოთ ამ საქმეში უშუალო და მხურვალე მონაწილეობა: იმათის მეშვეობით უნდა გადმოტვირთულიყო საზღვარგარეთიდან მოსული იარაღი და დაპრიგებოდა ხალხს რევოლუციისთვის.

დავაარსე კომიტეტები ფოთს გარდა ბათომსა და სოსუმში. ბათომში მოეწყო გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“<sup>11</sup> სტამბაში პარტიულ არალეგალურ გამოცემათა ბეჭდვა და აქედან ხალხში გავრცელება. მოეწყო სხვადასხვა ქალაქებში საჯაროდ მიტინგებზე გამოსვლა, აშკარად, საყოველთაოდ დაგმობა არსებულ წესწყობილებისა და მოთხოვნა ამ წესწყობილების შეცვლისა.

ამასობაში, პარტიის მიერ საზღვარგარეთ (პოლანდიაში) შექმნილმა სამანძიანმა ორთქმავალმა გემმა „სირიუსმა“ საქართველოს ნაპირებს მოაყენა პარტიის მიერ შვეიცარიაში ნაყიდი თოფები. გემს მიგებებულმა სანდლებმა იარაღის ნაწილი გადმოტვირთეს შავიზღვის პირის სხვადასხვა ადგილას. გადმოტვირთული იარაღი ნაწილი მთავრობამ ჩაიგდო ხელში, სხვა ხალხს დაურიგდა.

1905 წლის „დროებითს ვალიმებას“, „ბედნიერ დღეებს“ მოჰყვა 1906 წლის შავზნელი რეაქცია, გენერალი ალიხანოვის დამსჯელი რაზმების აღვირაშვებული თარეში ჩვენის სამშობლოს დასავლეთ ნაწილში და დევნა, შეპყრობა სარევოლუციო მოძრაობაში მონაწილეთა.

ყველანი, ვისაც სად და როგორ შეეძლო, თავსა შევლოდნენ. მე პირადად იარაღის შემოტანისა თუ გადმოტვირთვის მომენტში იარაღის დაბინავების ადგილას არსადა ვყოფილვარ, არსადა ვჩანდი. მაგრამ ბრალდებისაგან მაინც ვერ განეთავისუფლდი. შემიპყრეს სოხუმში 1906 წლის თებერვალში. ციხეში მამყოფეს იმავე წლის მაისამდე. თავ-

<sup>11</sup> მაშინ ამ გაზეთის რედაქტორად იყო ალ. ნიკიტინი. წინანდელი რედაქტორი გაზეთისა შავრაზმელი პალმი, რევოლუციის მოახლოვება იგრძნო თუ არა, იძულებული გახდა იქაურობას გასცლოდა, სულ ერთია, ცოცხალს არ გაუშვებდნენ.

დებით გამოიშვეს. შემოდგომაზე ოჯახს მოეკიდე. ქალაქის თვით-  
წართველობის მდივნობა ვიკისრე. ქალაქის თავად ნ. თავდგირაძე იყო.  
სოხუმის ოლქის უფროსად—ლევან ჯანდიერი, აფხაზეთის ეპარქიის  
მღვდელმთავრად—კირიონი. ადვილი წარმოსადგენია, რუსის შავრაზ-  
მელები რა ყოფაში იქნებოდნენ... ქვეყნის დაქვევას აფიქრებდნენ.  
მაგრამ სოხუმში ყველა დაწესებულებათა სათავეში ქართველების დად-  
გომას ვერასდროს წარმოიდგენდენ!...

1907 წლის თებერვალში კვლავ შემიბყრეს. იმავე წლის ენკენის-  
ევეში ჩემი საქმე გაარჩია ტფილისიდან ჩამოსულმა ოლქის სასამართ-  
ლოს პალატის სესიამ (თავმჯდომარე: ბოგოროდსკი, წევრები: იონინი  
და ორლოვსკი. წოდებათა წარმომადგენელი: ქალაქის თავი, ნ. თავდგი-  
რიძე, ქალაქის ექიმი პ. ბარსკი, ესტონელთა სოფლის მამასახლისი).  
დამცველებად მყავდა: პეტერბურგიდან მოწვეული ნაფიცი ვექილები  
ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და ერისთავი, ტფილისიდან ფედერალისტ-  
თა პარტიის დავალებით წამოსულები: იოსებ ბარათაშვილი და გიორ-  
გი გვაზავა. გამასამართლეს. მომისაჯეს ყოველგვარი ღირსების აყრა და  
საუკუნოდ გადასახლება ციმბირის შორეულ გუბერნიაში. სანამ სენატ-  
ში განასაჩივრებდენ ჩემს საქმეს და პალატის განჩინებას განიხილავდა  
ეს სენატი, მე თავდებით გამოიშვეს.

თავდებით გამოშვებულმა პეტერბურგის ალექსანდრე III სახე-  
ლობის საეტნოგრაფიო მუზეუმის, კავკასიის მუზეუმის და „ქართველ-  
თა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მონდობი-  
ლობით მოვიარე სამეგრელო და სამისავე დაწესებულებისათვის თავი  
მოუწყარე სამეგრელოს საეტნოგრაფიო კოლექციას.

1908 წლის ენკენისთვეში მოვიდა სენატის მიერ დამტკიცება ჩე-  
მის საქმის გამო პალატის განჩინებისა, შემიბყრეს, ჯერ ქუთაისის ცი-  
ხეში გადმომიყვანეს და აქედან ამავე 1908 წლის გიორგობისთვის 20  
ეტაპით გამამგზავრეს ირკუტსკის გუბერნიაში. ირკუტსკში რომ ჩავე-  
ყვანეს, საგუბერნიო მთავრობამ ჩემს საცხოვრებელ ადგილად მიმი-  
ჩინა ვერხოლენსკის მაზრასა და ტუტურის ეოლოსტში სოფ. ჟიგა-  
ლოვო. ორ თვე-ნახევარს ირკუტსკის ციხეში ყოფნის შემდეგ 1909  
წლის მარტის 2-ს ჩამიყვანეს ჩემს სოფელში, სადაც დავრჩი აპრილის  
90-მდე. გადაწვევით აქედან ლტოლვილიყავ. მაისის 3 ჯერ ქალ. ირ-  
კუტსკში ჩამოვედი, ხოლო იქიდან რკინის გზით გამოვსწიე ჯერ სამშობ-  
ლოსკენ.

ირკუტსკიდან მეორე კლასის ვაგონით მოვდიოდი. ქალაქ სიზრა-  
ნამდე თანამგზავრებადა მყავდა რუსის ჯარის ოფიცრები. ძალზე მოვე-  
წონეთ ერთი-მეორეს. ერთმანეთს გავშორდით, როგორც დიდის ხნის  
მეგობრები და საყვარელი ძმები. გზაში არ უკითხავთ არც პროფესია,

არც საიდან მომავლობა და საითმომავლობა... იცოდნენ მხოლოდ ჩემი ქართველობა, სახელი და მამის სახელი. ერთ-ერთის მეუღლესთან. პარიზში ნამყოფთან ფრანგულადაც-კი ვბაასობდი, ქმრისდა სასიამოვნოდ.

ორი კვირის მოგზაურობის შემდეგ უვნებლად ჩამოვედი ტფილისში. მეგობრების ნახვის შემდეგ უვნებლადვე ჩავედი ბათომში. სამტრედიიდან ბათომამდე ჩემს თანამგზავრად ისევ რუსის ჯარის გენერალი შემოჰდა ჩემს კუბეში. ლაპარაკის ტემა იყო: მდიდარი, სუბტროპიკული ბუნება დასავლეთ საქართველოსი, განსაკუთრებით ბათომის მდამოსი, მომავალი საუცხოვო პერსპექტივები ამ მხარესი, როგორც ჩაის კულტურისა, ისე საერთოდ სუბტროპიკულ მცენარეთა სამშობლოში. ამ ლაპარაკის ტემამ, რომელიც, როგორც ეტყობოდა, მისთვის ესოდენ საყვარელი ყოფილიყო, ისე დაგვაახლოვა ერთიმეორეს, რომ რამდენიმე დღით თავის სახლში შეპატიჟებოდა ბათომში, ჩემის მხრით დიდი ხეწნა, მის სტუმართმოყვარეობისათვის დიდის მადლობის გადახდა დამჭირდა, სანამ ერთმანეთს გავშორდებოდით...

ბათომში დამხვდა სოხუმიდან ჩამოსული ჩემი ტანჯული მეუღლე. თან ჩამოყვანა ჩემი პატარა, 2 წლის ქალი. ვინახულე მეგობრები. მეგობარმა ბეგებმა ჩემი თავი ჩააბარეს საზღვარზე გადასაყვანად ერთს გონიოში მცხოვრებ ლაზს, ნავის პატრონს. ამან ეტლით გონიომდე მიმიყვანა. გონიოში საზღვარზე დაყენებულ რუს დარაჯების (კორდონის) ცხვირწინ ჩამსვა ნავში, წამყვანად ორი ლაზი მენავე მაახლა და ხოფასაკენ გამიყვანა გზას.

ჩემი ციმბირიდან „მგზავრობა“ ბევრს სასაცილო ელემენტს შეიცავდა. მაგრამ ის, რაც გონიოდან ხოფამდე განვიცადე, არ შემიძლია, თუნდ მოკლედ, ამ ჩემს ავტობიოგრაფიაში არ აღვნიშნო.

ნავი, რომელშიაც ჩამსვეს, ხოპების საშუალებით უკვე 200 მეტრის მანძილზე შეაცურეს ჩემმა წამყვანმა ლაზებმა, რომელთაც ქარაუღლად ველაპარაკებოდი და ვერ წარმოედგინათ, თუ მე მეგრული ვიციოდი და, მამასადამე, მესმოდა მათი ლაპარაკი (ლაზური), რაიცა იგივე მეგრულია, გასაგები ყველა მეგრულად მოლაპარაკესათვის. ეს იქმნებოდა ერთგვარი დამტკიცება იმისი, თუ ბედი იმ თავითვე როგორ მოწყალე თვალით მიცქეროდა და სწორედ ისეთ დროზე, როცა დანა ყელზე იქნებოდა მოსული, როცა, ის იყო, უნდა დაეღუპულიყავ, იგივე ბედი დასაცემად განმზადებულს ხელს მომაშველებდა და ზეზე გამამაგრებდა.

ზურგქარმა რომ დაჰბერა, მენავეებმა იალქანი გაშალეს, ხოლო ხოპები თავის ალაგას დააწყვეს, მერე ერთმა საკე დაიჭირა, ხოლო მეორე შორიახლო მოუჭდა. ორმავე პაპიროსები გაიკეთა. მეც შემომთავაზეს, მაგრამ მადლობა მოვახსენე, არა ვსწევ-მეთქი, საჭესთან რომ

იჭდა, ერთი მუშტრის თვალი შემავლო, ამხედ-დამხედა, მერე ამხანაგს მიუბრუნდა და დაუწყაო ლაპარაკი ლაზურად.

პირველი. ვინ უნდა იყოს ეს კაცი?

მეორე. ვილაც გამოქცეულია, იქნება ყაჩაღიცაა. ვინ იცის ...

პირველი. (რომელსაც ჩემი სხეულის აღნაგობა, ეტყობა, თვალში არ მოუვიდა და ამხანაგის მიერ ჩემს „გაყაჩაღებას“ ეჭვს თვალის შეხედა. შენც ერთი!... ამის ნაყაჩაღარი რა უნდა იყოს!

მეორე. იქნება, კაცის მკვლელია!

პირველი. (რომელმაც მეტად ცუდი აზრი შეადგინა ჩემის ამირანობის შესახებ). ახლა შენ ამას კაციც მოაკვლევინე!... ამის მოკლული, ჩემო კარგო, მეორეჯერ მოსაკლავი იქნება...

მეორე. (ცოტა დაფიქრების შემდეგ) ასეა თუ ისე, რაკი გამოქცეულია, ფული ექნება, შეიძლება ბევრიც. წავართვათ და ზღვაში გადავაგდოთ. შეგვრჩება.

პირველი. რას ამბობ, კაცო, ეს როგორ შეიძლება!? რა პასუხი უნდა გავცეთ ან იმას, ვინც ამის თავი ჩვენ ჩაგვებარა, ან იმათ, ვინც ამ სანდლის პატრონს ამ კაცის თავი ჩააბარა?... ხომ საუკუნოთ თავი მოგვეჭრა!...

სულ დიდი პაუზის შემდეგ

პირველი. მაშ, შენის აზრით, ვინ უნდა იყოს ეს კაცი?

მეორე, გაიძახიან, მოსკოფის<sup>12</sup> ფაღიშაჰს<sup>13</sup> ხალხი აუჯანყდა. გეყოფა, რაც იმეფეო, ახლა ფუხარა ხალხი უნდა ჩაუდგეს ყველა საქმეს სათავეშიო, შენ ტახტიდან უნდა ჩამოგაბრძანონო. ეს კაციც დღეშმანი იქმნება ფაღიშაჰისა... შენ რას იტყვი?!..

პირველი. (რომელსაც ფაღიშაჰის დღეშმანად (მტრად) ვერ წარმოედგინა, თუ არ სამმეტრიანი ბუმბერაზი ვინმე ამირანი და არა ჩემის საშუალოზე ნაკლების ტანის კაცი). ვაი, რა ვუთხრა იმ ფაღიშაჰს, ვისაც ამისი შეეშინდება ან ვისაც ეს კაცი რასმე დააკლებს!...

კიდევ პაუზა. ვერც ერთის ხელობის ადამიანს ვერ მიმაკუთვნებს და ეტყობოდათ, სწუხდენ, რომ ეს ამოცანა ამოცანად ურჩებოდათ. ისევ მე გამოვიყვანე გაჭირებიდან. ნავი ნაპირიდან ახლოს მიდიოდა. სოფელი დავინახე, ფერდობზე შეფენილი, სამეგრელოს მთაადგილის

<sup>12</sup> მოსკოფი — ისმალურის გამოთქმით — მოსკოვი ანუ რუსეთი.

<sup>13</sup> ფაღიშაჰი — მეფე.



სოფელივით. მეგრულად კვითხევი: ხოფამდე კიდევ ბევრი გვიკლია ან ეს რა სოფელია მეთქი?

უშველებელი განცვიფრების ნიშანი გამოეხატა სახეზე როგორც ერთს, ისე მეორეს, ხან მე შემომხედავენ და ხანაც ერთმანეთს დააკვირდებიან, ე რა მოგვივიდა ამ კაცთან როგორ შევრცხვითო... კარგა ხანს ხმა ვერ ამოვლოთ. ბოლოს ისევ პირველმა დაარღვია ღუმილი.

პირველი. შენ საიდან იცი ჩვენი ენა?

მე. საიდან და მეგრელი ვარ. მეგრული და ლაზური ხომ ერთი და იგივეა!

პირველი. მართალია, ერთი და იგივეა.. მაშ ჩვენი ნათქვამი ყველაფერი გაიგონე?

მე. ერთი სიტყვა რა გამომპარვია.

პირველი. მერე?!...

მე. მერე და არაფერი. განა არ ვიცოდი, რომ იმ კაცისათვის, ვინც, თქვენის აზრით, არც ყაჩაღად გამოვდგებოდი, ვისაც აღარც კაცის კვლა შემეძლო, ვისაც ხელიდან აღარც მოსკოვის ფადიშაჰის ღუშმანობა გამომივიდოდა, პო, ასეთ კაცისათვის ხელს არ გაისვრიდით!... განა არა ვხედავდი, ხუმრობდით?!... და მართლა რომ ფული მოგეთხოვათ ჩემთვის, სულ 15 მანეთი მაქვს, ამოვიღებდი ჭიბიდან და გაჩვენებდით. დარწმუნებული ვიყავი, დამიჯერებდით. თუ არა და, შეგეძლოთ გაგეჩხრიკეთ და დარწმუნებულიყავით, რომ მართალს გეუბნებოდით. იმედი მქონდა, თუ გქონდათ, ფულს აქეთ მომცემდით, არამცთუ ჩემი წაგერთმიათ და ჩემის ცოდვით ავსებთელიყავით. იმასაც ვხედავდი, რომ ძალიან გინდოდათ ჩემის ვინაობის გაგება. აბა გეტყვი, რომ კაცო ჩემს დღეში არ მომიკლავს, სხვისთვის, რაც ჩემი არ იყო, იმის წართმევა აზრად არასდროს მომსვლია. მაგრამ, მაგრამ... მოსკოფის ფადიშაჰის მტრობა მქონდა, მაქვს და სანამ ცოცხალი ვარ, მექნება. აბა სწორედ ჩემისთანებია, მოსკოფის ფადიშაჰს მტრებად რომ ჰყავს და იმათია, რომ ეშინიან...

პირველი. თქვენი ჭირიმეთ, ბეგებს (ვინც ჩემი თავი ჩააბარა ამათ) არაფერი უთხრათ თორემ თავი მოგვეჭრება. თქვენი ჭირიმეთ, პატიოსანი სიტყვა მოგვეცით.

მეც შევფიცე ყველა საფიცოკით არავისთვის რა მეთქვა, განსაკუთრებით ბათომელ ბეგებისათვის. მაპატიეონ ჩემმა მხსნელმა მენავე ლაზებმა, რომ ამ ჩემის ავტობიოგრაფიის გვერდებს გავანდევი ამ 34 წლის წინანდელი ამბავი. შეიძლება არც ის ბეგები იყვნენ ცოცხალთა შორის, ვინც ამ მენავეთა საშუალებით გამაპარეს ოსმალეთში ციმბირით ლტოლვილი და აღარც ის მენავენი დარჩნენ სააქაოში. ვინც იკისრეს

რუსეთის საზღვრებისათვის მოვეშორებინეთ. აქ საჯაროთა ვფიცავ, რომ ტკბილად, მეტად ტკბილად ვიგონებ იმათს სახელსაც და ჩემის შფოთიან ცხოვრების ამ წიკრე ეპიზოდსაც, რომელმაც ელვის სისწრაფით მომანათა და ელვის სისწრაფითვე ჩამირბინა...

მიმაყენეს ერთს ლაზურ სოფელს, ხოფაზე ორის კილომეტრით დაშორებით. გაძიყვანეს ნაპირად, თან ბოფა თითით მანიშნეს: აჰა, შენი ზოფაო!..

ხოფაში ჩასვლამდე ეს სოფელი დავათვალიერე... ერთის წამით ხსამეგრელოში მეგონა ჩემი თავი, — ისეთი გასამტერებელი მსგაესება იყო ამ ორი მხარის სოფლებს შორის! ახლა მცხოვრებნი იკითხეთ!... იმნაირივე ზიდვა ქალების მიერ წყაროდან კოკებით წყლისა, იმნაირივე გაჭავრება ატირებულ ბავშვებისა... ხეებზე აშვებული ვაზები, როგორც სამეგრელოში!... ჩემდა სამწუხაროდ, ვერ შევიძიელ მათს სახლშიაც შემეხედნა, მენახნა, როგორა ცხოვრობდნენ ჩვენი ძმები შინ. ვწყველიდი ჩვენს უბედო ბედს, რომელიც იმავთავითვე სდევნიდა მოსისხლე მტრებით გარშემოვლებულ საქართველოს განაპირა ადგილებს, ამ ადგილებს მტრების სათარეშოდა ხდიდა, გულიდან გვეღეჯავდა, მათში მცხოვრებლებს ენას, სარწმუნოებას, აზროვნებას უცვლიდა და გუშინდელ ქართველს დღეს საზოგადოდ ქართველისათვის უცხოსა და მტრად გადაკიდებულ ადამიანადა ხდიდა... ოცნებამ გამიტაცა: იქნება მოვესწროთ იმ დღეს, როცა უკულმა დატრიალებული ჩარხი ბედისა წალმა დატრიალდეს და ეს გულიდან მოწყვეტილი, სამოთხისებური და თან უსაზომოდ ტანჯული და გაწამებული მხარე ისევ დაუბრუნდეს საქართველოს, ისევ ჩაეკრას თავის დედას გულში, ისევ ხელი-ხელს ჩაკიდებულნი, ერთმანეთს მხარში ამომდგარნი შევებრძოლოთ ცხოვრების უკულმართობას რომ, ოღნავადაც არი, დავიამოთ სიცოცხლე ჩვენი-მეთქი...

მაგრამ ოცნება მყისვე გაქრა, როცა გამოვფხიზლდი და დავინახე ფეხით გასასვლელი მანძილი ხოფამდე. ჩავედი ხოფაში, ხოფადან — ტრაპიზონში. აქ ერთი თვე გავატარე, ვითომ ადგილი რამ უნდა მეშოვნა. მაგრამ ამაოდ. შემრჩა-და საქართველოდან ლტოლვილი იმერეთის მეფე სოლომონის საფლავის ქვის დათვალიერება. ტრაპიზონიდან — სტამბოლში ორის კვირით. სტამბოლიდან — მარსელი — პარიზი — ბრუსელი. ბელგიის დედაქალაქში დავიდევი სამუდამო ემიგრანტული ბინა, საცა, როგორც პოლიტიკური დამნაშავე, აქაურის კანონის ძალით, რუსის მთავრობის მხრით ხელუხლებელი ვიყავი.

საზღვარგარეთ ნებით თუ უნებლიეთ ყოფნის დროს, სხვათა შორის, იმასაცა ვცდილობდი გამეცნო ესა თუ ის გავლენიანი პიროვნება-ნი ან მეცნიერების თუ სალიტერატურო დარგში მომუშავენი. ვცდი-

